

XIX-XX საუკუნეების ქართველ შრომალთა

ებისტოლური მემკვიდრეობა

გვ. 8

გრიგორ თრილიშვილი

(ნაწილი V)

XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა

ეძისტოლური მექუდრეობა

ტოშ VІІІ

გრიგოლ თბილელიანი (ნაწილი VII)



გამომცემლობა „ანივერსალი“
თბილისი 2018

უაკ (UDC) 821.353.1-155+821.353.1-6

ე-726



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation



იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iakob Gogebashvili Telavi State University

სამეცნიერო პროექტი „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა (VIII-IX ტომები)“ (გრანტი №217906) ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე კრებულში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The project „Scholarly Edition of the 19th-20th cc. Georgian Writers’ Epistolary Legacy (Volumes VIII-IX)“ (Grant №217906) is being made possible by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation. All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა

ტომის რედაქტორები:

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი ქეთევან გიგაშვილი

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი მაია (მარიამ) ნინიძე

© იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ყველა უფლება დაცულია.

გამომცემლობა „ენივარსალი“, 2018

თბილისი, 0179, გ. ვაკევაძის გამზ. 19, ტ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-22-185-9 (ყველა ტომისათვის)

ISBN 978-9941-26-237-1 (VIII ტომი)

შესავალი

XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის მრავალტომეულის წინამდებარე VIII ტომში წარმოვადგენთ გრიგოლ ორბელიანის წერილების VII ნაწილს, რომელიც შესრულებულია 1865-1869 წლებში.

მკითხველს შევასენებთ, რომ დასახელებული ავტორის წერილები ჩვენი მრავალტომეულის გამოცემაში მე-2 ტომი-დან იბეჭდება.

II და III ტომებში¹ შევიდა პოეტის წერილების I და II ნაწილები, რომლებმაც მოიცვა 1832-1850 წლებში დაწერილი 191 წერილი. II ტომში გამოქვეყნდა 1832-1844 წლების წერილები. მათმა რაოდენობამ 82 შეადგინა. აქ შევიდა აკაკი განწერელიას გრიგოლ ორბელიანის წერილების I ტომში² დაბეჭდილი 63 წერილი, რომელსაც დაემატა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში³ პირველი პუბლიკაციის სახით გამოქვეყნებული 1 წერილი, ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში⁴ (რომელიც სოლომონ ცაიშვილმა გამოსცა) ასევე პირველი პუბლიკაციის სახით გამოქვეყნებული 1 წერილი, გამოუქვეყნებული 12 რუსული და 5 ქართული წერილი. ასე რომ, II ტომში პირ-

¹ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი II, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი I), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012.

XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი III, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი III), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012.

² გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი I პირველი, 1832-1850, აკაკი განწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, კოტე გორდელაძის წინასიტყვაობით, სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1936.

³ 6. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, ს. ფირცხალავას გამოც., ტფ., 1922.

⁴ ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი I, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947.

ველად გამოქვეყნდა 17 წერილი. გამოცემაში დათარიღდა 74 ეპისტოლე.

III ტომში დაიბეჭდა გრიგოლ ორბელიანის 1845-1850 წლებში დაწერილი 109 წერილი: მათგან 4 რუსული, ხოლო დანარჩენი – ქართული. ოთხივე რუსული წერილისთვის ჩვენი გამოცემა პირველი პუბლიკაცია იყო. აქვე პირველად გამოქვეყნდა ილია ორბელიანისადმი გაგზავნილი 5 წერილი. ასე რომ, III ტომში პირველად დაიბეჭდა 9 წერილი. დათარიღდა 20 ეპისტოლე.

III ტომში წარმოდგენილი წერილების უმრავლესობა შესულია აკაკი განერელიას გრიგოლ ორბელიანის წერილების | ტომში, სამი გამოქვეყნებულია ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების | ტომში, ხოლო 1 – ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში.

IV ტომმა⁵ მოიცვა 1851-1852 წლების წერილები, რომელთა რაოდენობამ 77 შეადგინა. მათგან 34 ბარათი რუსულია. ისინი ჩვენს გამოცემაში პირველად გამოქვეყნდა. აქვე პირველად დაიბეჭდა 3 ქართული წერილი, რომლებიც დაუთარილებელი იყო და დათარილების შემდეგ 1851-1852 წლების წერილების ქრონოლოგიურ რიგში მოთავსდა. ასე რომ, ჩვენი გამოცემა 37 წერილისთვის პირველი პუბლიკაცია იყო. IV ტომში დათარიღდა 6 ბარათი. წერილების უმრავლესობა გამოაქვეყნა აკაკი განერელიამ 1937 წელს გრიგოლ ორბელიანის წერილების || ტომში,⁶ ხოლო 4 წერილი დაიბეჭდა ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების | ტომში.

⁵ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი IV, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი III), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013.

⁶ გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1937.

V ტომი დაეთმო გრიგოლ ორბელიანის 1853-1855 წლების წერილებს, რომელთა რაოდენობამ 133 შეადგინა. ამათგან 38 წერილი რუსული იყო, რომლებიც ჩვენს გამოცემაში პირველად გამოქვეყნდა. ასევე პირველად დაიბეჭდა 7 ქართული ეპისტოლე. ამდენად, V ტომში პირველად გამოქვეყნდა 45 წერილი. დათარიღდა 8 უთარილო ბარათი.

VI ტომში დაიბეჭდა 1856-1858 წლების 134 წერილი, ამათგან პირველი პუბლიკაციის სახით – 46: 31 რუსული, 15 – ქართული. დათარიღდა 21 წერილი, ხოლო 1 ბარათში გამოვლინდა მექანიკური შეცდომა (31 ოქტომბრის ნაცვლად ავტორს ენერა 31 ნოემბერი).

VII ტომში შევიდა გრიგოლ ორბელიანის 88 ეპისტოლე. აქედან 12 წერილი, დაწერილი 1859 წელს, გამოქვეყნებულია აკაკი განწერელიას მიერ 1937 წელს გრიგოლ ორბელიანის წერილების ზემოთ ნახსენებ II ტომში (მკვლევარმა პოეტის წერილების გამოცემა სწორედ 1859 წლით დაამთავრა), 3 წერილი კი გამოცემულია სოლომონ ცაიშვილის მიერ 1947 წელს ზემოთ ნახსენებ ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში.⁷

1860 წლის შემდგომი წერილების აბსოლუტური უმრავლესობა და აგრეთვე უთარილო წერილები (რომლებიც დათარიღდების შედეგად 1859-1864 წლების ქრონოლოგიურ რიგში მოთავსდა), დღემდე გამოუქვეყნებული იყო. ისინი VII ტომში პირველად დაიბეჭდა. ასეთი იყო 73 ეპისტოლე. ამათგან 34 – რუსული, ხოლო 39 – ქართული.

ტომში დათარიღდა 14 ბარათი.

წინამდებარე VIII ტომში ვბეჭდავთ ავტორის 104 წერილს, რომელთაგან 76 რუსულია, ხოლო 28 – ქართული. გამოცემაში დათარიღებულია 13 ბარათი. 104 წერილიდან დღემდე გამოქვეყნებული იყო 6: ალექსანდრე ორბელიანი-სადმი №2 (673), №3 (708), №4 (711), №5 (721), ეკატერინე

⁷ გვ.: 302-334.

ჭავჭავაძე-დადიანისადმი №4 (717), ბაბალე ორბელიანი-საგინაშვილისადმი №25 (701).

დანარჩენი 98 წერილისთვის ჩვენი გამოცემა პირველი პუბლიკაციაა.

რუსული წერილები გამოცემაში დაბეჭდილია ძირითად ტექსტად, ხოლო ქართული თარგმანები მათ შემდეგაა წარმოდგენილი. ტექსტში ვარსკვლავებით აღნიშნულია ქართულ წერილებში ჩართული რუსული სიტყვები თუ ფრაზები და მათი თარგმანები მოცემულია წერილის ბოლოს. ასევე წერილის ბოლოს არის განმარტებული ის სიტყვები, რომლებიც ვარსკვლავითაა მონიშნული თავად ავტორის მიერ.

თარგმანებში მაქსიმალურად შევინარჩუნეთ ავტორის სტილი, მისი ქართული წერილებისათვის დამახასიათებელი ლექსიკა, სიტყვათა ავტორისეული დაწერილობა, მაგ., „ლიმ-ნაზია“, „ლენერალი“, „ლუბერნია“, „ლუბერნატორი“, „არხიმან-დრიტი“, „პატრიარხი“, „მუშთეიდი“, „ლერბი“, „პროეკტი“, „პუნკტი“, „ლრაფი“, „ლრაფინია“, „ფოშტა“, „ფოშტალიონი“, „სამზღვარსგარე“, „ხელმწიფა“ (წარჩინებული ქალბატონები-სადმი მიმართვისას) და ა. შ.

თარგმანებში, ცხადია, დავიცავით ორბელიანის წერილების ენისთვის ნიშანდობლივი რუსიციზმები, ასევე პირთა, გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა დაწერილობები, მაგ., „ოკრული“, „ობლასტი“, „კნიაზი“, „კნიალინა“, „დოხტორი“, „სეკრეტარი“, „ლრაფდანსკი“, „ლინია“, „უპრავლენიე“, „ლევაშევი“, „ოლლობჟიომ“, „კულებაკინი“, „კალასოგსკი“, „სუხუმი“, „ანგლია“, „ჭრანცია“, „სომხითი“, „ოდესაა“, „პეტერბურლი“, „პარიჟი“, „პოლიაკი“, „ბელი კლუბი“, „დაღისტანი“, „ჩაჩანი“ (ჩეჩინეთის მნიშვნელობით), „სომხი“, „ანგლიჩანი“, „ჭრანციცული“, ნათესაობით ბრუნვაში „ევროპის“ და არა „ევროპის“ და სხვა მრავალი.

თანაბრად ხმარებული პარალელიზმები ქართულ თარგმანებშიც შევინარჩუნეთ, მაგ., მაქვს // მაქუს; საყვარელი //

საყუარელი; ჩვენი // ჩუენი; თქვენი // თქუენი; საზოგადოება // საზოგადოობა და ა. შ.

ავსახეთ ავტორის ქართული წერილებისთვის დამახა-
სიათებელი სხვა ენობრივი ნიშნებიც, მაგ., პირის ნიშანთა
ხმარების ჩვევები (ერთპირიანებთან ორი პირის ნიშნის წარ-
მოდგენა, ორპირიანებთან – სამი პირისა, ასევე მათი გამოყე-
ნება ნებისმიერი თანხმოვნის წინ და სხვ.).

ზოგჯერ ამა თუ იმ სიტყვის ავტორისეული დაწერი-
ლობა ტომიდან ტომამდე იცვლება, მაგ., წინა წლების წერი-
ლებში გვხვდებოდა „პეტროვსკოე“, რომელიც წინამდებარე
ტომის წერილებში წარმოდგენილია „პეტროვსკას“ სახით.
ასევე „ადუტანტი“ ავტორმა შეცვალა „ადიუტანტით“. შესაბა-
მისად, ქართულ თარგმანებშიც აისახა „პეტროვსკა“, „ადიუ-
ტანტი“. აღნიშნულის გათვალისწინებით, სიტყვათა დაწერი-
ლობები შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს სხვა-
დასხვა ტომში.

კრებული მომზადდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლო-
გიის დეპარტამენტში.

უნივერსიტეტის თანამშრომელთა გარდა, მის მომ-
ზადებაში ჩართული იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელო-
ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთა-
ველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი
მეცნიერ-თანამშრომელი, პროექტის მეცნიერ-კონსულტან-
ტი და ტომის ერთ-ერთი რედაქტორი მაია (მარიამ) ნინიძე,
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-
თანამშრომლები: ლია კიკნაძე, ეთერ ბერუაშვილი, გიორგი
ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწი-
ფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე თეა თვალავაძე,
რომელიც, ამავე დროს, იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტექსტოლოგიისა
და გამოცემათმცოდნეობის“ სადოქტორო პროგრამის სტუ-
დენტია.

VIII ტომში წარმოდგენილი ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, პასპორტები, შენიშვნები, შესავალი წერილი, „ტექსტი-სათვის“ და რუბრიკა „ადრესატის მისამართი“ დაურთო ქეთევან გიგაშვილმა; დათარიღება ეკუთვნის თეა თვალავაძეს, კომენტარები – მათა (მარიამ) ნინიძესა და თეა თვალავაძეს, ლექსიკონი – ქეთევან გიგაშვილსა და მზია გიგაშვილს, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლები – გიორგი გოცირიძეს.

წერილთა შედარებებსა და ხელნაწერთა აღწერილობებზე იმუშავეს ქეთევან გიგაშვილმა და მზია გიგაშვილმა; რუსული წერილები დაამუშავეს ლია კიკნაძემ და ეთერ ბერუაშვილმა, ქართულად თარგმნა არსენ ბერთლანმა, ხოლო კორექტურაზე იმუშავა ნათელა ლუდუშაურმა.

ვრცელი შესავალი წერილი იხ. ჩვენი გამოცემის II ტომში: „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი II, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი I), თბ., 2012, გვ. 3-12.



1865

ბარბარე ბაგრატიონი-მრჩელიანისაძე №11 (624)

В Лондон 11 Генв: 1865. Тифлис.¹

Последнее письмо твоё ко мне, мой друг Варвара, было от 12^{го} Декаб: с тех пор я не имею известія о тебе и Георгіе; два существа, которые составляют всё моё счастье. Неужели у тебя опять возобновилась боль в [гла]зах? Но и этом случае, маленький Секретарь твой, Георгій, мог бы несколько слов написать ко мне, не нужно мне вашего описанія о современном состояніи Англіи, нужны только два три слова собственно о вас самих.

10^{го} Декаб: я писал к тебе о том, что ещё 27 Нояб: отправлены мною через Колосовского и Эрвье 1090 руб: из следовавшей тебе и Георгію Пенсіи за Сентябрь, Октябрь и Ноябрь; но незнаю до сих пор получили ты эти деньги? Безпокойство моё растёт более и более при мысли, что ты, может быть, в нужде! Ради Бога, старайся почаше писать ко мне, недожидаясь моего ответа. Ну, что за беда, если я нетотчасже отвечаю.

Зима проходит очень весело; неговоря о Италіанском театре и весьма приятных вечерах у Вел: Князя, очень часто бывают благородные спектакли с благотворительной целью. На одном из них, в пьесе [«]Утро[»] у предводителя блистательно появилась Нина Опочинина и вместе с ней Мейндорф, Позень, Философов, Зиновьев, Бебутов; на концертах отличаются Корганов, Кармалина и вособенности молодая Огарева – новая фрейлина. Ея голос точно флейта.

Пріехала Графиня Аннета – а теперь Маркиза Албици с мужем. Увы, цветла роза... впрочем и пора, довольно! Но,

кажется, ей ещё хотелось бы блистать попрежнему. При дворе приняли её очень ласково, очень внимательно. Пріезжала сюда навремя из Дербенда Джомардизова, которая своим появлением возбудила между нашими домами целую войну. О зависть!

Живёт здесь проездом в Персію молодой Англичанин, родственник Вел: Княгини, Лорд Гамильтон. На днях мы охотились на Кааязе за Джейранами, он был в восторге от этой охоты: 60 Джейранов поднесли Великому Князю. В особенности отличались мои собаки, Дамка, рейда и Эрек.

Витгенштейн, Либау, Мейндорф, Гр: Левашевы, Свечины, искренно кланяются тебе. –

Зимы ещё мы невидели; погода светлая, тёплая; кавалькада до сих пор продолжается. Можешь вообразить, как это поражает и вместе радует недавно пріехавшаго сюда Генерал Адъютанта Огарева.

Недавно умер мой Адъютант Коте Тарханов, брат Елены Грузинской – прекрасный молодой человек. Он был назначен мировым посредником и принял с большою живостью и благоразуміем за это дело. Душевно сожалею об нём, в фамилії Тархановых он только и высказывался, как достойный молодой человек. – Умерла тоже и бедная старуха Маркрита; точно, будто, уснула сном спокойствія. Умерла недавно и Деспина Гуріeli, сестра хромого Дмитрія. Этими печальными известіями оканчиваю это письмо.

Господь Бог да сохранит тебя и Георгія.

პარპარე პატიონი-ორგელისალის №11 (624)

ლონდონს 11 იანვ: 1865. თბილისით.¹

შენი ბოლო წიგნი ჩემდამი, ჩემო მეგობარო ვარებარა, იყო 12^{ას} დეკემბ: მას აქეთ არა გამიგია რა ამბავი შენი და გი-ორგისა, ორი არსებისა, რომელიცა შეადგენენ მთელს ჩემს ბედნიერებას. ნუთუ კვლავ განგიახლდა თვალების ტკივილი? მაგრამ ამ შემთხვევაშიც, შენს პატარა სეკრეტარს, გიორგის, შეეძლო მოენერა ჩემთვის რამოდენიმე სიტყუა, არ მინდა თქუენი მონაყოლი ანგლის ამჟამინდელს მდგომარეობაზედ, მხოლოდ ორიოდე სიტყუა მჭირდება საკუთრივ თქუენზედა.

10^{ას} დეკემბ: გწერდი, რომ კალასოგსკისა და ერვიეს ხელით ჯერ კიდევ 27 ნოემბ: გამოვგზავნე 1090 რუბ: შენი და გიორგის კუთვნილი სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის პენსიიდამ; მაგრამ აქამომდის არ ვიცი, მიიღე თუ არა ეს ფული? მეტსა და მეტსა ვჭმუნავ იმის გაფიქრებაზედ, რომ შე-საძლოა ხელმოკლედ ხარ. ღვთის გულისათვის, ეცადე უფრო ხშირად მოიწერო ჩემი პასუხის მოსვლამდინ. რა მოხდა ახლა, თუ უმალვე არ გპასუხობ.

ზამთარი გადის ძალზედ მხიარულად; რომ აღარაფერი ვთქვა იტალიურს თეატრსა და ერთობ სასიამოვნო საღამოებ-ზედ დიდს კრიზისან, ძალზედ ხშირად ეწყობა ხოლმე კეთილ-შობილი სპეკტაკლები საქველმოქმედო მიზნითა. ერთ-ერთ მათგანში, პიესაში „დილა“ ხელმძღვანელთან ბრწყინვალედ აჩვენა თავი ნინა ოპონინინამ და მასთან ერთად მეინდორჭმა, პოზენმა, ჭილოსოჭოვმა, ზინოვიევმა, ბებუთოვმა; კონცერ-ტებზედ გამოირჩევიან ყორლანოვი, კარმალინა და განსაკუთ-რებით ახალგაზრდა ოგარევა – ახალი ჭრეილინა. ხმა მისი სწორედ რომ ფლეიტაა.

ჩამობრძანდა ლრაჭინია ანნეტა – ან კი მარკიზა ალბი-ცი ქმრითურთ. ეჭ, როგორ ჰხარობდა ვარდი... თუმცადა დრო აქვს, იქმაროს. მაგრამ, თითქოს უწინდებურად ჰსურდე-

სო ბრდლვრიალი. კარზედ დიდის ალერსით მიიღეს, დიდის ყურადღებითა. დერბენდიდამ დროებით ჩამოვიდა ჯომარდი-ზოვა, რომელმაც თავისი გამოჩენით ნამდვილი ომი ჩამოაგდო ჩუენს ოჯახებს შორის. ოჰ, შურო!

აქ გავლით ცხოვრობს სპარსეთს მიმავალი ახალგაზრდა ანგლიჩანი, დიდი კნიალინას ნათესავი, ლორდი ჰამილტონი. იმ დღეს ყარაიაზს ვინადირეთ ჯეირანებზედ, ის აღფრთოვანებული იყო ამ ნადირობით: 60 ჯეირანი მიართვეს დიდს კნიაზსა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ჩემი ძალლები: დამკა, რეიდა და ერკეკი.

გულწრფელს მოკითხვას გითვლიან ვიტგენშტეინი, ლიბაუ, მეინდორჭი, ღრ: ლევაშევი, სვერინი.

ზამთარი ჯერ არ გვინახავს; დარი კარგია, თბილი; კავლკადა აქამომდე გრძელდება. შეგიძლია წარმოიდგინო, რარიგ აოცებს და თან ახარებს ეს ახალს ჩამოსულს ლენერალ ადიუტანტს ოგარევს.

ახლახანს გარდაიცვალა ჩემი ადიუტანტი კოტე თარხანოვი, ძმა ელენე გრუზინსკაიასი – არაჩვეულებრივი ახალგაზრდა კაცი. დანიშნული იყო მომრიგებელ შუამავლად და დიდის მონდომებითა და კეთილგონიერებით ჰქონდა დაწყებული ეს საქმე. გულითა ვწუხვარ მის გამო, თარხანოვების გვარში მხოლოდ ისლა თუ ამბობდა სათქმელს, ვით ღირსეული ახალგაზრდა. გარდაიცვალა აგრეთვე საწყალი მოხუცი მარკრიტა; თითქოს მართლა მიიძინა მშვიდის ძილითა. ამ ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა დესპინა გურიელიც, და კოჭლი დიმიტრისა. ამ სევდიანი ამბებით ვასრულებ ამ წიგნსა.

ღმერთი გფარავდეთ შენა და გიორგისა.

პარტარე პატრატიონი-მრგვლიანისაღვი №12 (625)

1^{го} марта 1865. Тифлис¹

Мой друг Варвара! Искренно благодарю тебе за два письма от 12 и 20 Генв:, которые пришли ко мне как нельзя кстати. Я уже начинал тревожиться о твоём здоровье, долго не имея известий о тебе. Пиши, ради Бога, почаще ко мне со всеми малейшими подробностями о твоём житье-бытье, о каждой безделице, тебя касающейся. Весь мир для меня – ты и Георгий!

5^{го} марта я вышлю сестре Гаяне 1000 руб: для передачи тебе. Посмотрим лучше ли будет этот способ пересылки денег. Я надеялся, что буду иметь возможность присылать и более, но Каплан – да простит ему Господь – разстроил мои финансовые дела и запутал все мои расчёты. Более 6/ты: руб: взыскивают с меня зато, что я был его поручителем в точном исполнении данных им денежных обязательств. Он отказался платить, и потому весь его долг обрушился на меня. Делайто добро людям! Урок хорош, но слишком дорог для меня.

Прошла зима, невидели мы ни морозов, ни снега. 28 Генв: Миндали и Персики разцвели; Мадам Минквиц в романтическом настроении собирала фиалки в муштайде; тёплые, светлые дни вызывали жителей к разнообразным увлечениям: вечера, балы, театры, спектакли, в особенности замечательны были скачки на лошадях, где моя лошадь пришла первая; скачки на верблюдах и даже на ослах, напоминали времена из Поэмы Караманіани. Англичане лорд Гамильтон и сопутник его Итонъ, побеждённые на скачках, отличились в беге: они первые пришли, пробежав круг в 1 версты. Теперь же наступила пасмурная, дождливая погода, справедливо здешними жителями названная великостными днями.

Выехали отсюда: Графиня Левашева в Париж; она очень

желалабы видеться стобой и везёт тебе отчёт по заведенію Св: Нини, Генерал Адъютант Огарёв в Петербург; фрейлина Пиллар в Екатеринодар к Сумарокову; Георгій Мухранскій в Кутаис, где под его председательством открывается комитет по крестьянским делам. Так, вопрос этот перешагнул и в Имеретію и пойдёт шагать далее и далее, неостанавливаясь, как вечный жид.

Приехала вчера Нина – дочь Каплана – и останется здесь, пока сделается матерью; наконец и Дмитрій с Марією Ивановной возвратились из заграницы. Дочь Левана Чолокаева обручилаась очень торжественно за Илью Тарханова. Бабале Сагинова немного болела; Их Высочества оказывают ей любезное вниманіе. Она вышивала бриліантами та[в]сакрави² для ея высочества и обделала её по Грузински на бале впоследній день масленицы, и в самом деле ей очень шло Грузинское Платье. Можешь представить Бабале и ея полнейшее счастіе, проникнувшее до дна ея души! Отныне двор для ея жизни также необходим, как воздух; она задыхнётся безнего.

Ну, что мой дядя Георгій, учиться ли хорошо, растетли. Полагаю достаточным, если вырастёт с меня. Как ты, Залуа, думаешь, Георгій с меня ростом будет очень красив? Полюбил ли он Англію? А я, признаюсь, очень, очень радуюсь вашему пребыванію в Англіи, собственно для Георгія: Система воспитанія детей, развитіе умственных и физических сил, точность, порядок в практической жизни, самое образованіе характера, мне кажется, нигде не существует втакой полноте, как в Англіи, мне так кажется, быть может я ошибаюсь.

Не горюй о деньгах; дай только мне оправиться – начто нужно немного времени – от ударов нанесённых мне Капланом, а там, Бог даст, всё будет хорошо: продам себя, а до нужды недопущу. Катерине низко, низко кланяюсь и благодарю запамять.

Их Высочества выедут вначале Мая в Петербург, оттуда Заграницу, где проведут лето, а возвратяться сюда в Октябре.

პარგარე პაგრატიონი-ორგანიანისაღვი №12 (625)

1^ს მარტს 1865. თბილისით¹

ჩემო მეგობარო ვარვარა! გულწრფელად მადლობელი ვარ შენი 12 და 20 იანვ: ორი წიგნისათვის, რომლებიც სწორედ რომ დროულად მივიღე. უკვე ვდელავდი შენს ჯანმრთელობაზედ, დიდს ხანს რომ არ მქონდა ამბავი შენზედა. მოთხერე, ღვთის გულისათვის, ხშირ-ხშირად ყოველის წვრილმანით შენს ყოფა-ცხოვრებაზედ, თუნდაც სრულიად უმნიშვნელოზედ, რაც კი შენ გეხება. თქუენ ხართ ჩემთვის ყველაფერი - შენა და გიორგი.

5^ს მარტს დაიკო გაიანეს გამოვუგზავნი 1000 რუბ: შენთვის გადმოსაცემად. ვნახოთ, იქნებ ეს ხერხი უკეთესი გამოდგეს ფულის გადმოსაგზავნად: ვიმედოვნებდი, შევძლებდი მეტიც გამომეგზავნა, მაგრამ ყაფლანმა - ღმერთმან შეუნდოს - ჩამალა ჩემი ფინანსური საქმეები და არია ყოველი ჩემი ანგარიში. 6/ათ: რუბ: -ზედ მეტს მახდევინებენ იმის გამო, რომ მისი თავდები ვიყავ მის მიერ აღებული ფულადი ვალდებულებების ზედმიწევნით შესრულებაზე. მანკი უარი განაცხადა გადახდაზე და ამიტომ მთელი მისი ვალი მე დამედო კისერზედ. გაუკეთე კაცს სიკეთე! კარგი გაკვეთილი კია, მაგრამ ზედმეტად ძვირად დამიჯდა.

გავიდა ზამთარი, არ გვინახავს არცა ყინვა, არცა თოვლი. 28 იანვ: აყვავდა ნუში და ატამი; მადამ მინკვიცი რომანტიულის განწყობითა ჰკრეფდა იებს მუშთეიდში; თბილი, ნათელი დღეები უხმობდნენ ბინადართ სხუადას-ხუა გართობებისთვის: საღამოები, ბალები, თეატრები, სპეკტაკლები, განსაკუთრებით მშვენიერი იყო ჯირითი ცხენებით, სადაც ჩემი ცხენი პირველი მივიდა; ჯირითი აქლემებითა და ვირებითაც კი პოემა „ყარამანიანის“ დროს მახსენებდა. ჯირითში დამარცხებულმა ინგლისელებმა ლორდმა ჰამილტონმა და მისმა თანამგზავრმა

იტონმა სირბილში იჩინეს თავი: პირველნი მოვიდნენ 1 ვერსის წრის შემორბენით. ან კი ჩამოდგა ნისლიანი, წვიმიანი ამინდი, სამართლიანად წოდებული დიდმარხვის დღეებად აქაურ ბინადართაგან.

აქედამ გაემგზავრნენ: ღრაჭინია ლევაშევა პარიჟს; მას ძალიანა ჰსურს შენი ნახვა და შენთვის მოაქვს წმ: ნინოს სასწავლებლის ანგარიში; ლენერალ-ადიუტანტი ოგარევი – პეტერბურლს; ჭრეილინა პილარი – ეკატერინოდარში სუმაროკოვთან; გიორგი მუხრანსკი – ქუთაისს, სადაც მისი თავკაცობით არსდება გლეხობის საქმეთა კომიტეტი. ესრეთ, ამ ამბავმა იმერეთშიც შეაბიჯა და ან ნავა იქითა და იქით, შეუჩერებლივ, ვითარცა უკვდავი უიდი.

გუშინ ჩამობრძანდა ნინა – ყაფლანის ქალიშვილი და აქ დარჩება, ვიდრე დედა გახდებოდეს; ბოლოს დიმიტ-რიც დაბრუნდა მარია ივანოვნასთან ერთად ზაგრანიციდამ. ლევან ჩოლოყაევის ქალიშვილმა დიდის ზარ-ზეიმით დაიწერა ჯუარი ილია თარხანოვზედ. ბაბალე საგინოვა ცოტას ავადობდა; მათი უდიდებულესობანი გულითადს ყურადღებას იჩენენ მისდამი. მან ბრილიანტებით მოუქარგა თავსაკრავი მის უდიდებულესობას და ქართულად გამოაწყო იგი მეჯლისზედ ყველიერის ბოლო დღეს, მართლა ძალზედ უხდებოდა ქართული კაბა. შეგიძლია ნარმოიდგინო ბაბალე თავისი ზენაარი ნეტარებით, ჩაღვრილით მისი გულის სიღრმემდინ?! ამიერიდან მეფის კარი ეგრეთვეა აუცილებელი მისი სიცოცხლისათვის, როგორც ჰაერი; იგი დაიხრჩობა უამისოდა.

აბა, რასა იქმს ჩემი ბიძია გიორგი, ხომ კარგადა სწავლობს, ხომ იზრდება? საკმარისად ჩავთვლი, თუკი ჩემხელა გახდება. შენ, ძალუავ, როგორა ჰფიქრობ, ჩემის სიმაღლის გიორგი ფრიად ლამაზი იქნება? ანგლია თუ შეიყვარა? მე კი, გამოგიტყდები, ძალზედ, ძალზედ მიხარის თქუენი ყოფნა ანგლიას, კერძოდ გიორგისთვისა: ბავშვთა აღზრდის სისტემა, გონებრივი და ფიზიკური

განვითარება, სიზუსტე, წესრიგი პრაქტიკულს ცხოვრებაში, თვით ხასიათის ჩამოქნა, ვჰგონებ, არსადაა ესრედ სრულქმილი, როგორც ანგლიაში, აგრე მგონია, ეგებ მეშლება კიდეცა.

ფულზედ არ იდარდო; მაცალე ოღონდ, ღონეს მოვეგო ყაფლანის დარტყმებისაგან, რასაც არა სჭირდება ბევრი დრო, ხოლო მერმე, ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგად იქნება: თავს გავყიდი და არ მიგიშვებთ გაჭირვებამდინ. მდაბლად ვუხრი ქედს კატერინას და ვჰმადლობ, რომ ვახსოვარ.

მათი უდიდებულესობანი მაისის დასაწყისში გაემგზავრებიან პეტერბურდს, იქიდამ ზაგრანიცას, სადაც გაატარებენ ზაფხულს, ხოლო აქ დაბრუნდებიან ოქტომბერში.

გაიანი პაგრატიონისადმი №1 (626)

5^{го} Марта 1865¹ Тифлис.

Милос: Госуд: Княжна Гаяне Ильинишина!

Недавно из Англіи я получил письмо от сестры Варвары, которая просит меня, чтобы деньги, мною отсюда ей пересылаемыя, были, на будущее время, отправляемы чрез вас, втом предположеніи, что этим путём скорее будут доходить к ней, чем до сих пор чрез торгующих здесь иностранцев.

Исполняя ея желаніе я прилагаю здесь 1 000 руб: с убедительнейшей просьбой переслать к ней без потери времени.² Я позволяю себе выразиться так, потому что снeterпенiem Варвара ждёт денег к 1^{му} Апреля новаго стиля. Зная доброту души вашей, я заранее успокайваюсь мыслю, что эта просьба не затруднит вас, в особенности, когда она касается любимой вами сестры. Адресуйте прямо в Лондон до

востребованія³ на имя Варвары; Впрочем вам лучше знать каким путём передать ей деньги.

Теперь позвольте мне воспользоваться этим случаем, чтобы сказать вам несколько слов о Тифлисе: Прошла зима, а мы не видели ни морозов, ни даже снега. В Генв: разцвели в садах Миндалльныя и Персиковые деревья, а в полях появились фіалки; светлые, тёплые дни вызывают жителей к разнообразным веселеніям: Итальянская Опера, вечера, балы, спектакли, кавалькады, сменяя друг друга, в особенности замечательны были скачки на лошадях, верблюдах и даже на ослах. Эти скачки напоминали время из поэмы Караманіани. Все эти зрелища были удостойваемы присутствія Их Высоч:., и тем ещё более оживлённы.

Анна Ивановна Маркиза Альбици пріехала сюда с мужем, кажется навремя, и была благосклонна принята Их Высочеством.

В Цинандале всё благополучно. Вы без сомненія знаете, что К: Давид избран Мировым Посредником; он с неутомимой деятельностью предался занятиям по этой очень хлопотливой должности. К⁹ Аннета всегда отмечена вниманіем В: Княгини, которая выразилась так: «Кахетія – прелестная страна, но там, всего прелестнее К: Аннета Чавчавадзе».

Недавно пріехала сюда фрейлина Огарева; она нетак хороша, но поет так, что каждый звук ея голоса доходит до dna души.

Их Высочества намерены в Mae выехать в Петербург по Волге. Ябы советовал К: Грігорію Ильичу найти случай представиться В^{му} К¹⁰ и объяснить ему о своем деле, по которому он принужден был оставить службу. В: Князь принимает живейшее участіе в вашем деле, и он очень сожалел, когда услышал об отставке К: Григорія.

Здоровли прежній начальник, а теперь великий

Прaporщик Николай? Что моя тётушка Олинька, виноват,
Княгиня Ольга?

Считаю себя счастливым, что имею случай выразить Ея
Светлости Царевне Анастасии чувство глубочайшаго моего
уважения, равно и Княжне Александре.

Могули иметь надежду получить несколько слов от вас в
ответ на это письмо? Вы незнаете, как я предан вашему Дому?

Посылаю при этом Герб К: Орбел.:, который, по словам
Варвары, вы желаете иметь.

გაიანე პაგრატიონისადმი №1 (626)

5^ს მარტს 1865¹ თბილისით.

მოწყალ: ხელმწ: კნიაუნა გაიანე ილინიშნა!

ამას წინათ ანგლიიდამ წერილი მივიღე დისგან, ვარვა-
რასაგან, რომელიც მთხოვს, რომ ჩემ მიერ აქედამ მისთვის
გაგზავნილი ფული ამის მერე გაეგზავნოს თქუენის მეშვეო-
ბით, იმის ვარაუდით, რომ ასე უფრო სწრაფად მიიღებს, ვიდ-
რე აქამომდინ აქ მოვაჭრე უცხოელთა ხელიდამ.

ვასრულებ მის თხოვნას და აქვე ვდებ 1000 რუბ: უბე-
ჯითესის ვეძრებით, დროის დაუკარგავად² გადაუგზავნოთ
მას. თავს იმიტომ ვაძლევ ამის თქმის უფლებას, რომ ვარვა-
რა მოუთმენლად ელის ფულს 1^ს აპრილს ახალის სტილითა.
რაკიდა ვუწყი თქუენი კეთილი გულის ამბავი, წინდანინ ვიმ-
შვიდებ თავს იმის ფიქრით, რომ ეს თხოვნა არ დაგამძიმებთ,
მით უფრო, რომ ის ეხება თქუენს საყუარელს დასა. გაუგ-
ზავნეთ პირდაპირ ლონდონს ვარვარას სახელზედ მოკითხვამ-
დინ;³ თუმცალა თქუენ უკეთ იცით, რა გზით გადასცეთ მას

ეს ფული.

ან ნება მიბოძეთ გამოვიყენო ეს შემთხვევა, რათა გითხრათ რამოდენიმე სიტყუა თბილისზედ: გავიდა ზამთარი, ჩუენ კი ყინვები კი არა, თოვლიც არ გვინახავს. იანვ:^ს ბალ-ჩებში ნუშისა და ატმის ხეები აყვავდნენ, ხოლო მინდვრებში იები გამოჩნდნენ; ნათელი, თბილი დღეები მობინადრეებს უხ-მობენ ნაირგუარს გასართობებზედ. ერთმანეთს ენაცვლე-ბოდნენ იტალიური ოპერა, საღამოები, მეჯლისები, სპეკტაკ-ლები, კავალკადები და განსაკუთრებით შესანიშნავი იყო დო-ლი ცხენებითა, აქლემებითა და ვირებითაც კი. ეს დოლი მო-გაგონებდა ხანას „ყარამანიანის“ პოემიდამ. პატივი დაედო ამ სანახაობებს მისი აღმატ: დასწრებით, რითაც კიდევ უფრო სისხლსავსენი გახდნენ ისინი.

ანა ივანოვნა მარკიზა ალბიცი ჩამობრძანდა აქ მეუღ-ლესთან ერთად, ვჰგონებ, დროებით და მათი უდიდებულესო-ბის მხრიდამ კეთილგანწყობით იქნა მიღებული.

წინანდალში ყველაფერი რიგზეა. თქუენ, ეჭვი არ მე-პარება, უწყით, რომ კნ: დავითი არჩეულია შუამავალ მომრი-გებლად; ის დაუღალავის შემართებით შეუდგა ამ ძალზედ სა-ხათაბალო საქმეს. კნ^მ ანნეტა მუდამ სარგებლობს დიდი]; კნიალინას ყურადღებით, რომელმაც აგრე ბრძანა: „კახეთი შესანიშნავი მხარეა, მაგრამ იქ ყველაზე მშვენიერია კნ: ანნე-ტა ჭავჭავაძეო“.

ამასწინათ აქ ჩამობრძანდა ჭრეილინა ოგარევა; ის არცთუ ლამაზია, მაგრამ ისე მღერის, რომ მისი ხმის ყოველი ბგერა გულსა სწვდება.

მათი უდიდებულესობანი მაისში პეტერბურლს აპირე-ბენ გამგზავრებას ვოლლით. მე ვურჩევდი კნ: გრიგოლ ილიშის, შესაძლებლობა გამოენახა წარსდგომოდა დიდ[^ს კნი-აზ]^ს და განემარტა მისთვის თავისი საქმის შესახებ, რომლის გამოც იძულებული იყო, წამოსულიყო სამსახურიდამ. დიდი]: კნიაზი იღებს უცხოველესს მონაწილეობას თქუენს საქმეში და ის ძალზედ შეწუხდა, ოდეს შეიტყო კნ: გრიგოლის გადად-

გომის შესახებ.

ჯანზე თუ არის ყოფილი ნაჩალნიკი, ან კი დიდი პრა-პორშიკი ნიკოლაი? რასა იქმს ჩემი ძალუა ოლინკა, უკაცრა-ვად, კნიალინა ოლლა? თავს ბედნიერადა ვრაცხ, რომ შესაძ-ლებლობა მაქვს ჩემი უღრმესი პატივისცემის გრძნობა გამო-ვუხატო მის ბრწყინვალება ცარევნა ანასტასიას, ისევე რო-გორც კნიაჟნა ალექსანდრას. შემიძლია კი იმედი ვიქონიო რამოდენიმე სიტყუა მელირსოს პასუხად ამ წიგნზედა? უნ-ყით, რაოდენ ერთგული ვარ თქუენი ოჯახობისა!

ამასთანავე გიგზავნით კნ: ორბელ: ღერბს, რომელიც, ვარვარას თქმით, თქუენ გნებავთ იქონიოთ.

პარპარი პაგრატიონი-მრგელიანისაღვი №13 (627)

15 Марта 1865 Тифлис.

Варваре Ильинишне Орбел: в Лондон¹

5^{го} Марта я послал к твоей сестре Гаяне 1 000 руб: с просьбой переслать их к тебе, Дай Бог, чтоб этот путь оказался более удачным, чем все другие досих пор. В этой сумме твоих денег за Декабрь прошлого года Генв: и Февр: настоящего 649, за тоже время Георгия 243 руб:, остальные добавлены мною оттуда-отсюда для полноты суммы и ровного счета: Надеюсь, что в конце Мая, я буду в состояніи выслать несравненно более этой суммы, лишьбы вы здоровы были.

Великой Княгине я передал письмо от тебя; она очень была обрадована им, спросила твой адрес и вероятно ты вскоре получишь ответ Ея. Вообще Их Высочества всегда сособенным участiem вспоминает о тебе.

Бедный Андрей Херхеулидзе умер.

Бабо Тарханова родила сына и в тот же день пріехал ея муж из Ставрополя.

По твоему желанію я послал Гаяне Герб К^ей Орбел^и; удивляюсь только, начто ей наш Герб?

Наднях мы давали в саду Монплезир прощальный обед молодому Сенатору Харитонову, который выезжает отсюда в Петербург навсегда. Чиляев возвращается из Мингрелии, а на его место назначен Властов – Виц Губернатор Тифлиса.

Целую Георгія в голову; хотелбы поцеловать и Екатерину, но глаза ея старые, щеки измятые, лоб с морщинками; нет, лучше поклонюсь ей впояс.

პარარე პამრატიონი–ორგელიანისაღვი №13 (627)

15 მარტი 1865 თბილისით.

ვარვარა ილინიშვილის მობელ^ი ლონდონს¹

5^ს მარტს შენს დას გაიანეს გავუგზავნე 1000 რუპ: თხოვნით, გადმოგიგზავნოს, ღმერთმა ჰენას, ეს გზა აღმოჩნდეს უფრო უკეთესი, ვინემ ყველა დანარჩენი აქამომდინა. მაგ თანხაშია შენი ფული გასული წლის დეკემბრისა და წლევანდელი იანვ: და თებერ: 649, იმავე თვეების გიორგის 243 რუპ:, დანარჩენი ჩემი დამატებულია ზოგი აქედამ და ზოგიც იქიდამ თანხის შესავსებად მრგვალი ანგარიშისათვის: ვიმედოვნებ, მასის ბოლოს შემეძლება გამოგიგზავნო მაგ თანხაზე გაცილებით მეტი, ოღონდ იყავით ჯანმრთელნი. დიდს კნეინას გადავეცი შენი წიგნი: ის ძალზედ გახარებული იყო ამით, იკითხა შენი მისამართი და, ალბათ, მალე მიიღებ მის პასუხსა. საერთოდ, მათი უდიდებულესობანი ყოველთვის განსაკუთრებულის გულისხმიერებით გკითხულობენ.

საბრალო ანდრო ხერხეულიძე გარდაიცვალა. ბაბო თარხანოვას ვაჟი ეყოლა და იმავე დღეს სტავროპოლიდამ ჩა-მოვიდა მისი ქმარი.

შენის სურვილისამებრ, გაიანეს გავუგზავნე კნ: ორ-ბელ^{თა} დერბი;; მიკვირს ოღონდ, რად უნდა მაგას ჩვენი ღერბი?

ამ დღეებში მონპლეზირის ბალში გამოსათხოვარი სა-ფილი გავუმართეთ ახალგაზრდა სენატორს, ხარიტონოვს, რომელიც აქედამ სამუდამოდ მიემგზავრება პეტერბურლს. ჭილაევი ბრუნდება მენგრელიიდამ, ხოლო მის ადგილზე და-ნიშნულია ვლასტოვი – თბილისის ვიცე ლუბერნატორი.

თავზე ვკოცნი გიორგის; ეკატერინესაც ვაკოცებდი, მაგრამ თვალნი აქვს ბებრულნი, ლოყები დამჭკნარნი, შუბლი ნაოჭიანი, არა, სჯობს ქედი მოვუხარო.

პარარე პაბრატიონი-ორგელიანისადმი №14 (628)

В Лондон. 23 Апр: 1865. Тифлис.¹

Мой друг Варвара! Сего дня посылаю к сестре Гаяне в Москву 1600 руб: с просьбой переслать их к тебе. В этом числе 600 руб: из Пенсии твоей и Георгия за Март и Апрель, а остальные 1000 руб.² взяты в долг и будут уплачены из тех денег, которые назначены Грузинским помещикам за освобождение крестьян.

Ещё 5^{го} марта я отправил к тебе 1000 руб: через сестру Гаяне, но, когда ты их получила и сколько удержали за пересылку, ты не пишешь, а мне это очень необходимо знать для моих соображений о том, каким путём были бы выгоднее пересылать к тебе деньги?

Известия о Георгии радуют мою душу; поцелуй его за меня и скажи ему, что К: Орбелiani должен быть непременно учён, умён, добр и твёрд характером.³ Без этих качеств худо быть К^{ემ} Орбелiani. Напиши мне, чему он в настоящее время учится и как он ладит с английенным⁴ языком.

20^{го} Апр: Их Высоч: с детьми выезжают чрез Поти в Дармштадт, чтоб представиться Государю Импер:^у и выразить чувство соболезнованія о кончине Государя наследника, так рано оставившаго жизнь, которая пышно разцветала пред Ним. Это печальное известіе произвело здесь всеобщую глубокую скорбь. Юноша 22^х лет зачем должен умереть? – Возвращеніе Их Высочеств в Тифлис будет в Сентябре.

Барон Алекс: Николай едет на лето в Петербург и За границу, дочь его останется в Цинандале; Орловскій и Изюмскій также выезжают За границу; Опочинины по прежнему поселяются на лето в Боржоме; а ваш давнишній знакомый, старик Тершмаванов отправился гораздо далее: За границу этого суетнаго³ мира, откуда еще никто не возвращался. Ему оказалось 95 лет!

На меня опять взвалили Наместничество и буду жить летом опять в Коджоре. Я отказывался от этого; но мои справедливыя возраженія небыли приняты.

Целую еще раз Георгія и седую Голову Екатерины. – Да сохранит вас Господь Бог.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისაძვი №14 (628)

ლონდონს. 23 აპრ: 1865. თბილისით.¹

ჩემო მეგობარო ვარვარა! დღეს დასთან, გაიანესთან, მოსკოვში ვგზავნი 1600 რუბ: თხოვნით, გადმოგიგზავნოს. აქე-დამ 600 რუბ: შენი და გიორგის მარტისა და აპრილის პენსიებია, ხოლო დანარჩენი 1000 რუბ:² აღებულია სესხად და დაიფარება იმ ფულიდამ, რომელიც ქართველ მემამულეებს დაუნიშნეს გლეხების განთავისუფლებისათვის.

ჯერ კიდევ 5^ს მარტს გამოგიგზავნე 1000 რუბ: დის, გაიანეს, ხელითა, მაგრამ როდის მიიღე და რამდენია დაკავებული გადმოგზავნისათვის, აღარ იწერები, მე კი მაგის ცოდნა აუცილებლად მჭირდება იმის მოსაფიქრებლად, რა გზით იქნება უფ-

რო მომგებიანი ფულის გამოგზავნა შენთან?

ამბები გიორგის შესახებ ახარებენ ჩემს გულსა; აკოცე ჩემს მაგივრად და უთხარ, რომ კნ: ორბელიანი უსათუოდ უნდა იყოს ნასწავლი, გონიერი, კეთილი და მტკიცე ხასიათისა.³ ამ თვისებათა გარეშე ძნელია იყო კნ^ა ორბელიანი. მომწერე, რას სწავლობს ამჟამად და როგორ სძლევს ანგლიურს¹⁴ ენასა.

20^ს აპრ: მათი უდიდებ: ბავშვებთან ერთად ფოთის გავლით მიემგზავრებიან დარმშტატს, რათა წარუდგნენ ხელმწიფე იმპერატორს და მიუსამძიმრონ ხელმწიფე მემკვიდრის გამო, აგრე უდროოდ რომ დატოვა სიცოცხლე, რომელიც იფურჩქნებოდა მის წინაშე. ამ სევდიანმა ამბავმა აქ წარმოშვა ღრმა საყოველთაო მწუხარება. რად უნდა მოკუდეს 22 წლის ჭაბუკი? – მათი უდიდებულესობანი თბილისს დაბრუნდებიან სექტემბერში.

ბარონი ალექ: ნიკოლაი საზაფხულოდ მიემგზავრება პეტერბურლს და ზაგრანიცას, მისი ქალიშვილი დარჩება წინანდალში, ორლოვსკი და იზიუმსკი ასევე მიემგზავრებიან ზაგრანიცასა; ოპოჩინინები უწინდებურად ბორჯომში სახლდებიან საზაფხულოდ; ხოლო თქუენი ძველი ნაცნობი, მოხუცი ტერშმავანოვი გაემგზავრა უფრო შორს: ამ ამაო წუთისოფლის სამზღვარს იქით, საიდამაც ჯერ არავინ დაბრუნებულა! ის 95 წლისა ყოფილა!

მე კვლავ ამკიდეს ნამესტნიკობა და ზაფხულში ისევ კოჯორში ვიქწები ხოლმე. მე ვუარობდი ამაზედ, მაგრამ ჩემი სამართლიანი უარი არ მიიღეს.

კიდევ ერთხელ ვკოცნი გიორგისა და ეკატერინეს ჭალა-რა თავს. გფარავდეთ ღმერთი.

გაიანი გაგრაფიონისაფეი №2 (629)

23 Апр: 1865 в Москву.¹

Княжне Гаяне Грузинской²

Позвольте выразить вам чувство искренней моей благодарности за письмо, которым вы почили меня и притом были так добры, что дозволили мне, в случае необходимости, обращаться к вам спросьбой: – Неизбежный этот случай настал теперь же и вот в чём состоит моя убедительная просьба: Посылаю вам 1 600 руб., чтобы вы передали их в Лондон сестре Варваре, которая, в начале Июн[я на]меревается³ выехать на морское купаніё, а деньги, как мне всегда казалось, нужны везде, даже навремя морского купанія. Скажите, Княжна, откровенно, ведь вы не сердитесь на меня зато, что я сделался таким докучливым просителем? Нет, уже лучше ничего неговорите!

20^{го} Апр: Их Высоч: выехали отсюда чрез Черное Море в Дармштар, чтобы представиться Госуд: Импер: и выразить чувство соболезнованія по случаю кончины Госуд: Наследника, так безвременно сраженного рукой неумолимой Судьбы! Печальное это известіе произвело здесь повсюду глубокую скорбь. Зачем должен умереть юноша 22^х лет, в особенности тот, для которого приготовлялась в наследіе половина Вселенной? И этот многознаменительный урок научит ли человека смиренію в его горделивых суетных стремленіях?

Их Высоч: прибудут из Дармштата в Петербург к 15^у Маия, где останутся некоторое время и потом поедут в Баден и уже в Сентябре возвратятся в Тифлис.

Ея Светлости Царевне приношу мое глубоко-искреннее уваженіе, а Княжне Александре и моей Тетушке Олиньке прошу убедиться в истинной моей преданности.

გაიანე პაგრატიონისადმი №2 (629)

23 აპრ: 1865 მოსკოვს.¹

კნიაუნა გაიანე გრუზინსკაიას²

ნება მიბოძეთ გამოგიხატოთ ჩემი გულწრფელი მადლიერების გრძნობა წიგნისათვის, რომლითაც პატივი დამდეთ და ამასთანავე ბრძანდებოდით იმდენად კეთილი, რომ ნება დამრთეთ, აუცილებლობის შემთხვევაში, მოგმართოთ თხოვნით: – საჩქაროდ დადგა ეს გარდუვალი შემთხუევა და აი რაში მდგომარეობს ჩემი ბეჯითი თხოვნა: გიგზავნით 1600 რუბ:, რათა გადასცეთ ლონდონში თქუენს დას, ვარვარას, რომელიც ივნისის დასაწყისში აპირებს ზღვაზე წასვლას, ხოლო ფული, როგორც ყოველთვის მეჩვენებოდა, საჭიროა ყველგან, ზღვაზე ბანაობისასაც კი. გულწრფელად მითხარით, კნიაუნა, ხომ არა ბრაზობთ ჩემზედ იმის გამო, რომ შევიქენ ესრეთი მომაპეზრებელი მთხოვნელი? არა, აჯობებს არაფერი თქვათ!

20^ს აპრ: მათი უდიდებულ: აქედამ შავის ზღვის გავლით გაემგზავრნენ დარმშტატს, რათა წარუდგნენ ხელმწ: იმპერ: და მიუსამძიმრონ ხელმწ: მემკვიდრის სიკუდილისა გამო, აგრე უდროოდ რომ მოსცელა გარდუვალმა ბედისწერამა! ამ სევდიანმა ამბავმა აქ ყველგან გამოიწვია ღრმა მწუხარება. რად უნდა მოკუდეს 22^ს წლის ჭაბუკი, განსაკუთრებით ის, ვისთვისაც სამემკვიდრეოდ მზადდებოდა სამყაროს ნახევარი? და ეს მრავლისმეტყუელი გაკვეთილი ასწავლის კი კაცს მოთმინებას მის მედიდურ, ამაო მისწრაფებებში?

მათი უდიდ: 15^ს მასისთვის დარმშტატიდამ ჩაბრძანდებიან პეტერბურდს, სადაცა დარჩებიან რამოდენიმე სანსა და მერე გაემგზავრებიან ბადენს და უკვე სექტემბერში დაბრუნდებიან თბილისში.

მის ბრწყინვალება ცარევნას ვუთვლი ჩემს ღრმა, გულწრფელ პატივისცემას, ხოლო კნიაუნა ალექსანდრას და ჩემს ძალუა ოლინკას ვთხოვ, დარწმუნდნენ ჩემს ჭეშმარიტს ერთგულებაში.

ԹՈՒՅՈՒՆ ԽԹԱՅԹՅՈՍԱԳՅՅՈ №1 (630)

Телеграмма.¹ 14 мая 1865
Тифлис²

В Царское Село, Его Имп: Высоч: Намест: Кавказскому.

В крае, спомощью Божьей, всё благополучно. Войска
расставлены для работы по линіи железной дороги; Проект по
крестьянским делам Кутайской Губерніи окончательно
разсмотрен Комитетом. Работы начались по дворцу.

Ея Высочеству приношу чувство глубочайшей
признательности за милостивое внимание. Молим Бога о скором
возвращении Вашем, а до того мы постараемся, чтобы дела шли
по Вашему желанию.

ԹՈՒՅՈՒՆ ԽԹԱՅԹՅՈՍԱԳՅՅՈ №1 (630)

Ծեղալրամա.¹ 14 մայս 1865 տბոլուսութ²

Վարչութեալուս. Թու Սամբ: Շգդուք: Կազասուս նամեսց:³

Թեարշի, լցուու Ենալոծու, պահապահու կարգադ
արու. Հարշի գանձագեծունու Սամվառա ըկնօնիցնու եանու
գանձունու. յոմութեամա Սածոլունու գանիելու յուտաւուսու լու-
ծունուս ցանքունու Սակուտես Ցրուցու. Զանցու Սասակունու Սա-
մվառածու.

Թու Շգդուքունու լուսունու առաջանու մագլույր-
նաս մոնպալու պարագանեատունու. լմերու զեզեգրեծու
ոյզենս գրունու ճածունեծու, մանամդու յու զեցդունու, րատա
սայմենու Եարումարտենու ոյզենու Սյորալուսամեծու.

ՅՈՒՅՈՒՆԻԿ ՀՐԱՄԱԵՄՑՈՍԱԳԹՈ №2 (631)

Եго Высо^{ՅՈՒ} Намест: Кавказскому.

Барон Николай выехал девятнадцатого чрез Ставрополь.
Прибудет в Петербурге к первому Июня. Сегодня Панахида в
Соборе.

28^{րդ} Мая¹

ՅՈՒՅՈՒՆԻԿ ՀՐԱՄԱԵՄՑՈՍԱԳԹՈ №2 (631)

մուս շահուացած: յազգասուս նամեսք:^կ

ծարոնի նոյոլաս գամոյմթազրա պերամեթմո սգացրո-
մոլուս գազլուտ. ჩամռա პեթերծուրլս პորզելո օվնուսուսատցուս.
գլցէս ձանաշցուցուս դասարժուս.

28 մայսս¹

ՅՈՒՅՈՒՆԻԿ ՀՐԱՄԱԵՄՑՈՍԱԳԹՈ №3 (632)

3^{րդ} Июня 1865 Тифлис.¹

Ваше Импер: Высочество!

Барон Николай, без сомнения, уже доложил В^{ՄՅ} Высо^{ՅՈՒ} о положении здешнего Края; теперь, с соизволения Вашего Вы^{ՅԱ}, я сделал легкий очерк всему что здесь делается, хотя в сущности ничего неизменился и дела по управлению идут по тому начертанию, какие благоугодно было Вам указать мне для

руководства.

В Губерніях существует глубокое спокойствие, даже крестьянский вопрос в Имеретії перестал волновать сердца и возбуждать страсти; зато общее внимание устремлено на работы по железной дороге, от которой зависит процветание всего Края. Назначенные чиновники уже разехались по Уездам, Тифлис: Губернії для открытия Сельского Управления, столь важного по своим благотворным последствиям. Крестьянский вопрос, железная дорога, Сельское Управление, вот дела, за которых миллионы людей будут благословлять Вашего Высочества.

Переселение Чеченцев уже началось; полагаю, что оно окончиться без шума, без тревог, без волнения; дорогою они следуют в строгом порядке.

Земельные работы по Кааязской Канаве идут довольно успешно. Винч отправился в Диличан для окончательного определения линии дороги к Эривани. Начались постройки Арсенала; но исправление, или точнее выражаться, совершенное обновление гостиницы в Боржоме, обходится по смете в 34/ты: руб.: Признаюсь, цифре эта пугает меня.

Во всех частях Края превосходный урожай, но, к несчастью, в Тифлисе:, Сигнахском, Казахском участках и частью в Бакинской Губернії появилась Саранча в ужасающих массах. Некоторые деревни в окрестностях Тифлиса уже пострадали от нея. Ожидаем из Уездов более подробных известий, и, быть может, принуждены будем сделать в Тифлисе запас хлеба в четвер:;, чтобы этим поддержать нормальную цену, как на Тифлисском рынке, равно и на самых торгах по продовольствию Армії. Во всяком случае этот запасный хлеб никогда не потеряет своей цены.

Архимандрит Андріас возвратился по приказанію Патріарха, недождавшись окончания следствия над Айвазовским. Он горько жалуется на комиссию, в которой, будто бы, явно

обнаруживается желаніе оправдать Айвазовского в очтобы нистало. Трудно сказать, на сколько слова его имеют вероятія. – Вчера я имел продолжительный с ним разговор о том, как необходимо Патріарху, и для своего успокоенія, и для [...]² Армянской церкви, предаться Вашему Высочеству с полным доверием, и что этим даже могло быть устранино то недорозуменіе, и та щекотливая перемена, которая возникла вследствие именно недостатка этого доверія и тою неосторожностью, скоторою Патріарх дозволил себе, в деле Айвазовском, выйти из границ тех [прав, которые] предоставлены ему высочайшимся положеніем, тогда как, на самом деле наше Правительство желает оказать ему то уваженіе, которое приличествует его высокому Сану. Архимандрит, повидимому, был тронут, обещал мне передать Патріарху эти слова и убедить его в необходимости отправить в возможной скорости Депутата по делу Айвазовского. При прощанії он мне сказал «в теченіе полтора года только сегодня возродилось моё сердце!» Думаю, что дело это уладиться.

Недавно я посетил Тифлисскую женскую Гимназію во время классов и нашел в ней большой порядок; во всём заметна попечительная заботливость.

Оsmелюсь выразить Ея Высочеству чувство благоговейного моего уваженія.

С Чувством глубокаго благоговейного уваженія имею счастіе быть

Вашего Импер: Высочества
всепреданнейшій Слуга³

Простите Ваше Высочество, едва незабыл доложить, что моему Адъютанту Копьеву предоставил случай ехать курьером, чтоб видеть свою мать, после пятилетней разлуки.

მიხეილ რომანოვისადმი №3 (632)

3^ს ივნისს 1865 თბილისით.¹

თქუენო საიმპერატორო უდიდებულესობაგ!

ბარონმა ნიკოლაიმ, ეჭვი არ არის, უკვე მოახსენა თქუენო ამ მხარის მდგომარეობის შესახებ; ან, თქუენის უდიდებით, მე გავაკეთე მსუბუქი მონახაზი ყველაფრისა, რაც აქა ხდება, თუმცა არსებითად არაფერი შეცვლილა და მმართველობის საქმენი მიღის იმ მონახაზით, რომლითაც თქუენ გენებათ მეხელმძღვანელა.

ღუბერნიებში ღრმა სიმშვიდეა, გლეხობის საკითხიც კი იმერთში აღარ აღელვებს გულებსა და აღარ აღვივებს ვწებებსა; სამაგიეროდ საერთო ყურადღება მიპყრობილია სარკინიგზო სამუშაოებზედ, რაზედაც არის დამოკიდებული აყვავება მთელის მხარისა. დანიშნული ჩინოვნიკები უკვე გაემგზავრნენ თბილ: ღუბერნიის უეზდებში სასოფლო უპრავლენიების გასახსნელად, ესრეთ მნიშვნელოვანისა თავისი სასიკეთო შედეგებითა. გლეხობის საკითხი, რკინიგზა, სასოფლო უპრავლენიე, აი, საქმენი, რომელთა გამოც მილიონი ადამიანი დალოცავს თქუენს აღმატებულებას.

ჩაჩნების გადასახლება უკვე დაიწყო; ვვარაუდობ, რომ ის დასრულდება ხმაურის, შფოთის, მღელვარების გარეშე; გზას ადგანან მკაცრის წესრიგითა.

ყარაიაზის მიწის სამუშაოები მიმდინარეობს საკმაოდ წარმატებით. ვინჩი დილიუანში გაემართა ერევნისკენ მიმავალი ხაზის საბოლოოდ დასადგენად. დაიწყო არსენალის მშენებლობა; მაგრამ შეკეთება, ან უფრო ზუსტად რომ ითქვას, სრული განახლება ბორჯვომის სასტუმროსი, ნუსხის მიხედვით ჯდება 34/ათას: რუბ.: გამოგიტყდებით, ეს ციფრი მაშინებს.

მხარის ყოველ ნაწილში შესანიშნავი მოსავალია, მაგრამ,

საუბედუროდ, თბილის, სილნალის, ყაზახის მონაკვეთებში და ნაწილობრივ ბაქოს ღუბერნიაში გაჩნდა კალია – საშინელის ოდენობითა. ზოგიერთი სოფელი თბილისის მიდამოებში უკვე დაზარალდა. ველით უფრო დაწვრილებითს ცნობებს უეზდებიდამ და, შესაძლოა, იძულებული გავხდეთ თბილისში მოვიმარაგოთ პური მეტობით, რათა ამით შევინარჩუნოთ ზომიერი ფასი როგორც თბილისის ბაზარზე, აგრეთვე თვით არმიის სასურსათო ტორლებზედ. ყოველს შემთხვევაში ეს პურის მარაგი არც როდის დაჰკერგავს თავის ფასა.

არხიმანდრიტი ანდრიასი დაბრუნდა პატრიარხის ბრძანებით, არ დალოდებია საბოლოო გამოძიებას აივაზოვ-სკიზედ. ის გამნარებული უჩივის კამისიას, რომელშიც თითქოს აშკარადა სჩანს სურვილი, ნებისმიერ ფასად გამართლდეს აივაზოვსკი. ძნელია ითქვას, რამდენად დამაჯერებელია მისი სიტყუები. გუშინ ხანგრძლივი საუბარი მქონდა მასთან იმაზედ, თუ რაოდენ სჭირდება პატრიარხს თავის დასამშვიდებლადაც და სომხური ეკლესიის [...]თვისაც,² [რათა] ბოლომდე მიენდოს თქუენს აღმატებულებას, და მით ეგება თავიდან აგვრიდებოდა ის გაუგებრობა და საჩოთირო ცვლილება, რომელიც გაჩნდა სწორედ ამ ნდობის უკმარისობის გამო და იმ გაუფრთხილებლობით, რომლითაც პატრიარხმა თავს ნება მისცა, აივაზოვსკის საქმეში გასცდენოდა იმ [საზღვრებს, რომლებიც] მინიჭებული აქვს მაღალის მდგომარეობით, მაშინ როცა სინამდვილეში ჩუენს მთავრობას ჰსურს მიაგოს მას ის პატივისცემა, რომელიც ეკადრება მის მაღალს წოდებასა. არხიმანდრიტს, სჩანს, ეამა, დამპირდა გადაეცა პარტიარხისათვის ეს სიტყუები და დაერწმუნებინა იგი აუცილებლობაში შეძლებისდაგვარად მალე გაეგზავნა დეპუტატი აივაზოვსკის საქმეზედ. დამშვიდობებისას მან მითხრა „ნელინადნახევრის განმავლობაში მხოლოდ დღესლა გაიხარა ჩემმა გულმაო!“ ვფიქრობ ეს საქმე მოგვარდება.

ამასწინათ გაკვეთილების დროს ვენვიე თბილისის ქალთა ლიმნაზიას და ვიხილე ფრიადი წესრიგი, ყველაფერში

სჩანს მეურვის მზრუნველობა.

გავჰქმდავ მისი უდიდებულესობისადმი გამოვხატო ჩემი მოწინებული პატივისცემის გრძნობით პატივი

მაქუს ვიყო

თქუენი საიმპერ: უდიდებულესობის
ყოვლად უერთგულესი მსახური

მაპატიეთ თქუენო უდიდებულესობავ, ლამის დამავიწყდა მომეხსენებინა, რომ ჩემს ადიუტანტს კოპიევს საშუალება მივეცი კურიერად წავიდეს, რათა თავისი დედა მოინახულოს ხუთწლიანი განშორების შემდეგ.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №105 (633)

ჩემო ბატონო,
საყუარელო დიმიტრი!

ჩემი ძველად ნამსახური, თავდადებით ერთგული მაჰმადა ახალის პრაპორშიკის ჩინით მოდის თავის სამშობლოს ქვეყანაში, სოფელს ყელეს;¹ თუმცა მეძნელება ამისი მოშორება, ოცი წელიწადი ჩემთან ნამყოფისა, მაგრამ როგორ დაუხშო კარი თავის ქვეყნისა. – მოდის მოიმედე შენის მფარველობისა,² რომ როგორც იქნება დააბინაებ ამ საბრალოსა, რომ პქონდეს ერთი ლუკმა პური. – სხუათა ამის ამხანაგებმა, თქვენის მოწყვალებით, იშოვეს საზრდო, მხოლოდ ეს დაჰშთა თავ-შეუფარებელი; იქნება მეცეკი ვიყო ამაში დამნაშავე და ამ წერილით მოგმართავ, რომ შენ გამისწორო ჩემი დანაშაულობა ამის წინაშე და კნიაზ ლევანს შემახვეწო ამისი საბრალო თავი, უნუგეშოდ დაჰშთომილი.

აქაური ამბავი ეს გახლავსთ: თბილისიდამ ფოთამდის

დავაყენეთ ჯარები ადგილ-ადგილ რეინის გზის გასაკეთებლად – პოლოტნო გზისა – ავჭალას, ახალქალაქს, და ორპირს და ფოთს შუა; დიდად თავ-გამოდებული ვართ ამ საქმეზე, თუ ღთ~ი³ შეგვენია, ამის გარდა კიდევ ერთს დიდს საქმეს შეუდეგით, ყარაიაზის არხის გაკეთებასა, აქაც ვნახოთ როგორ დაბოლოვდება, მაგრამ ორნივე ესე საქმენი საქართველოს ფეხზე დამაყენებელნი არიან.

პეტერბურლიდამ არა არისრა ახალი მის მეტი რაცა ჰსნერია გაზეთებში.

ვინჩი გავგზავნეთ ერევნისკენ გზის გასაკეთებლად, ესე იგი ახალის შოსსესი,⁴ ასე რომ გოქჩის გზა ახლანდელი დარჩება აქეთ და ახალი გადავა აშარაზე და აშტარაკზე. – ეს ის გზა არის, რომელზედაც ჩვენი ჯარი სპარსეთის ბრძოლაში გადვიდა ერმიაძინში. – ეს ჩვენი შოსსე ჩავა ჯულფამდის და თავრიზიდამ ყიზილბაშები ეგრეთვე მანდვე შეაერთებენ თავიანთ შოსსესა, და ამით დიდისხნის ჩვენი სურვილი ტრანზიტისა აღვისრულდება.

წუხელის მოვიდა მეტად დიდი წვიმა, წყალი შევარდა წმინდა ნინოს ზავედენიები და კინალამ არ დაიხრჩვნენ პატარა ქალები, ძლივს მოვარჩინეთ.

ჯერ არა ცხელა, მაგრამ სადაც არის ჰაა დაგვაჭერს მზე და ავალ მალლა კოჯორს საგრილობელში.

ამასწინად მოვსწერე კინაზს ლევანს, რომ შამხალსა თურმე აქამომდის არ დაუბრუნებია ჯიღა მიზოევისათვს და არცა ფული გამოუგზავნია. – ამ მამაცხონებულმა მიზოევმაც მხოლოდ ეხლა გამომიცხადა თავის გულის დარდი. აბა, რა მომაგონდებოდა, რომ ეს საქმე აქამდის ასე დარჩებოდა. – თუ ღთ~ი⁵ გრძამს, როგორმე შეაგონეთ მაგ შამშუდინსა, რომ გაუსწორდეს მიზოევსა ანუ ფულის გამოგზავნითა, და ანუ ჯიღის დაგირავებითა, ვიდრე ფულს იშოვიდეს. –

ჩემი საყუარელი ნიკო ჩამიპროშტე; ვიცი ჩემზე იბერება, რომ აქამდის ვერ მოვსწერე; რა არის ამაზე როგორ მემდურვის?

ელენე და ილიკო სიყუარულით მომიკითხე.
რასა იქს ჩემი კაკალა, ხომ არ დამიბერდა?
ლთ ~ ი⁶ იყოს შენი მფარველი

შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი

9⁴ ივნისს 1865.
თბილისით.⁷

პატარა მირსკი ნიკოლაი გუშინ გამოგვესალმა, ვერის
ბალში ერთი კარგად ჩავსხედით და ისე გავისტუმრეთ.

მიხეილ ლორის-გელიქოვისაძე №1 (634)

9^{го} Июня 1865. Тифлис.

Михайл Таріловичу Лорис-Меликову.

несчастная Елена, недавно потеряла брата, теперь — мужа!

Холера появилась и в Тифлисе, но, по милости Божьей, в
слабой степени, так что жителей непугает появление этого
страшища.

31 Нояб.⁴

Вчера не успел отправить письмо, а сегодня я опять

получил от тебя письмо от 5^{го} Октяб: В знак моей радости целую тебя и Георгія в голову и молю Бога, да покровительствует Он вам вовсе дни вашей жизни, Амин!

ბარპარე ბაგრატიონი-ორბელიანისაღვი №15 (647)

30^ს ოქტომბერს 1865. თბილისით. ლონდონს¹

ჩემო მეგობარო, ჩემო დედილო ვარვარა! 9 სექტემბ:^ს ფოშტით ლონდონს გამოგიგზავნე 200 პოლუიმპერ:² და ან, ჩემდა სამწუხაროდ, მოსკოვიდამ მიღებული ტელელრამით შევიტყვე, რომ შენ ისინი ჯერაც არ მიგიღია. შეგიძლია წარმოიდგინო ჩემი წუხილი, პირდაპირ ნაღვლად ვიცლები იმის გაფიქრებაზედ, რომ შენ ხანგრძლივად რჩები³ უფულოდ უცხო მხარეში. რა ვწნათ? მე ეკონომიური გათვლების გამო – წყეულიმც იყვნენ ესენი – გადავწყვიტე ფული პირდაპირ ლონდონს გამომეგზავნა ფოშტით, რომელიც ცოტას იღებს გადმოგზავნაში. ან, კალასოვსკის წყალობით, მე ტელელრაჭით დავიწყებ გადმოგზავნას ანანოვის შემწეობით, ასე რომ, შენ აქედამ აკურატულად მიიღებ ხოლმე 5-6 დღეში, დღესვე ვატარებ ცდას და ამნაირად გიგზავნი 150 პოლუიმპერ:; ვნახოთ, უკეთესი თუ იქნება?

ამ წუთას მომიტანეს შენი 1^ა ოქტომბ: წერილი. მადლობა ღმერთს! შენ და გიორგი ჯანმრთელადა ყოფილხართ და მე მეტი არა მინდა რა. შენ სამართლიანად მსაყველურობ იმის გამო, რომ ხშირად არა გნერ. მოვინანიებ, ვცოდავ! მაგრამ განა შენ ეს გათავისუფლებს ამგუარივე ცოდვებისაგან? შენ ნუ დაელოდები ჩემს პასუხს ყოველს შენს წერილზედ, წერე და წერე სტრიქონ-სტრიქონ, როცა ძალგიძდეს! გულით მიხარია, რომ ნიკოლაი მირსკი იყო შენთან, ოღონდ მიკვირს, რანაირად მოაგნო შენს საიდუმლო თავშესაფარსა? ნეტავ როდის მეღირსება მოგეხვიოთ შენა და შენს გიორგისა?

1^ს ნოემბ. ველით მათ უდიდებულესობათა ჩამობრძანებას, რომელიც საქმაოდ დიდხანს მოგზაურობდნენ დაღისტანს, ლუნიბზეც კი იყუნენ და, საერთოდ, ერთობ სასიამოვნო შთაბეჭდილება დარჩათ.

აქ ყუელა შენი ნათესავი ჯანზედაა; საღამოობით იკრიბებიან, უცილობლად ქეთევანის ოთახში, თამაშობენ ლოტოს. ძალუა ნინა, ხორეშანი, ბაბალე საგინოვა მეუღლითურთ, ლიზა, ტასო ოღლობუიო, მაშო მესხიევა, ყაფლანი და ძია ალექსანდრე; მათ უერთდებიან სხუა სტუმრებიცა და ხმაურიანად, ძალზედ ხმაურიანად ატარებენ დროსა. ელიზავეტამ ზოგიერთ მათგანს საშინელი, თითქმის შეურიგებელი ომი გამოუცხადა და ამიტომ ჯერ არ ერევა თამაშში. შენ უწყი, როგორი სახალისო და საინტერესოა ომი ჩუენს ქუჩაზედ, ამიტომ, რა თქმა უნდა, არავინ ზრუნავს მოქიმპე მხარეების შერიგებაზედ.

მცხეთაში დაასაფლავეს საპრალო ალექსანდრე გრუზინსკი; უბედური ელენა, ამასწინათ ძმა დაჰკარგა, ახლა – მეუღლე.

ქოლერა გამოჩნდა თბილისშიც, მაგრამ, ღვთის წყალობით, სუსტად, ისე, რომ მობინადრეთ ვერ აშინებს ამ საფრთხობელას გამოჩენა.

31 ნოემბ:⁴

გუშინ ვერ მოვასწარ ამის გამოგზავნა, დღეს კი ისევ მივიღე 5^მ ოქტომბ: წერილი შენგან. ნიშნად სიხარულისა, თავებს გიკოცნით შენა და გიორგის და ღმერთსა ვთხოვ, დაე, გფარავდეთ მთელი სიცოცხლე, ამინ!

პარტარე პატრატიონი-მრგვლიანისაფაი №16 (648)

Тифліс. 10 Декаб: 1865. в Лондон.¹

Мой друг Варвара! Вчера чрез Колосовскаго послана телеграма в Москву к Ананову, чтоб он чрез своего банкира в Лондоне передал тебе, т: е: напочту, натвое имя, 240 червонц:. Надеюсь, что ты чрез несколько дней получишь эти деньги, но ябы желал, чтобы оне подоспели к тебе пред праздником Рождества, илиже, покрайней мере, к новому году.

До сих пор єщё я несовсем покоен, оставаясь в недоуменіи относительно твоих денег, которые высланы мною по почте 9 Сентяб: 200 полуимпер: и 30^{го} Октяб: чрез Ананова 150 полуимп:; отвечай, получили ты эти деньги и когда?

Таким образом в продолженіи 1865 года высланы тебе мною.²

<p>5^{го} Марта – 1000 руб: 23^{го} Апр: – 1 600 р: 27^{го} Іюня – 772 руб: или 150 полуимп: 9^{го} Сентяб: – 1030 р: или 200 полуимп: 30^{го} Октяб: – 772 р: или 150 полуимп: 9^{го} Декаб: – 720 р: или 240 червон: — — всего 5894 р: – 4 171</p> <hr/> <p>Следовательно 1723 руб: пересланы мною более.</p>	<p>получено мною из Казначейства Твоей Пенсії – 3171 руб: Георгія – 1000 р: — — всего 4171 руб:</p>
---	---

Представляя годовой отчёт, твой Казначей в праве надеяться, что ты похвалишь его за то усердіе, от которого произошли столь хорошие результаты.

Но во всяком случае, я полагаю, что эта сумма, при всей твоей бережливости, всётаки недостаточна для тебя и Георгія, чтобы жить вам без нужды, неподвергая себя напрасным лишениям. Поэтому я подаю тебе моё мнение: ежегодная процентная сумма, получаемая на капитал, принадлежащий Георгію, составляет 2200 руб.; из них считаю весьма возможным отделять одну тысячу для вашего годового расхода. Это с каждым годом становится более и более неизбежным, помимо того как растёт Георгій и нужды которого увеличиваются естественно. В этом случае напрасны будут твои опасения относительно того, что этим сократиться приращение к капиталу Георгія на тысяча руб.: – У меня есть имение, всемилостивейше пожалованное вблизи Пятигорска, которое стоит более 60/ты: – Цифру эту считаю совершенно достаточною для того, чтобы современем покрыть теперешние ваши расходы; до того же зачем вам мучить себя, зачем отказывать себе даже в необходимых вещах! Подумай, подумай и согласись со мной. Но, я полагаю, что нечего и думать об этом.

2300 руб.; принадлежащие Георгію, по совету Богдана-Калинского, я отправил в Государств: Банк для покупки 5th процентов билетов свыгришами. Там ежегодно разыгрывается в лотарее 600/ты: р: – быть может счастіе послужит Георгію, а если и не выиграет, проценты всётаки своим порядком будут получены. –

Здесь твои родные здоровы; но бедная Дзалау Нина умерла внезапно на свадьбе у Магаловых. Смерть на свадьбе! Можешь представить, какой возник страх, сумятица, обмороки? Разумеется, все разехались в испуге.

Давида ждем наднях; в Цинандале всё благополучно.

Самая большая новость здесь есть обручение Александра Орб: на девице Сомовой, пройсходившая в Тифлисе, откуда недавно Манана получила письмо от невесты. – Уверяют, что ея состояніе простирается до 7^и милл:!! Принадлежа к числу бедных людей, мне всё думается, что на свете немогут быть такія богатства!

Майко Меликова родила сына, каково? Но зато, она едва не заплатила своею жизнью за это счастіе.

Старшая Дочь Іосифа Корганова выходит за муж за какогото Лорис-Меликова.

Дмитрій Мирскій здесь, семейство его здорово.

Целую Георгія в голову; Екатерине низко кланяюсь. Здесь говорят, она стала ходить в Англикансскую Церьковь; Правдали? О ужас!

Да хранит вас Бог!

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისაღვი №16 (648)

თბილისით. 10 დეკემბ: 1865. ლონდონს.¹

ჩემო მეგობარო ვარვარა! გუშინ კალასოვსკისაგან გაიგზავნა ტელელრამა მოსკოვს ანანოვთან, რათა მან თავისი ბანკირის საშუალებით, ანუ ფოშტით, შენს სახელზე გამოგზავნოს 240 ჩერვონ: ვიმედოვნებ, შენ რამოდენიმე დღეში მიიღებ ამ ფულსა, მაგრამ ვისურვებდი, რომ მოესწრო შობის დღესასწაულამდინ, ან, ბოლოს და ბოლოს, ახალ წლამდინა.

აქამიძინ ვერა და ვერ დავმშვიდდი, გაოგნებული ვარ შენი ფულის, 200 პოლუიმპერ:^მ გამო, რომელიც ფოშტით გამოგიგზავნე 9 ოქტომბ: და 150 პოლუიმპერ: 30^მ ოქტ: ანანოვის ხელითა; მიპასუხე, მიიღე თუ არა ეს ფული და როდის?

ამგუარად, 1865 წლის განმავლობაში შენ გამოგიგზავნე:²

<p>5^ს მარტს – 1000 რუბ:</p> <p>23^ს აპრ: – 1600 რ:</p> <p>27^ს ივნისს – 772 რუბ: ანუ 150 პოლუიმპ:</p> <p>9^ს სექტემბ: – 1030 რ: ანუ 200 პოლუიმპ:</p> <p>30^ს ოქტომბ: – 772 რ: ანუ 150 პოლუიმპ:</p> <p>9^ს დეკემბ: – 720 რ: ანუ 240 ჩერვონ:</p> <hr/> <p>სულ 5 894 რ: - 4 171</p> <hr/> <p>ამგუარად, ჩემის მხრიდამ გამოგზავნილია 1723 რუბ:^{ზედ} მეტი.</p>	<p>ჩემის მხრივ ხაზინიდამ მიღებულია შენი პენსიისა 3171 რუბ: გიორგისა – 1000 რ:</p> <hr/> <p>სულ 4171 რუბ:</p>
--	--

წლიური ანგარიშის წარმოდგენისას შენს ხაზინადარს შეუძლია იმედი იქონიოს, რომ შეაქებ იმ გულმოდგინებისათვის, რომლიდანაც წარმოშვა ესოდენი კარგი შედეგი.

მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ვვარაუდობ, რომ ეს თანხა, მთელი შენი ხელმომჭირნეობის მიუხედავად, მაინც არ არის საკმარისი შენთვის და გიორგისთვის, რათა იცხოვროთ გაჭირვების, ტყუილუბრალო დანაკლისების გარეშე. ამიტომ მოგაშველებ ჩემს ჰაზრსა: ყოველწლიური საპროცენტო თანხა, მიღებული გიორგის კუთვნილი კაპიტალიდამ, შეადგენს 2200 რუბ:, ვთვლი ყოვლად შესაძლებლად, მათგან ათასი გამოიყოს თქუენი წლიური ხარჯისათვის. ეს ყოველწლიურად ხდება უფრო და უფრო გარდუვალი, გიორგის ზრდასთან ერთად, და მისი საჭიროებანიც იზრდებიან ბუნებრივადა. ამ შემთხვევაში ფუჭი იქნება შენი შიში მასზედ, რომ ამით შემცირდება გიორგის ათასი რუბ: კაპიტალის დანამატი – მე მაქვს მამული, ყოვლად მოწყალედ ნაბოძები პიატიგორსკის მახლობლად, რომელიც ღირს 60/ათ.^{ზედ} მეტი – ამ ციფრს ვთვლი სრულიად საკმარისად იმისათვის, რათა დროთა განმავ-

ლობაში დაიფაროს თქუენი ახლანდელი ხარჯები; მანამდინ კი რად უნდა იტანჯოთ თავი, რად უნდა მოიკლოთ ყოვლად საჭირო ნივთებიც კ! იფიქრე, იფიქრე და დამიდასტურე. მაგრამ, ვჰებონებ, ამაზე ფიქრიც კი არა ჰლირს.

2300 რუბ:, გიორგის რომ ეკუთვნის, ბოგდან-კოლინსკის რჩევით მივაპარე სახელმწ: ბანკს 5-პროცენტიანი მომგებიანი ბილეთების შესაძენად. იქ ლატარიით ყოველწლიურად თამაშ-დება 600/ათ: რ: – ეგება ბედმა გაულიმოს გიორგის და, რომც ვერ მოიგოს, პროცენტებს მიიღებს რიგიანად. –

აქ შენი შინაურები ჯანზედ არიან; მაგრამ საბრალო ძალუა ნინა მოულოდნელად გარდაიცვალა ქორწილში მაღალოვებთან. სიკუდილი ქორწილში! წარმოიდგინე, რა შიში დატრიალდებოდა, ალიაქოთი, გულის შეღონებანი! ცხადია, ყველა შეშინებული მიმოიფანტა.

დავითს ველოდებით ამ დღეებში; წინანდალში ყველაფური კარგად არის. ყველაზე დიდი ამბავი აქ ალექსანდრე ორბ: ჯვრისწერაა ქალწულ სომოვაზედ თბილისში, საიდანაც ამასწინათ მანანამ მიიღო წერილი პატარძლისაგან. გარწმუნებ, მისი ქონება სწვლება 7^ს მილ!!! ლარიბ ადამიანთა რიცხვს რომ ვეკუთვნი, სულ მგონია, რომ არ ევების ქვეყანაზედ ამხელა სიმდიდრე.

მაიკო მელიქოვას შეეძინა ვაჟი, როგორია? მაგრამ, სამაგიეროდ, კინალამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა ეს ბედნიერება.

იოსებ ყორლანვის უფროსი ქალიშვილი ცოლად მიჰყვება ვიღაც ლორის-მელიქოვსა.

დიმიტრი მირსკი აქ არის, მისი ოჯახი ჯანმრთელადაა.

ვკოცნი გიორგის თავზედ; ეკატერინეს მდაბლად ვუხრი თავსა. აქ ამბობენ, რომ მან სიარული დაიწყო ანგლიკანურს ეკლესიაში. მართლა? ო საშინელებავ!

გფარავდეთ ღმერთი.

ალექსანდრე ნიკოლაისაფეი №5 (649)

29 Декаб: 1865 Тиф:

Емуже.¹ [Александру Павловичу Николаи]

Письмо, полученное мною от Г^{на} Блудова, имею честь
препроводить к вам на ваше, Милостивый Государь, благоус-
треніе.

Систинным ипр:

ალექსანდრე ნიკოლაისაფეი №5 (649)

29 დეკემბ: 1865 თბილ:

მასვე.¹ [ალექსანდრე პავლოვიჩ ნიკოლაის]

პატივი მაქვს, მოწყალეო ხელმნიფევ, განსაკარგავად
მოგართვათ ბ^{ნა} ბლუდოვისაგან მიღებული წიგნი.

ჭეშმარიტის და სხვ:

1866

ბარბარე ბაგრატიონი-მრჩელიანისაძე №17 (650)

1866 Генв: 8. Тифлис в Лондон.¹

Мой друг Варвара! 5 Генв: чрез Колосовского и Ананова отправлены мною к тебе в Лондон 273 червон: т: е: 800 руб: - Совершенно постигая твоё незавидное положение без денег в чужом kraе, я ещё в прежнем письме выразил совет и теперь повторяю, что необходимо из процентных денег Георгия отдать на ваши расходы 1000 руб:, даже все 2/ты руб:, чтобы вам можно было жить без нужды. Повторяю, с каждым годом потребности Георгия естественно должны увеличиться, и что считалось прежде достаточным, теперь окажется весьма скучным средством, как для жизни, равно и для его образования. Жду твоего ответа, чтобы таким образом и действовать мне.

Последнее письмо твоё было от 29 Ноябр:, в котором ты уведомляешь о получении денег; но странно для меня то, что никогда не пишешь обстоятельно, сколько именно ты получила? Мне это непременно нужно знать, чтоб вернее определять каким путём выгоднее отправлять к тебе деньги? Неужели до сих пор еще недошли к тебе те 200 полуимп:, которые отправлены мною по почте еще 9 Сентябр: прошлаго года?

Я немогу не согласиться ствоим мнением, хоть мне и тяжело, очень тяжело сказать, что возвращение твое в Тифлис, весной, прервало бы на несколько месяцев учение Георгия и конечно подействовало бы неблаготворно на дальнейший ход его занятий. Надо достигнуть того, чтобы он привык к труду и полюбил его, чтоб каждый час приносил пользу, развивая, или физическая, или же умственная его силы. Ненадо прервать ни на один день этого начала, которое положено в основание его образования.

Оставайтесь же с Богом, пока будет полезно Георгію.

Экономические расчеты заставляют тебя переселиться из Англіи. Ради Бога, если уже решишься² переехать на материк Европы, то переселись, или в Швейцарію, илиже в Германію, но никак не во Францію. Я желаю, чтобы юное сердце Георгія было проникнуто Религиозными убежденіями, без чего нет счастя человеку в жизни. Я желаю, чтобы мой племянник был превосходный Грузин, просвещённый Европейской наукой и не испорченный порочными идеями новешей французской философії; в особенности живите как можно дальнее, дальнее от Парижа: Там поселился Бог разврата совсеми чарами обольщенья.

Зима проходит безбалов в дворце: Великая Княгиня ослуга; только Итальянская Опера и игры в бостон развлекают нас; был концерт благотворительного целя, в котором отличался, между другими, Ираклій Грузин: на флейте. Для любопытства присылаю Список учавствовавшим в концерте.

Вчера похоронили беднаго Рамаза Тарханова, который умер внезапно. Пожалей о бедной нашей Устинії; она умерла от страшной чахотки.

Зима очень сносная, мало холодов, мало снегу, много теплых, светлых дней.

Графиня Левашева недавно возвратилась из Вены; она усердно кланяется тебе. Великая Княгиня часто спрашивает вподробности о твоем житьё бытьё в Англіи.

Целую Георгія; Екатерине низко кланяюсь.

Бог да хранит вас.

პარბარე პაგრატიონი-ორგანიაციალი №17 (650)

1866 იანვ: 8. თბილისით ლონდონს.¹

ჩემო მეგობარო ვარვარა! 5 იანვ: კალასოვსკისა და ანანოვის ხელით შენთან ლონდონს გამოვგზავნე 273 ჩერვონ: ანუ 800 რუბ:. სრულადა ვწვდები შენს არასახარბიელო მდგომარეობას უფულოდ უცხო მხარეში. მე ჯერ კიდევ წინა წერილში გამოვხატე რჩევა და ახლა გიმეორებ, რომ აუცილებელია გიორგის საპროცენტო ფულიდამ თქუენი ხარჯები-სათვის გამოიყოს 1000 რუბ:, მთელი 2/ათ: რუპ:^შ, რათა იყოთ გაჭირების გარეშე. ვიმეორებ, გიორგის მოთხოვნილებები ბუნებრივად უნდა გაიზარდოს ყოველწლიურად და, რაც აქამომდინ საკმარისად ითვლებოდა, ან გამოჩნდება ერთობ მწირ თანხად, როგორც საცხოვრებლად, აგრეთვე მისი განათლებისათვის. ვეღი შენს გამოპასუხებას, რათა იმის მიხედვით ვიმოქმედო.

29 ნოემბ: მომივიდა შენი ბოლო წერილი, რომელშიც იტყობინები ფულის მიღების შესახებ; მაგრამ ჩემთვის უცნაური ის არის, რომ საფუძვლიანად არასოდეს იწერები, კერძოდ, რამდენი მიიღე? ეს უცილობლად უნდა ვიცოდე, რათა უფრო ზუსტად გავარკვიო, რა გზით უფრო არის მოსახერხებელი შენთან ფულის გამოგზავნა? ნუთუ აქამომდინ არ მოაღწია შენამდინ იმ 200 პოლუიმპ:^შ, ფოშტით რომ გამოგიგზავნე ჯერ კიდევ წინა წლის 9 სექტემბრ:

მე არ ძალმიძს არ დავეთანხმო შენს ჰაზრს, თუმც კი მიჭირს, ძალზედ მიჭირს გითხრა, რომ გაზაფხულზე შენი თბილისში დაბრუნება რამოდენიმე თვით შეწყვეტდა გიორგის სწავლას და ცუდ გავლენას იქონიებდა მის მომავალ მეცადინეობაზედ. ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ის შრომას მიეჩვიოს და შეიყვაროს იგი, რათა ყოველმა საათმა სარგებელი მოუტანოს ფიზიკური, გინდ გონიერივი ძალების განვითარებითა. ნუ შეწყდება ნურც ერთის დღით ის საწყისი, რომელიც ჩადე-

ბულია მისი განათლების საფუძველში. დარჩით, ღმერთი იყოს თქუენთან, ვიდრე სასარგებლო იქნება გიორგისთვისა.

ეკონომიური ანგარიშები გაიძულებენ გადასახლდე ან-გლიიდამ. ღვთის გულისათვის, თუკი გადასწყვეტ ევროპიის მატერიკზედ გადმოსვლას, მაშინ გადასახლდი ან შვეიცარია-ში, ანდა გერმანიაში, მაგრამ არამც და არამც ჭრანციაში. მე მსურს, რომ გიორგის ნორჩი გული განიმსჭვალოს რელიგიუ-რის მრწამსით, ურომლისოდაც ვერ ჰპოვებს კაცი ბედნიერე-ბას სიცოცხლეში. მე მინდა, რომ ჩემი ძმისშვილი იყოს საუ-კეთესო ქართველი, ევროპიული მეცნიერებით განათლებული და შეურყვნელი უახლესი ჭრანციცული ჭილოსოჭიის იდეე-ბითა; იცხოვრეთ განსაკუთრებულად შორს, რაც შეიძლება შორს ჰპარიუდამ. იქ ჩაბუდებულია გარყვნილების ღმერთი ცდუნებათა მთელი ხიბლებითა.

ზამთარი გადის მეჯლისების გარეშე სასახლეში: ვე-ლიკაია კნიალინა ორსულადაა; მხოლოდ იტალიური ოპერა და ბოსტონილა შეგვაქცევს; საქველმოქმედო მიზნით ჩატარდა კონცერტი, რომელშიც, სხუათა შორის, გამოირჩეოდა ირაკ-ლი გრუზინ: ფლეიტითა. ცნობისმოყვარეობისათვის გიგზავნი კონცერტში მონაწილეობა სიას.

გუშინ დავასაფლავეთ საბრალო რამაზ თარხანოვი, მოულოდნელად რომ მოკვდა. შეიბრალე ჩვენი საწყალი უს-ტინია; ის გარდაიცვალა საშინელის ჭლექითა.

ერთობ მსუბუქი ზამთარი გვაქვს მცირე სიცივეებით, ცოტაოდენი თოვლით, უხვადაა თბილი, ნათელი დღეები.

ღრაჭინია ლევაშევა ამასწინათ დაბრუნდა ვენიდამ; ის გულმოდგინედ გიხრის თავსა; ველიკაია კნიალინა ხშირად და გამონვლილვით მეკითხება შენს ასავალ-დასავალს ანგლიაში.

ვკოცნი გიორგისა; ეკატერინას მდაბლად ვუხრი თავს.

ღმერთი გფარავდეთ.

ბარბარე გაგრაფიონი-მრგვლიანისაღვი №18 (651)

В Лондон 18 Фев: 1866 года.¹

Мой друг Варвара! Начинаю письмо стого, что твои родные здоровы, и что была очень красивая свадьба Команд: Драгун: Полка Полков: Амилахварова и прелестной Княжны Эристовой в Церкви у Великаго Князя; состороны жениха были посаженными родителями Их Высочества, а я и Тасо Гагарина со стороны невесты. Эта пара молодых в самом деле была весьма красивая.

Масляница прошла довольно весело: был спектакль у Их Высочеств, в котором высказали замечательныя таланты дочери Опочинина, в особенности Нина. Для твоего любопытства прилагаю Афиши, вкоторых увидишь твоих знакомых. В последній день Масленицы был очень красивый, весёлый вечер у Адъютантов Великаго Князя.

Но без слёз мы, всётаки необошлись: умер бедный Шаликов; его нельзя нежалеть: остались 6 дочерей и более 10/ты долгу. Умер Иван Фомич Орбел: и хорошо сделал: разбитый Параличем, без языка, без движенья, был тягостью домашним и ненужен обществу. Втаких случаях смерть становиться в самом деле благодеянием.

Недавно заобедом Графиня Левашова просила меня передать тебе, что она пьёт затвоё здоровье; Карцова усердно кланяется тебе, но выразила своё огорчение, что ты обещала ей писать и ниразу невспомнила о ней. Доктор Либау всегда с глубоким чувством кланяется тебе.

Манана и Тасо Гагарина намереваются ехать в Париж на свадьбу Александра, которая будет в начале Апреля. Манана в Париже!– Это уже новость, выходящая изобыкновенного круга здешних событий.

Пріехал недавно Иван Грузинскій: красив, молодец, приветлив; делаются ему обеды; но ненравиться здешним его козлино-французская борода.

Как странно, что большею частью твои письма приходят ко мне именно вто время, когда я начинаю писать к тебе. Вот и теперь, в сию минуту принесли мне письмо твоё от 29 Генв: –

Как я рад, что Георгій учиться Русскому языку у твоего достойнаго Священника, который известен и учёностью, и сердцем, полным добра! На него указывала мне и Великая Княгиня. – Георгій должен жить в Россіи и служить ей; следовательно знаніе в совершенстве Русскаго языка обязательно для него, а иностранные языки, раздвигая шире и шире его умственные силы, должны служить только как вспомогательныя средства к его образованію. Я, конечно, не имею надежды дожить до того дня, когда Георгій окончит свое воспитаніе, но уверен, что он вполне поймёт и оценит всю материнскую любовь и заботливость твою о нем, незабудет, как ты, ёщё в молодых летах, бросила свет, чтобы посвятить ему всю жизнь свою, и потому, конечно, он также своей стороны сочтёт священною обязанностью радовать сердце своей матери успехами в науке и прекрасною нравственностью и таким образом сделается достойным сыном достойных родителей, и тем осуществит надежды своей матери.

Портрет Георгія получил; навзгляд он, кажется, очень вырос; но твоего портрета нет.

Вчера, т: е: 24 Февр: через Колосовскаго и Ананова я выслал тебе 750 руб:, в числе коих 600 составляет Пенсію твою и Георгія за Генв: и Февраль настоящаго года, и как деньги эти были бумажныя, то наверное много потеряешь. Что делать? Ни где немог достать золота; такая Досада! –

Желаніе твое будет исполнено: наднях Нинико² поедет в Квеши и передаст деньги Священнику, чтоб лампада горела

пред Образом. –

Целую Георгія в голову; Катерине низко кланяюсь.
Бог да хранит вас.

Письмо это осталось неотправленным до 25 Февраля. –

Я получил известіе из здешней Почты, что 200 полуимп.;
отправленныя к тебе еще 9 Сентябр: прошлого года, получены в
Лондоне; справъся на Почте и ты их наконец получиши. –

25 Фев: Тифлис.³

პარპარე პამრატიონი-ორგაფიანისაღვი №18 (651)

ლონდონს 18 თებ: 1866 წლის.¹

ჩემო მეგობარო ვარვარა! წიგნს ვიწყებ იმით, რომ შე-
ნი ნათესავნი ჯანზედ არიან და რომ ერთობ ლაზათიანი იყო
დრაგუნ: პოლკის კომანდა: პოლკოვ: ამილახვაროვისა და მშვე-
ნიერი კნიაჟნა ერისთოვას ქორწილი დიდი კნიაზის ეკლესია-
ში; ჯვრისნერაზედ ნეფის მხრიდამ მამობილ-დედობილნი იყ-
ვნენ მათი უდიდებულესობანი, ხოლო პატარძლის მხრიდამ მე
და ტასო გაგარინა. ახალგაზრდების ეს წყვილი მართლაც ერ-
თობ მომხიბვლელი გახლდათ.

ყველიერმა ჩაიარა საკმაოდ მხიარულად: მათ უდიდე-
ბულესობებთან იყო სპეცტაკლი, რომელშიაც შესანიშნავი ტა-
ლანტები გამოამჟღავნეს ოპოჩინინების ქალიშვილებმა, გან-
საკუთრებით ნინამ. შენი ცნობისმოყვარეობისათვის გიგზავნი
აჭიშებს, რომლებშიაც ნახავ შენს ნაცნობებს. ყველიერის ბო-
ლო დღეს გაიმართა ძალზედ კარგი, მხიარული საღამო დიდი
კნიაზის ადიუტანტებთან.

უცრემლოდ მაინც არ გამოგვივიდა: გარდაიცვალა საბრალო შალიკოვი; შეუძლებელია არ შეგებრალოს იგი: დარჩა 6 ქალიშვილი და 10/ათ.: -ზე მეტი ვალი. გარდაიცვალა ივანე ჭომიჩ ორბელ: და კარგადაცა ჰქნა: პარალიჩდარტყმული, დამუნჯებული, დადამბლავებული, ბარგად ეკიდა შინაურებსა და ზედმეტიღა იყო საზოგადოებისათვის. ესრეთს შემთხვევებში სიკუდილი მართლაც სიკეთედ იქცევა.

სადილზედ ამას წინათ ღრატანია ლევაშევამ მთხოვა გადმომეცა შენთვის, რომ შესვამს შენი ჯანმრთელობის სადლეგრძელოსა; კარცოვა გულმოდგინედ გიხრის თავს, მაგრამ გამოხატა თავისი მწუხარება, რომ შენ დაპპირებიხარ მიგენერა და არც ერთხელ კი არ გაგხსენებია იგი. დოხტორი ლიბაუ მუდამ ღრმა გრძნობით გიხრის თავსა.

მანანა და ტასო გაგარინა პარიუში აპირებენ გამგზავრებას ალექსანდრეს ქორნილში, რომელიც აპრილის დასაწყისში იქნება. მანანა პარიუს! ეს უკვე ის სიახლეა, რომელიც სცდება აქაური ამბების სამზღვარსა.

ამასწინათ ჩამოვიდა ივანე გრუზინსკი: ლამაზი, ყოჩალი, სალმიანი; მისთვის მზადდება სადილები; მაგრამ აქაურებს გულზე არ ეხატებათ მისი კაზლინი-ჭრანციცული წვერი.

რა უცნაურია, რომ შენი წერილების უმეტესობა სწორედ მაშინ მომდის, როცა შენთან ვიწყებ წერასა. აი ახლაც, ამ წუთას მომიტანეს შენი 29 იანვ: წერილი: რარიგ მიხარია, რომ გიორგი რუსულსა სწავლობს შენს ღირსეულ მღუდელთან, რომელიც ცნობილია სწავლულობითაც, სიკეთით აღსავსე გულითაც. მასზე მიმითითებდა ველიკაია კნიაღინაც. – გიორგიმ უნდა იცხოვროს რუსეთში და ემსახუროს მას; შესაბამისად, რუსული ენის სრულყოფილი ცოდნა აუცილებელია მისთვის, უცხო ენები [კი], მისი გონებრივი ძალების უფრო მეტი გაფართოებით, უნდა მოემსახურონ, მხოლოდ როვორც მისი განათლების დამხმარე საშუალებები. მე, რა თქმა უნდა, არ ვიმედოვნებ ვიცოცხლო იმ დრომდის, როცა გიორგი თა-

ვის სწავლა-განათლებას დაასრულებს, მაგრამ მჯერა, რომ ის სრულად გაიგებს და დააფასებს მთელს დედურს სიყუა-რულსა და შენს მზრუნველობას მისდამი, არ დაივიწყებს, რო-გორ მიატოვე, ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, მაღალი საზოგადო-ობა, რათა მისთვის მიგეძლვნა მთელი შენი სიცოცხლე, და ამიტომ, რა თქმა უნდა, ის თავის მხრიდანაც ჰრაცხს წმინდა ვალად, გაახაროს თავისი დედის გული შესანიშნავის ზნეობი-თა და წარმატებებით მეცნიერებაში და ამგუარად გახდეს ლირსეული შვილი თავისი ლირსეული მშობლებისა და მით გა-ამართლოს თავისი დედის იმედები.

გიორგის პორტრეტი მივიღე; შესახედად ის, ვჰევონებ, ძალზედ წამოიზარდა; შენი პორტრეტი კი არა სჩანს.

გუშინ, ანუ 24 თებერ: კალასოვსკისა და ანანოვის ხე-ლით გამოგიგზავნე 750 რუბ:, სადაც 600 შენი და გიორგის ამა წლის იანვ: და თებერვლის პენსიებია, და რაკი ეს ფული ქაღალდისა იყო, ამიტომ, ალბათ, ბევრს დაჰკარგავ. რა გაეწყობა? ვერსად ვიშოვე ოქრო; რა დასანანია!

შენი სურვილი შესრულდება: ამ დღეებში ნინიკა² წავა ქვეშს და ფულს გადასცემს მღვდელს, რათა ლამპარი ენთოს ხატთანა. –

გიორგის ვკოცნი თავზედ; კატერინას მდაბლად ვუხრი ქედსა.

ღმერთი გფარავდეთ.

ეს წერილი გამოსაგზავნი დარჩა 25 თებერვლამდინ.

ამბავი მივიღე აქაური ფოშტიდამ, რომ 200 პოლუიმპ:, შენთან გამოგზავნილი ჯერ კიდევ გასული წლის 9 სექტემბ:³, მიღებულია ლონდონში; მოიკითხე ფოშტაში და, ბოლოს და ბოლოს, მიიღებ მათ.

25 თებ: თბილისით.³

ყაფლან ორგელიანისადმი №17 (652)

ქრისტე აღსდგა! ჩემო ბატონო ძმაო ყაფლან!

ღმერთმან მრავალჯერ დაგასწროს მშვიდობიანად და
მხიარულად შენის ქულჭათით, რომელსაცა ეგრეთუე მოუ-
ლოცავ ამა დღესასწაულსა.

ძალუა ვარინკას წიგნს, რომელიცა დღეს მომივიდა,
გიგზავნით.

შენი ძმა გრიგოლი

2^ს აპრილს 1866¹

გაბალე ორგელიანი-საგინაშვილისადმი №23 (653)

ჩემო ბაბალე! ამ მინუტში მოვედი ველიკი კნიაზიდამ,
რომელმანცა დამიბარა და მიამბო დიდად სამწუხარო ამბავი:
წელმზიფე ლეტნის ბალში სეირნობდა მარტო და იქიდამ როცა
გამობძანდა და ჰსჯდებოდა კალასკაში, ვიღამაც ღთ~ის¹
მტერმა ესროლა დაბანჩა, მაგრამ ღთ~მან² დაიფარა ძვირფა-
სი სიცოცხლე მისი³ და დაპშთა უვნებელად. – ეს ამბავი მოხ-
და დღეს 4^ს საათზე სადილის შემდეგ.

ხვალ თერთმეტ საათზე იქნება სიონში მოლევნა, და
შენცა უთოოდ წამოდი და წამოყვანე სხუანიცა.

შენი გრიგოლი

4^ს აპრილს.⁴

ՀԱՐԿԱՐԵ ՀԱՑԽԱԳՈՐԾՈ-ԹԻՒՅՈՒՆԱԲՈՍԱԳՅՈ №19 (654)

5^{րո} Апр: 1866 Тифлис.

Мой друг Варвара! 12 числа я выезжаю к стороне Астараадбада, чтобы представиться Его Величеству Шаху Персидскому, который изявил желание видеть нашу Каспийскую флотилию и вместе с тем испытать себя, можетли он выдержать морское плаваніе, так как, он имеет непременное намереніе посетить Европу. Полагаю, что эта поездка продлиться около мѣсяца, и я предстану пред лучезарное лицо Средоточія Вселенной. Такое счастіе редко достаётся смертному. – Мою свиту составляют Бакинский Губер: Кулебякин, Принц, Князя Датико и Вано Орбелі; Граф, Барон Брюген, Лорис-Меликов и Флигельадъютант Шліттер, Видиши, какие пышные титулы украшают мое посольство?

Чрез Колосовскаго посылаю 600 руб:, следующе тебѣ и Георгію в пенсію за Март и Апр: Душевно сожалею, что ты неполучила до сих пор 200 полуимп:, отправленныя мною в Сентябрѣ по почте. Но єшё страннее то, что и мне невозвращают назад. Нечего делать, сегодня я вхожу с жалобой в почтовый Департ: о возврате мне тех денег.

1^{րո} Апр: Великая Княгиня родила сына, нареченаго Александром и уже теперь называют его Сандро.

Вчера, т: е: 4 Апр: в 9 часов вечера получили мы печальное известіе о злодейном покушеніи на жизнь обожаемаго Императора, лучшаго из Государей и по благим намереніям и по великим делам, совершенным Им по благоустройству своего Государства! Можешь себе представить какое чувство ужаса и негодованія обуял здешним населеніем? Церкви различных верованій наполнились народом, чтоб принести Господу Богу искренно благодарныя молитвы за

спасеніе драгоценной жизни Его!

Князь Леван Меликов был здесь и ускакал в Шуру, получив горестное известіе, что двое из сыновей его умерли в продолженіи трех дней. Можешь представить отчаяніе бедной Саши!

9^{го} Апр:¹

Письмо это осталось до сегодня. Родныя твои здоровы; наднях ждём К: Аннету с сыном ея Сандро, котораго, кажется, желает увезти за Границу для лечения.

Бог да хранит тебя и Георгія, котораго целую от искренней души в голову и молю Бога да сделает его человеком достойнымуваженія. –

Матушке Катерине низко, низко кланяюсь.

ბარბარე პატიოლი-ორგანიზაცია №19 (654)

5^ს აპრ: 1866 თბილისით.

ჩემო მეგობარო ვარვარა! 12 რიცხვში მივემგზავრები ასტარადბადისკენ, რათა წარვუდგე მის უდიდებულესობა სპარსეთის შპპს, რომელმაც გამოთქუა სურვილი ნახოს ჩვენი კასპიის ფლოტილია და ამასთანავე თავი გამოსცადოს, შეძლებს თუ არა აიტანოს ზღვით ცურვა, ვინაიდან გააჩნია ევროპის მონახულების დაუოკებელი სურვილი. ვჰგონებ, ეს მოგზაურობა ერთ თვემდინ გასტანს და მე წარვსდგები სამყაროს ჭიპის სხივმოსილი სახის წინაშე. ამგუარი იღბალი იშვიათად თუ ერგება მოკვდავსა. ჩემს ამალაში არიან ბაქოს ლუბერ: კულებაკინი, პრინცი, კინაზები დათიკო და ვანო ორბელი: ლრაჭი, ბარონი ბრიუგენი, ლორის-მელიქოვი და ჭლი-

გელ-ადიუტანტი შლიტერი. ჰედავ, როგორი ბრწყინვალე ტი-ტულები ამკობენ ჩემს ელჩობას?

კალასოვსკის ხელით გიგზავნი 600 რუბ: შენი და გი-ორგის მარტისა და აპრილ: პენსიებიდამ. გულითა ვწუხვარ, რომ აქამომდინ არ მიგილია 200 პოლუიმპ:, ფოშტით რომ გა-მოგიგზავნე სექტემბერში. მაგრამ უფრო უცნაური ის არის, რომ მეც აღარ მიბრუნებენ უკან. რაღას ვიზამ, დღეს შემაქვს საჩივარი საფოშტო დეპარტ: მაგ ფულის დასაბრუნებლად.

1^ც აპრ: ველიკაია კნიალინას შეეძინა ვაჟი, ალექსან-დრედ წოდებული და უკვე ეძახიან სანდროსა.

გუშინ, ანუ 4 აპრ: საღამოს 9 საათზე, მივიღეთ სამწუ-ხარო ამბავი მზაკვრული თავდასხმის შესახებ საღმერთებელს იმპერატორზედ, ხელმწიფეთაგან საუკეთესოზე კეთილი გან-ზრახვებითაც და დიადი საქმეებითაც, თავისი სახელმწიფოს კეთილმოწყობისათვის რომ აღასრულა! ხომ წარმოგიდგენია, რა საშინელი გრძნობა და აღმფოოთება მოიცავდა აქაურ მო-სახლეობას? სხვადასხვა რჯულის ეკლესიები აღივსო ხალხი-თა, რათა ღვთისადმი აღევლინათ გულწრფელი სამადლობე-ლო ლოცვები მისი ძვირფასი სიცოცხლის გადასარჩენად.

კნიაზი ლევან მელიქოვი იყო აქ და შურას გაეშურა, [იმ] სამწუხარო ამბის გამო, რომ მის ვაჟთაგან სამი დღის განმავლობაში ორი გარდაცვლილა. წარმოიდგინე საპრალო საშას სასონარკვეთა!

9 აპრ:¹

ეს წიგნი შემორჩა დღევანდლამდინ. შენი ნათესავები ჯანზედ არიან; ამ დღეებში ველით კ: ანნეტას ვაჟთან, სან-დროსთან ერთად, რომელსაც, ვჰგონებ, საქართველოდამ ზაგრანიცაში უპირებენ წაყვანას სამკურნალოდა.

ღმერთი გფარავდეთ შენა და გიორგის, რომელსაც გულწრფელადა ვჰკოცნი თავზე და ღმერთს ვევედრები ღირ-სეულ კაცად აქციოს.

დედილო კატერინას მდაბლად, მდაბლად ვუხრი ქედსა.

ӘОБЕОЛЛ ՅԹԱՌԱՅՈՒՅՆԱՇՅԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՆՈՅԱՆԱԴՐՈՒՅԹ Նո 1 (655)

17^{րդ} Маія 1866 год. Тифліс¹

Михайлу Петровичу Колюбякину.

Губерна: Бакинской Губер:

С чувством искренней благодарности возвращаю вам две тысячи руб;² которые взяты были мною из вашей Канцелярії взаимы вовремя моего проезда чрез Баку к Его Величеству Шаху, и покорнейше прошу приказать возвратить мне долговую мою росписку.

В Тифліс прибыли мы благополучно 7 мая, заехав, благодаря вашему распоряженію, на Божій промыслъ, который осматривал свозбуждённым любопытством. 5600 рыб пойманы при нас, и вся эта масса рыбы, к половине 2 часа, уже была изрезана, распределена по названіям, послена и приготовлена к отправленію в Астрахань. Порядок, чистота, даже военная Дисциплина, чинопочтеніе, замечательны в особенности при виде рабочих в числе более 800 человек, которые состоят из различных языков и верованій: Армян, Татар, Русских, и все они с жёнами и детьми живут в мире и согласіи!

10^{րդ} Мая Его Величество возвратился из Эривани, где ему весьма понравились роты линейн: Бат:, а из уездов только Урзоадбад. Он был очень обрадован моим рассказом о устройстве Баку и всем, что я видел в этом городе. Адмирал Воеводскій был здесь и, к глубокому моему огорченію, он так поспешно выехал отсюда, что я, не только не успел пообедать сним вместе в Ортачальских Садах, о чем я планы строил, но даже пріехав к нему свизитом, не застал уже его дома.

В четверг, т: е: 19 числа Их Высочества выезжают в боржом, где и останутся до глубокой осени. Гофмейстерина

Эйлер отправляется в Петербург только на лето; ей делается прощальный обед в Муштайде.

Из Петербурга нет особых новостей; кажется, вы уже знали, что какойто Гагарин и Трубецкой заарестованы.

Возникло довольно сурьёзное дело в Кутайсской Губернії: всё Дворянство этой Губернії, чрез пріехавших сюда Уездных Маршалов, приносят жалобу на Губернатора Оголина. Можете представить, как затруднителен этот щекотливый вопрос для решенія.

მიხეილ პოლიტიკაპინისადგი №1 (655)

17 მაისი 1866 წელი. თბილისით.¹

მიხეილ პეტროვიჩ კულებაკინს.

ბაქოს ლუბერნი: ლუბერნატი:

ნროველის მადლიერების გრძნობით გიბრუნებთ ორი ათასს რუბ;² რომელიც სესხად ავიღე თქუენის კანცელარიი-დამ, ოდეს ბაქოს გავლით მივემგზავრებოდი მის უდიდებულესობა შახთან, და უმორჩილესად გთხოვთ უბრძანოთ, და-მიბრუნონ ჩემი თამასუქი.

თბილისს მშვიდობით ჩამოვედით 7 მაისს და თქუენის განკარგულებით შევიარეთ საღვთო საქმეზედ, რომელსაც ვათვალიერებდი ცხოველის ინტერესითა. 5600 თევზი დაიჭირეს ჩუენის თანდასწრებით და მთელი ეს მასა თევზისა 2-ის ნახევრისთვის დაჰკუნძეს, სახელობით დაანაწილეს, დაამარილეს და გაამზადეს ასტრახანში გასაგზავნადა. წესრიგი, სისუფთავე, სამხედრო დისციპლინაც კი, ჩინისადმი მოკრძალება შესანიშნავია, უფრორე მუშებს რომ ხედავ 800 კაცზედ მეტსა, სხუადასხუა ენაზედ მოლაპარაკეთ და სხუადასხუა

ეროვნებისას: სომხებს, თათრებს, რუსებს, და ყველანი ცოლებითა და შვილებით [რომ] ჰცხოვრობენ მშვიდობასა და თანხმობაში!

10^ს მაისს მისი უდიდებულესობა დაბრუნდა ერივნიდამ, სადაც მას მოეწონა ლინეინ: როტები, ბატი, უეზდებიდამ კი მხოლოდ ურზოადბადი. იგი ძალზედ კმაყოფილი შეიქნა ჩემის მონათხრობით კეთილმოწყობილს ბაქოზედ და ყველაფრით, რაც ამ ქალაქში ვიხილე. ადმირალი ვოევოდსკი იყო აქ და ჩემდა სამწუხაროდ ისე ჩქარა გაემგზავრა, რომ მე არა თუ ვერ მოვასწარ, მასთან ერთად მესადილა ორთაჭალის ბალებში, რაზედაც გეგმებს ვაწყობდი, არამედ მას ვიზიტით სახლში მისვლითაც ვეღარ მივუსწარ.

ხუთშაბათს, ანუ 19^ს რიცხვში, მისი უდიდებულესობანი ბორჯომს მიემგზავრებიან, სადაც დარჩებიან კიდეც გვიან შემოდგომამდინ. გოჭმეისტერინა ეილერი პეტერბურლს მიემგზავრება მხოლოდ საზაფხულოდ. მისთვის მართვენ გამოსათხოვარს საღამოს მუშთეიდსა.

პეტერბურლიდამ არ მოსულა რაიმე მნიშვნელოვანი ამბავი; ვჰვინებ უკვე იცოდით, რომ დააპატიმრეს ვინმე გაგარინი და ტრუბეცკოი.

ერთობ სერიოზული საქმე გაჩნდა ქუთაისის ღუბერნიაში: ამ ღუბერნიის მთელი თავადაზნაურობა, აქ ჩამოსული უეზდი მარშლების მეშვეობით, უჩივიან ღუბერნატორ ოგოლინსა. წარმოდგენილი გექნებათ, რარიგ მძიმეა მოსაგვარებლად ეს საჩითირო საკითხი.

**მანანა ერისთავი-ორგანიზისა და ანასტასია
ორგანიზი-გაგარინისადმი
№1 (656)**

ჩემნო გულით საყუარელნო დედავ-ძალუავ მანანავ და ტასო! ძლივს დავიწყე თქუცნდა მონერა, დავიწყე, მაგრამ იქნება ესეც ვერ გავათავო რამდენსამე დღეს, ასეა ჩემი ცხოვ-რება: ეს რომ მინდოდეს, იმას ვაკეთებ.

თქუცნ წახვედით და მე დავრჩი მარტოდ, ობლად, გულმწუხარედ. მერწმუნეთ ამას გულით გეუბნებით. ეხლა ვჰედავ ცხადად, რომ ხშირად გულ-ამღვრეული გაწუხებ-დით, გაჯავრებდით და¹ ან ვნანობ, და ალთქმასა ვჰსდებ, რომ აღარა ვიქმ, ოღონდკი მალე მოხვიდეთ.

თქუცნ წახვედით დასავლეთს და ბედმან მეცა გამტყოცნა აღმოსავლეთისაკენ. წაველ მისაგებებლად დიდს ყა-ენთან,² რომლისა წინაშე წარვჰსდეგ მის ლაგირში ზღვის პირს ჭერრახაბბათის³ სიახლოეს. იყო დიდის ცერემონიით მიღება ჩემი მისგან, დიდი რეჩები⁴ ჩემგან, დიდი სადილები მისგან. ვიხილე მისი დიდება, ყიბლაალამი,⁵ სალიცავი ქუცყნისა. გავიცან მისი კარის კაცნი, მინისტრები, ბიძები და ბიძაშვილები. თვთ ყაენი არის ჯერ ისევ ყმაწვილი კაცი, 37 წლისა, კარგის შეხედულობისა, განთქმული ცხენოსანი და მე-თოფე, ჰსწავლობს ჭრანციცულს და უკითხვენ ამ ენაზე უურნალებსაცა, და ამით არის თავის ქუცყანაში დიახ წინწასული გონებითა. – მე ველაპარაკებოდი დიდს ხანს ადრიბეჟანულს ენაზედ, რომელიცა ძალიან, თურმე, ჰყუარებია. ვისხედით ნავში ყაენთან ერთად მე და ჩუცნი ჰოსლანნიკი გირს.⁶ ეს დიდი ამბავია: თავის დღეში ყაენთან ვერავინ დაჯდება, არცა ცოლი და არცა შვილი, სადილზედაც ჰზის მარტო. მხოლოდ ჩუცნ ორნი ვართ, მე და გირს, ის ბედნიერნი, რომელთა შემოგუნატრის ქუცყანა! როგორ მოგახსენო, მართლად, ამისი უთვალავი სიმდიდრე ჯავაირებისა, რომლითაცა არის მიჭე-დილი ამის ტანისამოსი, ეპოლეტები, ხმალი, წელსარტყამი,

ჯილა, და სხუანი, და სხუანი! დიდად ჰსურს ევროპის ხილვა, და ჰსცდილობს კიდეც, რომ აღასრულოს სურვილი ესე, მაგრამ ძნელია: სპარსეთიდამ განსვლა ყაენისაგან არ არის აგრე ადვილი: ბაბიდები,⁷ თუმცა მრავალნი ამოწყვიტეს დიდის ტანჯვითა, მაგრამ საიდუმლოდ ეს სეკტა⁸ არის დიდად განმრავლებული სპარსეთშიაცა და თვთ ბაქო-შამახიაშიცა. ვიყავ ზღუაში თორმეტი დღე: ზღვის პირები ასტარაბბათთან⁹ საკურვლად ემზავსებიან აფხაზეთს სილამაზითა: ტყიანი მთები დიდროანის ხეობებითა და მათ შემდეგ ასულნი დიდროანი თოვლიანნი მთები, რომელთაგან მთა დემავენდ,¹⁰ ელბრუსის¹¹ ოდენი, ჰსდგას თეთრად კარავსავით და აბნყინვებს გარეშე არესა მშვენიერებითა! ჰსნორედ მოგახსენოთ, ამ მგზავრობამ დიდად მამო და გადმიყარა გულიდამ სევდები.

მოველ თბილისს და დამხუდნენ ისევ ის ცხვირ-პირები, ისევ ის ლოტო-ბოსტანი, ისევ ის აშულობა უგულოდ. დამავიწყდა, მეთქუა, რომ ვანო და დათიკო მყუანდნენ ჩემს ს[ე]ტაში და ორთავე მიიღეს ყელზე სპარსეთის ორდენი, ლვა ი სოლნცა.¹²

ველიკი კნიაზი და კნეინა შვილებით გადასახლდენ ბორჯომს, სადაცა დაპყოფენ, მგონია, აგვისტომდის, და მერე წაბძანდებიან ყირიმს, და იქიდამ დაბრუნდებიან ნოემბერში, როდესაც ერთი ნაწილი სასახლისაც დასრულდება მათ დასადგომად; ეხლაკი, თითქმის, სრულიად დაქცეულია. ბორჯომშივე, ჯერ ამჟამად არიან კნ: ტერეზია დადიანისა, ლრაჭინა ლევაშვილისა და¹³ ლიზა მუხრანსკისა და ამ დღეებში¹⁴ აპირებენ იქვე ნასვლას ოპოჩინიანნიცა. მეკი გიახლები კოჯორს, სადაცა ეხლავე იმყოფებიან ჩუცენი ელენა¹⁵ და თამამშიანნი;¹⁶ იქვე აპირებენ მინკვიცი,¹⁷ ვასკა ლორისა,¹⁸ ალექსან:¹⁹ არღუთინ:²⁰ და სხუანი. მგონია, ივანე და სოფორც იქ ამოვლენ და კარგათაც ვიქნებით. ბაბალეც²¹ მომზადებულია კოდაზე წასასვლელად; მაგრამ ჯერკი ყოველდღე წვიმა გვაბრკოლებს ყველასა და თბილისშიაცა ძალიან გრილა. ბარონ ნიკოლაი ავიდა მაღლა თავის ბეთანიაში.

იყო აქა ამ დღეებში დავით ჭავჭა: თავის ორის ქალებითა ელენეთი და თამარითა, რომელნიცა მართლად, არიან მოსაწონი სილამაზითა და ქცევითა. თბილისი სრულებით დავიწყებოდათ და აღარა ახსოვდათ.

ხალიჩა შეასრულეს და მართლად დიდად მშვენიერი გამოვიდა, სწორედ წელმწიფის საკადრისი. გუშინ სოფიოსთან გავშინჯეთ და ახლა უგზავნიან ველიკის კნეინას სანახავად და პეტერბურლში გასაგზავნად, და იქიდამ ნიცას²² გადასაფარებლად უდროოდ გარდაცვალებულისა ნასლედნიკის საფლავისა. –

ყაფლან მოვიდა მშვიდობიანად; ამან მიამბო ეკატერინას მშვიდობიანად ყოფნა და მის შვილებისა დიდი ქება. ღ~თი²³ იყოს იმათი მფარველი.

ვორონეჟში გარდაიცუალა მიხეილ შარვაშიძე, აფხაზეთის მთავარი, და წაასვენეს ისევ აფხაზეთში დასამარხავად; ესეც მორჩა ესოდენს მსოფლიოს ზრუნვასა, ესოდენს დავიდარაბას.

რკინის გზას ვაკეთებთ დიდის გულმოდგინებით; ამის გარდა²⁴ იმედი გუაქუს, რომ ამ შემოდგომასვე ვაკურთხებთ დიდის ცერემონიით ყარაის არხში პირველს წყალის გაშვებასა. – და ასე, ჩუცნი მხარეცა, ღ~თისა²⁵ და წელმწიფის წყალობითა, მიდის და მიდის ნელნელა წინ, და მერე სიჩქარეცა მოემატება სიარულში.

ამ დღეებში ჩუცნი სოსიკოს მოუვიდა ყელზე ვლადიმირი.²⁶

[1866 წლის 19 მაისის შემდეგ]

ԱՊԵԿՏԱԲԳԻԿ ԲՈՅՄԸԱՌԱՋՅՈ №6 (657)

17^{го} Июня 1866 Тифлис.¹

Барону Алек.: Павловичу Николаи.

Предстоящее преобразование Главного Управления: Наме: Кавк.^{го}, без сомнения, коснётся и Совета, который, в следствие того, может получить иную Организацию. И это обстоятельство легко может послужить поводом к тому, что Правитель Дел Совета Д: С: Сов.² Автандилов, после девятилетия, безуказанным служения в настоящей должности, не только займёт в оном вакансии Члена, но может остаться без места, за штатом.

Вам, Барон, весьма хорошо известны и другие ограничения, кои Автандилов терпит в отношении служебных преимуществ: он лишён даже возможности получить в порядке постепенности следующую награду, притом он беден, имеет огромное семейство, материальное обеспечение которого есть только его служба, которая также, в близком будущем, неминуемо подвергнётся высказанной мною здесь опасности.

Поэтому, чтобы отвратить это справедливое опасение, столь дивное, мучительное, и улучшить, по возможности, его служебное положение, я обращаюсь к вам, Мило: Государю: с покорнейшей просьбой, не найдётели возможным принять на себя Представительство пред Его Высочеством^{ом} о назначении Автандилова Чиновником особых поручений 4^{го} класса, на место Лелли, которое он и прежде занимал. Думаю, что такое повышение его, после десяти лет, не может возбудить особенного чувства зависти, а между тем, он даст ему с его огромным семейством материальное обеспечение, и притом он, с видимою пользою для службы, может выполнить новое назначение, в чём может быть ручательством его долговременная, служебная опытность.

С Чувством искрен: ув: и совер: пред: имею честь быть
в[аш]³
п[окорный]⁴

ალექსანდრე ნიკოლაისაძე №6 (657)

17^ს ივნისს 1866 თბილისით.¹

ბარონ ალექს: პავლოვიჩ ნიკოლაის.

კავკ: ^{მს} ნამდ: მთავარი უპრავ: სამომავლო გარდაქმნა, უეჭველია, შეეხება საბჭოსაც, რომელმაც შესაძლოა შედეგად მიიღოს სხუაგუარი მოწყობა. და ეს გარემოება შესაძლოა იო-ლად გახდეს მიზეზი იმისა, რომ საბჭოს საქმეთა მმართველ-მა, ნამდ: სამოქ: მრჩევ:² ავთანდილოვმა, ცხრანლიანი უმნიკ-ვლო სამსახურის შემდეგ ამჟამინდელს თანამდებობაზედ, მხოლოდ წევრის ვაკანსია კი არ დაიკავოს მასში, არამედ დარჩეს უადგილოდ, შტატს გარეთა.

თქუენ, ბარონო, საკმაოდ კარგად მოგეხსენებათ სხუა შეზღუდვების შესახებაც, რომელთაც ავთანდილოვი განიც-დის სამსახურებრივ უპირატესობათა მხრივ: მას წართმეული აქვს ის უფლებაც კი, თანდათანობითის წესით შემდგომი ჯილდო მიიღოს ხოლმე, ამასთანავე, ის ხელმოკლედ არის, ჰყავს დიდი ოჯახი, რომლის მატერიალური უზრუნველყოფაც ხდება მხოლოდ მისი სამსახურით, რომელსაც ახლო მომა-ვალში ემუქრება ჩემ მიერ აქ გამოთქმული საშიშროება.

ამიტომ იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ეს აშკა-რა, ესოდენ მძიმე, მტანჯველი საფრთხე და შეძლებისდაგუა-რად გავაუმჯობესოთ მისი სამსახურებრივი მდგომარეობა, უმორჩილესის თხოვნით მოგმართავთ, მოწ: ხელმ: ხომ არ ჩასთვლიდით შესაძლებლად, თქუენს თავზედ აგელოთ შუა-მავლობა მისი უდიდე: ^{მს} ნინაშე ავთანდილოვის დანიშვნაზედ მე-4 კლასის განსაკუთრებულ დავალებათა ჩინოვნიკად, ლე-ლის ადგილზედ, რომელიც მას უწინაც ეკავა. ვჰებონებ, რომ მისი ამგუარი დაწინაურება ათის წლის შემდგომად არ გამო-იწვევს შურის განსაკუთრებულს განცდას, ამასობაში კი ეს მატერიალურად უზრუნველყოფს მასა და მის დიდს ოჯახს

და, ამასთანავე, სამსახურისათვის აშკარა სარგებლიანობით
იგი შესძლებს, გაამართლოს ახალი თანამდებობა, რისი თავ-
დებიც შეიძლება იყოს მისი ხანგრძლივი, სამსახურებრივი გა-
მოცდილება.

გულწრ: პატ: და სრულ: ერთგ: გრძნობით პატივი მა-
ქუს ვიყო

თ[ქუენი]³
მ[ორჩილი]⁴

ალექსანდრე ნიკოლაისაფე №7 (658)

2^{го} іюля 1866 Коджори¹

Милост: Государь
Барон Александр Павлович.

Сделав официальное представление об
исходатайствовании высочайших наград двум Классным Дамам
Закавказского Девичьего Института, я обязанностью мою
считаю обратиться к вам, Барон, спокорнейшей просьбой,
ненайдётели уместным и справедливым доложить вместе с этим
представлением Его Импер: Высочеству Наместнику
Кавказскому и о Начальнице Института, заботливи и знаніо
дела которой Институт обязан тем блистательным состояніем, в
котором он ныне находится! Я посчитал себя вправе официально
ходатайствовать о ёя награждениі, имея в виду, что Институт
имеет счастіе состоять под личным попечительством Ея
Император: Высочества Великой Княгини Ольги Феодоровны.

Прошу принять увереніе вистинном моем почтеніи и
преданности.

ალექსანდრე ნიკოლაისაძე №7 (658)

2^ს ივლისს 1866 კოჯორით¹

მოწყალ: ხელმწიფევ
ბარონო ალექსანდრე პავლოვიჩ.

გავაკეთე რა ოფიციალური წარდგინება შუამდგომლობაზედ უმაღლესი ჯილდოების შესახებ ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის ორი წარჩინებული მანდილოსნისათვის, ჩემს მოვალეობადა ვრაცხ, უმორჩილესის თხოვნით მოგმართოთ თქუენ, ბარონო, ხომ არ ჩასთვლიდით დროულად და სამართლიანად ამ წარდგინებასთან ერთად მის საიმპ: უდიდებულესობას, კავკასიის ნამესტნიკს მოახსენოთ ინსტიტუტის უფროსზედაც, რომლის მზრუნველობასა და საქმის ცოდნასაც უნდა უმაღლოდეს ინსტიტუტი იმ ბრწყინვალე მდგომარეობას, რომელშიაც ამჟამად იმყოფება იგი. უფლებამოსილად ვსცან თავი, ოფიციალურად მეშუამდგომლა მის დასაჯილდოებლად – იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუტს აქვს ბედნიერება, იყოს მისი საიმპერ: უდიდებულესობის ველიკაია კნიალინას ოლღა ჭეოდოროვნას პირადი მეურვეობის ქვეშ.

გთხოვთ ერწმუნოთ ჩემს ჭეშმარიტ პატივისცემასა და ერთგულებას.

პარტარე პაგრაფითობი-მრჩევიანისაღვი №20 (659)

10^{დღე} Июля 1866 Тифлис.¹

Мой друг Варвара! 27 Мая я послал к тебе 1360² руб: в Лондон, по курсу, чрез Торговый дом братьев Сименс³ и ждал твоего уведомлениі в полученіи этих денег, как вдруг вместо ответа, неожиданно пришла от тебя Депеша из Висбадена, чтоб я туда выслал чрез Париж или Лондон, деньги на имя Линкенау.⁴ Можешь постигнуть мою печаль: едва я нашел верный способ пересылки в Лондон к тебе денег чрез Прусского Консула, а ты уже переехала в Висбадень; кроме того, ты знаешь в Тифлисе нет Банка, которыйбы имел сношениі с Банкирскими делами в Европе. Что же мне оставалось делать? Посоветовавшись с некоторыми из знающих это дело, я, скрепя сердце, решился опять чрез Прусского здесь Консула выслать в Лондон на имя его братьев Сименс 1470 руб:⁵ по курсу, по приложенной здесь расписке. Таким образом в Лондоне у Сименса находятся твоих денег 2830 руб:;⁶ чрез две недели я ещё вышлю на егоже имя 900 руб:. Знаю, что это затруднит тебя своевременно получить деньги, но, покрайней мере, получишь наверно.

Однакож, ради Іисуса Христа скажи мне, что за такая эктренность была тебе вдруг переехать в Висбадень, когда этого намеренія вовсе невидно было в твоём последнем письме и чрез это добровольно подвергать себя непріятному случаю оставаться без денег между чужими?

В последнем письме я просил тебя уведомить меня в подробности, чему учиться Георгій и что он знает из наук теперь? Меня эти подробности нужны для того, чтоб сличить с тою программою, которая принята в Россії для поступленія в Университет. В следующий раз я пришлю эту программу, чтобы она служила руководством для приготовленія Георгія.

1^{го} Іюля я переехал в Коджори; лето дождливое и прохладное, так что только три последня дня Іюля были жарки и термометр показывал 29 град: в тени. Здесь живут: Царевна Варвара, Минквици, Карцовы, Альбици, Сумбатовы, Като Иванова, Элена Эристова, Агиеви, Тамамшеви и дру:. Воздух чистый, свежий, мягко ароматный, увлекающей в царство мечтаний. Так по крайней мере уверяет Принц!

Все твои родные здоровы; недавно Давид пріезжал в Тифлис с Тамарой и Эленой. Оне очень похорошели и выросли. Бабале Сагинова в Кодах; Кетевана и Каплан с женой находят, что еще можно жить в Тифлисе.

Ковер, назначенный Грузинскими Дамами для покрышки того места, где скончался Государь Царевич Николай, окончен и составляет великолепное, изящное произведение вкуса и знанія; ничего подобного невышивалось в Грузіи. Его недавно отослали к Великой Княгине в Боржом с просьбой поднести Ея Величеству Государыне Императрице от имени Грузинских Дам, коих имена - между тем и твое, обозначены в списке.

Чудеса совершаются у нас: жена Ивана Мухран: убедившись наконец в том, что от ея молодой невестки Лизи нет прока, нет наследников, взяла и сама заблагоразсудила заберемениться!! Теперь, ея желание только о том, чтоб родился сын, который и будет современем наследником огромного именія, сколоченного трудами Ивана и ея. Что ты скажешь, разве это не чудо? Разве это неподтверждение священных сказаний о Аврааме и его жене?

Целую в голову Георгія и призываю на вас Божью помощь. Что моя красавица Катерина? Неувялали роза на ея щеках? Береги её, не мучь её частыми посылками в магазейны, как бывало в оне дни.

Бог да хранит вас для меня.

პარპარე პაგრატიონი-ორგანიაციალი №20 (659)

10^ს ივლისს 1866 თბილისით.¹

ჩემო მეგობარო ვარვარა! 27 მაისს ლონდონში გამოგიგზავნე 1360² რუბ: შესაბამისი კურსით, ძმების სიმენსების³ სავაჭრო სახლის საშუალებითა და შენს შეტყობინებას ველოდი ამ ფულის მიღების თაობაზედ, რომ ამ დროს პაუზის ნაცვლად შენგან უცებ მოვიდა დეპეშა ვისბადენიდამ, რომ ლინკენაუს⁴ სახელზე იქ გამომეგზავნა ფული პარიჟით, ან ლონდონით. შეგიძლია ჩასწვდე ჩემს წუხილს: ძლივს ვიპოვე ლონდონში ფულის გამოგზავნის გზა პრუსიის კონსულის ხელითა, შენ კი უკვე გადაბარგებულხარ ვისბადენს; გარდა ამისა, შენ უწყი, რომ თბილისში არ არის ბანკი, რომელსაც კავშირი ექნება საბანკო საქმიანობასთან ევროპაში. რაღა უნდა მექნა? ამ საქმის მცოდნეთ რჩევა ვთხოვე აქ და უხალისოდ გადავწყვიტე, კვლავ პრუსიის კონსულის ხელით გავგზავნო ლონდონს მისი ძმების, სიმენსების, სახელზე 1470 რუბ:⁵ კურსისა და აქ დართული ბარათის მიხედვით. ამგუარად, ლონდონში სიმენსთან არის შენი ფული 2830 რუბ:;⁶ ორი კვირის შემდეგ მე კიდევ გამოვგზავნი მისსავე სახელზე 900 რუბ:.. ვუწყი, რომ ეს გაგიძნელებს ფულის დროულად მიღებას, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, უთუოდ მიღებ.

ოღონდაც, იესო ქრისტეს გულისათვის, მითხარ, ეს-რეთი რა საჩქარო იყო ვისბადენში გადასვლა უცაბედად, როცა ეს განზრახვა სულაც არა სჩანდა შენს ბოლო წიგნში და ამგუარად ნებით ჩაიგდე თავი უხეირო მდგომარეობაში უფულოდ დარჩენით უცხო ხალხში?

ბოლო წიგნში გთხოვდი, დაწვრილებით მოგეყოლა ჩემთვის, რასა სწავლობს გიორგი და რა იცის მან ახლა მეცნიერებებიდან? ეს წვრილმანი იმისათვის მინდა, რათა შევადარო იმ პროგრამას, რომელიც მიღებულია უნივერსიტეტში ჩასაბარებლად რუსეთში. შემდეგ ჯერზე გამოვგზავნი ამ

პროგრამას, რათა სახელმძღვანელოდ გამოდგეს გიორგის მომზადებისას.

1^ს ივლისს გადავბარგდი კოჯორს; წვიმიანი და გრილი ზაფხულია, ასე რომ, ივლისის მხოლოდ ბოლო სამი დღე იყო ცხელი და თერმომეტრი უჩვენებდა 29 გრად: ჩრდილში. აქა ცხოვრობენ ცარევნა ვარვარა, მინკვიცები, კარცოვები, ალბიცები, სუმბათოვები, კატო ივანოვა, ელენა ერისთოვა, აგიევები, თამამშევები და სხვ.. ჰერი სუფთაა, წმინდა, ოცნებათა სამეფოში რომ გიტყუებს ნაზის სურნელითა. ყოველ შემთხვევაში, ასე ირწმუნება პრინცი!

ყველა შენი ნათესავი ჯანმრთელად არის; ამასწინათ დავითი იყო ჩამოსული თბილისში თამართან და ელენესთან ერთად. ისინი ძალზედ გალამაზებულან და გაზრდილან. ბაბალე საგინოვა კოდაშია; ქეთევანი და ყაფლანი მეუღლითურთ ჰფიქრობენ, რომ ჯერ კიდევ შეიძლება ყოფნა თბილისში.

ხალიჩა, ქართველ ქალბატონთა მიერ გამზადებული იმ ადგილზე დასაფენად, სადაც გარდაიცვალა ხელმწიფე მეფის-წული ნიკოლაი, დასრულებულია და ნარმოადგენს ბრნეინვალე გემოვნებისა და ცოდნის შესანიშნავს ქმნილებას. მსგავსი არაფერი მოქარგულა საქართველოში. ამას წინათ გაუგზავნეს ველიკაია კნიაღინას ბორჯომს თხოვნით, მიართვას მის უდიდებულესობას ხელმწიფა იმპერატრიცას იმ ქართველ ქალბატონთა სახელით, რომელთა სახელებიც, მათ შორის შენიც, დავთარშია შეტანილი.

სასწაულები ხდება ჩუენთან: ივანე მუხრან: ცოლი, საბოლოოდ რომ დარწმუნდა, მისი ახალგაზრდა რძლისგან ხეირი არა არის რა და არ ეყოლება შთამომავლებიო, ადგა და თავადვე ინება დაფეხმდიმება!! ან მისი სურვილი მხოლოდ ისლა, ვაჟი ეყოლოს, რომელიც მერმე გახდება კიდეც მთლიბელი უზარმაზარი მამულისა, ივანესა და მისი შრომით რომ იქნა მონაგარი. რას იტყვი, განა სასწაული არ არის? განა ეს არ არის წმიდა თქმულებათა დადასტურება აპრაამსა და მის ცოლზედა?

თავზე ვკოცნი გიორგის და ლმერთს შევთხოვ დაგეხმაროთ. რასა იქმს ჩემი კრასავიცა კატერინა? ვარდი ხომ არ შემოაჭენა ღანკვებზედ? გაუფრთხილდი მას, ნუ დატანჯავ ხშირი სიარულით მაღაზეინებში, როგორც იყო ხოლმე წინა დღეებში.

ლმერთი გფარავდეთ ჩემთვისა.

ქათევან ალექსი-მესხიშვილი-ორგანიანისადმი №123 (660)

ჩემო რძალო ქეთევან! ეტყობა რომ ქალაქში ძალიან აგრილებულა, რომ დღესაც, როგორცა ჰსჩანს, ვერ ამოხვალთ და ჯერ არცა ბარგი მოუტანიათ, და ამასთანაც, რომ კაცმა იანგარიშოს, არცეცი ჰდირს აქ ამოსვლა, რადგანაც თითქმის ზაფხულიც გავიდა და ხვალ ზეგ აგვისტოც დადგება. – თუ შენც ასე ანგარიშობ, დიახ შესცდები; წამოდი და ნინუცაც თან წამოიყვანე შვილებით, აქ უფრო მალე მოვალონებე.

მე ამ ხუთს დღეზე ბორჯომში მივალ რამდენისამე დღით, აქიმებმა მირჩიეს, რომ ერთხელ ორჯელ, რომ იქ იბანოო, სრულებით მორჩებიო, და მეც მივდივარ.

ტასოც აქა ბძანდება თავის ტყუილის ავათმყოფობით.
– ყაფლან მართალს ამბობს, რადგანაც ყველასთვის გული შესტკივა, მაგრამ გამგონი ვინ არის!

ბაბალე და ალექსანდრე ისევ მანდ არიან?

ბატონი ბიძია ალექსანდრე მომიკითხე.

თქუენი გრიგოლ ორბელიანი

13^ს ივლისს 1866.
კოჯორით¹

ԹՈՒՅՈՒՆ ԽԹԹԱԵՄՅՈՍԱՇՅՈ №9 (661)

Прошли, и праздники, и Масленица, и сними суета всяческая; умолкли Зурна, Музыка, Театры и крыки кулачного боя. Благовесть миленькаго нашего Собора напомнил нам о наступлениі великаго Поста и сним о раскаянїи, и мы спокорностью собираемся внем услышать те божественныя истины, которые одне оне только и счастливиат человека, облагораживая и возвышая его к Богу, но о которых редко вспоминается им, развлекаемый многообразіем в вихре суety вертящагося и скоро проходящаго мира! Каплан, Александр, Бабале, Манана, Елена, Софія, Тасо Гагарина, Тасо Оглабжю, Като Иванова ипр: готовились на первой неделе к причастію Св: тайн. Весело молиться всем нам грешникам, но тихій шопот о событиях, несовсем великопостных, неоставляет нас даже в самой Церкви.

В самом деле, Масленица была очень веселая: Спектакли, вечера У В: К:^ა, у К: Екатерины Дадіани, были прекрасны. К тому времени, весьма кстати подехали Принц Мюрад² с своею прекрасною Саломе.³ Что за прелестная пора! Ему 22 года, ей 20, красивы, молоды, влюблены. С ними вместе приехал Лорд Венситер,⁴ рыжий, навысоких ногах, но очень приятный молодой человек. Они живут вдоме Мананы, и недавно они все и вся наша родня обедали у меня. Заздравные

тосты были очень веселые и очень шумные; незабили и тебя с Георгием. Мюрады проведут лето в Мингрелии у Екатерины.

Вот и свежія новости: Последняя дочь Исака Туман: вышла замуж за Камсаракана. Исак шесть лет возставал против этой свадьбы, но, наконец, сила истинной любви, постоянства и терпенія, взяли свое. На дочери богача Мирзоева женился молодой, красивый Аргутинскій. Маргарита, дочь Колюбякиной, выходит за Накашидзе; дочь Вахтанга Орбел: первый раз и очень красиво появилась на бале у В: К[¶]. Она очень хороша.

Здесь находится знаменитый Айвазовскій, который успел нарисовать множество больших картин, изображающих виды Кавказа; из них, в особенности, великолепны Гуниб, Чечня и два вида из Карабаевских высот. Эрмитаж ничего подобного не заключает в себе: Эти картины появятся осенью на выставке в Петербурге. Это - волшебство! Видишь, видишь, и всё хочется смотреть.

В конце марта пріезжает сюда В: К: Николай Николаевич.

Железная дорога проведется к Владикавказу из Ростова; есть надежда, что через два года я пріеду к тебе в Москву, выпью чашку чаю и опять назад, и таким образом, каждый месяц, могу пріезжать к тебе свизитом на чашку чаю. Ведь это – чародейство, Караманіани. – В этом положеніи осталось это письмо до сегодня.

Распечатывая твоё последнее письмо, из него выпала картина; смотрю, твой портрет! Я был поражен прекрасным лицом, его молодостью, его свежестью; в изумлениі вскрыл, Варинька, что за странное желаніе рисоваться такою красивою? Вошла Софія Мирская. Посмотри Софія, разве Варинька могла так помолодеть, так похорошеть? Признаюсь, в ту минуту досада овладевала мной, смотря на белое платье, на прическу

последнейшой моды, ноболее всего возмущало меня твое желаніе казаться моложе. Софія отвечала, да это может быть портрет ея сестры? И в самом деле, когда я прочел письмо, оказалось, что портрет был твоей сестры Олиньки. – Можешь представить, сколько насмешек посыпались на мою голову за мое безразсудство! - Прости моему безумію Матушка! Но, какое поразительное сходство, покрайней мере здесь нам всем так кажется. И какое прекрасное лицо!! Вот, она то и есть дочь большаго дома! Душевно благодарю ей за ту радость, которую умела доставить мне присылкой своего портрета. Ах, еслибы она была здесь! Да разве нельзя Николинке пріехать сюда с женой и сней? Право, Грузія стоит того, чтобы взглянуть на нее!

О Катковском училище небудем более говорить, вполне соглашаясь с твоим мненіем. И в самом деле, Москов: Универ: пользуется заслуженной славой. Результа ты его очевидны; зачемже искать неизвестное, когда известное так верно? А теперь дальнейшее решеніе этого вопроса и самыя наши надежды, зависят только от Георгія, который, я убежден, я верю, окончит сполным успехом Универ: курс, и тогда в его воле, для специальной полноты, слушать в одном из Европейс: Универ: лекціи о тех предметах, которые, по призванію, по влеченню внутреннему, близки к сердцу. Путешествіе после Университета необходимо, обязательно, конечно с целью дополнить, докончить свое научное воспитаніе.

Целую Георгія и прошу его продолжать писать ко мне. – Аккуратно ли получаешь из Московс: Казначейства Пенсію? – С прискорбіем я должен сказать, что здешній Суд, невзирая поданную мне от тебя и Георгія доверенность, отказал мне продажу земли на Острове. А былобы весьма выгодно для нас.

Ея светлости Царевне прошу выразить мое глубокое уваженіе, равно и сестрам вашим.

პარპარე პაგრატიონი-ორგელისაღვი №32 (712)

15^ს მარტს 1869. თბილისით.¹

ჩემო მეგობარო ვარვარა! ძლივს ეხლალა ვახერხებ ვუპა-სუხო შენს რამოდენიმეს წიგნსა. ანგლიჩანის სპლინია, თუ ბაგ-რატიონთა იპოხონდრია, მაგრამ რატომლაც სულ სახვალიოდ ვდებდი მოწერასა შენთან, ვინც წრფელად მიყუარხარ. მართა-ლი იქნები, თუკი საყვედურით მეტყვი - „კარგი სიყუარული კი გცოდნიაო!“ არა და ჩემი გრძნობაც არანაკლებ წრფელია.

ჩაიარა დღესასწაულებმაც, ყველიერმაც და მათთან ერთად ყოველგუარმა ჩოჩქოლმან; დადუმდნენ ზურნა, მუსიკა, თეატრები და მუშტიკრივის ყივილები: ჩუენი პატარა ტაძრის ზარებმა შეგვახსენეს დიდი მარხვის დადგომისა და მასთან ერთად მონანიების შესახებ და ჩუენ მორჩილებით ვაპირებთ მოვისმინოთ იქ ის ლვითიური ჭერშმარიტებანი, რომელნიც ერ-თნილა აბედნიერებენ ადამიანს, მისი გაკეთილშობილებითა და მიახლოებით უფალთან, მაგრამ რომელთაც იშვიათად იხსე-ნებს იგი [ადამიანი], მქროლავი ამაოებისა და წამიერად წარმა-ვალი წუთისოფლის ქარბორბალაში გართული მრავალფეროვ-ნებითა! ყაფლანი, ალექსანდრე, ბაბალე, მანანა, ელენე, სო-ფიო, ტასო გაგარინა, ტასო ოლლობჟიო, კატო ივანოვნა და სხვ: პირველს კვირას ემზადებოლდნენ წმ: საიდუმლოებებთან ზიარებისათვის. ჩვენ, ცოდვილთ, ყველას გვეხალისება ლოც-ვა, მაგრამ ჩუმი ჩურჩული, არცთუ იმდენად შესაფერი დიდ-მარხვისათვის, თვით ეკლესიაშიც არ გვანებებს თავსა.

მართლაც, ყველიერი იყო ძალზედ მხიარული: სპეკ-ტაკლები, საღამოები დ[იდ]: კნ:^{მან}, კნ: ეკატერინე დადიანთან იყო შესანიშნავი. იმ დროისთვის ერთობ დროულად მობრძან-და პრინცი მიურადი² თავისის მშვენიერის სალომეთურთ.³ რა მომხიბებლელი წყვილია! ის [მიურადი] 22 წლისაა, იგი [სალო-მე] 20^ს, მშვენიერნი, ახალგაზრდანი, შეყვარებულნი. მათთან ერთად ჩამოვიდა ლორდი ვენსიტერი,⁴ წითური, გრძელფეხე-

ბა, მაგრამ ძალზედ სასიამოვნო ახალგაზრდა კაცი. ისინი ცხოვრობენ მანანას სახლში და ამასწინათ მათ ყველამ და მთელმა ჩუქუმა ნათესაობამ ვისადილეთ ჩემთან. სადღეგრძელოები იყო ძალზედ მხიარული და ხმაურიანი; არც შენ დაგვვიწყებიხარ გიორგისთან ერთად. მიურადები მენგრელიაში გაატარებენ ზაფხულს ეკატერინესთან.

აი ცხელ-ცხელი ამბებიც: ისაკ თუმან: ნაბოლარა ქალიშვილი ცოლად გაჰყვა კამსარაკანს. ისაკი 6 წელი ეწინააღმდეგებოდა ამ ქორწინებას, მაგრამ, ბოლოს, ძალამ ჭეშმარიტი სიყუარულისამ, სიმტკიცემ და მოთმინებამ თავისი გაიტანა. მდიდარი მირზოევის ქალიშვილზედ დაჰქორწინდა ახალგაზრდა, ლამაზი არღუთინსკი. მარგარიტა, კოლუბაკინის ქალიშვილი, მიჰყვება ნაკაშიძეს; ვახტანგ ორბელ: ქალიშვილი პირველად და ძალზედ ლამაზად გამოჩნდა მეჯლისზედ დიდ]: კნ:^{თან}. ის ძალზედ მომხიბვლელია.

აქ იმყოფება სახელვანი აივაზოვსკი, რომელმაც მოასწრო დაეხატა მრავალი დიდი სურათი, კავკასიის ხედებს რომ გამოსახავენ; მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა ღუნიბი, ჩაჩანი და ორი ხედი ყარანაის მაღლობებიდამ. ერმიტაჟი არა ჰავალის არაფერს მსგავსსა. ეს სურათები შემოდგომით გამოჩნდებიან პეტერბურლში გამოფენაზე. ეს ჯადოქრობაა! უმზერ, უმზერ და მაინც გინდა, უმზირო.

მარტის ბოლოს აქ ჩამოდის დიდი]: კნ: ნიკოლაი ნიკოლაევიჩი.

რკინიგზა როსტოვიდამ წავა ვლადიკავკაზისაკენ; არის იმედი, რომ ორი წლის მერე მე ჩამოვალ შენთან მოსაკვეს, დავლევ ჩაის და ისევ დავბრუნდები და, ამგუარად, ყოველს თვეს შემიძლია ჩამოვიდე შენთან ვიზიტით ფინჯან ჩაიზედ. ეს ხომ ჯადოქრობაა, ყარამანიანი. ესრე დარჩა ეს წერილი დღევანდლამდინ.

შენს ბოლო წერილს რომ ვხსნიდი, იქიდამ გადმოვარდა სურათი; ვუყურებ, შენი პორტრეტია! გამაოგნა ულამაზესმან სახემან თავისი სიჭაბუკითა, თავისი სინორჩითა; გაო-

ცებულმან შევძახე, ვარვარა, რა უცნაური ჟინია, დაიხატო ესრეთს ლამაზმანად? შემობრძანდა სოფიო მირსკაია. შეხე-დე, სოფიო, განა ვარენკას შეეძლო აგრე გაახალგაზრდავება, აგრე გაკარგება? გამოგიტყდები, იმ წუთას ჭმუნვამ შემიპ-ყრო, თეთრ კაბას რომ ვუყურებდი, ყველაზე ბოლო მოდის ვარცხნილობას, მაგრამ ყველაზე მეტად მაშფოთებდა შენი სურვილი, ახალგაზრდა გამოჩენილიყავ. სოფიომ მიპასუხა, ხომ შეიძლება ეს მისი დის პორტრეტი იყოს? და, მართლაც, როცა წერილი წავიკითხე, აღმოჩნდა, რომ პორტრეტი იყო შენი დის ოლინკასი. შეგიძლია წარმოიდგინო, რამდენი ქილი-კი დამატყდა თავს ჩემი უგუნურებისათვის! მაპატიე ჩემი სი-გიუე, დედილო! მაგრამ რა განსაცვიფრებელი მსგავსებაა, ყოველ შემთხვევაში, აქ ჩუენ ყველას აგრე გვეჩვენება. და რა მშვენიერი სახეა!! აი, სწორედ ეს არის სასახლის ასული! გუ-ლითა ვმადლობ მას იმ სიხარულისათვის, რომელიც შეძლო მოენიჭებინა ჩემთვის თავისი პორტრეტის გამოგზავნითა. აჲ, აქ რომ ყოფილიყო! ნუთუ არ შეიძლება ნიკოლინკა ჩამოვი-დეს აქ მეუღლესთან და მასთან ერთად? მართლაც, საქარ-თველო ღირს იმად, რომ კაცმა შეხედოს მას.

კატკოვის სასწავლებელზედ მეტს ნულარ ვილაპარა-კებთ, სრულად ვეთანხმები შენს ჰაზრს. და, მართლაც, მოსკოვი: უნივერს: სარგებლობს დამსახურებულის სახელით. მისი რეზულ-ტატები თვალსაჩინოა; რისთვისღა ვეძიოთ უცნობი, ოდეს ცნო-ბილი აგრე საიმედოა? ან კი ამ საკითხის სამომავლო გადაწყვე-ტა და თავად ჩუენი იმედები დამოკიდებულია მხოლოდ გიორ-გიზედ, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მჯერა, სრული წარმა-ტებით დაამთავრებს უნივერს: კურსს და მაშინ მისი ნებაა, სპე-ციალობის შესავსებად, მოისმინოს ერთ-ერთ ევროპ: უნივერს: ლექციები იმ საგნებში, რომლებიც მოწოდებით, შინაგანის მის-წრაფებით ახლოს არის [მის] გულთან. მოგზაურობა უნივერსი-ტეტის შემდეგ გარდუვალია, აუცილებელია, რა თქმა უნდა, თა-ვისი მეცნიერული განათლების შესავსებად, დასასრულებლად.

ვკოცნი გიორგის და ვთხოვ, განაგრძოს მიმოწერა

ჩემთან. აკურატულად თუ იღებ მოსკოვ: ხაზინიდამ პენსიას? წუხილით უნდა გითხრა, რომ აქაურმა სასამართლომ, მიუხედავად შენი და გიორგის მიერ მოცემული მინდობილობისა, უარი მითხრა კუნძულის მინის გაყიდვაზე. არადა ერთობ სარგებლიანი იქნებოდა ჩუენთვის.

გთხოვ, ჩემი ლრმა პატივისცემა გამოუხატო მის ბრნყინვალება ცარევნას, აგრეთვე თქუენს დებსა.

კვატერინე კარცოვასადმი №1 (713)

15 Марта 1869 в Петербург.¹

Екатерине Николаевне Карцовой.²

Пишу к вам, а в сердце стучит упрёк! Как я мог до сих пор не отвечать вам на ваше любезное письмо, вам к которой чувство моей преданности так истинно? Болезнь, сплин Англичанина, ипохондрія Багратіонов, не имеют здесь места. Мне нужно ваше прощенье, яко я есмь человек міра сего, человек со слабостями, и, всякое оправданіе мое была бы неправда. Прошу неодного только прощенья, но и вашего вниманія к болтовне о Тифлисе, котораго вы так любите.

Прошла шумная масленица и снег светлые, теплые дни; затихли Театры, Зурна, крыки кулачного боя и Спектакли во Дворце; Великий Пост нахмуренно вступил в свои права, повелительно требуя смиренія, раскаянія, признаніе в грехах, в растрате духовных сил в суете мирской; и бью себя крепко кулаком в грудь, чувствуя там кое что несовсем ловкое; но эти удары исправятли будущем? Ох, это будущее: оно многим колит глаза; но, не об этом хотел я сказать.

Здесь зимует Принц Мюрад с своею красивой женой Саломе; она не только Принцесса, но и Царица Грациозности. Сними вместе приехал и Лорд Венситер, рыжий, с длинною рыжею бородой, на высоких ногах, но очень прятный молодой человек. Мюрад очень красив и очень молод, но развит неполетам. Здесь же проводит зиму бывшая владетельница Мингрелии Кн: Дадiani и все они поместились в доме К: Мананы.

Думаю, что вы уже знаете о свадьбе Ольги Опочининой с офицером Генераль: Штаба Томич. Юлия Орловская вышла за судью Гарбовского; Мирзоев выдал свою дочь за К^з Аргутинского, свадьба была на весь мир; наконец и дочь К^з Исака за Камсаракана Исак возставал 6 лет против этой свадьбы, но сила постоянства скорбящих от любви сердец победила силу сурового отца. Накашидзе уехал в Дагестан на службу по народному управлению и, подороге, в Баку, между прочим обвенчается на Мариките и медовый их месяц пройдет на поэтических горах Хунзаха. Таким образом, и этот затянувшийся вопрос окончиться соединением нежных сердец. Совсем иначе решился вопрос бедных Кандийцев!

В здешнем цветнике красот, где еще так недавно ярко сияли Попоригупуло и Джомардизева, теперь, увы, оне, мало по малу, затмениятся появлением горделиво-красиваго лица Дочери Вахтанга Орбелiani и двух милых Княжень Мухранских. Так, в свете всему свое время, своя очередь! Одне входят с сиянием юной радости, другія выходят с разбитым сердцем, разочарованны жизнью, поздно постигнув превратность обманчиваго мира.

29 марта

Письмо это осталось до сегодня, но я продолжаю:

Что за талант и что за человек, Айвазовский! Он нарисовал множество картин, из них Гуниб, два вида с Карабаевских высот, Алахан Юрт в Чечне, Даряльское ущелье, Сухум, Тифлис, завал в горах, изящны, чудесны! Что завораживающая сила заключена в них! Смотришь, смотришь, и всё еще хочется видеть. Осеню, на выставке в Петербурге, вы будете любоваться ими. Именно этих картин и недостает в Эрмитаже; Желательно, чтоб все они, нераздробляясь, составили там одно отделение Кавказских видов. Айвазовский желает видеть и Арарат, и Кахетию, но в тоже время торопиться и в Крым. Я ему советую выбрать Кахетию, а его тянет более Арарат; но едвали ему удастся видеть Библейскую Гору Кавказа: горы, в это время, редко открываются из облаков. А будет жаль, если для Алазанской долины у него не будет времени, а Арарат будет так неучтив к знаменитому художнику, что не захочет снять с себя туманное покрывало.

26^{го} Марта въехал в Тифлис В: К: Николай торжественно приветствуемый жителями. Он доехал из Петербурга до Орпира, не садясь в экипаж. Каково? Так, теперь с каждым годом Петербург становится ближе и ближе к нам, и вот, вот, скоро, по милости Полякова, который уже распорядился произвести изыскание для проведения железной дороги от Ростова к Моздоку, я приеду к вам на чашку чаю, как будто в Коджоры. По этому случаю, наши офицеры путей сообщения, Статковский, Бентковский и др.; подняли любопытную полемику о возможности проложения пути через горы к Тифлису. Герсеванов же указывает надругую сторону Кавказа, т: е: на направление пути из Моздока через Петровское в Баку, как наиболее выгоднее и по легкости производства работ, и по самой дешевизне. Но, какбы там ни было, а скоро протяну я руку и буду стучаться вдверь вашего дома в Петербурге.

Свечин здаёт Дивизию Тергумасову и едет в Россію;

Минквиц всѣ болеет и таким образом круг моих старых товарищѣй более и более редеет. Грустно! –

Газеты провозгласили прискорбную вѣсть о Универ: беспорядках. Что делать, куда отдавать детей навоспитаніе? Это сделался здесь общим вопросом для всех. Сын Вахтанга Орбел: возвращается домой вследствіе этой грустной исторіи. Я знаю этого мальчика: он был тих, кроток, робок до боязливости и при том сблестящими способностями, а между тем в числе других Депутатов и он был выбран студентами. Кто теперь поверит, что он один из скромных молодых людей? Возвращеніе его домой, некончивши курса, не означаетли того, что вся его будущность погибла? Можете понять страданіе его родителей!

До сих пор не видим весны; погода дождливо-холодная, и новопріезжіе часто ненаходят разницы между Петербургским и Тифлисским климатом; неверят, что здесь, в это время, бывает и тепло, и светло, и так невыразимо пріятно душе!

В: К: Николай наднях поедет на Царскіе Колодцы для осмотра Нижегород: Др: Полка; вообще он останется здесь, кажется, до 25 Апр: и на обратном пути во Владикавказе осмотрит Конно-Дагест: Полк, который очень хорош.

Как поживает мой дорогой, искренно мною уважаемый Александр Петрович? Родной свой Край возстановилли вполне здоровье его? Целую ваших детей.

Будьте счастливы и иногда вспоминайте о истинно-преданном вам человеке.

ეკატერინე კარცოვასადმი №1 (713)

15 მარტი 1869 პეტერბურღს.¹

ეკატერინე ნიკოლაევნა კარცოვას.²

გწერთ, გულში კი თავს ვიტუქსავ! როგორ შემეძლო აქამომდინ არ მეპასუხა თქუენთვის თქუენს თავაზიანს წერილ-ზედ, თქუენთვის, ვისდამიც აგრერიგად ჭეშმარიტია გრძნობა ჩემი ერთგულებისა. არაფერ შუაშია ავადმყოფობა, ანგლიჩანის დალვრემილობა, ბაგრატიონთა იპოხონდრია, თქუენი პატიება მჭირდება, რამეთუ კაცი ვარ ამა სოფლისა, კაცი სისუსტეებით, და ჩემი ყოველნაირი თავის მართლება იქნებოდა ყალბი. ვითხოვ არა მხოლოდ პატიებას, არამედ თქუენს ყურადღებასაც ლაყბობისათვის თბილისზედ, რომელიც აგრერი-გად გიყუართ.

ჩაიარა ხმაურიანმა ყველიერმა და მასთან ერთად ნათელმა, თბილმა დღეებმა; დადუმდნენ თეატრები, ზურნა, მუშტიკირივის ყივილები და სპეკტაკლები სასახლეში; დიდი მარხვა მოღუშული შევიდა ძალაში, მბრძანებლურად ითხოვს მოთმინებას, ალსარებას, ცოდვათა აღიარებას სულიერი ძალების ფლანგვისათვის წუთისოფლის ამაოებაში; და მკერდში ძალუმად ვიცემ მუშტის იმად, რომ რასმე საჩოთიროსა ვჰვრდნობ იქა; მაგრამ ეს მუშტის ცემა განა გამომასწორებს სამომავლოდა? ოჟ, ეს მომავალი: ის ბევრს ესობა თვალში ეყლადა; მაგრამ ამაზედ არა მნადდა უბნობა.

აქ იზამთრებს პრინცი მიურადი თავისი ლამაზის ცოლის, სალომეს თანხლებითა; ის მხოლოდ პრინცესა კი არ არის, არამედ დედოფალიცაა გრაციისა. მათთან ერთად ჩამოვიდა ლორდი ვენსიტერიც, წითური, გრძელი წითური წვერით, გრძელი ფეხებით, მაგრამ ფრიად სასიამოვნო კაცი. მიურადი ძალზედ მოხდენილი და ძალზედ ახალგაზრდაა, მაგრამ წლებთან შედარებით მეტად განვითარებული. აქვე იზამ-

თორებს მენეგრელიის ყოფილი მფლობელი კნ: დადიანი და ყველანი განთავსდნენ კნ: მანანას სახლში.

ვჰვონებ უკვე იცით ოლღა ოპოჩინინასა და ლენერალ: შტაბის აფიცრის, ტომიჩის ქორნინების შესახებ. იულია ორლოვსკაია გაჰყვა მოსამართლე გარბოვსკის; მირზოევმა თავისი ქალიშვილი გააყოლა კნ^ს არლუთინსკისა; ქორნილი პქონდათ საქვეყნო; ბოლოს კი ისაკის ქალიშვილი – კამსარაკანს. ისაკი 6 წელი ენინაალმდეებოდა ამ ქორნინებას, მაგრამ სიყუარულით დაკოდილ გულთა მარადიულმა ძალამ სძლია მკაცრი მამის ძალასა. ნაკაშიძე გაემგზავრა დაღისტანს სახალხო მმართველობაში სამსახურებლად და გზად, ბაქოში, სხუათაშორის ჯვარი დაიწერა მარიკიტაზედ და მათი თაფლობის თვე გაივლის ხუნძახის პოეტურს მთებში. ამგუარად, ეს გაჭიანურებული საკითხი დასრულდა ნაზის გულების შეერთებითა. სულ სხვაგუარად გადაწყდა საკითხი საბრალო კანდიშჩევებისა.

ლამაზმანთა აქაურ საბალნაროში, სადაც სულ ახლასანს კაშკაშებდნენ პიპორილობულო და ჯომარდიზევა, ან, ვაგლახ, ისინი ნელინელ იჩრდილებიან ვახტანგ ორბელიანის ქალიშვილისა და ორი საყუარელი კნეინა მუხრანსკების ამპარტავანი, მომხიბვლელი სახეებითა. ესრეთ, საზოგადოებაში ყველაფერს თავისი უამი აქვს, თავისი რიგი! ერთნი შემოდიან ყმანვილურის სიხარულის ბრწყინვალებით, სხუანი გადიან დამსხვრეულის გულებითა, ცხოვრებით იმედგაცრუებულნი, გვიან რომ სცნეს ცრუ წუთისოფლის უკულმართობა.

29 მარტი

ეს წერილი დღევანდლამდინ შემომრჩა, მაგრამ მე ვაგრძელებ:

რა ტალანტი და რა ადამიანია აივაზოვსკი! აუარება სურათი დახატა, მათგან ღუნიბი, ორი ხედი ყარანაის მაღლობებიდამ, ალახან იურტი ჩაჩანში, დარიალის ხეობა, სუხუ-

მი, თბილისი, ბრწყინვალეა ნაზღვევი მთაში, საოცარი. რა ჯადოსნური ძალაა მათში დაუნჯებული! უმზერ, უმზერ და მაინც გინდა უმზირო. შემოდგომაზე პეტერბურლის გამოფენაზედ თქუენ დასტკბებით მათით. სწორედ ეს ნახატები აკლია ერმიტაჟსა. სასურველია, რომ ყველა ერთად ერთს განყოფილებას შეადგენდეს კავკასიის ხედებისას. აივაზოვსკის ჰესურს იხილოს არარატიცა, კახეთიცა, მაგრამ ამავე დროს ეშურება ყირიმსაც. მე მას ვურჩევ, აირჩიოს კახეთი, თუმცა არარატი უფრო იზიდავს; მაგრამ სათუოა, შესძლოს კავკასიის ბიბლიური მთის ნახვა: ამ დროს მთანი იშვიათად ჩნდებიან ნისლებიდამ. დასანანი კი იქნება, თუკი ალაზნის ველისთვის დრო ვერ გამონახა, ხოლო არარატი აგრერიგად არათავაზიანი იქნება სახელოვანი მხატვრისადმი, თუკი არ მოინდომებს ჩამოიხსნას ჩადრი ნისლისა.

26^ს მარტს თბილისს შემობრძანდა დ[იდი]: კნ: ნიკოლაი ხალხის საზეიმო დახვედრითა. ის ეკიპაჟში ჩაუჯდომლად ჩამოვიდა პეტერბურლიდამ ორპირამდე. როგორია? აგრე, ან ყოველწლიურად სულ უფრო გვიახლოვდება პეტერბურლი და, აი, მალე, პოლიაკოვის წყალობით, რომელმაც უკვე გასცა მითითებანი ჩატარდეს მოკვლევა რკინიგზის გასაყვანად როსტოკივიდამ მოზდოკისკენ, მე ფინჯან ჩაიზედ ჩამოვალ თქუენთან, ვითარცა კოჯორსა. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით სამიმოსვლო გზების ჩუენმა აფიცრებმა – სტატკოვსკიმ, ბერტკოვსკიმ და სხვ: გაპმართეს საინტერესო პოლემიკა გზის გაყვანაზედ მთებზე გავლით თბილისისკენა. გარსევანოვი კი მიუთითებს კავკასიის სხუა მხარეზე, ანუ: გზის მიმართულებაზე ბაქოსკენ მოზდოკიდამ პეტროვსკას გავლით, როგორც ყველაზე მომგებიანზედ სამუშაოების შესრულების მხრივაც და სიიაფის გამოცა. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, მალე ხელით გადმოგწვდებით და მოგიკაკუნებთ პეტერბურლის სახლის კარზედა.

სვერინი დივიზიას აპარებს ტერლუგასოვს და მიემ-გზავრება რუსეთს; მინკვიცი სულ ავადობს და, ამგუარად,

ჩემი ძველი მეგობრების წრე სულ უფრო და უფრო მცირდება. რა ცუდია!

გაზეთებმა გვაუწყეს სამწუხარო ამბავი უნივერ: არეულობებზედ. რაღა ვქნათ, სად შევიყვანოთ შვილები აღსაზრდელად? ეს გახდა აქ საერთო საკითხი ყველასათვის. ამ საწყენი ამბის გამო ვახტანგ ორბელ: ვაჟი შინა ჰპიტონი, გაუბედავი და, ამასთანავე, შესანიშნავი ნიჭის მქონე, ამავე დროს, სხუა დეპუტატთა შორის ისიც იყო არჩეული სტუდენტების მიერ. ან ვინ დაიჯერებს, რომ ის ერთი თავმდაბალ ჭაბუკთაგანია? მისი შინ დაბრუნება კურსის დაუმთავრებლად ხომ არ ნიშნავს, რომ მისი მომავალი დასამარდა? მიხვდებით მისი მშობლების ტანჯვასა!

აქამომდინ არ გვინახავს გაზაფხული; ამინდი წვიმიანია, ცივი და ახლად ჩამოსულები ხშირად ვერცა ჰპოულობენ სხვაობას პეტერბურლისა და თბილისის კლიმატებს შორის; არა სჯერათ, რომ აქ ამ დროს სითბოა ხოლმე, სინათლე და ერთობ აღუწერლად ჰხარობს გული!

დ[იდი]: კნ: ნიკოლაი ამ დღეებში გაემგზავრება ცარსკი კოლოდცებზედ ნიუეგოროდ: დრ: პოლკის მოსანახულებლად; საერთოდ ის აქ რჩება, ვჰევნებ, 25 აპრ: და უკან დაბრუნებისას ვლადიკავკაზში დაათვალიერებს დაღესტ. ცხენ: პოლკს, რომელიც ძალზედ კარგია.

როგორ არის ჩემი ძვირფასი, გულწრფელად პატივცემული ალექსანდრე პეტროვიჩი? მისმან მშობლიურმან მხარემ სრულად აღუდგინა კი ჯანმრთელობა? ვკოცნი თქუენს შვილებსა.

იყავით ბედნიერნი და ხანდახან გაიხსენეთ თქუენი ჭეშმარიტად ერთგული ადამიანი.

ალექსანდრი ნიკოლაისადმი №12 (714)

1 Мая 1869.

Барону Алек: Павловичу Николай¹

Программа сегодняшняго Пикника² состоит изобеда в 4^е часа с музыкой и зурной, послеобеденного Кейфа, лёгких танцев, и, наконец чая у калитки старых стен старой крепости, имея пред собой Картинный вид Тифлиса, и вдали рисующиеся вершины Кавказа.

Это наслаждение продолжится до 8^и часа, и потом возвращаемся восвояси.

ალექსანდრი ნიკოლაისადმი №12 (714)

1 მაისი 1869.

ბარონ ალექ: პავლოვიჩ ნიკოლაის¹

დღევანდელი პიკნიკის² პროგრამა შედგება სადილისა-გან 4^ხ საათზედ მუზიკითა და ზურნითა, სადილის შემდგომი ქეიფით, მსუბუქის ტანცებითა და, ბოლოს, ჩაით ბებერი ციხესიმაგრის ხანდაზმული კედლების ჭიშკართან, სურათივით გადამლილ თბილისსა და კავკასიონის მწვერვალებს რომ გადაჰყურებს შორით.

ეს ტკბობა გასტანს 8 საათამდინ და მერმე გავსწევთ შინისკენა.

პარტარე პაგრაფითობი-მრჩევიანისაღვი №33 (715)

12^{го} Мая 1869 Тифлис¹

Мой друг Варвара! Жду, жду обещанного мне тобой Портрета твоего и недождался! Видно, ты забыла отом, что писала ко мне в последнем письме; а между тем, месяцы уходят. А ты знаешь, что каждый месяц, каждый день, уносит же чтонибудь лучшее из твоей грации! Для тебя же я советую поторопиться к фотографу, пока еще не все потеряла, пока в тебе еще остается из всего прежнего чтонибудь лучшее. Я хочу, чтобы твой Портрет напоминал мне мою Варинку, прежнюю, гибкую, грациозно-стройную, с глазами, полными ума и прелести! Видишь, я советую в интересах же твоего женского самолюбия! Поторопись же прислать мне твой Портрет вместе с Георгием.

Жары настали; Их Высо:^{въ} уже выехали 15 Мая в Боржом; оттуда, кажется, в Іюле поедут в Крым, потом в Петербург, где Великая Княз^ъ останется назиму – თბეულად არის და იქ დაწვება მშობიერად. – Еще ранее Их, Екатерина Дадiani и Миорад отправились на лето в Мингрелию; Тасо Гагарина поплыла в Крым; Витгенштейны на Рейн; Сегодня Варвара Тамамшева, царица Коджорская, выехала в Петербург и за границу и, наконец даже Лиза Мухранская решилась оставить Тифлис и переехать в Диоми. В сию минуту простился сомнай Султан Данійль Бек Элисуйский; он совсем переселяется в Турцию. Странная судьба этого человека! Бабале Сагинова переходит в Коды, если болезнь нездержит ее в Тифлисе; я также сперва в Коды, потом еду в первый раз в Амамло, где предполагается межевание нашего имения.

Все твои родные здоровы. Что за приличные дети у Мирских, и по уму, и по красоте, и по доброте души! Я очень

люблю их.

На днях пріехали сюда, особенно отличившіеся в беспорядках Петер: Университета, сыновья Вахтанга Орбел: и Кипіани. Я еще не видел их, и признаюсь, очень сердитый; но, всѣтаки, нельзя не жалеть о их молодости, о той преграде дальнейшаго образованія их, которая так страшно отзовѣтся на их будущность. Будем стараться, чтоб, современем, был смягчён строгий приговор справедливаго Универ:^{го} Суда, и для тех, о которых ты писала, и которых я еще невидел, всё возможное с моей стороны будет сделано.

Георгія целую в голову и поручаю вас покровительству Всевышняго!

პარპარი პაგრატიონი-მრგვალიანისაღვი №33 (715)

12^ს მაისს 1869 თბილისით¹

ჩემო მეგობარო ვარვარა! ველი, ველი შენს დაპირებულს პორტრეტსა და ველარ ველირსე! სჩანს, დაგავიწყდა, რაც მოიწერე ბოლო ნიგნში; ხოლო ამასობაში გარბიან თვენი. უწყი კი, რომ ყოველს თვეს, ყოველს დღეს მიაქვს რაღაცა საუკეთესო შენი გრაციიდანა! შენთვისე გირჩევ იჩქარო ჭოტოლრაჭთან, მანამ არ დაგიკარგავს ყოველივე, მანამ რჩება შენში კიდევ, რაც რამ კარგი შეგრჩენია. მე მსურს, რომ შენი პორტრეტი მახსენებდეს ჩემს ვარინკას, უწინდელს, მოქნილს, გრაციოზულს, ტანკენარს, გონიერებითა და მშვენიერებით სავსე თვალებითა! ჰედავ, შენსავე ქალური თავმოყვარეობის გამო გაძლევ რჩევასა! მაშ, იჩქარე, გამომიგზავნო შენი პორტრეტი გიორგისთან ერთადა.

სიცხეები დადგა; მათი უდიდეს უკვე გაემგზავრნენ ბორჯომს 15 მაისს; იქიდამ, ვჰვონებ, ივლისში წაბრძანდებიან ყირიმს, მერმე პეტერბურდს, სადაც დიდი კნა დარჩება ზამ-

თრამდინ – ორსულად არის და იქ დაწვება მშობიარედ. მანამდე ეკატერინე დადიანი და მიურადი მენგრელიას გაემ-გზავრნენ საზაფხულოდ; ტასო გაგარინამ გასცურა ყირიმსა; ვიტგენშტეინებმა რეინს; დღეს ბარბარე თამამშევა, კოჯრის დედოფალი, გაემგზავრა პეტერბურლს და სამზღვარსგარე და, ბოლოს, ლიზა მუხრანსკიმაც კი გადასწყვიტა დაეტოვებინა თბილისი და გადასულიყო დილომსა. ამ წუთას დამემ-შვიდობა სულთანი დანიოლ ბეგ ელისუისკი; ის სამუდამოდ გადასახლდება თურქეთს. უცნაური ბედის კაცია! ბაბალე საგინოვა გადადის კოდას, თუკი ავადმყოფობა არ შეაყოვნებს მას თბილისში; მეც ჯერ კოდას, მერმე კი პირველად მივდივარ ამამლოს, სადაც გათვალისწინებულია ჩუენი მამულის მოსაზღვრა.

ყველა შენი ნათესავი ჯანმრთელად არის. რა მშვენიერი შვილები ჰყავთ მირსკებს გონითაც, სილამაზითაც, გულ-კეთილობითაც! ძალზედ მიყვარან ისინი.

ამ დღებში აქ ჩამოვიდნენ პეტერბურლის უნივერსიტეტის არეულობებში განსაკუთრებულად გამორჩეული ვაჟები ვახტანგ ორბელ: და ყიფიანისა. მე ჯერ არ მინახავს ისინი და გამოგიტყდები, ძალზედა ვჯავრობ; მაგრამ, მაინც, შეუძლებელია გული არ დაგწყდეს მათს სიჭაბუკეზე, მათი განათლების შეფერხებაზე, რაც აგრე მძიმედ აისახება მათს მომავალზედა. შევეცდებით, დროთა განმავლობაში შემსუბუქდეს უნივერ:^მ სამართლიანი სასამართლოს მკაცრი განაჩენი და მათთვისაც, ვისზედაც შენ მწერდი, ვინც მე ჯერ არ მინახავს, ჩემის მხრიდან გაკეთდება ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია.

გიორგის ვუკოცნი თავსა და უზენაესს ვაბარებ თქუენს მფარველობასა.

პარპარი პაგრატიონი-მრჩელიანისაღვი №34 (716)

4^{го} იЮНЯ 1869. თიფლის.

Мой друг Варвара! Я полагаю, что для тебя самым приятным рассказом в этом письме, по своей занимательности, будет 1000¹ руб., которые присылаю к тебе из процентов Георгія. – Здесь неследовало бы ничего прибавлять, но, только для разнообразія, говорю, что наднях обвенчается Како с Захаріем Чавчавадзе, который уже² прискакал через Тифлис в Цинандал. Целую Георгія. -

პარპარი პაგრატიონი-მრჩელიანისაღვი №34 (716)

4^ბ ივნისს 1869. თბილისით.

ჩემო მეგობარო ვარვარა! ვჰელნებ, შენთვის ყველაზე სასიამო ამბავი ამ წიგნში თავისის წარმტაცობით იქნება 1000¹ რუბ., რომელსაც გიგზავნი გიორგის პროცენტებიდამ. სჯობდა აქ აღარაფერი დამემატებინა, მაგრამ მხოლოდ მრავალფეროვნებისათვის ვამბობ, რომ ამ დღეებში კაკო იწერს ჯუარს ზაქარია ჭავჭავაძეზედ, რომელიც თბილისზე გავლით წინანდალს მიჭენდა უკვე.² ვჰელცნი გიორგისა.

ეკატერინე ჭავჭავაძე-დაღიანისადმი №4 (717)

უგანათლებულესო კნეინავ, ეკატერინა!

წაბჭანდით თბილისიდამ და მე დაგვჰმთი თქუცნ წინაშე პირშავად აქამიმდის წერილის მოურთმევლობისაგამო. სიბერე არის მიზეზი, თუ ბაგრატიონები, რომელთაცა დამანათლეს ცოტაოდენი პოხონდრია და სევდები? მგონია, ორთავე ერთად, შემიპყრეს მე და სირცხვილეულ-მყუეს თქუცნ წინაშე, რომლისადმი თავდადებით ერთგულება, პატივისცემა და ჭეშმარიტი სიყუარული მაინც ისევ ისე შეუცვლელია, ისევ ისე შეურყეველია!

წაბჭანდით, და ვისაცკი შეეძლო გასულა თბილისით, აიშალნენ და წავიდნენ გარეშე საგრილებელს ადგილებში. სასახლე გადვიდა ბორჯომს; მასა შეუდგნენ რებინდერი და ადიუტანტები და იქვე წავიდა კნეინა ტერეზიაცა, მირსკიანნი, აპაჩინინები, ივანოვ[ვ]ები, ტასო აღლობჟიო ავიდნენ კოჯორს; იქვე ბრნყინვალებს ანგელოზებრი სახე პოპორილოპულოს მეუღლისა და არიან იოსებ ყორდანოვის სახლობა და არღუთინსკიანნი; მაგრამ უწინდელი კოჯორის დედუფალი ვარვარა თამამშევისა წავიდა სამზღვარსგარე და მით დაობლდა კოჯორი. – ლიზა მუხრანსკისაც ძლიერ, რისყოფით, გადვიდა დიღომს, დიდად გულ-ჩაკლული ქალაქის მოშორებითა; მანანაც აპირებს ყირიმში წასულას, მაგრამ ჯერ მხოლოდ აპირებს; ელენე და სოფიოცა აპირებენ ტაბახმელას ასულასა, მაგრამ ესენიც არიან¹ ჯერ ისევ პლანებში და დიდს რჩევაში, ხუთშაბათს გავიდნენ, თუ შაბათს? შაბათი ელენეს არ მოსწონს, რადგანაც ურიების დღეა; ხუთშაბათი სოფიოს მიაჩნია ცოდვის დღედ, რადგანაც მას დღეს მაცხოვარი შეიპყრეს ურიათა; კვირა დღესასწაულია; ოთხშაბათი და პარასკევი მარტუა არის; ორშაბათი ყოველმა იცის რა ბაიყუში დღეა; სამშაბათი ჰსსულს ელენესაცა და სოფიოსაცა, მგონია, უმიზეზოდ, და ამ ბაასში ზაფხულიკი მიდის და მიდის ჩუმჩუმად! მეცა ვეღარ გაუძელ ამათ ესრეთს ყოველ-დღე რჩევასა და ბაასსა, და წამოველ კოდას, სადაცა ველი და ველი ჩუცნს ბაბალეს და არიქნა არ მოვიდა, თურმე ესეც ელის და

ელის კაკოსა და ზაქარიას წინანდლიდამ. – აი, რა ძნელი ყოფილა ქალაქიდამ გასულა? და ჩუმნკი ლიზას წუნუნი არ გვესმის, როცა ამბობს „ფი რა სკუკა, დიგო!“

ვიცი, როგორც გენუინებოდათ და შეშფოთდებოდით იმ მიუტევებელის ქცევისაგან, რომელიცა მოახდინა სმიტინმა! სწორედ მოგახსენოთ, არავინ მოელოდა მისგან ესრეთს საძაგელს საქმეს! არა, ვინ ეხვენებოდა, ანუ ვის აგონდებოდა ეგე? თვთვე თავგამოდებით დაინყო და შეუდგა მაგ საქმესა, თვთვე შეადგინა კონტრახტი,² რომლისა ყოველი პუნქტი მიიღეთ თქუმში შეუცვლელად, და ბოლოს თვთონვე უარჲყო და უკუსდგა უმიზეზოდ! – ამაზე დიდი ლაპარაკი და კიცხუა დაინყო აქაურმა საზოგადოებამ, ასე რომ სმიტინმა ვეღარ გაჰსძლო აქა და გაეშურა სამზღვარსგარე დროებით. მე და ბარონსაც გუქონდა ამაზე ლაპარაკი და ორნივე დავჭრით გაოცებულნი! ნეტავი, მცირე რამე მიზეზი მაინც ყოფილ-იყო თქუმშის მხრით? ეს არც მმართებლობისათვის არის კარგი: საზოგადოება გულ-დაჯერებულია, რომ სმიტინსა დაუშალეს მმართებლობის მხრით ამ საქმის მიღება! რა საკურველია, უსაფუძვლო და უგუნური ჰაზრი არის ესა, მაგრამ საზოგადოებაკი ასეა გულ-დაჯერებული და! ეს ლაპარაკი და ეს უსაფუძვლო ხმები უფრო ანუხებს ბარონსა. – მახლაზ, არავის ეგონა, რომ სმიტინი მოიქცეოდა ასე უპატიოსნობით! და რაღა გაეწყობა? მრავალი ამგუარი რამ უსამართლოება და უჯინშობა³ კაცისა გინახავთ; ახლა უნდა გული დაიმშვიდოთ და ჰსტექათ ძუელადვე ნათესამი „ესეც იქ იყოს“ და დააწყოთ ახალი პლანი, და იპოვოთ ახალი კაცი დასაბოლოებლად ამასა საქმისა. მტერობამ და უსამართლოებამ რაც უნდა ღრუბელი მიაფარონ, სიმართლე მით არ დაიმალება და გამობრწყინდება ნათელი მისი! ასეა ღ~თისაგან⁴ დადგენილი და შეურყეველი ძალი სიმართლისა.

27 ივნისს.⁵

ამის წერა დავიწყე კოდაზე და ვათავებ თბილისში, სადაცა მოულოდნელად მომიხდა ჩამოსვლა: ჩემს რძალს ქეთევანს მოუკუდა მოხუცებული დედა და მოველ მე, რათა, მოველეობისაგამო ჩემისა, ნუგეშვპლე შეწუხებულსა. – დღეს იყო

წირვა ანჩისხატში, სადაცა ჰეგალობდენ ქართულად და სწორედ მოგახსენო, დიდად მიამა. იფიქრეთ, საქართველოში გვიკირს ქართული გალობა! – გევედრებით, ნუ გააქრობთ ქართულს გალობას თქუცის ქუცყანაში, სადაცა ათასს წელიწადს ისმენდა ერი თავის ენაზე თავის გალობას!

იყო აქა რამდენიმე დღე ბუტკოვი; მაგრამ მე ვეღარ მოუსწარ, წასულიყო ყირიმს. ეს ორი კვირა არის მოუწყვეტლივ ჰესწვიმს, ჰესჭექს და ცივა, ასე რომ 14 გრადუსამდის ჩამოვიდა სითბო. არ ვარგა ესრეთი უდროოდ ცვლილება ჰაერისა. ზაფხულში⁶ სითბო, ზამთარში სიცივე ზომიერი.

დიდს პლანებში ვართ აქა ქართულის ენის მოყუარენი: ვაბეჭუდინებთ ძუელს ქართულს წიგნებსა, და ვიმედებელობთ, რომ ესრეთს საყოველთაოდ კეთილს საქმეში შეგვეწევით ფულითა თქუცინცა, სალომეცა, ნიკოცა და ანდრიაცა! ქართული წერილი იყო სამასის წლის უწინარეს ქრისტეს დაბადებისა, და თუკი არ განჟერა და მამა-პაპათა ჩუცინთა დაიცუეს იგი დროსა საშინელისა გაოხრებისა, დატყუვებისა, აკლებისა მაჰმადიანთაგან ჩუცინის მამულისა, ეხლა, ჩუცინს მშვიდობიანობის ჟამსა, დიდის მოწყალეს წელმწიფის მფარველობის ქუცშ დაცული, რად უნდა დაეცეს წერილი ჩუცინი? ვის რა დაუშავდება, რომ სხუათა ენათამორის იყოს ჩუცინიცა ცოცხალ?

ახლა, ჩემო მოწყალეო წელმწიფავ, როგორ ბძანდებით, როგორ ატარებთ დროსა თქუცის საგრილებელს გორდსა, ანუ თქუცი, და ანუ თქუცინი საყუარელნი, სასურველნი შვილები და მშვენიერი სიძე-ბატონი? მაგრნდებით რა ერთად მყოფი, გულით მჯერა, რომ მადლი ღ თისა⁸ ტრიალებს თქუცის სახლში, და იყოსმცა მარადის კურთხევა მისი⁹ განუშორებლივ თქუცინზედა, და მეცა ნუ დამივიწყებთ ნუცა ერთი თქუცინთაგანი, და გრნამდესთცა, რომ საცა გინა ვიყო, მაინც ვარ თქუცინი ერთგული გულით, სულით, თავდადებით ერთგული და პატივისმცემელი გრიგოლ ორბელიანი

1^ს ივლისს 1869.

თბილისით.¹⁰

პაპალე თრპელიანი–საგინაშვილისადმი №26 (718)

ჩემო ბაბალე! მოვედით გახარებულნი თბილისში მის ნახვითა; ახრ, ხომ იცი რომ თბილისი სხუა რამ არის? მტვერიც დიდია, სიცხეც ძალიანია, ჰაერიც წამხდარია, მაგრამ მაინც კი-დევ სხუა რამ არის. – აი, ჰყითხე მანდა, თუ გინდ შენს ქმარსა, და აქა, თუ გინდ შენს რძალს ქეთევანსა? ორნივე გეტყვიან „ქა-ლაქი სხუა რამ არის!“

გუშინ ვიყავ სადილად შენს რძალს სოფიოსთან, რომელ-მაცა გამიკეთა შესარიგებელი სადილი, რადგანაც ამისწინად ცოტა კინკლაობა მოგვივიდა. სადილზე შევრიგდით. იყუნენ იქ ჩუტინთანა მეინახენი – დაბადების¹ სიტყუა არის. – იოანე ორბე-ლიანი, რომელსაცა შუბლი აქუს დახორცულიანებული, და კიდევ ელიზბარ ერისთავი 2^o–რომელსაცა თუმცა არა აქუს შუბლზე არავითარიმე ნიშნები, მაგრამ ესეცკი არის მიკნაებული ჩუთ-ყვავილისაგან... –

წუხელის მოვიდა ყაფლან და რეზიკო თავის შვილით. ეტყობა ყაფლანს, რომ რაღაზედაც არის გაბუტებული. ჯერ არ მინახავს, მაგრამ მოაჯირიდამკი დაველაპარაკე და ხმა, თით-ქმის ვაინაჩრობით, ძლივს გამცა. – დღეს მაინცკი ჩემთან არიან სადილად. – ძალუა ელისაბედ დარჩომილა ეკატერინესთან.

ოლლობუიო და სოსიკოც აქ არიან; ბიძია ალექსან-დრეც კარგად არის. –

კამენდანტის ნახვამ დიდად მაამა. – წუხელის იყო კარგი წვიმა, დღეს ქალაქის ქუჩები ატალახდა და ჰაერიც გაგრილდა. – მე ჯერ შინიდამ არსად გავსულვარ. – ალექსან-დრე მომიკითხე.

შენი გრიგოლი

31^ს ივლისს 1869.

[წერილის თავში, ზედა არშიაზე, მინაწერია უკუღმა:]

დაბადება უჩემოდ არ წაიკითხო.

[IV გვერდზე მისამართის ნაწილია გადარჩენილი:]

...[მიუღი]დეს

...[სა]გინოვისას.

აღმისახლი დონდურე კონსალტაციის №1 (719)

Август 11 дня 1869.

Князю Александру Михайловичу Дондукову-Корсакову.¹

Воззрите благосклонно на просьбу человека, пользовавшагося вашим искренним расположением еще в то время, когда на Кавказе кипела ожесточенная война, мы были моложе, и сердца наши были неподдельно раскрыты для добра и пользы отечеству. Быть может, еще не совсем изгладилось из вашей памяти имя К: Гри: Орбеліани, остающагося еще в живых из числа ваших прежних боевых товарищей.

С этим моим письмом будет иметь честь представиться вашему Сият:^{въ} мой племянник, Лейб Казак, К: Реваз Эристов, котораго сын, молодой мальчик, должен поступить для воспитанія в Киевскую Военную Гимназію, вместе с другими из здешних уроженцев. Этот мальчик останется один, в чужом krae, без отца, без матери, без благодетельного наставника, которыйбы руководил его еще невинным сердцем – укреплял в нравственности. К сожалению, мы видим, что наши учебныя заведенія недостаточно развивают нравственную сторону в юных, еще неиспорченных, сердцах. Этот недостаток выказываетя частыми прискорбными беспорядками в Университетах, и влечет засобой самая бедственные последствія для множества молодых людей, которые, однажды дома, были самыми скромными, послушными детьми, как напр.: сын К^ა Вахтанга Орбел;: теперь исключённый из Петербургского Университета. Вся будущность юноши – жить или погибнуть – зависит от того общества, в котором он попадёт.

В этом страхе за будущность мальчика Эристова, я обращаюсь к вам, Князь, с умоляющею просьбой: будьте ему

вторым Проводником, оказывайте ему, по временам, родственное вниманіе, награждайте его несколькими ласковыми словами, чтоб он не упал духом, чтоб он за успехи радовался вашему похвальному слову, а за леность боялся бы ваших упрёков, вашего взгляда, и Господь Бог воздаст вам за это, а жизнь этого мальчика будет принадлежать вам. Я верю, что Судьба² его уже устраивается свыше, посылая его именно в тот край, над которым поставлены начальником вы!

Что вам сказать о Кавказе, где некогда вы были одним из действующих личностей? Выбы неузнали его теперь: по суровому Дагестану проложены изящные шоссейные дороги, по которым экипажи скачут в Хунзах и Гуниб, со скал которого теперь выглядывает красавая штабквартира Линейного Баталіона; непостоянная Чечня занята в потелице земледелем.

Правый фланг от Кубани до Чернаго моря ничто иное, как продолженіе Ставропольской Губерніи. Нигде, ничто в этих местах не напоминает о той великой, вековой борьбе, которая так ещё недавно кипела с ожесточением. Все преданы мирным занятиям мирной страны – без сомненія, ни одна Губернія не плотит податей так исправно, как Дагестан и Чечня! Здесь неизвестно слово недоимка. Теперь настали другія времена, другія потребности, явились новые вопросы и рассказы о кровавой Кавказской войне уже сделались достояніем легенд! - Пройзведено уже изысканіе для проложенія железной дороги от Ростова к Моздоку; непройдут два-три года, как ляжет железная дорога от Моздока чрез Петровское до Баку, и тогда Кавказ примет совершенно иной, обновленный вид. Между тем из Поти к Тифлису кипят дорожные работы, а Кутайс наполняется Англичанами, Немцами, которые заняты пока изученіем края для будущих торговых предприятий. Неужели Русское купечество и теперь непроснется, чтоб удержать в своих руках возможно большую долю здешней торговли? Наконец, наши

инженеры ведут жаркую журнальную полемику о возможности и необходимости провести железную дорогу от Моздока через Владикавказ и Казбег³ в Тифлис. Вот до каких чудес мы дожили!

Их высочества выезжают 15 Августа из Боржома в Крым, откуда в Ноябре поедут в Петербург, где на зиму Великая Князь⁴ останется до весны, а Его Высочество возвратиться в Тифлис.

Признаюсь, Князь, что с большим сожалением оканчиваю это письмо; а сколько воспоминаний..., и оканчиваю потому только, что всё на свете, даже самая радость, имеет конец. Это грустно, но надо покориться неизбежному.

Будьте счастливы, как я вам желаю.

ალექსანდრე დონდუკოვი-კორსაკოვისადმი №1 (719)

აგვისტოს 11 დღესა 1869.

თავადს ალექსანდრე მიხაილოვიჩ დონდუკოვ-კორსაკოვს.¹

წყალობის თვალით შეპხედეთ თხოვნას კაცისას, რომელიც სარგებლობდა თქუენის წრფელის კეთილგანწყობით ჯერ კიდევ მაშინ, ოდეს კავკასიაში ომი ჰქონდა, ჩუენ უფრო ახალგაზრდანი ვიყავით და ჩუენი გულები უნრფესად იყუნენ გადახსნილი სამშობლოსადმი სიკეთისა და სიყუარულისათვის. ეგება ჯერ სრულად არ წაშლილა თქუენის მეხსიერებიდამ სახელი კნ: გრი: ორბელიანისა, ჯერ კიდევ ცოცხალი რომ არის თქუენს უნინდელს მეომარ ამხანაგთა რიცხვიდამ.

ამ ჩემის წიგნით პატივი ექნება წარსდგეს თქუენის ბრძნებაშე ჩემი ძმისწეული, ლეიბ კაზაკ, კნ: რევაზ ერისთავი, რომლისა ვაჟი, ჭაბუკი ბიჭუნა, აღსაზრდელად უნდა შევიდეს კიევის სამხედრო ლიმნაზიაში, სხუა აქაურებთან ერთადა. ეს ბიჭუნა დაპშება მარტოდ უცხო მხარეში, უმამოდ, უდედოდ, კეთილის-

მყოფელი დამრიგებლის გარეშე, ვინც გაწურთნიდა მის ჯერ კი-დევ უმწიკვლო სულს – განამტკიცებდა ზნეოპრივადა. სამწუხა-როდ, ვხედავთ, რომ ჩუქენი სასანავლო დაწესებულებები არასაკ-მარისადა ჰქვენენ სულიერს მხარეს ახალგაზრდა, ჯერაც შეუბ-ლალავ გულებში. ეს ნაკლი ვლინდება ხშირი სავალალო არეუ-ლობების სახით უნივერსიტეტებში და ხდება მიზეზი ყოვლად დამთრგუნველი შედეგებისა მრავალრიცხოვან ახალგაზრდა ადა-მიანთათვის, რომლებიც, თუმცადა სახლში იყუნენ ყველაზე თავ-მდაბალი, დამჯერი ბავშვები, როგორც მაგ: კნ^მ ვახტანგ ორბელ: ვაჟი, ან ჰეტერბურლის უნივერსიტეტიდამ გარიცხული. ჭაბუკის მთელი მომავალი – იცხოვრებს თუ დაიღუპება – დამოკიდებუ-ლია იმ საზოგადოებაზე, რომელშიც ის ჩავარდება.

ერისთოვის ვაჟის მომავალზე შიშით მოგმართავთ თქუენ, კნიაზი, მავედრებელის თხოვნით: იყავით მისი მეორე მეგზური, დროდადრო მიაქციეთ შინაურული ყურადღება, დაასაჩუქრეთ ხოლმე რამოდენიმეს ალერსიანის სიტყუით, რათა არ დაეცეს სულით, რათა უხაროდეს თქუენი საქებარი სიტყუა წარმატებისათვის, ხოლო სიზარმაცისათვის ეშინო-დეს თქუენი საყვედურებისა, თქუენი შემოხედვისა და უფალი ღმერთი მოგიზლავთ ამისათვის, ხოლო ამ ბიჭუნას სიცოც-ხლე იქნება თქუენს ხელთა. მე მჯერა, რომ მისი ბედი² უკვე სწყდება ზეცას, რამეთუ იგზავნება სწორედ იმ მხარეში, რომლის მმართველადაც დანიშნული ხართ თქუენ!

რა მოგახსენოთ კავკასიაზედ, სადაც ერთს დროს თქუენ იყავით ერთ-ერთ მოქმედ პირთაგანი? ან ვეღარ იც-ნობთ მას: პირქუშ დალისტანში გაყვანილია შესანიშნავი შოს-სეს გზები, რომლებითაც ეკიპაჟები დაპქრიან ხუნძახსა და ლუნიბსა, რომლის კლდეებიდამ ლინეინი ბატალიონის ლამა-ზი შტაბკვარტირა იყერება; დაუდგრომელი ჩაჩიანი თავდაუ-ზოგავად ჰშრომობს მიწაზედ.

მარჯვენა ფლანგი ყუბანიდამ შავ ზღუამდინ სხვა არა-ფერია, თუ არა გაგრძელება სტავროპოლის ღუპერნიისა. ამ ადგილებში არსად არაფერი გვახსენებს იმ დიდს, საუკუნის

ბრძოლას, რომელიც სულ ახლახანს ჰქუებდა დაუნდობლად. ყველა ჩაბმულია მშვიდობიანი ქვეყნის მშვიდობიანს საქმიანობაში – უეჭველია, არც ერთი ღუბერნია არ იხდის მოსაკრებელს ეს-რე გამართულად, როგორც დაღისტანი და ჩაჩანი! აქ უცნობია სიტყუა დანაკლისი. ახლა სხუა დროა, სხუა მოთხოვნილებები, გაჩნდა ახალი კითხვები და თხრობანი კავკასიის სისხლიან ომზედ უკვე იქცნენ ლეგენდების საკუთრებად! უკვე ჩატარდა მოკვლევა რკინიგზის გასაყვანად როსტოკიდამ მოზღოვისკენ; ორი-სამი წელიც არ გაივლის, რომ რკინიგზა გაიდება მოზღოვიდამ ბაქომდინ პეტროვსკაზე გავლითა; და მაშინ კავკასია შეიძენს სულ სხუაგუარ, განახლებულს იერსა. ამასობაში გაჩაღდა საგზაო სამუშაოები ფოთიდამ თბილისისკენ, ხოლო ქუთაისი ივსება ანგლიჩანებით, ნემცებით, რომელნიც ჯერ დაკავებულნი არიან მხარის შესწავლით სამომავლო სავაჭრო საქმიანობები-სათვის. ნუთუ რუსული ვაჭრობა ახლაც არ გამოიღვიძებს, რათა შეძლებისდაგუარად აიღოს თავის ხელში დიდი წილი აქაურის ვაჭრობისა? და ბოლოს, ჩუენი ინჟინრები დაკავებულნი არიან ცხარე უურნალისტური პოლემიკით იმის შესაძლებლობაზე და აუცილებლობაზე, მოზღოვიდამ თბილისს რკინიგზა გაიყვანონ ვლადიკავკაზისა და ყაზბეგის³ გავლითა. აი, რა საოცრებებამდის მივედით!

მათი უდიდებულესობანი 15 აგვ: გაემგზავრებიან ბორჯომიდამ ყირიმს, საიდანაც ნოემბერში გაემგზავრებიან პეტერბურლს, სადაც გამოსაზამთრებლად დიდი კნიაჲ დარჩება გაზაფხულამდინ: ხოლო მისი უდიდებულესობა დაპრუნდება თბილისსა.

გამოგიტყდებით, კნიაზო, რომ დიდის სინანულით ვასრულებ ამ წერილს; მოგონებები რამდენია... და ვასრულებ მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველივეს ამ ქვეყანაზე, თვით სიხარულსაც კი, დასასრული აქვს. ეს დასანანია, მაგრამ უნდა დავმორჩილდეთ გარდუვალსა.

იმგუარად იყავით ბედნიერი, როგორადაც მე გისურვებთ.

პაპალე თრპელიანი–საგინაშვილისადმი №27 (720)

ჩემო გულით საყუარელო ბაბალე! ძლივს მოვჩიტდი, მაგრამ მაინც ჯერ არ შემიძლიან, ისაკსავით, გადვიხტუნო ერთის ვარდის რტოდამ მეორეზე. ვჰინივარ შინ ქუდ-ჩამოფხუტული,¹ გამოყუებული და იშვიათად მოვა ვინმე სანახავად, ისიცა დავალებისათვს და არა სასიამოვნოდ ჩემდა. – ეჲ, ასეა ესე სოფელი!

შენი ქმარი წავიდა გუშინ დილით ადრე, წაილო თან ახალი ღენარლის ჭორმაცა, მაგრამკი ზურაბკა თავშეხვეული აქ დარჩა.

მოვიდნენ იოსებ თარხანოვი და ნიკა ამილახვარი, რომელნიცა ყოფილან კ: ბარიატინსკისას დიდის სიხარულით მისგან მიღებულნი.

გუშინ ნინ დამ² მოვიდა კ: მირსკიცა, რომელიცა მოელის სოფიოსა ქალებით ოყდომბრის დამდეგსა. – კნ: ლევანცა, მგონია, ამ დღეებში მოვიდეს აქა.

ამაებს იმიტომ გწერ, რომ შენც მოხვიდე, ახლაკი დრო არის: ცოტა წამოწვიმა, ჰაერი გაიწმინდა და ძალიან აგრილდა, ასე რომ დღეს მხოლოდ 15° გრადუსია სითბოსი; მაშასადამე კოდაზე სრულებით ეციება და უნდა გამოეშურო, რომ ისე კარგად მოხვიდე, როგორც მანდ იყავ, ჩუცნდა სასიხარულოდ და გააჩალო ჩუცნი ქუჩა.

ყაფლან ჯერ არ წასულა ცოლის მოსაყუანად; და სოფიოც ისევ ქართლში არის.

დარიკულისა და იმის სიძეს, როგორლაც კინკლაობა მოსდისთ. – სიძე ამბობს, თუ დედა არ იცხოვრებს ჩემთან, მე უდედოდ არ შემიძლიან ცხოვრებაო. – ზაქარიასაც მოუწერია, ნუ მიათხოვებ მაგ ქალსაო, აქ გამომიგზავნე და მე უკეთესად გავათხოვებო. – ეს საქმე ჯერ ასეა, მანამ შენ აქ მოხვალ. –

შენი გრიგოლი

17^ს სეკდემ: 1869.³

ეკატერინას წიგნი მომივიდა გუშინ, შენს ამბავს კითხულობს და უკვირს, რომ შენ პასუხს არა ჰასნერ იმის წიგნებისას.

ალექსანდრე ვახტაგის ძე ორგალიანისაღმი №4 (721)

ჩემო ბატონო ბიძიავ ალექსანდრე!

პავლემ ჰესტეუა „რაცა დავშესწერე, დავშესწერე“ მეცა
მოგახსენებ, რაცა შემეძლო, ის შევიძელ. – კარგია და გავა-
თავოთ! ნულარ შემიყუან განსაცდელში სხუა და სხუა მოთ-
ხობებით საქართველოზე. ჩუცნი ისტორია სავსეა დიდსაქმე-
ებით, დიდმამაცობით და მამულისათვს თავდადებით სიყუა-
რულითა. ყოველთა ამათთვს დიდი მწერლობა უნდა და მას
მწერალსაცა „სანერელი ზღუა უნდა“ და მე კოდაზე პატარა
წყაროს მეტი არა მაქუს. –

მომირთმევია შენი რვეული, რომელშიაცა ჩაუმატე
შენგან ნათქუამი სახელები, და სხოლიოებში შენ თვთონ გან-
მარტე, ვინცა არიან იგინი. –

შენი ერთგული

გრიგოლი

18^ს ოკტომ: 1869¹

პარარე პაგრატიონი-ორგალიანისაღმი №35 (722)

В Москву. 26 Октя: 1869 Тифлис.¹

Почему ты забыла меня, мой друг Варвара? Вот уже
много месяцев проходит, а твоего письма всё нет, и только от
приезжающих из Москвы узнаю я, что ты, слава Богу, здорова.
Так уверила меня, между другими, и К: Софія Мирская. – Я был
очень болен, сначала лихорадкой, а затем странной горячкой,
так, что я почти касался ногой могилы. Теперь мне лучше, но
ещё очень слаб; однажды Доктора позволили выезжать в
экипаже на свежий воздух. Писать тебе я немог, а телеграфы
для нас почти не существуют до 1^{го} Нояб: По силе Конвенції

Англо-Индейскія Депеши имеют преимущество пред нашими, и ежедневно пересыпаются ими более 500 депеш.

Сегодня рожденіе Георгія и я от души благословляю его. При этом я желаю вточности знать – желаніе очень естественное – знать положительно, как он учится? К каким наукам он имеет более наклонности? Экзаменом вселяли и в какой класс? И, наконец, поступилли в Гимназію? По моему мненію, доле держать его дома, в кругу только одних женщин, из которых каждая имеет полное право приказывать ему, положительно вредно. Если вы победите его, он будет раб душой; если же он победит вас, он будет Деспот, привыкшій с колыбели повелевать, с характером капризным, своенравным, неуживчивым. – Характер мужчины образуется, укрепляется, только в обществе мужчин, где он ежечасно встречается с противоположными мыслями, мненіями, характерами. Вот эти частыя столкновенія с разномыслящими людьми и освещают ум, и дают прочность характеру. От однообразія тупеет ум. От того, что Георгій будет посещать Гимназію, мне кажется, нравственность его неподвергнётся опасности. Думаю, что в Гимназіи обращено строгое вниманіе главнейшем на нравственность. Впрочем, в этом вопросе можно получить лучший и верный совет от самых Профессоров; я только выражают свою мненіе, исходившее из многолетних моих наблюдений, не навязывая никакого к непременному исполненію. За две тысяча верст многое может казаться нетак.

Но всѣтаки с упрёком повторяю, почему ты перестала писать ко мне?

8го Ноябр: Их Высоч^{ва} с тремя старшимъ детьми выезжают в Пет:; а трёх младших оставляют здесь. Былобы очень любезно, еслибы ты представилась Им и представила Георгія, на станціи железной дороги. О дне Их прїезда моглабы заранее узнать. Я уверен, Они очень бы обрадовались свиданію

стобой. Если же Они останутся ночевать, тогда всего лучше представиться в Дворце.

Бедная Марія Чавчавадзе, жена Ясона, скончалась.

Наша улица здравствует, даже Бабале, несмотря на свою неизлечимую болезнь, ходит, ездит, весела попрежнему. Она, с своим нравом, составляет для меня неразгадочный вопрос Психиологии.

Горячо поцелуй за меня Георгія и скажи ему, что, конечно, можно носить Англійскую высокую шляпу, но надо, чтоб и голова была пост[авлен]а² также высоко!

К: Иван с Лизой и Георгій Мухр: едут в Петер: – Лиза ввосторге от этой поездки, и без сомнія они будут утебя и расскажут многое, для тебя весьма любопытное, о здешнем житье-бытье. –

Царевне приношу моё глубокоеуважение, равно и твоим сёстрам. Молю Бога отом, чтоб ты с твоим Георгіем была здорова; остальное придёт самособой.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისაძე №35 (722)

მოსკოვს. 26 ოქტომბ: 1869 თბილისით.¹

რად დამივიწყე, ჩემო მეგობარო ვარვარა? აი, უკვე მრავალი თვე ილევა, შენი წერილი კი არა და არა სჩანს და მხოლოდ მოსკოვიდამ ჩამოსულთაგან ვგებულობ, რომ შენ, მადლობა უფალსა, კარგადა ხარ. ესრე დამარნებუნა, სხუათა შორის, კნ: სოფიო მირსკისამაც. მე ძალზედ ავად ვიყავ ჯერ ციებ-ცხელებით, მერმე უცნაურის ცხელებითა, იმგუარად, რომ კინაღამ სამარეს მედგა ფეხი. ან უკეთა ვარ, მაგრამ ჯერ ძალზედ სუსტად; თუმცა დოხტორებმა ნება დამრთეს

სუფთა ჰაერზე გასვლისა ეკიპაჟით. შენთან მოწერა არ ძალ-მიძღა, ხოლო ტელელრაჭი ჩუენთვის თითქმის არ არსებობს 1 ნოემბრ:^{შე}. კონვენციის ძალით ანგლო-ინდურ დეპეშებს უპი-რატესობა გააჩნიათ ჩვენებურზედ და ისინი ყოველდღიურადა ჰგზავნიან 500-ზე მეტს დეპეშასა.

დღეს გიორგის დაბადების დღეა და მე გულითა ვლო-ცავ მას. ამასთან, მსურს ზუსტად ვიცოდე – ძალზედ ბუნებ-როვი სურვილია – ვიცოდე ცალსახად, როგორა სწავლობს? რომელი მეცნიერებისკენ იდრიკება უფრო მეტადა? რომელს კლასში აბარებდა გამოცდებს? და, ბოლოს, შევა თუ არა ღიმნაზიაში? ჩემის ჰაზრით, მისი ისევ სახლში გაჩერება მხო-ლოდ ქალთა გარემოცვაში, რომელთაგან ყოველს მათგანს აქვს სრული უფლება უბრძანოს მას, ერთთავად საზიანოა. თუკი თქუენ გაიმარჯვებთ მასზედ, ის შეიქმნება მონა სუ-ლით, ხოლო თუკი ის გაიმარჯვებს თქუენზედ, იქნება აკვნი-დანვე მბრძანებლობას ნაჩვევი დესპოტი, ხუშტურიანის ზნით, თვითნება, ჭირვეული. მამაკაცის ბუნება წარმოიშობა, მტკიცდება მხოლოდ მამაკაცთა წრეში, სადაც ის მუდმივად ეჯახება საწინააღმდეგო ჰაზრებს, თვალსაზრისებს, ხასია-თებს. აი, სწორედ ეს ხშირი შეჯახებები სხუადასხუაგვარად მოაზროვნე ადამიანებთან უნათებენ გონებას და უმტკიცებენ ხასიათს. ერთფეროვნებისაგან ჩლუნგდება გონება. მით, რომ გიორგი ღიმნაზიაში ივლის, ვჰონებ, მის ზნეს ხიფათი არ ემუქრება. ვფიქრობ, რომ ღიმნაზიაში მკაცრი ყურადღება ეთმობა ზნებასა. თუმცა, ამ საკითხში უკეთესი და ნაღდი პასუხი თავად პროფესორთაგან არის შესაძლებელი; მე მხო-ლოდ გამოვხატავ ჩემს ჰაზრს, მრავალწლიანის დაკვირვებე-ბიდან რომ მომდინარეობს, და სულაც არ გახვევთ თვეს უცი-ლობლად შესრულებისათვის. ორი ათასი ვერსიდამ ბევრი რამ შეიძლება სხუაგუარად ჩანდეს.

მაგრამ საყვედურით ვიმეორებ, რად შესწყვიტე წერა ჩემთანა?

8 ნოემბ: მათი უდიდებ:^{შე} სამი უფროსი შვილით მიემ-

გზავრებიან პეტერი; ხოლო სამ უმცროსს სტოვებენ აქა. ძალ-ზედ თავაზიანი იქნებოდა, მათ წინაშე რომ წარმსდგარიყავ და გიორგი წარგედგინა რკინიგზის სტანციაზედა. მათი ჩა-მოსვლის დღე შეგეძლო დაგედგინა წინასწარ. დარწმუნებული ვარ, ძალზედ მოხარული იქნებოდნენ შენთან შეხვედრითა. ხოლო თუკი დაჰშთებიან ლამის გასათევად, მაშინ ყველასა სჯობს, წარუდგე სასახლეში.

საბრალო მარია ჭავჭავაძე, იასონის მეულლე, გარდა-იცვალა.

ჩუენი ქუჩა ჰესარობს, ბაბალეც კი, მიუხედავად თავისი განუკურნებელი სენისა, დადის, მგზავრობს, მხიარულია უწინდებურადა. ის, თავისის ზნით, ჩემთვის წარმოადგენს ფსიხოლოგის ამოუხსნელს საკითხსა.

კარგად ჩამიკოცნე გიორგი და უთხარ, რომ, რა თქმა უნდა, შეიძლება ატაროს ანგლიური მაღალი შლიაპა, მაგრამ ეგების, რომ თავიც ეგრეთვე მაღლა ჰქონდეს დაჭერილი.²

კნ: ივანე ლიზასთან და გიორგი მუხრ: მიემგზავრებიან პეტერი; ლიზა აღფრთოვანებულია ამ მოგზაურობით. უეჭვე-ლია, ისინი იქნებიან შენთან და მოგიყვებიან ბევრს, შენთვის ერთობ საინტერესოს აქაურს ასავალ-დასავალზედა.

ჩემს ღრმა პატივისცემას ვუთვლი ცარევნას, ეგრეთვე შენს დებსაცა. ღმერთს ვევედრები მასზედ, რომ შენ შენს გი-ორგისთან ერთად იყო ჯანმრთელი; დანარჩენი მოვა თავის-თავადა.

პარტარე პაგრაფიონი-მრჩელიანისაღვი №36 (723)

6^{го} Нояб: 1869 Тифліс.¹

Мой друг Варвара! Посылаю 1000 р:, полагая, что они тебе очень нужны. Но, скажи ради Бога, почему ты перестала писать ко мне? Что я, на жаркое подал тебе змею? – Ну, какбы нибы[ло],² я право неогорчаюсь, потому что, кто поймёт фантазии Багратидов и многообразие их причудов! – Что делает мой благородный Дядя Георгій? Все пріезжающіе из Москвы говорят мне только о его росте. Ну, и за это спасибо! Куда девался твой Портрет, давно мне обещанный? Навсе обещанія у меня досих пор хорошая память. Былобы очень хорошо, если приложиться к нему и Портрет Георгія.

Их Высочества выезжают из Боржома прямо в Петербург 8^{го} Нояб:, Следов: в Москве Они будут 17 или 18 Нояб:

Тудаже выезжает и К: Иван Мухр: с Лизой; но, увы, Лиза возвратилась из Пасанаура больная. Можешь вообразить ея отчаяніе! Тудаже едут Леван Меликов сженой. Я радуюсь затея заранее, зная, что их свиданіе доставит тебе искреннее удовольствіе.

Воображаю, как ты сидишь теперь запуганная зимой, закутанная в шубе, за тусклыми, замороженными стёклами, а мы греемся под солнцем, так что Каплан теперь вздумал переделывать дом на зиму.

Где теперь К: Аннета с Давидом, и какое имеете известіе о ея здоровьи? Целуй в голову Георгія, и Бог да благословит вас.

—
Бабале Сагинова очень огорчена тем, что ты неотвечаешь на ея письма.

პარპარე პაგრატიონი-ორგელიანისაღვი №36 (723)

6^ს ნოემბ: 1869 თბილისით.¹

ჩემო მეგობარო ვარვარა! გიგზავნი 1000 რ: და ვთვლი, რომ ძალზედ გჭირდება. მაგრამ მითხარი, თუ ღმერთი გნამს, რად შესწყვიტე ჩემთან მიმოწერა? რა, გველი მოგართვი შემწვარი? როგორც არ უნდა იყოს, არასა ვნალვლობ, რადგან, ვინ უწყის ბაგრატიონთა ფანტაზიები და მრავალფეროვნება მათის უცნაურობებისა? რასა იქმს ჩემი კეთილშობილი ბიძია გიორგი. მოსკოვიდამ ყველა ჩამოსული მიყვება მხოლოდ მის სიმაღლეზედ. მაგისთვისაც მადლობელი ვარ! რა იქნა შენი პორტრეტი, დიდის ხნის დანაპირები? ყველა დაპირება აქამომდის კარგად მახსოვს. ძალზედ კარგი იქნებოდა, თუკი მას დაემატებოდა გიორგის პორტრეტიცა.

მათი უდიდებულესობანი ბორჯომიდამ პირდაპირ მიემგზავრებიან პეტერბურლ 8^ს ნოემბ:^ს, მაშასადამე, მოსკოვს ისინი იქნებიან 17 ან 18 ნოემბ:.

იქითვე მიემგზავრება კნ: ივანე მუხრ: ლიზასთან ერთად; მაგრამ, ვაგლახ, ლიზა უქეიფოდ დაპირუნდა ფასანაურიდამ. იფიქრე, რარიგ სასონარკვეთილი იქნება. იქითვე მიემგზავრება ლევან მელიქოვი მეუღლითურთ. შენს გამო წინდანინ მიხარის, რადგან ვიცი, რომ მათთან შეხვედრა მოგანიჭებს წრფელს სიხარულსა.

ნარმომიდგენია, როგორ ზიხარ ეხლა ზამთრით შეშინებული, ქურქში გაცვეული, დაბინდულ, გაყინულ შუშებთან, ჩუქუნ კი ვთბებით მზეზე, ისე რომ ყაფლანმა გადაწყვიტა სახლის საზამთროდ გადაკეთება.

სად არიან ამჟამად კნ: ანნეტა და დავითი, რა იცით მის [ანნეტას] ჯანმრთელობაზედ? თავზე აკოცე გიორგის და ღმერთმა დაგლოცოთ.

ბაბალე საგინოვა ძალზედ დამწუხებულია მით, რომ არა ჰპასუხობ მის წერილებსა.

БІЛГІМЧЫК 0326030022480 №1 (724)

№1¹

Николай Агапович! Предложенный вами расчет положительно неможет быть принят основанием миролюбиваго окончанія дела, так как, он выражает только исторический ход самой тяжбы в Судебных местах, где он, быть может, и имеет свое значение; кроме того, в этих расчетах значительная часть претензій относиться прямо к казне, и вообще цифры 40/тыс.; 150/т: для мненія Александра равносильны миллиону своею невыносимою тяжестью, так как самое именіе едвали превышает 40/т:. И потому из ваших расчетов естественно выходит, что для миролюбиваго соглашения нужно былобы отдать почти все именіе, что, безсомненія, неможет уже называться миролюбием.²

По моему мненію, основанием для обоюдного соглашения надо взять не прошедшее время, – когда противники, возбужденные страстиами, выставляли в Суде свои домогательства, – а то положение, в котором находится дело сегодня, в этот момент. Обращаться назад для вас же невыгодно, так как, вы увиделибы, конечно, что дело и сним предлагаемый мне вами расчт, решены уже в Окр: Суде не в вашу пользу, точно также и в Сенате. Следов: шансы прошедшего высказалисьбы настороне Александра.

Здесь невольно рождается вопрос: как дело может решиться окончательно в Общем Собраниі, которое осталось единственою надеждою для вас? Отвечать нетрудно. При самом лучшем его исходе для вас, может быть только утверждение мненія Рашишета, т. е. в 20 т:. Но, ежели - как надо полагать по человеческому разуму, – и там проиграет дело, какая тяжесть потери падает на вас! И нужноли рисковать всем на авось

вывезёт?

Основываясь на этом верном выводе, я полагаю что надо устраниить предлагаемый вами расчет, по которому невозможно соглашениe, и приступить кделу прямо, просто и решительно, как теперьже делаю я, желая искренно присечь всякия непріятныя, по недоразуменю возникшия³ воспоминанія между столь близкими родными, и потому предлагаю вам окончить тяжбу, приняв из именія, принадлежавшаго К¹⁰ Александру:

1) Участок земли на острову – 765 кв: саж: – – – 5,000 р: (хоть стоит гораздо больше).

2) В Квеши – часть Алек: – – 50 десят: – – – 2000 р:

3) Таштикуллар часть: Але: + с моим. 50 – – – 1035 р:

4) В Мухати часть Алек: – – 25 – – – 1500 р:

5) В Гоубани – Алек: с двумя моими – 60 более – – – 1800 р:

6) В Шиндиси – Але: с моєю частью – 50 – – – 1000 р:

7) В Беврети – часть Алек: – – 200 – – – 2000 р:

итого 765 кв. с. – 135 десят: – – 14335 р:

Возвращаю при этом вам расчет с моими отметками, вполне убежденный, что никто, кроме меня, не согласилсябы, зная ход дела, на такую уступку.

[1869 Յլուս Շյմոջըմա]

ნიკოლაი ივანევისადმი №1 (724)

№1¹

ნიკოლაი ალაპოვიჩ! თქუენს მიერ შემოთავაზებული ანგარიში სრულებითაც ვერ იქნება მიღებული საფუძვლად საქმის კეთილად მოგუარებისათვის, რამეთუ ის გამოხატავს მხოლოდ ისტორიულს მსვლელობას თავად დავისას სასამართლო ადგილებში, სადაც მას, შესაძლოა, გააჩნია კიდეც თავისი ფასი; გარდა ამისა, ამ ანგარიშებში პრეტენზიათა მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება პირდაპირ ხაზინას და, საერთოდაც, ციფრები 40 ათ:, 150 ათ: ალექსანდრეს ჰაზრით, მიღიონის ტოლია თავისის აუტანელის სიმძიმლითა, ვინაიდან თავად მამული ძლივას აღემატება 40 ათ.: და ამიტომ თქუენის ანგარიშებიდამ ბუნებრივად გამოდის, რომ მშვიდობიანი შეთანხმებისათვის საჭირო იქნებოდა მთელი მამულის გასხვისება, რასაც უდავოდ უკვე ველარ დაერქმევა მშვიდობისმოყვარეობა.²

ჩემის ჰაზრით, ორმხრივი შეთანხმების საფუძვლად უნდა ავილოთ არა წარსული, – ოდეს მოწინააღმდეგენი, ვნებებით აღგზნებულნი მეძიებლობდნენ სასამართლოებში, არამედ ის ვითარება, რომელშიაც სადღეისოდ, ამ მომენტში მდგომარეობს საქმე. მიპრუნება წარსულისაკენ თქუენთვისვეა წამგებიანი, ვინაიდან დაინახავდით, რა თქმა უნდა, რომ საქმე და მასთან ერთად თქუენს მიერ ჩემთვის შემოთავაზებული ანგარიში უკვე გადაწყვეტილია საოლქ: სასამართლოში არა თქუენს სასარგებლოდ, ზუსტად უგრეთვე სენატშიაცა. შესაბამ: წარსულის შანსები იმეტყუელებდნენ ალექსანდრეს სასარგებლოდა.

აქ უნებლიერ ჩნდება კითხვა: როგორ გარდაწყდება საქმე საბოლოოდ საერთო შეკრებაზედ, რომელიც დარჩა ერთადერთ იმედად თქუენთვისა? პასუხი მარტივია. მისი საუკეთესო დასასრული თქუენთვის შესაძლოა იყოს მხოლოდ რაპ-

შეტის მოსაზრების დადასტურება ანუ 20 ათ:-ად. მაგრამ, თუკი გონივრულად ვივარაუდებთ, – საქმე იქაც წააგებს. რამხელა ტვირთი დაგაწვებათ დანაკლისისა. და ღირს კი ყველაფრით გარისკვა იმის იმედით, ეგებ გამიმართლოსო?

და ამიტომ, იმ უტყუარს დასკვნაზედ დაყრდნობით, ვფიქრობ, რომ საჭიროა გაუქმება თქუენს მიერ შემოთავაზებული ანგარიშისა, რომელზეც შეუძლებელია შეთანხმება და საქმისადმი პირდაპირი, მარტივი და მტკიცე მიდგომა, რასაც აწვე ვიქმ თავად, გულწრფელად მონდომებული, აღვკვეთო უსიამო მოგონება, გაუგებრობით შობილი³ ესრეთს ახლო ნათესავებს შორის, გთავაზობთ მოვრჩეთ დავას მით, რომ თაღექსანდრეს კუთვნილი მამულიდამ გერგებათ:

- 1). მინის ნაკვეთი კუნძულზედ – 765 საუ: 5,000 რ: (თუმც ბევრად მეტი ჰლირს)
- 2). ქვემს – ალექ: წილი – 50 დესეტ: – – – 2000 რ:
- 3). ტაშტიკულარს – ალექ: წილი + ჩემი – 50 – – – 1035 რ:
- 4). მუხათს ალექ: წილი – – 25 დესეტ. – – – 1500 რ:
- 5). ღოუბანს – ალექ: ჩემს ორთან ერთად – – – უმეტეს 60 — 1800 რ:
- 6). შინდისს – ალ: ჩემს წილთან ერთად – 50 – – – 1000 რ:
- 7) ბევრეთს – ალექ: 200 – 2000 რ:

სულ 765 კვ. ს. 135 დესეტ: 14335 რ:

ამასთანავე, ჩემის შენიშვნებითურთ გიბრუნებთ ანგარიშს, სრულებით დარწმუნებული, რომ არვინ, ჩემს გარდა, არ წავიდოდა ამგუარს დათმობაზედ, თუკი ეცოდინებოდა საქმის ვითარება.

[1869 წლის შემოდგომა]

БІЛГІМЧЫК 0326030022480 №2 (725)

#2¹

О землях, будтобы взятых Казною в количестве:

330 десят:

800 – {=1619 десят:

489 –

Николай Агапович! Прочитав совниманіем несколько раз ваш последній расчет, я более и более укрепляюсь в своем убежденіи, что значительная часть суммы, насчитываемой вами на Александра, совершенно не относится кнему.

Вы правы, когда в основание ваших доказательств, приводите переписку Административной власти, удостоверяющую, что все именіе ваше и Алек: было взято в Казну. Но, в тоже время, никто лучше вас незнает, что в действительности совершенно было нетак, и что местное начальство, по обыкновенному равнодушію и медленности в исполненіи, успело в течениі многих лет, на самом деле, записать в казну только крест:, сады, усадьбы и 132 1/2 дес: земли. Остальноеже именіе ваше небыло взято,*² когда на предложеніе К² Воронцова, воспоследовал Указ Сената, в котором сказано «что взято в казну, то взято, и затем дело это отдать конченным».³ Александр же зная, что еще невсё именіе взято, придрался к этим словам Указа и потребовал разследование о том, что именно взято из именія в казну? И оказалось по изследованіи, что в казне были записаны, как я сказал выше, только крест: сады, усадьбы и 132 1/2 дес: земли. Таким образом, справедливое требование Алекс: увенчалось полным успехом, т: е: что было, на самом деле, записано за казною, удержала засобой казна, а что еще небыло ею взято, то

осталось завами, как оно и было. Очевидно, ежелибы всё именіе ваше, на самом деле, было записано за казною, то вы конечно, по прошествію 40 лет и за силою выше приведенного Указа, оно осталось бы всёцело за казною, как остались крест; сады ипр.: и уже никакая сила невозвратилбы его вам. Местное начальство, конечно, по своей небрежности кделу, признавая совершившим фактом то, что было еще только его распоряженіем, ошибочно и преждевременно доносило, что все ваше именіе принято в казну. Вот простое разясненіе дела, темнаго для других, но яснаго для вас в малейшей подробности. Справедливоли подвергать Александра ответственности за ошибочныя донесенія местнаго начальства о принятіи ваших земель в казну, которая вдѣйствительности небыли взяты? Ведь эти ошибки вам же, в послѣствії, послужили в пользу? –

Но спрашивается, у кого же находилось ваше именіе столько времени вовладенії? Грустно вспомнить, но надо сказать, что вы и вместе с вами искренно мною любимые сестры, долгое время, были, – а может быть и теперь – того убѣжденія, что кто же другой мог завладеть им, как не мы, братья их? Мы надеемся, что время осветит это дело и, тогда будет стыдно виновной стороне.

Нужноли было мне все это высказать вам, когда вы, повторяю, лучше меня знаете, что ни мы, ни Алекс:, ни даже казна – кроме взятых ею крест: садов ипр. – не владели вашими землями, которая тогда как и теперь, находились просто в руках ваших же крестьян, по грузинской пословице «впусте оставленной Церкви хоронят черти». Вы были далеко и, откровенно сказать, мало думали об именіи, дела котораго пугали тогда своею запутанностью; Санковского оно также мало интересовало, а мать ваша, как женщина, не могла справиться ни с Здешнею Полицією, ни с крестьянами. Следует ли за все это подвергать Александра ответственности?

Поговорим теперь о землях упоминаемых в последнем вашем письме, за которые насчитывается 39/т: на Александра:

330 десят: по 40 = 13200 р:

800 – по 15 = 12000.

489 – по 5 = 2455.

и проценты наних = 11606.

Итого 1619 десят: = 39251р:

Это количество земли, вероятно, выписано из залогового свидетельства 1826 года. Былобы с Вашей стороны великою ошибкою думать, что вы, на самом деле, имеете такое количество земли от с: Коди до Квеши⁴ включительно. Раздел именія и наконец межеваніе положительно показывает, что никто из 6 ^и наследников Николаевского дома неимеет на этом пространстве более 700 десят: – Откуда у вас возмется вдвое более? В залоговом же свидетельстве могли тогда поместить и более 1619 десят:, так как, в то время, земли небыли размежеваны, и, кроме того, члены нашей фамилії поручились за Контрагента Кайхосро – (брать Алекс:). А они, конечно, были в состоянії дополнить из своей собственности и более чем 1619 д:, в случае несостоятельности Контрагента Александра. Разве из этого следует, что вам наозначенном пространстве принадлежит действительно 1619 д:, закоторая требуете от Алекс:^a удовлетвореніе в 39/т:? Ведь это было обыкновенное ручательство родных К:^я Якова пред казною, а не пред Яковым? И в случае несостоятельности Контрагента, они отвечали бы своею собственностью не перед Яковым, или Александром, а перед казною? Во всяком случае, если, по вашему убежденію, правильному или неправильному, необходимо вам отыскивать 1619 д:, то, конечно, никак не от Александра, а от (тех лиц, которые были поручителями.

Кроме того, основываясь на переписке Административной

власти, вы ведёте, за этиже самыя земли, тяжбу с казною, требуя от нея вознаграждениі, и дай Бог вам полного успеха. Но, зачем в тоже время, насчитывать и на Александра то, что требуете от казны?

Скажу по совести, небудь Александра с его энергичною настойчивостью в 40 летней тяжбы с казною, ваше именіе погиблобы навсегда для вас. А сколько эта тяжба стойла ему, человеку неграмотному, незнакомому ни с Русским языком, ни с законами? И теперь, когда его неутомимые хлопоты, по делу общему свами, увенчались успехом и вам почти всёцело возвратилось именіе, вы егоже подвергаете громадному начету, непринимая во вниманіе, ни его расходов, ни его тяжких, а может быть, часто и унизительных хлопот по делу общему с вами? Он искупил свою невольную вину пред родными 40 летними страданіями, таскаясь ежедневно по присутственным местам, где имя его сделалось предметом насмешек.

По моему мненію, вам необходимо быть в этом случае более справедливым, т: е: необходимо отделить ответственность Александра от ответственности казны, кажущееся от действительности.

В полном убежденіи говорю я, что Алекс: могбы отвечать только за то, что действительно взят от вас казною. А казна взяла по вашим же словам: Крест: —— 2200 р:

37 1/2 д: —— 512. { =4912 р:

20 садов — 2000.

5 усадьб — 200

Проценты не считаются, потому что они взыскиваются только по особому обязательству между залогодателем и лицом, принявшим залог; а между дядею Яковым и Кайхосро небыло никакого обязательства.

Предложенная мною в первом письме для соглашениі сумма превышает эту последнюю более нежели втрое. Угодно

принять – я буду очень рад, неугодно – неопечален. Но об одном буду просить вас, чтоб эта наша братская переписка не изменила наши братскія отношенія.

Письмо Астаф'ева посыпается на ваше благоусмотреніе, и ежели нужно, на дальнейшій ответ.

*И немогло быть взято, так как именіе небыло еще разделено между нами до 1849 года.

[1869 წლის შემოდგომა]

ნიკოლოზ ივანევისადმი №2 (725)

#2¹

მიწების შესახებ, რომლებიც ვითომ ხაზინას ჰქონდეს აღებული რაოდენობით:

330 დესეტ:

800 – 1619 დესეტ: ოდ::.

489 –

ნიკოლაი აღაპოვიჩ! თქუენი ბოლო ანგარიშის რამო-დენიმეჯერ ყურადღებით წაკითხვის შემდეგ, უფრო და უფრო ვრნმუნდები იმაში, რომ თანხის მნიშვნელოვანი ნანილი, თქუენს მიერ აღექსანდრეზე მიწერილი, სრულებითაც არ ეხება მას.

მართალი ბრძანდებით, როს თქუენი მტკიცებულებე-ბის საფუძვლად მოგყავთ ადმინისტრაციული ხელისუფლების მიმოწერა, რომელიც ადასტურებს, რომ მთელი თქუენი და აღექს: მამული აღებული ჰქონდა ხაზინას. მაგრამ, იმავდრო-

ულად, თქუენზე უკეთ არავინ უწყის, რომ სინამდვილეში სულაც არ ყოფილა აგრე და რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ჩვეულის გულგრილობითა და სიზანტით, მრავალის წლის მანძილზედ, სინამდვილეში მოასწრო ჩაეწერა ხაზინაში მხოლოდ გლეხ: ბალები, კარ-მიდამო და 132 1/2 დესეტ: მიწა. თქუენი დარჩენილი მამული კი არ ყოფილა აღებული,*² ოდეს კნ. ვორონცოვის წინადადებას მოჰყვა სენატის ბრძანებულება, რომელშიაც ნათქვამია „რაც ხაზინაშია აღებული, ის აღებულია და საქმე ესრე დასრულდეს.“³ ალექსანდრემ კი, იცოდა რა, რომ მთელი მამული ჯერ კიდევ არ იყო აღებული, გამოედევნა ბრძანებულების ამ სიტყუებსა და მოითხოვა გამოძიება მასზედ, თუ კონკრეტულად რა იყო მამულიდამ აღებული ხაზინაში? და გამოძიებით აღმოჩნდა, რომ ხაზინაში ჩაწერილი იყო, როგორაც ზევითა ვსთვე, მხოლოდ გლეხ: ბალები, კარ-მიდამო და მიწის 132 1/2 დესეტ:. ამგუარად, ალექს: სამართლიანი მოთხოვნა დაგვირგვინდა სრულის წარმატებითა, ანუ რაც სინამდვილეში იყო ხაზინაზედ მიწერილი, ხაზინამ დაიტოვა, ხოლო რაც მის მიერ ჯერ არ იყო აღებული, დაგრჩათ თქუენ, როგორც მანამდეც იყო. ცხადია, მართლაც რომ ყოფილიყო ჩაწერილი მთელი თქუენი მამული ხაზინაში, მაშინ, რა თქმა უნდა, 40-წლიანი ხანდაზმულობისა და ზემოთ მოყვანილი ბრძანებულების ძალით, ყოველივე დარჩებოდა ხაზინას, როგორც დარჩა გლეხ: ბალები და ხვ:, და ველარა ძალა ველარას დაგიბრუნებდათ თქვენა. ადგილობრივი ხელისუფლება, რა თქმა უნდა, საქმისადმი თავისის დაუდევრობით, ჰრაცხდა რა შემდგარს ფაქტად იმას, რაც ჯერ კიდევ იყო მისი განსაკარგავი, შეცდომითა და ნაადრევად იტყობინებოდა, რომ მთელი თქუენი მამული აღებულია ხაზინაში. აი, მარტივი ახსნა საქმისა, პნელისა სხვათათვის, მაგრამ ზედმი-წევნით ცხადისა თქუენთვისა. სამართლიანია განა, ალექსანდრეს ვაგებინოთ პასუხი ადგილობრივი უფროსობის არასწორ შეტყობინებაზე თქუენი მიწების ხაზინაში მიღების თაობაზედ, რომლებიც სინამდვილეში აღებული არ ყოფილა? ამ

შეცდომებმა ხომ შედეგად თქვენვე მოგიტანეს სარგებელი?

მაგრამ ისმის კითხვა, მაში ვის ხელში იყო თქუენი მამული ამდენს ხანსა? მაღონებს ამის გახსენება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თქუენ და თქუენთან ერთად ჩემთვის გულით საყვარელი დანი, დიდ ხანს, – ან ეგებ ახლაც – იყუნენ იმ რწმენისანი, რომ სხუას ვის შეეძლო დაპატრონებოდა მას, თუ არა ჩუენ, ძმათა მათთა? ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ დრო ნათელს მოჰყენს ამ საქმესა და მაშინ შერცხვება დამნაშავე მხარესა.

იყო კი საჭირო ყოველივე ამის თქმა თქვენთვის, ოდეს თქვენ, ვიმეორებ, ჩემზედ უკეთ უწყით, რომ არცა ჩუენ, არცა ალექს: და ხაზინაც კი – გარდა მის მიერ ალებული გლეს: ბალებისა და სხვ: – არა ვჰყოლობდით თქუენს მიწებსა, რომელნიც მაშინ, ისევე როგორც ახლა, იყო უბრალოდ თქუენივე გლეხების ხელში, ქართულის ანდაზისა არ იყოს, „უპატრონო ეკლესიას ეშმაკნი დაპატრონენო“. თქუენ შორს იყავით და, გულახდილად რომ ვსთქვათ, არას ჰნაღვლობდით კარ-მიდამოზედ, რომლის მდგომარეობაც შიშის მომგვრელი იყო თავისის აღრეულობითა; სანკოვსკისაც ნაკლებად აინტერესებდა იგი, თქუენს დედას კი, როგორც მანდილოსანს, არ ძალუძდა გამკლავებოდა არცა აქაურს პოლიციას, არცა გლეხებსა. ეგების განა, ყოველივე ამის გამო ალექსანდრეს დავაკისროთ პასუხისმგებლობა? ან ვისაუბროთ თქუენს ბოლო წერილში ნახსენებ მიწებზედ, რომელთაგან ალექსანდრეზედ ირიცხება 39 ათ:

$$330 \text{ დესეტ: } 40\frac{\text{ლ}}{\text{ლ}} = 1320 \text{ რ:}$$

$$800 \quad - \quad 15\frac{\text{ლ}}{\text{ლ}} = 12000$$

$$489 \quad - \quad 5\frac{\text{ლ}}{\text{ლ}} = 2455$$

და პროცენტები მათზედ = 11606

ჯამში 1619 დესეტ: = 39251 რ:

მიწის ეს ოდენობა, სჩანს, ამონერილია 1826 წლის ზალოლის მოწმობიდამ. თქუენის მხრიდან დიდი შეცდომა იქნებოდა გეფიქრათ, რომ თქუენ სინამდვილეში პფლობთ მიწის ამ ოდენობას სოფ: კოდიდამ ვიდრე ქვეშამდინ⁴ მისი ჩათ-

ვლით. კარ-მიდამოს გაყოფა და ბოლოს გამიჯვნა ცხადად აჩვენებს, რომ ნიკოლოზის ოჯახის 6^ა მემკვიდრიდამ არვის გააჩნია ამ ფართობზე 700 დესეტ: მეტი – თქვენ საიდამ უნდა გქონდეთ ორჯერ მეტი? ზალოლის მოწმობაში კი მაშინ შეეძლოთ ჩაეტიათ 1619 დესეტ:, მეტიცა, ვინაიდან მიწები მაშინ არ იყო გამიჯვნული, და, გარდა ამისა, ჩუენი გვარისანი თავდებად დაუდგნენ კონტრაგენტს ქაიხოსროსა – (ალექს: ძმას). ხოლო მათ, რა თქმა უნდა, ალექსანდრეს კონტრაგენტის გაკოტრების შემთხვევაში, ძალედვათ თავისი საკუთრებიდამ შეევსოთ 1619 დეს: ნუთუ აქედამ გამოდის, რომ აღნიშნული ფართობიდამ თქუენ მართლაც გეკუთვნით 1619 დეს:, რის-თვისაც ალექსაჭმ ითხოვთ ანაზღაურებას 39 ათ^შ? ეს ხომ კნ: იაკობის ნათესავთა ჩვეულებრივი თავდებობა იყო ხაზინისა და არა იაკობის წინაშე? და კონტრაგენტის გაკოტრების შემთხვევაში ისინი თავისის საკუთრებით პასუხისმგებელნი იქნებოდნენ არა იაკობის ან ალექსანდრეს, არამედ ხაზინის წინაშე? ყოველ შემთხვევაში, თუკი თქუენის მართალი თუ მცდარი რწმენით, აუცილებლად გჭირდებათ მოიპოვოთ 1619 დეს:, მაშინ, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხუევაში ალექსანდრეს-გან, არამედ იმ პირთავან, რომლებიც თავდებში იდგნენ.

გარდა ამისა, ადმინისტრაციული ხელისუფლების მიმოწერაზე დაყრდნობით, თქუენ, ამავე მიწების გამო, ხაზინასთან დაობთ და ითხოვთ მისგან ჯილდოს და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. მაგრამ, იმავდროულად, რაღატომ მიაწერთ ალექსანდრეს იმას, რასაც ხაზინისგან მოითხოვთ?

პატიოსნად ვიტყვი, რომ თუ არა ალექსანდრე თავისის ენერლიული, დაუინებული 40-წლიანი დავით ხაზინასთან, თქუენი მამული სამუდამოდ გაპერებოდა თქუენთვისა. და რამდენი დაუჯდა ეს დავა მას, გაუნათლებელს კაცსა, არცა რუსულისა და არცა კანონთა მცოდნესა? და ან, ოდეს წარმატებით დაგვირგვინდა მისი დაუღალავი სირბილი თქუენს საერთო საქმეზედ და თქუენ თითქმის ერთიანად დაგიპრუნდათ მამული, მასვე აკისრებთ უზარმაზარს დანარიცხსა და არ ითვალისწინებთ

არცა მის ხარჯებსა, არცა მის მძიმე და იქნებ ხშირად დამამცირებელს განამაწიას თქუენს საერთო საქმეზედა? მან 40-წლიანის ტანჯვით გამოისყიდა თავისი უნებლიერ ცოდვა ნათესავების წინაშე, ყოველდღიური წანნალით სხუადასხუა დაწესებულებებში, სადაც მისი სახელი ქილიკის საგნად იქცა.

ჩემის ჰაზრით, თქუენ ამ შემთხვევაში უნდა ბრძანდებოდეთ უფრო სამართლიანი, ანუ აუცილებელია ალექსანდრეს პასუხისმგებლობა გაიმიჯნოს ხაზინის პასუხისმგებლობისაგან, რაც შორს დგას სინამდვილისაგან.

სრულიად დარწმუნებული ვამბობ, რომ ალექს: შეეძლო პასუხი ეგო მხოლოდ იმაზედ, რაც მართლაც აიღო ხაზინამ თქუენგანა. ხოლო ხაზინამ თქვენივე სიტყუებით აიღო:

გლეხ:	2200 რ:
37 ½ დეს:	512
20 ბალი	2000
5 კარმიდამო	200

პროცენტები არ ითვლება, რამეთუ ისინი ანაზღაურდება მხოლოდ განსაკუთებულის ვალდებულებით სესხის გამცემისა და იმ პირის მიერ, რომელმაც სესხი აიღო; ხოლო ბიძია იაკობსა და ქაიხოსროს შორის არ არსებობდა არანაირი ვალდებულება.

ჩემს მიერ პირველს წერილში შეთანხმებისათვის შემთავაზებული თანხა ამ უკანასკნელს სამჯერ და მეტჯერაც აღემატება. თუკი მიიღებთ – ვიქნები ძალზედ მოხარული, არა – არც ვინალვლებ. მაგრამ ერთსა გთხოვთ, რომ ჩუქნი ეს ძმური მიმოწერა ნუ შეცვლის ჩვენს ძმურს ურთიერთობასა.

გამოგზავნილს ასტაჭიევის წერილს ვანდობ თქუენს ნება-სურვილს და, თუ საჭიროა, მიპასუხებთ კიდეცა.

* ვერც იქნებოდა აღებული, რამეთუ მამული ჯერ კი-დევ არ გვქონდა გაყოფილი 1849 წლამდინა.

[1869 წლის შემოდგომა]

პარტარე პაგრაფიონიანისაღვი №37 (726)

4^{го} Декаб: 1869 Тифліс.¹

Мой друг Варвара! Наконецто мне удалось получить твоё письмо; оно, в этом году, второе. Ну, и за это спасибо, и за это благодарен от всей души! Впрочем, я, из писем К.^а Мирского и нашего Вано, знаю, что ты здоровы; большеже мне ничего не надо. – Сегодня День твоего Ангела; моли Бога, да будет Он всегда Покровителем твоим и Георгия.

План твой о дальнейшем продолженіи образованія Георгія я принимаю без оговорок. Но, как человек грешній, я высказываю моё только сомненіе, неболее, как сомненіе в том, что юноша, один, без товарищій, т: е: без соревнованія, мог учиться с таким отчаянным прилежаніем, чтоб был всостоянні здать экзамен прямо в Университет. Впрочем, повторяю, это только моё сомненіе, ник чemu тебя необязующее, а Профессора в этом деле, безсомненія, лучшіе Авторитеты. – Знакомство Георгія с теми из студентов, которые любят труд и науку, принесёт ему великую пользу, выслушивая всвободных разговорах простыя объясненія научных предметов, его интересующих. Оно родит внём новое желаніе, новую силу, новую необходимость трудиться и учиться, чтобы быть современем человеком в высшем его значеніи.

Я все сижу дома и от страха вновь простудиться, и от печального известія из Ялты о безвременной кончине бедного Александра, которого я так искренно любил. Он только и был достойным представителем нашей фамилії: Умный, душою благородный, красивый, молодой. Бедная Манана, бедная его молодая жена, да утешит их Господь Бог! Печально кончается это письмо. –

Целую Георгія; Всеышній да хранит вас.

პარპარე პაგრატიონი-ორგელისაღვი №37 (726)

4^ტ დეკემბერი: 1869 თბილისით.¹

ჩემო მეგობარო ვარვარა! ბოლოს და ბოლოს, მელირსა შენი წიგნი; წელს ეს მეორეა. ამისთვისაც გმადლობ, ამისთვისაც მადლიერი ვარ მთელის გულითა. სხუათაშორის, კნ: მირსკისა და ჩუენი ვანოს წერილებიდამ ვიცი, რომ შენ ჯანზედა ხარ, მე კი სხვა არა მინდა რა. დღეს შენი ანგელოზის დღეა; ღმერთს ევედრე, დაე, მუდამ იყოს მფარველი შენი და გიორგისა.

შენს განზრახვას გიორგის სამომავლო განათლების გაგრძელებაზედ მე ულაპარაკოდ ვიღებ. მაგრამ, ვითარცა ცოდვილი, მე მხოლოდ ჩემს ეჭვს გამოვსთქვამ და არა უმეტესს, ეჭვს იმაზედ, რომ ჭაბუკა, მარტომ, უამხანაგოდ, ანუ შეჯიბრის გარეშე, მოახერხოს ეგრე თავგანწირვით სწავლა, რათა შეძლოს გამოცდის ჩაბარება პირდაპირ უნივერსიტეტში. თუმცა, ვიმეორებ, ეს მხოლოდ ეჭვია ჩემი, შენ რომ არაფერს გავალდებულებს, ხოლო პროფესორი ამ საქმეში უეჭველად არიან საუკეთესო ავტორიტეტი. ნაცნობობა იმ სტუდენტებთან, რომელთაც უყვართ შრომა და მეცნიერება, გიორგის მოუტანს უდიდესს სარგებელსა, თავისუფალ საუბრებში რომ მიეწოდება [მათგან] მარტივი ახსნანი იმ მეცნიერული საგნებისა, მას რომ აინტერესებს. იგი გაუჩენს მას ახალს სურვილს, ახალს ძალას, ახალს აუცილებლობას იშრომოს და ისწავლოს, რათა შემდგომად იქცეს თანამედროვე ადამიანად მისი უზენაესი მნიშვნელობითა.

მე ისევ შინა ვზივარ გაციების შიშითაც და სამწუხარო ამბის გამოც იალტიდამ საბრალო ალექსანდრეს ნაადრევ სიკვდილზედ, ვინც ეგრე წრთელად მიყვარდა. ის ერთადერთი ღირსეული წარმომადგენელი იყო ჩუენის გვარისა: ჭკვიანი, გულით კეთილშობილი, ლამაზი, ახალგაზრდა. საბრალო მანანა, საბრალო მისი ახალგაზრდა მეულლე, უფალმა ღმერთმა ანუგეშოს ისინი! სევდიანად ვასრულებ ამ წიგნსა.

კკოცნი გიორგის; ღმერთი გფარავდეთ.

პარტარე პაგრაფიონიანისაღვი №38 (727)

18^{го} Декабрь 1869. В Москву.¹

Мой друг Варвара! Благодарю за чай; но немогу несказать того, что, или вкус уменя испорчен, или пяти рублевый чай оказывается несовсем хорошим и вовсе недушистым; напротив, черный, дешёвый чай, более по моему вкусу. Однакож, я нехочу верить, чтоб дорогой по цене чай был хуже дешёваго. Разрешимое недоумение.

Отдуши поздравляю снаступающими Праздниками; Да сохранит Бог тебя и Георгія здоровыми, весёлыми.

Здесь у нас опять новая печаль, новое оплакивание: бедный Александр, Пуглій, скончался, после двух параксизмов лихорадки, тихо, безмятежно. Мало уже остаются в живых из тех Грузин прежняго времени, честных, правдивых, своеобразных, которые, даже и в самых враждебных обстоятельствах, не уклонялись от своих принципов. Таков был и Александр: жил честно, умер Христіанином.

Окончу это совсем невесёлое письмо рассказом Скандалной Исторіи; нет я ошибся, неисторіи, какаяже это Исторія? Помнишь ли дочь Корхмаза Меликова? Она, два года тому назад, влюблённая в Мамія Гуріeli, вышла занего замуж, ты его тоже помнишь. Недавно эти влюблённыя, молодые супруги пріехали в Тифлис назиму; Ну, знаете, в Гуріи скука такая, почему же и не повеселиться в Тифлисе. И чтож, несколько дней тому назад, Гуріeli откалотил страх-больно Юферова, чиновника Судебной Палаты, За..., За...., незнаю, как тебе сказать, ну, зашалил с женой его. – Болван Юферов подал жалобу в Суд, что ему Гуріeli нанёс обиду! Незнаю, чем решит Суд, но самое дело очень грязное для обеих сторон. Гуріeli бросил жену.

Так, вот какая Исторія, ты скажешь. Да, Матушка, такая Исторія, если только это – Исторія! – Хочешь, вот ещё один случай, достойный вниманія, как вопрос Психологический; но этот случай пусть будет слушаем, а не Исторію. – Подполк: Корганов женился впрошлом году; а теперь жена настайваєт нато, чтоб он выдал её за муж за Аргутинского. Муж должен выдать свою жену за муж!!! Да пожили советствуиже матушка, в какія времена мы живём?

Погода отличная, народ толпится на бульварах, на площадях, и рассказы, самыя горячія, идут об этих скандалах.

Поцелуй Георгія; да хранит вас Господь!

პარარე პამრატიონი-ორგელიანისაღვი №38 (727)

18^ს დეკემბერი: 1869. მოსკოვს.¹

ჩემო მეგობარო ვარვარა! მადლობა ჩაისთვის; არ ძალმიძს არა ვთქვა, რომ ან პირის გემო მაქვს არეული, ან არც ისე კარგია და სურნელოვანი თურმე ხუთ რუბლიანი ჩაი; პირიქით, შავი, იაფი ჩაი უფრო მომწონს. თუმცა, არ მინდა დავიკერო, რომ ძვირად ღირებული ჩაი იაფზე ცუდი იყოს. ეს არცთუ დიდი საფიქრებელია.

გულით გილოცავ დამდეგ დღესასწაულებს; ღმერთმა გამყოფოთ ჯანმრთელად, მხიარულად.

აქ ჩუებ ახალი მწუხარება გვაქვს, ახალი დატირება, საბრალო ალექსანდრე, პუპლია გარდაიცვალა ციებ-ცხელების ორი პარაქსიზმის შემდეგ, ჩუმად, უმფოთველად. ცოტანიღა ჰქონდებიან ძველი დროის იმ პატიოსან, მართალ, თავისებურ ქართველთაგან, რომელიც არ ჰდალატობდნენ თავის პრინცი-პებს ყოვლად მტრულ გარემოებებში. ესრეთი იყო ალექსანდრე-ცა: ცხოვრობდა სიმართლით, გარდაიცვალა ქრისტიანად.

ამ არცთუ სახალისო წიგნს დავასრულებ სკანდალური

ისტორიის მოყოლით; არა, შემეშალა, არა ისტორიისა, რა ისტორიაა ესა? გახსოვს ყორხმაზ მელიქოვის ქალიშვილი? ორის წლის წინ ის, შეყვარებული მამია გურიელზედ, ცოლად გაჰყვა მას, შენ ისიც [მამიაც] გეხსომება. ამასწინათ ეს შეყვარებული ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ჩამოვიდა თბილის საზამთროდ; აბა, ხომ იცით, გურიაში რა მოწყენილობაა, რატომაც არ უნდა გაერთოს კაცი თბილისში. და რა, რამოდენიმეს დღის წინ გურიელმა მაგრად მიუეუჯა იუჭეროვი, სასამართლო პალატის ჩინოვნიკი, ...თვისა, ...თვისა, არ ვიცი, როგორ გითხრა, თავი შეიქცია მის [გურიელის] ცოლთანა. ბრიყვმა იუჭეროვმა დაწერა საჩივარი სასამართლოში, რომ იგი გურიელმა გაანაწყენა! არ ვიცი, რას გადასწყვეტს სასამართლო, მაგრამ თავად საქმე ძალზედ ბინძურია ორივე მხარისათვის. გურიელმა ცოლი მიატოვა.

აი, როგორი ისტორია ყოფილაო, დიახ, იტყვი შენ. დედილო, ესრეთი ისტორიაა, ოღონდაც თუკი ეს ისტორიაა! გინდა, აი, კიდევ ერთი შემთხვევა, ყურადსალები, როგორც ფსიხოლოგიური საკითხი; მაგრამ ეს შემთხვევა შემთხვევა იყოს და არა ისტორია. პოდპოლკ: ყორღანოვი გასულს წელს დაქორწინდა; ახლა კი ცოლი გადაჰკიდებია, არღუთინსკის მიმათხვეო. ქმარმა უნდა გაათხოვოს თავისი მეუღლე!!! რას მოვესწარით, გამაგებინე მაინცა, დედილო, რა დროებაში ვცხოვრობთ?

ამინდი შესანიშნავია, ხალხი ქუჩდება ბულვარებში, მოედნებზედ და ჰყვება ცხელ-ცხელს ამბებს ამ სკანდალებზედა.

დამიკუცნე

ბასპონიტები, შენიშვნები,

კომენტარები

ტექსტისათვის

სამეცნიერო აპარატი წამოდგენილია კომენტარებით, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლებითა და ლექსიკონით. რამდენადაც აქ არ არის მოცემული ავტორის ეპისტოლური მემკვიდრეობის ენის საკითხები (ენობრივი მიმოხილვა წარმოდგენილი იქნება გრიგოლ ორბელიანის წერილების ბოლო ტომისთვის დართულ სამეცნიერო აპარატში), მოკლედ აღვნიშნავთ, რომ გამოცემაში ბოლომდეა დაცული ავტორისეული ორ- თოვრაფია, პუნქტუაცია და აბზაცები (გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც კალმისმიერი ლაფსუსები დაფიქსირდა). ტექსტებში არსებული ენობრივად გაუმართავი ფრაზები ავტორისეულია და ჩვენ ისინი, რა თქმა უნდა, არ ჩაგვისწორებია. ნათქვამი თანაბრად ეხება როგორც ქართულ, ისე რუსულ წერილებს.

კომენტარებს წინ უძლვის პასპორტები, სადაც მკითხველი მიიღებს სრულ ინფორმაციას წერილის შესახებ. ეს ინფორმაცია განაწილებულია შემდეგ რუბრიკებში:

1. ავტოგრაფი: აქ ვიგებთ, რა სახითაა წერილი ჩვენამდე მოლწეული – ავტოგრაფით, თუ მისი ასლით, სად და რა ნომრით ინახება. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აღნიშნული გვაქვს C, ცენტრალური არქივი A, ხოლო ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი – Z ლიტერით.

2. თარიღი და ადგილი: აქ მოცემულია ავტორის მიერ მითითებული თარიღი და წერილის გამოგზავნის ადგილი. ავტორის მიერ წერილის დაუთარიღებლობის შემთხვევაში, სამეცნიერო აპარატს არ ახლავს მოცემული რუბრიკა;

3. ხელმოწერა: რუბრიკა შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, წერილი ხელმოწერილია თუ არა. თუ წერილი ხელმოუწერელია, მოცემული რუბრიკა პასპორტს არ ერთვის;

4. ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: აქ მკითხველი გაეცნობა ავტორის ადრესატისადმი დამოკიდებულებას: როგორ მიმართავს მას, რას უნიდებს და ა. შ.

5. ავტოგრაფის აღნერილობა: რუბრიკა გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, თუ რა სახის, რა ზომისა და ფერის ქაღალდზეა პარათი დაწერილი, დაზიანებულია თუ არა ხელნაწერი, არის თუ არა გადახაზული ადგილები და ა. შ., ანუ, როგორია ტექსტის დღევანდელი მდგომარეობა;

6. ადრესატის მისამართი: აქ მოცემულია ადრესატის ადგილსამყოფელი. რუბრიკა წერილის პასპორტში იმ შემთხვევაშია წარმოდგენილი, თუ მისამართი ავტორის მიერაა დასახელებული. აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ორბელიანი იშვიათად აწერს მისამართს წერილზე. იგი, სავარაუდოდ, კონვერტზე იქნებოდა დაფიქსირებული, რაც დღემდე არ შენახულა. იშვიათად ადრესატის ადგილსამყოფელი წერილშია დასახელებული. უმრავლეს შემთხვევაში კი ჩვენ ის წლების მიხედვით ადრესატთა მოღვაწეობის გათვალისწინებით, აგრეთვე საანალიზო თუ სხვა წერილებში დასახელებული ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთშეჯერებით აღვადგინეთ;

საპასპორტები რუბრიკებს მოსდევს წერილის შესახებ ინფორმაციის შემცველი შემდეგი რუბრიკები:

1. შენიშვნები: აქ კალმისმიერი შეცდომები და ტექსტის ენობრივი ლათუსუსებია აღნუსხული. ტექსტში მოცემული ნუმერაცია სწორედ შენიშვნებზე მიგვითითებს;

2. პირველი პუბლიკაცია: აქ ვიგებთ, პირველად რომელ გამომცემლობაში და როდის დაიბეჭდა წერილი, გამოცემის რომელ გვერდებზეა იგი განთავსებული და ა. შ.

3. დათარიღება: რუბრიკაში, ფაქტების ანალიზის საფუძველზე, მოცემულია წერილის დაწერის სავარაუდო თარიღი და დასაბუთებულია მისი საფუძველი. გამოცემაში დათარიღებულია 13 წერილი.

სამეცნიერო აპარატის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს კომენტარები, სადაც ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის ასახსნელად ბევრი ახალი მასალაა მოხმობილი.

თითოეული საკომისტარო ფრაზა დამოწმებულია გვერდისა და სტრიქონის მითითებით, რომლებიც ერთმანეთისაგან

მძიმითაა გამოყოფილი. კომენტარებში სტრიქონების ნომრები მითითებულია წლისა და სათაურის ჩაუთვლელად. შესაბამისად, მკითხველმა მისთვის საჭირო ინფორმაცია ამის გათვალისწინებით უნდა მოძებნოს. მაგ., თუ რომელიმე გვერდი იწყება წლისა და სათაურის აღნიშვნით, ვთქვათ, 1865, ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №11 (624) (გვ. 10), პირველი სტრიქონი ამ გვერდზე იქნება „В Лондон 11 Генв: 1865. Тифлис“ და ა. შ., რომლითაც იწყება უშუალოდ ნერილი.

კომენტარების შემდეგ გამოცემას ერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლები, რომლებიც ანბანურ რიგზეა დალაგებული და მკითხველს საშუალებას აძლევს, მისთვის სასურველი პიროვნება თუ გეოგრაფიული სახელი მითითებულ გვერდებზე მოძებნოს.

საძიებლებში პირთა სახელები ტექსტური მონაცემითაა წარმოდგენილი, მაგ.: **სოფიო, ვარინკა, ანნეტა, ბაბალე, კაკალა** და სხვ., რომლებსაც ანოტაცია არ ახლავს. ანოტაცია დართული აქვს სახელის სწორ დასახელებას, რომელთანაც, ლექსიკონის პრინციპის გამოყენებით, გაგზავნილია ტექსტური მონაცემი. მაგ.: „**სოფიო** – იხ. ბარათაშვილი-სუმბათაშვილისა სოფიო მელიტონის ასული.“ ანოტირებულია ბარათაშვილი-სუმბათაშვილისა სოფიო მელიტონის ასული და არა სოფიო.

თუ ტექსტურ მონაცემსა და სწორ დასახელებას შორის უმნიშვნელო განსხვავებაა, ასეთ შემთხვევაში ტექსტური მონაცემი აღარ არის გაგზავნილი სწორ დასახელებასთან, ისინი ერთადაა წარმოდგენილი შემდეგი თანმიმდევრობით: ტექსტური მონაცემი – სწორი დასახელება (ფრჩხილებში) – ანოტაცია, მაგ.: **დადეშვილიანი (დადეშქელიანი)** ალექსანდრე (ბექირბი) ციონის (მიხეილის) ძე; ტერშმავანოვი (ტერ-შმოვანოვი) ივანე; ამირავგიბოვი (ამირევგიბი) მიხეილ ქაიხოსროს ძე და ა. შ.

თუ ტექსტურ ვარიანტებიც ერთმანეთისაგან დიდად არ სხვაობს, ისინი წარმოდგენილია ერთად (სალექსიკონო პრინციპის დაცვით) და გაყოფილია პარალელური ხაზებით. მაგ., „**გაიანე // გაიანე** ილინიშნა – იხ. ბაგრატიონ-გრუზინსკაია გაიანე

ილიას ასული“, „კატო // // კატო ივანოვა // კატო ივანოვისა – იხ. ორბელიანი-ივანოვისა ეკატერინე იაკობის ასული“ და სხვ.

ტექსტური მონაცემების სხვაობის შემთხვევაში კი, თი-თოეული დასახელება შესაბამის ანბანურ რიგშია განთავსებული. მაგ., „ეკატერინა // ეკატერინე – იხ. ბაგრატიონ-გრუზინსკაია ეკატერინე ილიას ასული“ და „კატერინა – იხ. ბაგრატიონ-გრუზინსკაია ეკატერინე ილიას ასული.“ ამ შემთხვევაში ბაგრატიონ-გრუზინსკაია ეკატერინე ილიას ასული ავტორის მიერ მოიხსენიება, როგორც ეკატერინა, ეკატერინე და კატერინა. ამათგან პირველი ორი მონაცემი ერთადაა წარმოდგენილი ანბანური პრინციპის დაცვით, ხოლო მესამე მონაცემი – სხვა ადგილას.

ანდრონიკაშვილები თარხნიშვილები, თუმანიშვილები, მელიქიშვილები, ჩოლოყაშვილები ნინამდებარე ტომის წერილებში მოხსენიებული არიან, როგორც ანდრონიკოვები, თარხანოვები, თუმანოვები, მელიქოვები, ჩოლოყაშვილი. ამიტომ საძიებელში ისინი ამ გვარით არიან წარმოდგენილი და ფრჩხილებში მითითებული აქვთ „ანდრონიკაშვილი“, „თარხნიშვილი, თარხან-მოურავი“, „თუმანიშვილი“, „მელიქიშვილი“, „ჩოლოყაშვილი“: „ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი)“, „თარხანოვი (თარხნიშვილი, თარხან-მოურავი)“, „თუმანოვი (თუმანიშვილი)“, „მელიქოვი (მელიქიშვილი)“, „ჩოლოყავი (ჩოლოყაშვილი)“. თუ რომელიმე ამ გვარის წარმომადგენელი მარტო სახელით არის მოხსენიებული, მაშინ „-ოვ“-ზე დაბოლოებული გვარი“ ანოტაციაში აღარ ჩანს, მაგ.: „თარხან-მოურავი-ბაგრატიონ-გრუზინსკისა ელენე ზაქარიას (ესტატეს) ასული“, „ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა ელენე ივანეს ასული“ და სხვ.

ამდენად, საძიებელში გვექმნება სხვაობა ერთი და იმავე გვარის წარმომადგენელთა დასახელების დროს. მაგ., „ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) სოლომონ ზურაბის ძე“, „ანდრონიკოვა (ანდრონიკაშვილი)-ჭავჭავაძისა დარია რამაზის ასული“ და „ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა ელენე ივანეს ასული“.

რამდენადაც ამოსავალი პრინციპი ჩვენთვის არის პი-როვნების ტექსტური მონაცემის სახით წარმოდგენა, აღნიშ-ნული სხვაობის წარმოქმნას ვერ დავაღწიეთ თავი.

ლევან მელიქიშვილი ტექსტებში ყველგან მელიქოვის სახით არის მოხსენიებული. ამიტომ მისი შვილებიც, რომლე-ბიც ლევანის შვილობით მოხსენიებიან და არა საკუთარი სახელებით, საძიებელში მოცემულნი არიან მამის ანალოგით: მელიქოვი (მელიქიშვილი) და ა. შ.

ქალი პიროვნებები წარმოდგენილნი არიან ქალიშვი-ლობის გვარით, რომლის გვერდითაც დეფისის შემდეგ მე-უდლის გვარია დაფიქსირებული, მაგ., „ერისთავი-ჭავჭავაძისა მარიამ (მაია) შალვას ასული“, „ერისთავი-ორბელიანისა მანანა მირმანოზის ასული“ და ა. შ. როცა ქალიშვილობის გვარი არ არის ცნობილი, პიროვნება მითითებულია მეუდლის გვარით, მაგ., ალექსი-მესხიშვილისა – გრიგოლ ორბელიანის რძლის, ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანის, დედა.

საძიებლებში პირთა თუ გეოგრაფიულ სახელებს გვერდე-ბი იმ შემთხვევებშიც აქვს მითითებული, როცა ისინი მხოლოდ იგულისხმება და დასახელებული არ არის, მაგ., თუ ტექსტში წერია „შვილი“, „და“, „ძმა“, „სიძე“, „რძალი“ და ა. შ. და ცნობი-ლია, ვისზეა საუბარი, გვერდები მითითებული აქვს ამ სიტყვე-ბის ქვეშ ნაგულისხმევ პირთა სახელებს, მაგ.: „ამობრწყინდა აქა ყორხმაზის ცოლი თავის ქალითა“; „მამუკას ცოლი ბაბოთი აქ მეზობლადა გვყავს.“ ამ შემთხვევაში, საძიებელში გვერდები მი-თითებული აქვს ყორხმაზის ცოლსაც, მათ ქალსაც, მამუკას ცოლსაც და მათი ანოტაციებიც არის წარმოდგენილი.

საძიებელში გვერდები არა გვაქვს დაფიქსირებული იმ შემთხვევებში, როცა პიროვნება საზოგადო სახელით არის მოხსენიებული და არ არის ნათელი, ვისზეა საუბარი, ან, როდესაც მთელი ოჯახია მოხსენიებული და არ ჩანს, ოჯახის რომელი წევრები იგულისხმება.

რაც შეეხებათ ადრესატებს, მათ გვერდები აღენიშნე-ბათ იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირებისადმი გაგზავნილ წერი-

ლებში არიან მოხსენიებულნი, ან მათდამი მიმართულ წერი-ლებში მათზე საუბარია, როგორც მესამე პირზე. სხვა შემ-თხვევაში მათ ეთითებათ, რომ წერილის ადრესატები არიან.

გეოგრაფიული სახელებიც ანოტირებულ საძიებელში გა-ტანილია ტექსტური მონაცემით და სწორი დასახელება წარ-მოდგენილია ფრჩხილებში, მაგ., „ანგლია (ინგლისი)“, „ჭრანცია (საფრანგეთი)“, „მუშთეიდის ბალი (მუშტაიდის ბალი)“ და სხვ.

საძიებელში ანოტაციები არ დავურთეთ საქართველოს ქალაქებსა და მხარეებს (მაგ., კახეთს, გურიას, იმერეთს და ა. შ.), აგრეთვე კონტინენტებს. მათ მხოლოდ გვერდები აქვთ აღნიშნული.

გეოგრაფიულ სახელს გვერდები აღნიშნება იმ შემ-თხვევებშიც, თუ ის წერილის დაწერის ადგილია.

ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით, ლექსიკონში, გარ-და ლიტერატურულისა, სასაუბრო ფორმები, რუსიციზმები და უცხო წარმომავლობის სიტყვებიცაა ახსნილი. სიტყვა, საჭირო-ების შემთხვევაში, მოცემულია თავისი ვარიანტებით, რომლე-ბიც ერთმანეთისაგან პარალელური ხაზებითაა გამოყოფილი. სალექსიკონო მასალა წარმოდგენილია ტექსტური ფორმებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა სალიტერატურო ფორმებს.

გარკვეულ შემთხვევებში ლექსიკონში მოცემულ სიტ-ყვას განმარტება არ სჭირდება, მაგ., „ქრისტიანობრივი“, „სამზღვარს გარე“, „ხოლერა“ და სხვ., მაგრამ ისინი ასახუ-ლია ლექსიკონში ავტორისთვის დამახასიათებელი ლექსიკის სრულად წარმოჩენის მიზნით.

თითოეულ საქმიან შენიშვნას სამეცნიერო ჯგუფი დიდი მადლიერებით მიიღებს და გაითვალისწინებს შემდგომი მუ-შაობისას.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №11 (624) (გვ.: 10-11)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ.: 5r-v.
თარიღი და ადგილი: „11 გენვ: 1865. თიფლის.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „...мой друг Варвара“
ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო, გახუნებული, დალაქა-
ვებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, ორად გადაკეცი-
ლი ქალალდი; თითოეულის ზომა: 35,3X21,8 სმ.; შესრულებუ-
ლია შავი ფანქრით; ქვემო მხარეს, გადაკეცის ადგილას,
ხელნაწერი შეხეულია, ორ ადგილასაც ამოხეულია. 6r გვერ-
დზე განთავსებულია ამავე ადრესატისადმი მიწერილი 15
მარტის ბარათი.

ადრესატის მისამართი: „В Лондон“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 10,2. „**мой друг Варвара**“ – წერილის ადრესატის
გრიგოლ ორბელიანის რძალი – ბარბარე ილიას ასული ბაგ-
რატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 10,3. „**о тебе и Георгие**“ – იგულისხმება ადრესატის
ვაჟი, გრიგოლ ორბელიანის ძმისწული – გიორგი ილიას ძე
ორბელიანი.

გვ.: 10,11. „**Колосовского и Эрвье**“ – სავარაუდოდ, სა-
უბარია გენერალ ივანე გრიგოლის ძე კოლოსოვსკიზე და
თბილისში დაბადებული, წარმოშობით ფრანგი გეოლოგის,
იური გრიგოლის ძე ერვიეს, მამაზე – გიორგი ივანეს ძე ერ-
ვიეზე.

გვ.: 10,19. „**Вел: Князя**“ – საუბარია მეფისნაცვალ მი-
ხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 10,22. „**Нина Опочинина и вместе с ней**
Мейндорф“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, ბარბარე ორ-

ბელიანისა, და ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ქალიშვილსა და ახალგაზრდა ბარონ ნიკოლოზ იაგორის ძე მეინდორფზე.

გვ.: 10,22-23. „**Позень, Философов, Зиновьев, Бебутов**“

– საუბარი უნდა იყოს ახალგაზრდა სამხედრო მოსამსახურე-ებზე: ვალერიან მიხეილის ძე პოზენზე, რომელიც 1866 წლამ-დე მეფისნაცვლის საგანგებო დავალებათა შემსრულებელი იყო, მეფისნაცვლის ადიუტანტ დიმიტრი ალექსის ძე ფილო-სოფოვზე, კავკასიის არმიის გენერალ-მაიორ ვასილი ვასილის ძე ზინოვიევსა და შემდგომში თეატრალურ მოღვაწეზე – მი-ხეილ პეტრეს ძე ბებუთოვზე.

გვ.: 10,23-24. „**отличаются Корганов, Кармалина...**

Огарева“ – სავარაუდოდ, საუბარია თბილისელ კაპიტან ან-ტონ სოლომონის ძე ყორღანაშვილზე, ალაზნის მარცხენა ნა-პირებზე განლაგებული ჯარების მეთაურის, ნიკოლოზ ნიკო-ლოზის ძე კარმალინის, მეუღლეზე – მომღერალ ლიუბოვ ივანეს ასულ კარმალინასა და სოფიო ნიკოლოზის ასულ ოგა-რევაზე, რომელიც კავკასიის მეფისნაცვლის მეუღლის, ოლდა თეოდორეს ასული ბადენელი-რომანოვისას, ფრეილინა იყო.

გვ.: 10,26-27. „**Пріехала Графиня Аннета – а теперь Маркиза Албици с мужем**“ – საუბარია ანა ოქროპირის ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ალბიცისაზე.

გვ.: 11,3. „**из Дербента Джомардизова**“ – საუბარია დერბენდის გუბერნატორის, მიხეილ გრიგოლის ძე ჯომარდი-ძის, მეუღლეზე – ელენე გრიგოლის ასულ ბარათაშვილ-ჯო-მარდიძისაზე.

გვ.: 11,6. „**родственник Вел: Княгини, Лорд Гамильтон**“ – საუბარი უნდა იყოს მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის მეუღ-ლის, ოლდა თეოდორეს ასულის, მამიდის – მარია ამალია ბა-დენელისა – და უილიამ ჰამილტონის ერთ-ერთ ვაჟზე – უილი-ამზე, ან კარლ გეორგზე.

გვ.: 11,10-11. „**Витгенштейн, Либау, Мейндорф, Гр: Левашёвы, Свечины**“ – საუბარია ლევ პეტრეს ძე ვიტგენშტე-

ინზე, რომელსაც ცოლად ჰყავდა კავკასიის ყოფილი მეფისნაც-ვლის, ალექსანდრე ბარიატინსკის, და – ლეონილა, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის ექიმ ანდრეი ანდრეის ძე ლიბაუზე, გრაფ ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვის ოჯახზე, ქართულ გრენადერთა პოლკის მეთაურ ალექსანდრე ალექსის ძე სვერინისა და მისი მეუღლის, ლიუბოვ სერგეის ასული გოლიცინა-სვერინას ოჯახზე.

გვ.: 11,15. „**Генерал Адъютанта Огарева**“ – საუბარია გენერალ-ადიუტანტ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ოგარიოვზე.

გვ.: 11,16. „**умер мой Адъютант Коте Тарханов**“ – საუბარია კოტე ზაქარიას (ესტატეს) ძე თარხან-მოურავზე.

გვ.: 11,16-17. „**брат Елены Грузинской**“ – საუბარია ელენე ზაქარიას (ზაზას, ესტატეს) ასულ თარხან-მოურავ-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე და მის ძმაზე – კოტეზე.

გვ.: 11,21. „**бедная старуха Маркрита**“ – პიროვნების ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 11,23. „**Деспина Гурели, сестра хромого Дмитрия**“ – საუბარია დესპინე ქაიხოსროს ასულ გურიელა და მის ძმაზე – დიმიტრიზე.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №12 (625) (გვ.: 14-15)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ.: 6r-v.

თარიღი და ადგილი: „1^{го} Марта 1865. Тифлис“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Мой друг Варвара!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი ქალალ-დი; თითოეულის ზომა: 35.3X22 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. 7r-v გვერდებზე დაწერილია 1 მარტის წერილი; ქალალდი ორ ადგილას გახვრეტილია.

афроєсафтоіс місаамартоі: афроєсафтоі тағыіс ғаүтәаң үртад әм პे-
рінодеші оңғалысші, көрдом, **ләнбәндәнбәнші**, үкөврөмбәдә әдә
раатоіц ің әріс ғағზағнолі. Եңрілшіц әріс мінішнеба ама-
щі: „А я, признаюсь, очень, очень радуюсь вашему пребыванію
в Англії.“

Шеңішвінебіі: 1. ხაზғасымұліа әүгітпәріс мінегі.

პірვеңі ჰүбіліқағызіа: წінбағдаре гаамопеімба.

Гვ.: 14,8. „**сестре Гаяне**“ — сауібааріа ғаінаң ілінаі
асуул ბағранағтоін-гүзінсекаіаზі.

Гვ.: 14,11-12. „**Каплан... запутал**“ — сауібааріа ғрі-
гопәл тәрбейлінаңіс ბіндашвили ყағылдаң әсланаңіс ді әрбейлінаң-
ზі.

Гვ.: 14,18. „**Мадам Минквиц...**“ — сауібааріа დеңді-
ғыс ғүйдеңнәғтоір өүлі თәрілдөржес ді мінквициіс міндеңлікі-
— ლеңіна ғаінквициісаіа.

Гვ.: 14,23-24. „**Поэмы Караманіани**“ — сауібааріа үзбө-
ბілл სарапаінде-саатағағада сауілл რомбаңі.

Гვ.: 14,24. „**лорд Гамильтон и сопутник его Итонъ**“ —
сауібааріа міндеңісінбағзаң міндеңіллік әрмаманғыс міндеңлікіс, әлдә
тәрілдөржес асуулікіс, міндеңіллікіс — мінбааріа амаліа ბағеңеңлікіса —
әдә үзілінаі ჰағылғтоініс ғріт-ғріт ғаүтіңі — үзілінаіміңі, аң
қаңғыл ғеңіркеса әдә мін міндеңлікіл өтініңі, әрмамлікіс ғаінквициі-
у үзбөнбіда.

Гვ.: 14,29. „**Графиня Левашева**“ — сауібааріа ғріағ
зәлдімілер ғаінквициіс ді ლеңвашовиіс міндеңлікі — әлдә ғиі-
ғтоіріс асуул ჰағылғынебі.

Гვ.: 15,1-2. „**по заведенію Св: Нини**“ — сауібааріа 6мін-
да 6інбөс сақылғандаіс қытатілшомбілл ქаңтаа сағынбағлайшілікі.

Гვ.: 15,2. „**Генерал Адъютант Огарёв**“ — сауібааріа ғе-
ніңрәл-ағиітіңінде 6інкүллік әллеңісаңғаре ғаінквициі.

Гვ.: 15,2-3. „**фрейлина Пиллар... к Сумарокову**“ — сауіба-
аріа ғеңілісаңғаре әллеңіркес асуул қалеңінміндеңлі-6інкүллік 6інкүл-
лаң.

სა და ფელიქს ნიკოლოზის ძე სუმაროკოვ-ელსტონზე, რომელიც ეკატერინოდარში (ამჟამინდელ კრასნოდარში) მსახურობდა. ისინი ორივენი იყვნენ ეკატერინე თევდორეს ასული ტიზენჰაუზენის შთამომავლები.

გვ.: 15,3. „**Георгій Мухранський**“ — საუბარია გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ.: 15,7. „**Нина – дочь Каплана**“ — საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილზე — ნინო ყაფლანის ასულ ორბელიან-წულუკიძისაზე.

გვ.: 15,8. „**Дмитрій с Марією Івановної**“ — საუბარია დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანსა და მის მეუღლეზე — მარიამ ლუარსაბის ასულ ორბელიანზე.

გვ.: 15,9-10 „**Дочь Левана Чолокаева... за Илью Тарханова**“ — სავარაუდოდ, საუბარია გენერალ ლევან ედიშერის ძე ჩოლოყაშვილისა და გრიგოლის ნათესავ, ელენე ივანეს ასული ანდრონიკაშვილის, ქალიშვილზე. ილია თარხანიშვილის შესახებ დამატებითი ცნობები პიროვნებებზე არ მოგვეპოვება.

გვ.: 15,10-11. „**Бабале Сагинова немного болела**“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილზე — ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე.

გვ.: 15,11. „**Их Высочества**“ — საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის მეუღლეზე — ოლღა თეოდორეს ასულ ბადენელ-რომანოვისაზე.

გვ.: 15,18. „**мой дядя Георгий**“ — ადრესატის ვაჟს, თავის ძმისნულს, გიორგი ილიას ძე ორბელიანს, გრიგოლი სიყვარულით „ბიძას“ უწოდებს.

გვ.: 15,30. „**Катерине низко, низко кланяюсь**“ — საუბარია ადრესატის უმცროს დაზე — ეკატერინე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიაზე.

გვ.: 15,31. „**Их Высочества выедут вначале Мая**“ — საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გაიანე ბატონიშვილისადმი №1 (626) (გვ.: 18-20)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ.: 7r-v.
თარიღი და ადგილი: „5^{го} Марта 1865 Тифлис.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Милос: Госуд: Княжна
Гаяне Ильинишина!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული,
დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი ქალალ-
დი; თითოეულის ზომა: 35.3X22 სმ.; შესრულებულია შავი ფან-
ქრით. მე-7-8 გვერდებზე დანერილია 5 მარტის წერილი. ქა-
ლალდი ორ ადგილას გახვრეტილია.

ადრესატის მისამართი: ბარბარეს და გაიანე მოსკოვში ცხოვ-
რობდა და ბარათიც, შესაბამისად, იქ არის გაგზავნილი. ამას
ადასტურებს მისდამი ამავე წლის 23 აპრილს გაგზავნილი წერი-
ლიც, სადაც ადრესატის მისამართია აღნიშნული: „в Москву.“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ბოლო სამი
სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. სიტყვა წინდებულ-
თან ერთად ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 18,15. „Княжна Гаяне Ильинишина“ — წერილის
ადრესატია გრიგოლ ორბელიანის რძლის, ბარბარე ილიას
ასული ბაგრატიონ-ორბელიანის, და — გაიანე ილიას ასული
ბაგრატიონი.

გვ.: 18,16. „письмо от сестры Варвары“ — საუბარია
ადრესატის დაზე — ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბე-
ლიანისაზე.

გვ.: 19,11. „время из поэмы Караманіани“ — საუბა-
რია ცნობილ სარაინდო-სათავგადასავლო რომანზე.

გვ.: 19,12. „присутствія Их Высоч:“ — საუბარია მე-
ფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანვზე.

გვ.: 19,14-15. „Анна Ивановна Маркиза Альбици
приехала сюда с мужем“ — საუბარია ანა ოქროპირის ასულ

ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ალბიცისაზე და მის მეუღლე ალექსანდრე ალბიცზე.

გვ.: 19,18. „**К: Давид избран**“ — საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 19,20. „**К^и Аннета всегда отмечена вниманием В:** **Княгини**“ — საუბარია ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძისაზე და მისდამი მეფისნაცვლის მეუღლის, მარია თეოდორეს ასული ბადენელი-რომანოვისას, კეთილგანნებუბაზე.

გვ.: 19,23. „**Фрейлина Огарева**“ — საუბარია სოფიო ნიკოლოზის ასულ ოგარევაზე, რომელიც კავკასიის მეფისნაცვლის მეუღლის, ოლღა თეოდორეს ასული ბადენელი-რომანოვისას, ფრეილინა იყო.

გვ.: 19,27-28. „**советовал К: Грігоріо Ильичу найдти случай представиться В^и К^и**“ — საუბარია ადრესატის ძმის – გიორგი ილიას ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის – წარდგენაზე მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის წინაშე.

გვ.: 20,1. „**Что моя тётушка Олини́ка**“ — საუბარია ადრესატის დაზე – ოლღა ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიაზე.

გვ.: 20,4. „**Царевне Анастасии**“ — საუბარია ადრესატის დედაზე – ანასტასია გრიგოლის ასულ ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე.

გვ.: 20,5. „**равно и Княжне Александре**“ — საუბარია ადრესატის დაზე – ალექსანდრა ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიაზე.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №13 (627) (გვ.: 22-23)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ. 8r.

თარიღი და ადგილი: „15 Марта 1865 Тифлис.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Варваре Ильинишне Орбел.“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი ქალალდი; თითოეულის ზომა: 35.3X21,8 სმ.; შესრულებულია შავი ფანჯრით; ხელნაწერი ორ ადგილას გახვრეტილია.

ადრესატის მისამართი: „в Лондон“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 22,14. „**послал к твоей сестре Гаяне**“ — საუბარია ადრესატის დაზე — გაიანე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინ-სკაიაზე.

გვ.: 22,22. „**Великой Княгине**“ — იგულისხმება მეფის-ნაცვლის მეუღლე — ოლღა თეოდორეს ასული ბადენელი-რომანოვისა.

გვ.: 22,26. „**Бедный Андрей Херхеулидзе**“ — საუბარია ანდრეი დავითის ძე ხერხეულიძეზე.

გვ.: 23,1-2. „**Бабо Тарханова родила сына и в тот же день привезла ея муж**“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის ნათესავ ბარბარე (ბაბო) მამუკას ასულ ორბელიან-თარხან-მოურავისაზე და მის მეუღლეზე — იოსებ დავითის ძე თარხან-მოურავზე.

გვ.: 23,6. „**молодому Сенатору Харитонову**“ — საუბარია ალექსი ალექსანდრეს ძე ხარიტონოვზე, რომელიც სწორედ 1865 წელს აირჩიეს სახელმწიფო სენატის წევრად.

გვ.: 23,7. „**Чиляев возвращается из Мингрелии**“ — საუბარია მიხეილ იაგორის ძე ჭილაშვილზე, რომელიც სამეგრელოს მმართველი იყო 1865 წლამდე.

გვ.: 23,8. „**назначен Властвов – Виц губернатор Тифлиса**“ — საუბარია გიორგი კონსტანტინეს ძე ვლასტოვზე, რომელიც 1863-1865 წლებში იყო თბილისის ვიცე-გუბერნატორი.

გვ.: 23,9. „**Целую Георгия**“ — საუბარია გრიგოლის ძმისასულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 23,9-10. „**поцеловать и Екатерину**“ — საუბარია ადრესატის დაზე — ეკატერინე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიაზე.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №14 (628)

(გვ.: 24-25)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ. 9r.

თარიღი და ადგილი: „23 Апр: 1865. Тифлис.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Мой друг Варвара!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი ქალალდი; თითოეულის ზომა: 36,2X22,2 სმ.; შესრულებულია შავი ფანჯრით. ქალალდი ორ ადგილას გახვრეტილია; || გვერდზე მოთავსებულია გაიანე ბატონიშვილისადმი იმავე დღეს მიწერილი წერილი.

ადრესატის მისამართი: „В Лондон.“

შენიშვნები: 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ბოლო ორი სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4. ხელნაწერში იკითხება „с англичесчым“; 5. ეს სიტყვა ჩამატებულია ზემოდან ავტორის ხელით.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 24,16. „**посылаю к сестре Гаяне**“ — საუბარია ადრესატის დაზე — გაიანე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიაზე.

გვ.: 24,25. „**Известія о Георгіє**“ — საუბარია გრიგოლის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 25,1-2. „**Их Высоч: с детьми... Государю Импер:**^ъ“ — კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი ოჯახთან ერთად გაემგზავრა გერმანიაში, რომ დარმშტატში შეხვედროდა ნიკაში შვილის გადმოსასვენებლად მიმავალ თავის ძმას – იმპერატორ ალექსანდრე II-ს.

გვ.: 25,3. „**о кончине Государя наследника**“ — უფლის-წული ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე გარდაიცვალა საფრანგეთის ქალაქ ნიკაში 1865 წლის 12 აპრილს.

გვ.: 25,8. „**Барон Алекс: Николай**“ — საუბარია ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაიზე.

გვ.: 25,9. „**дочь его останется в Цинандале**“ — საუბარია მარიამ (მაკა) ალექსანდრეს ასულ ნიკოლაი-შერვაშიძისაზე.

გვ.: 25,9-10. „**Орловский и Изюмский также выезжают**“ — სავარაუდოდ, საუბარია თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვსკისა და მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს მოხელეზე — ადრიან ადრიანის ძე იზიუმსკიზე.

გვ.: 25,10-11. „**Опочинины... в Боржоме**“ — საუბარია ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისა და ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ოჯახზე.

გვ.: 25,11-12. „**старик Тершмаванов**“ — შესაძლოა, საუბარი იყოს საბაჟოს მოხელის, ნიკოლოზ ტერ-შმოვანოვის, მამაზე — ივანეზე.

გვ.: 25,14. „**опять взвалили Наместничество**“ — როდესაც მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვს ქალაქიდან გასვლა უხდებოდა, მის მოვალეობას გრიგოლ ორბელიანი ასრულებდა.

გვ.: 25,17. „**седую голову Екатерины**“ — ხუმრობით ამბობს ადრესატის უმცროს დაზე — ეკატერინე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაზე.

გაიანე ბატონიშვილისადმი №2 (629) (გვ. 27)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ. 9v.

თარიღი და ადგილი: „23 Апр: 1865“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Княжне Гаяне Грузинской“
ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული,
დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი ქალალ-
დი; თითოეულის ზომა: 36,2X22,2 სმ.; შესრულებულია შავი
ფანჯრით. ქალალდი ორ ადგილას გახვრეტილია. | გვერდზე მო-
თავსებულია ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი იმავე
დღეს მიწერილი წერილი.

ადრესატის მისამართი: „в Москву.“

შენიშვნები: 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. კვადრატულ
ფრჩხილებში მოთავსებულ ადგილას ხელნაწერი გახვრეტილია.

გვ.: 27,14. „Их Высоч: выехали... представиться Госуд:

Импер:“ — კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი გაემ-
გზავრა გერმანიის ქალაქ დარმშტატში, რომ იქ შეხვედროდა
ნიცაში შვილის გადმოსასვენებლად მიმავალ თავის ძმას – იმ-
პერატორ ალექსანდრე II-ს.

გვ.: 27,16. „кончины Госуд: Наследника“ — საუბარია
უფლისწულ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე რომანოვზე.

გვ.: 27,26. „Ея Светлости Царевне“ — საუბარია ადრე-
სატის დედაზე – ანასტასია გრიგოლის ასულ ობოლენსკაია-
ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე.

გვ.: 27,27. „Княжне Александре и моей Тетушке
Олиньке“ — საუბარია ადრესატის დებზე – ალექსანდრა და
ოლღა ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიებზე.

მიხეილ რომანოვისადმი №1 (630) (გვ. 29)

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა №1, საქმე №7502; 8r.

თარიღი და ადგილი: „14 мая 1865 Тифлис“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Его Имп: Высоч: Намест: Кавказскому.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, და-ლაქავებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის 1 ფურცელი, ზომა: 29,8X21,2 სმ.; ხელნაწერი დაზინებული და რესტავრირებულია; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუდენ-თილია ფურცელში. ამავე გვერდზე, ქვემოთ, მოთავსებულია იმავე ადრესატისადმი 28 მაისს გაგზავნილი წერილი. მთელ გვერდზე, ზემოდან ქვემოთ, ნაწერს ჩამოსდევს წითელი ფერის ფანქარი გადახაზვის მიზნით. ზედა მხარეს, სავარაუდოდ, არ-ქივარიუსის მიერ, თარიღის წინ მიწერილი აქვს: „№1.“

ადრესატის მისამართი: „В Царское Село“

შენიშვნები: 1-2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 29,3. „**Его Имп: Высоч: Намест: Кавказскому**“ — წერილის ადრესატია 1862 წლის 6 დეკემბრიდან კავკასიის მე-ფისნაცვალი, იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმა — მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

გვ.: 29,7. „**Работы начались по дворцу**“ — საუბარია მე-ფისნაცვლის სასახლის მშენებლობაზე.

მიხეილ რომანოვისადმი №2 (631) (გვ. 30)

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა №1, საქმე №7502; 8r.

თარიღი და ადგილი: „28^{го} Мая“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Его Высо:^{by} Намест: Кавказскому.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, და-ლაქავებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის 1 ფურცელი, ზომა: 29,8X21,2 სმ.; ხელნაწერი დაზინებული და რესტავრირებულია; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენ-თილია ფურცელში. ამავე გვერდზე, ზემოთ, მოთავსებულია იმავე ადრესატისადმი 14 მაისს გაგზავნილი დეპეშა. მთელ გვერდზე, ზემოდან ქვემოთ, ნაწერს ჩამოსდევს წითელი ფერის ფანჯარი გადახაზვის მიზნით. ზედა მხარეს, სავარაუდოდ, არ-ქივარიუსის მიერ, თარიღის წინ მიწერილი აქვს: „№1.“

ადრესატის მისამართი: წინამდებარე წერილში ადრესატის მი-სამართი არ ჩანს, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი გაგზავნილია პეტერბურგში: გრიგოლი მიხეილ რომანოვს ატ-ყობინებს, რომ ბარონი ნიკოლაი პეტერბურგში იქნება 1 ივ-ნისისთვის: „Барон Николай выехал девятнадцатого чрез Ставрополь. Прибудет в Петербург к первому Июня“, ხოლო 3 ივნისის წერილში, რომელიც ამავე ადრესატისადმია მიწერი-ლი, ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ ბარონი ნიკოლაი მიხე-ილ რომანოვს უკვე მოახსენებდა მხარის მდგომარეობის შე-სახებ: „Барон Николай, без сомнения, уже доложил В^{МУ} Высо^{ВУ} о положении здешняго Края“.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარილება: წერილიდან ჩანს, რომ მისი დაწერის დღეს, 28 მა-ისს, საკათედრო ტაძარში ვიღაცის პანაშვიდს იხდიან. თუ გა-ვითვალისწინებთ, რომ წერილის ადრესატია მის ავტორზე ბევ-რად მაღალი რანგის პიროვნება – კავკასიის მეფისნაცვალი და რუსეთის იმუსამინდელი იმპერატორის, ალექსანდრე II-ის, ძმა, უნდა ვიფიქროთ, რომ საუბარი უნდა იყოს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პიროვნების პანაშვიდზე. 1865 წლის 12 აპრილს ნიკაში გარდაიცვალა ადრესატის ძმისწული, რუსეთის იმპერიის უფლისწული ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე რომანოვი, რომელიც პეტერბურგში 21 მაისს ჩამოასვენეს და სწორედ 28 მაისს დაკ-

რძალეს პეტრე-პავლეს ტაძარში. შესაბამისად, დეპეშა 1865 წლის 28 მაისს უნდა იყოს გაგზავნილი.

გვ.: 30,2. „**Барон Николай выехал**“ – საუბარია ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაიზე.

გვ.: 30,3-4. „**Сегодня Панахида в Соборе**“ — საუბარი უნდა იყოს ახალგარდაცვლილი უფლისწულის – ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე რომანოვის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდზე, რომელიც უნდა ჩატარებულიყო ამჟამინდელი პარლამენტის შენობის ადგილას მდგარ რუსულ ტაძარში.

მიხეილ რომანოვისადმი №3 (632) (გვ.: 30-32)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 152r-v.

თარიღი და ადგილი: „3^{го} Іюня 1865 Тифлис“

ხელმოწერა: „С Чувством глубокаго благоговейнаго уваженія имею счастіе быти Вашего Импер: Высочества всепреданнейшій Слуга“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Ваше Импер: Высочество!“

ავტოგრაფის აღწერილობა: ყვითელი ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, სამუალო ფორმატის, სამუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,1X21,9 სმ; შესრულებულია ლურჯი ტუშით, რომელიც გაუღენთილია ფურცელში; ალაგ-ალაგ არის მელნის ნაღვენთები.

ადრესატის მისამართი: წინამდებარე წერილში ადრესატის მისამართი არ ჩანს, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი გაგზავნილია **პეტერბურგში:** 28 მაისის წერილში გრიგოლი მას ატყობინებს, რომ ბარონი ნიკოლაი პეტერბურგში იქნება 1 ივნისისთვის: „Барон Николай выехал девятнадцатого через Ставрополь. Прибудет в Петербурге к первому Июня“, ხოლო წინამდებარე წერილში ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ ბარონი ნიკოლაი ადრესატს უკვე მოახსენებდა მხარის მდგომა-

режом был в Швейцарии: „Барон Николай, без сомнения, уже доложил В^{МУ} Высо^{ВУ} о положении здешняго Края“.

Шефнішвілі: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ეს ადგილი და-ზიანებულია და არ იკითხება; 3. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 30,13. „**Барон Николай... доложил**“ — საუბარია ბა-რონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაიზე.

გვ.: 30,14. „**Винч отправился в Диличан**“ — საუბარია ინჟინერზე, რომელიც აშენებდა გზებსა და ხიდებს კავკასია-ში. მისი გვარი სხვადასხვა წყაროში ასევე მოხსენიებულია, როგორც „ვინჩა“, „ვინჩე“, მაგრამ სახელი უცნობია.

გვ.: 30,30. „**Архимандрит Андріас**“ — სავარაუდოდ, სა-უბარია გრიგორიანელ არქიმანდრიტზე.

გვ.: 30,30-31. „**по приказанию Патріарха**“ — იმ დროს სომხური გრიგორიანული ეკლესიის პატრიარქი იყო მატეოს | ჩუხაჯიანი.

გვ.: 30,31. „**следствия над Айвазовским**“ — საუბარია ცნობილი სომეხი მხატვრის, ივან (ოვანეს) აივაზოვსკის, ძმა-ზე — არქიმანდრიტ გაბრიელ კონსტანტინეს ძე აივაზოვსკიზე / აივაზიანზე. იგი იყო ნახჭევან-ბესარაბიის სომხური გრიგო-რიანული ეპარქიის მწყემსთმთავარი და დაარსებული ჰქონდა სასწავლებელი, რომელსაც ნაწილობრივ სახელმწიფო აფინან-სებდა. აივაზოვსკის ბრალი ედებოდა თანხის გაფლანგვაში, მაგრამ მის წინააღმდეგ აღძრულ საქმეში იყო შეუსაბამობები. არსებობს მოსაზრება, რომ მის მიერ გახსნილი სასწავლებ-ლის არსებობა ხელს აღარ აძლევდა არც რუსეთის ხელისუფ-ლებას და არც სომხეთის ეკლესიას.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №105 (633) (გვ.: 35-37)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №615/№26, ორ-
მაგი პაგინაციით, გვ.: 1r-v, 2r. // 156r-v, 157r.

თარიღი და ადგილი: „⁹ ივნისს 1865. თბილისით.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, საყუარე-
ლო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი,
გახუნებული, დალაქავებული, დიდი ფორმატის, საშუალო
სისქის, ორად გადაკეცილი ქალალდი; თითოეულის ზომა:
26,4X21 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც
გაუღენთილია ფურცლებში; მე-4 გვერდზე შავი მელნით თა-
რილი „1865“ კვლავ არის მიწერილი.

ადრესატის მისამართი: დიმიტრი ჯორჯაძე ამ პერიოდში მსა-
ხურობდა დალესტანში, კერძოდ, თემიონხანშურაში. წერილიც,
შესაბამისად, იქ არის გაზიარებული, რასაც ადასტურებს იქ
მომსახურე გრიგოლის ახლობელი ადამიანების მოკითხვა.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ამ აბზაცის ეს
ნაწილი მარცხენა მხრიდან შავი ფანქრით არის მონიშნული;
3. ღმერთი; 4. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 5-6. ღმერთი; 7.
ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

წერილის ადრესატია დიმიტრი ივანეს ძე ჯორჯაძე.

გვ.: 35,14-16. „მაჲმადა... სოფელს ყელეს“ – ყელესა მაჲმა-
დას გრიგოლ ორბელიანი წინა წლების წერილებშიც ახსენებს.
მას მიჰქონდა წერილები შამილთან, როცა კახეთიდან გატაცე-
ბული ქალების გამოხსნაზე წარმოებდა მოლაპარაკება.

გვ.: 35,24. „კნიაზ ლევანს შემახვეწო“ – საუბარია იმუ-
მად დალესტნის მმართველზე, გენერალ ლევან ივანეს ძე მე-
ლიქიშვილზე.

გვ.: 36,10. „ვინჩი გავგზავნეთ ერევნისკენ გზის გასაკე-
თებლად“ – საუბარია ინჟინერზე, რომელიც აშენებდა გზებსა

და ხიდებს კავკასიაში. მისი გვარი სხვადასხვა წყაროში ასევე მოხსენიებულია, როგორც „ვინჩა“, „ვინჩე“, მაგრამ სახელი უცნობია.

გვ.: 36,11. „გოქჩის გზა“ – იგულისხმება ამჟამინდელი სევანის ტბის გზა.

გვ.: 36,12. „აშარანზე და აშტარაკზე“ – საუბარია სომხურ დასახლებულ პუნქტებზე.

გვ.: 36,13-14. „ჯარი სპარსეთის ბრძოლაში გადვიდა ეჩ-მიაძინში“ – სავარაუდოდ, საუბარია რუსეთ-სპარსეთის ომის დროინდელ, კერძოდ, 1827 წლის მოვლენებზე.

გვ.: 36,14-15. „ჩავა ჯულფამდის“ – საუბარია აზერბაიჯანის ქალაქზე.

გვ.: 36,23-24. „შამხალსა... არ დაუბრუნებია ჯილა მიზოევისათვა“ – საუბარია 1860-1867 წლებში თარკოს შამხალ შამსუდინზე, აბუ-მუსლიმის ვაჟსა და თბილისელ ვაჭარ ივანე (ოვანეს) მინასის ძე მირზოევზე.

გვ.: 36,31. „ჩემი საყუარელი ნიკო“ – საუბარია ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 37,1. „ელენე და ილიკო სიყუარულით მომიკითხე“ – საუბარია ელენე ივანეს ასულ ანდრონიკაშვილსა და მის მეუღლე ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილზე.

გვ.: 37,2. „რასა იქს ჩემი კაკალა“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ნაყმევზე, რომელიც დაღესტანში ახლდა და შემდეგ იქ დარჩა.

გვ.: 37,7. „პატარა მირსკი ნიკოლაი“ – საუბარია ვერა ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიას მეუღლეზე, გენერალ-მაიორ ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

მიხეილ ლორის-მელიქოვისადმი №1 (634) (გვ.: 37-38)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №104/№79, გვ. 1г.
თარიღი და ადგილი: „⁹ ივნი 1865. თიფლის.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Михайл Таріловичу Лорис-Меликову.“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, დიდი ფორმატის, თხელი, სიფრიფანა ქალალდი; ზომა: 33,5X22,1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუღენილია ფურცელში; ხელნაწერი დაზიანებულია, მარჯვენა მხარეს მოხეულია, რომელიც ფარავს 5 სტრიქონის ბოლო ნაწილებს, რის გამოც ნაწერი დაკარგულია. აღდგენილი და დაზიანებული ადგილები კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული. ხელნაწერი რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესატი იმყოფებოდა **ჩეჩენეთში:** „Ну, что увас, в вашей Чечне?“

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 37,10. „**Михайл Таріловичу Лорис-Меликову**“ — წერილის ადრესატია გენერალი მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვი.

გვ.: 37,11. „**От известного Таштемира**“ — რამდენადაც ტექსტში პიროვნების გვარი, ან წარმომავლობა მითითებული არ არის, ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა.

გვ.: 37,15. „**молодые Агалары**“ — საუბარია მთის მებატონეთა სოციალურ ფენაზე.

მიხეილ რომანოვისადმი №4 (635) (გვ.: 40-42)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 155r-v, 156r.

თარიღი და ადგილი: „^{1^{го}} იული 1865. თიფლის.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Его Импер.^{МУ} Высо:^{ВЧ}.“

ავტოგრაფის აღწერილობა: ყვითელი ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქვებული, საშუალო სისქის 2 დამოუკიდებელი ფურცელი; I ფურცლის ზომა: 31,6X20,6 სმ; II ფურცლის ზომა: 16X20,1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაულენთილია ფურცლებში; ხელნაწერი რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ ადრესატი თბილისში არ არის. 1 თვით ადრე მისადმი გაგზავნილი ბარათებიდან ვიცით, რომ ის იმყოფებოდა **პეტერბურგში**. სავარაუდოდ, წინამდებარე წერილიც იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 40,18-19. „вместе с К: Чавчавадзе“ — საუბარია ვი-ცე-გუბერნატორ ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 40,22. „Дом Градского Головы был расхищен“ — საუბარია თბილისის იმჟამინდელ მერზე — გალუსტ შერმაზან-ვართანოვზე.

გვ.: 40,23. „Башбеукова — сборщика податей“ — საუბარია ბაშბეუქ მელიქოვზე, რომელიც მოკლეს მეამბოხეებმა.

გვ.: 41,7. „о Генералах Карцове и Минквице“ — საუბარია კავკასიის არმიის მთავარსარდლის თანაშემწე ალექსანდრე პეტრეს ძე კარცოვსა და იული თეოდორეს ძე მინკვიცზე.

გვ.: 41,16. „Полицмейстер Рославлев“ — საუბარია პოლიცმეისტერ როსტომ როსლავლევზე.

გვ.: 41,17. „старик Абесаломов“ — საუბარია სამოქალაქო მრჩეველ ივანე სოლომონის ძე აბესალომოვზე.

გვ.: 41,21. „**Полковникам Черкесову и Богуславскому“**
— სავარაუდოდ, საუბარია თერგის ოლქის გენერალური შტა-
ბის პოლკოვნიკ მიხეილ ნიკოლოზის ძე ჩერქეზოვსა და მე-
ფისნაცვლის ადიუტანტ, პოლკოვნიკ ალექსანდრე პეტრეს ძე
ბოგუსლავსკიზე.

გვ.: 41,23. „**Булатову искренно благодарен“** — იგუ-
ლისხმება კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს
საზოგადო საქმეთა განყოფილების ვიცე-დირექტორი — ფო-
კიონ ესტატეს ძე ბულატოვი.

ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისადმი №121 (636)

(გვ.: 44-45)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №372 (ძველი
№20), ორმაგი პაგინაციით, გვ.: 1r // 162r.

თარიღი და ადგილი: „20 ივლისს 1865 კოჯორი.“

ხელმოწერა: „თქვენი გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ძალუავ-დედავ ქე-
თევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი,
გახუნებული, დალაქავებული, პატარა ფორმატის, თხელი ქა-
ლალდი; ზომა: 20,7X13,2 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელ-
ნით, რომელიც გაუღენთილია ფურცელში.

ადრესატის მისამართი: ადრესატი ცხოვრობდა **თბილისში**. წინამ-
დებარე წერილში, რომელიც კოჯორიდან არის გაგზავნილი, გრი-
გოლი მოიკითხავს ქალაქში მყოფ ნათესავებს, რაც ადასტუ-
რებს, რომ ბარათი აქ არის გაგზავნილი: „შევიტყე, რომ ალექ-
სანდრე და ბაბალე ისევ მანდვე არიან და ყაფლანცა ქალაქში
ჩამოსულა.“

შენიშვნები: 1. ეს აბზაცი მარცხენა მხრიდან შავი ფანქრითაა
მონიშნული; 2. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 44,22. „ძალუავ-დედავ ქეთევან“ — წერილის ადრე-სატია გრიგოლ ორბელიანის რძალი, მისი ძმის, ზაქარიას, ცოლი — ქეთევან დიმიტრის ასული ალექსი-მესხიშვილი-ორ-ბელიანისა.

გვ.: 44,23. „ნინიკას უბძანეთ“ — საუბარია გრიგოლ ორ-ბელიანის მსახურ ნინიკა ბაქრაძეზე.

გვ.: 44,24. „მიალებინოს ანდრიასა პროვიანტი“ — სავა-რაუდოდ, საუბარია მსახურ ბიჭზე.

გვ.: 44,25. „ალექსანდრე და ბაბალე“ — საუბარია გრიგო-ლის ბიძაშვილ ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიანსა და მის ქმარზე — ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ.: 44,26. „ყაფლანცა ქალაქში ჩამოსულა“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელი-ანზე.

გვ.: 45,6-7. „ქეთევანცა ამოვიდა ვაშლოვანიდამ“ — სავა-რაუდოდ, საუბარია მამუკა თამაზის ძე ორბელიანის მეუღ-ლეზე — ქეთევან გიორგის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე, რომელიც ისვენებდა ხოლმე ვაშლოვანში.

ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისადმი №122 (637) (გვ.: 45-46)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №373 (ძველი №20), ორმაგი ჰაგინაციით, გვ.: 1r-v, 2r // 163r-v, 164r.

თარიღი და ადგილი: „23 ივლისს 1865 კოჯორი.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დედავ-ძალუავ!“

ავტოგრაფის ალწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, პატარა ფორმატის, თხელი, ორად გადაკეცილი ქაღალდი; თითოეულის ზომა: 20,2X13,2 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთი-ლია ფურცლებში, განსაკუთრებით | ფურცელში.

ადრესატის მისამართი: ადრესატი ცხოვრობდა თბილისში. წინამდებარე წერილში, რომელიც კოჯირიდან არის გაგზავნილი, გრიგოლი რძალს კოჯორში ასვლას სთხოვს: „რას აკეთებთ, რატომ არ ამოდიხართ ამ სიცივეში?.. ეს ზაფხული გავიდა, თუ ამოდიხართ, ჩქარა ამოდითდა?“ შესაბამისად, ბარათი გაგზავნილია თბილისში.

შენიშვნები: 1. ასეა; 2. „ნ“ გამორჩენილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 45,11. „**ყაფლანის ავათმყოფობა შევიტყე**“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 45,16. „**კარგად ჰქმნა სოფიომა**“ — სავარაუდოდ, საუბარია ივანე დავითის ძე ორბელიანის მეუღლეზე — სოფიო შალვას ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ.: 45,19. „**ბაბალე რას ჰშვრება**“ — საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიანზე.

გვ.: 45,19-20. „**ალექსანდრეს... ურჩიეთ**“ — საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, ბარბარე სამარაგდონის ასული ორბელიანის, ქმარზე — ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ.: 46,2. „**ალარც ზურაბკა ევარგება**“ — საუბარია მსახურზე.

გვ.: 46,2-3. „**ჭრანცუზი კამერდინერი ლივრეითა**“ — საუბარია საფრანგეთის არისტოკრატულ ოჯახებში მსახურთა სპეციალურ ჩაცმულობაზე.

გვ.: 46,11. „**ბიძია ალექსანდრე**“ — საუბარია ალექსანდრე (პუპლია) ვახტანგის ძე ორბელიანზე.

გვ.: 46,15. „**აუგზავნეთ ტასოსა**“ — სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოზე.

გვ.: 46,17. „**ნინიკა მანდა რასა ჰშვრება**“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის მსახურ ნინიკა ბაქრაძეზე.

მიხეილ რომანოვისადმი №5 (638) (გვ. 47)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 151r.

თარიღი და ადგილი: „30^{го} Іюля 1865 Коджоры.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Его Высочеству Наместнику Кавказскому.“

ავტოგრაფის აღწერილობა: ყვითელი ფერის, გაცრცილი, გასუნებული, დალაქავებული, საშუალო ფორმატის, თხელი ქალალდი; ზომა: 25,2X20,8 სმ; შესრულებულია მუქი შავი და ლურჯი ტუშებით, რომელიც გაუღინთილია ფურცელში; ავტორს წერილის წერა ლურჯი ტუშით აქვს დაწყებული, შემდეგ შავი ტუშით გაუგრძელებია და წერილის შედარებით მოზრდილი ნაწილი ისევ ლურჯი ტუშით დაუმთავრებია.

ადრესატის მისამართი: „В Петербург.“

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 47,5. „Амираджибов прибыл“ — საუბარია მეფის-ნაცვლის პირად განკარგულებაში მყოფ ოფიცერზე — მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირეჯიბზე.

გვ.: 47,8-9. „арестованы несколько лиц“ — საუბარია თბილისის ამქართა ამბოხების მონაწილეებზე.

ბაბალე ორბელიანი-საგინაშვილისადმი №22 (639) (გვ.: 48-49)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №451 (ძველი №24), ორმაგი პაგინაციით: გვ.: 1r-v, 2r // 58r-v, 59r.

თარიღი და ადგილი: „7^д აგვისტი: 1865. კოჯორით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დედილო ბაბალე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, პატარა ფორმატის, თხელი, ორად გადაკეცილი ქაღალდი; თითოეულის ზომა: 20,4X13,2 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუღენთილია ფურცლებში; გადაკეცვის ადგილას ქაღალდი ზემოთ და ქვემოთ შეხეულია.

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ის გაგზავნილია კოდაში. გრიგოლი ადრესატს სწერს: „რა მოხდა აგრეთი დიდი ამბავი, რომ რა გაძანდი შენს სატახტოს კოდას, ერთხელ აღარ გამომიგზავნე მოკითხვის კაცი“.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. „ი“ გამორჩენილი აქვს; 3. ჯერ დაუწერია „აქაც“, მერე „ც“ წაუშლია; 4-5. ხაზგასმულია ავტორის მიერ

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 48,9-10. „ქეთევან თავისის პლემიანნიცებითა“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძალზე — ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე და, სავარაუდოდ, მის დისმებილებზე, რომლებიც სხვა წერილებშიც იხსენიება.

გვ.: 48,10. „ჩემი დისწული ნინუცა... ორი შვილი მოუკვდა“ — საუბარია ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილ-გერმანოზიშვილისაზე და მის მცირენლოვან შვილებზე: ეფემიასა და ილიაზე.

გვ.: 48,11-12. „უფროსი შვილი მაინც მოარჩინოს“ — საუბარია ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილ-გერმანოზიშვილის უფროს ვაჟზე, 3 წლის ესტატეზე.

გვ.: 48,15 „ყორბემაზის ცოლი თავის ქალითა“ — საუბარია ყორბემაზ (დიმიტრი) სოლომონის ძე მელიქიშვილის ცოლზე — თამარ ერმილეს ასულ ბაგრატიონ-მუხრანელ-მელიქიშვილისაზე და, სავარაუდოდ, მათ ქალიშვილ მარიამზე.

გვ.: 48,16. „მაიკოც... ნაზად გაბერილი“ — სხვა წერილი-დან ჩანს, რომ ეს უნდა იყოს მაია მელიქიშვილი, მაგრამ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება.

გვ.: 48,16-17. „მამუკას ცოლი ბაბოთი“ — საუბარია მა-

მუკა თამაზის ასული ორბელიანის მეუღლეზე – ქეთევან გო-ორგის ასულ ერისთავზე და მათ ქალიშვილ ბარბარე (ბაბო) ორბელიან-თარხან-მოურავისაზე.

გვ.: 48,20. „ტასო და სოფიო ჯერ ისევ ბძანდებიან ქალაქ-ში“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილებზე – ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობუიოსა და სოფიო კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ჩოლოყაშვილისაზე.

გვ.: 48,23. „ჩემი ცარიცა ვარინკა“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ.: 48,24. „ალექსანდრე ჩასულა ქალაქში“ — საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ.: 48,31. „ველიკი კნიაზი“ — საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

მიხეილ რომანოვისადმი №6 (640) (გვ.: 49-53)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 157r-v, 158r-v.

თარიღი და ადგილი: „Август 4^е 1865 Коджоры. Отправ: 9^{го}“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Его Импер: Высочеству.“

ავტოგრაფის აღწერილობა: ყვითელი ფერის, გაცრცცილი, გასუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის 2 დამოუკიდებელი ფურცელი; I ფურცლის ზომა: 32X20,3 სმ; II ფურცლის ზომა: 31,9X20,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუღენთილია ფურცლებში; ალაგ-ალაგ ფურცლები ამოჭმულია; ხელნაწერი რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: წინა წერილებიდან, მათ შორის, 30 ივლისით დათარიღებულიდან, ვიცით, რომ ადრესატი ამ პერიოდში იმყოფებოდა პეტერბურგში. ბაბალე ორბელიანი-საგინაშვილისადმი 7 აგვისტოს გაგზავნილ ბარათში გრიგოლი

თავის პიძაშვილს ცნობებს აწვდის მიხეილ რომანოვის უახლოესი მოგზაურობების შესახებ: „ველიკი კნიაზი ამ თვის 12 მიბძანდება სამზღვარს გარე, სამის ან ოთხის კვირით, მერე დაბრუნდება პეტერბურლს და გამოემგზავრება ვოლლით პეტროვსკასა და იქიდამ თბილისს“. 10 აგვისტოს წერილიც მიხეილ რომანოვისადმი პეტერბურგშია გაგზავნილი. ასე რომ, 4-9 აგვისტოსაც იგი ამ ქალაქში იმყოფებოდა.

შენიშვნები: 1-2-3-4-5-6. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 49,16. „**Генер: Минквица**“ – საუბარია დერბენდის გუბერნატორი იული თეოდორეს ძე მინკვიცზე.

გვ.: 49,16-17. „**должность Губернатора К: Чавчавадзе**“ – საუბარია ვიცე-გუბერნატორ ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 50,17. „**К: Воронцов**“ — საუბარია 1845-1854 წლებში კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვზე.

გვ.: 50,19. „**К: Паскевич**“ – საუბარია კავკასიის ყოფილ მთავარმართებელ ივანე თევდორეს ძე პასკევიჩზე.

გვ.: 50,32. „**ни молодой, ни старой Арmeni**“ — ვრცელდებოდა ხმები, რომ ამქართა ამბოხება მოაწყო თრგანიზაციამ „ახალგაზრდა სომხეთი“.

გვ.: 50,32. 51,1. „**вместе с Вавилоном**“ — იგულისხმება ანტიკური მესოპოტამიის დედაქალაქი, რომლიდანაც მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი.

გვ.: 51,11. „**товарищ прокурора Эгіазаров**“ სავარაუდოდ, საუბარია ეგორ გრიგოლის ძე ეგიაზაროვზე, რომელიც მანამდე ერევნის გუბერნიის სამმართველოში მსახურობდა.

გვ.: 51,15-16. „**Советник Палаты Кузминский**“ იგულისხმება თბილისის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატის მრჩეველი – გრიგოლ დანიელის ძე კუზმინსკი.

გვ.: 51,22. „**бывшаго Головы Вартанова**“ — საუბარია თბილისის ყოფილ მერზე — გალუსტ შერმაზან-ვართანოვზე.

გვ.: 51,31. „**Губернатор Орловский**“ — საუბარია თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვსკიზე.

გვ.: 52,6-7. „**К: Меликов обезжал**“ — საუბარია იმჟამად დაღესტნის მმართველზე, გენერალ ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ.: 52,28. „**Тифлисский Уезд: Началь:**“ — საუბარია თბილისის მაზრის უფროს პეტრე ახესალომის ძე ბებუთოვზე.

გვ.: 53,7. „**заведений Св: Нины**“ — საუბარია წმინდა ნინოს სახელობის კეთილშობილ ქალთა სასწავლებლის შენობაზე.

მიხეილ რომანოვისადმი №7 (641) (გვ. 58)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 150г.

თარიღი და ადგილი: „10^{го} Авгу: 1865“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Его Высочеству Наместнику Кавказскому.“

ავტოგრაფის აღწერილობა: ყვითელი ფერის, გაცრცილი, გასუნებული, დალაქავებული, საშუალო ფორმატის, თხელი ქალდი; ზომა: 25,3X20,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი ტუშით, რომელიც გაუდენთილია ფურცელში; ამავე გვერდზე, ქვემოთ, განთავსებულია იმავე ადრესატისადმი 13 ოქტომბერს მიწერილი წერილი; ხელნაწერი დაზიანებული და რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: „[В Пет]ербург.“

შენიშვნები: 1. კვადრატულ ფოჩხილებში მოქცეული ადგილი მოხეულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 58,5. „**Великаго Князя Георгия Михайловича**“ – ადრესატის ვაჟი გიორგი მიხეილის ძე რომანოვი დაიბადა 1863 წლის 11 აგვისტოს.

მიხეილ რომანოვისადმი №8 (642) (გვ. 58)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 150r.

თარიღი და ადგილი: „13^{го} Октября 1865 Тифлис“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „.... Ваше Высо^{бо}...“

ავტოგრაფის აღწერილობა: ყვითელი ფერის, გაცრეცილი, გასუნებული, დალაქავებული, საშუალო ფორმატის, თხელი ქალალდა; ზომა: 25,3X20,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი ტუშით, რომელიც გაუღენთილია ფურცელში; ამავე გვერდზე, ზემოთ, განთავსებულია იმავე ადრესატისადმი 10 აგვისტოს მიწერილი წერილი; ხელნაწერი დაზიანებული და რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: ბაბალე ორბელიანი-საგინაშვილისადმი 7 აგვისტოს გაგზავნილი ბარათიდან ვიცით, რომ მიხეილ რომანოვი 12 აგვისტოს საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა და პეტერბურგში სამი-ოთხი კვირის შემდეგ უნდა დაბრუნებულიყო: „ველიკი კნიაზი ამ თვის 12 მიბძანდება სამზღვარს გარე, სამის ან ოთხის კვირით, მერე დაბრუნდება პეტერბურლს“. წინამდებარე წერილში გრიგოლი ადრესატს დაბადების დღეს ულოცავს, რაც ადასტურებს, რომ იგი პეტერბურგში იმყოფებოდა.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 58,14. „**днём рождения вашим**“ — მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი დაიბადა 5 დეკემბერს.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №106 (643) (გვ.: 59-60)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №616 (ძველი №26), ორმაგი პაგინაციით, გვ.: 1r-v, 2r // 158r-v, 159r.

თარიღი და ადგილი: „19^ს ოკიდომ: 1865 თბილისი.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო გულით საყვარელო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, პატარა ფორმატის, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი ქალალდი; თითოეულის ზომა: 20,9X13,7 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუდენილია ფურცლებში; მე-4 გვერდზე თარიღი „1865“ კვლავ არის მიწერილი.

ადრესატის მისამართი: დიმიტრი ჯორჯაძე ამ პერიოდში მსახურობდა დალესტანში, კერძოდ, თემირხანშურაში. წერილიც, შესაბამისად, იქ არის გაგზავნილი, რასაც ადასტურებს იქ მომსახურე გრიგოლის ახლობელი ადამიანების მოკითხვა.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 59,9. „ჩემი კაკალა მამკუდარა“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის ნაყმევზე, რომელიც დალესტანში ახლდა და შემდეგ იქ დარჩა.

გვ.: 59,15. „კაკალას შვილი“ — სახელი უცნობია.

გვ.: 59,18. „ამის ბიძები“ — სახელები უცნობია.

გვ.: 59,24 „მიზის კარცოვი“ — საუბარია მეფისნაცვლის თანაშემწე ალექსანდრე პეტრეს ძე კარცოვზე.

გვ.: 59,27. 60,1. „ლევანს სიყვარულით მოვიკითხავ; ეგრეთუე ნიკოს და ილიკოს“ — საუბარია გენერალ ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე, ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძესა და ილია ზალის ძე ჩოლოყაშვილზე.

გვ.: 60,2-3. „გიხილათ ველიკი კნიაზმა“ – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 60,6. „ალექსანდრე გრუზინსკიც დავასაფლავეთ“ – საუბარია ალექსანდრე ბაგრატის ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე.

ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანისადმი №1 (644) (გვ.: 60-64)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №148/№33,
გვ.: 1r-v, 2r-v.

თარიღი და ადგილი: „Тифлис 25 Октябр: 1865.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Орбеліани~ / 'Мой друг
Александр!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, და-
ლაქავებული, დიდი ფორმატის, თხელი, ორი გადაბმული
ფურცელი, თითოეულის ზომა: 32,6X21,3 სმ.; შესრულებულია
შავი ფანჯრით. ხელნაწერი დაზიანებულია, გადაკეცვის ადგი-
ლებში ყველა მხრიდან შეხეულია. მაღლიდანაც ორივე ფურ-
ცელი გახეულია, კიდეები მოცვეთილია. პირველ გვერდზე,
მარცხენა არშიაზე, ზემოდან, დახრილად წერია „целиком“,
რომელიც ფანჯრით არის შემოხაზული.

ადრესატის მისამართი: „В Петербург“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ავტორს ამ
სიტყვების პირველი ასო დიდი ასოთი დაუწერია და შემდეგ
პატარით შეუცვლია; 3. ეს სიტყვა ჩამატებულია; 4-5. ავტორს
ამ სიტყვების პირველი ასო დიდი ასოთი დაუწერია და შემ-
დეგ პატარით შეუცვლია; 6. კვადრატულ ფრჩხილებში მო-
თავსებული ადგილი გადაკეცვის ადგილია და ასოები იმდე-
ნად გაფერმკრთალებულია, რომ არ იკითხება.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 60,15. „**Мой друг Александр**“ — წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელინის ნათესავი — ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი.

გვ.: 60,21. „**называть Наполеоном Первым**“ — იგულისხმება ცნობილი ფრანგი მხედართმთავრის, იმპერატორ ალექსანდრე ბონაპარტის, სახელი.

გვ.: 61,11. „**для Г^{ла} Каткова**“ — საუბარია გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტი“-ს რედაქტორ მიხეილ ნიკიფორეს ძე კატკოვზე.

გვ.: 61,24-25. „**можетли Великий Князь**“ — საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 62,5-6. „**есть хоть Лазаревский Институт**“ — საუბარია მოსკოვში იმ დროისათვის ცნობილ ინსტიტუტზე, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს სომეხმა მეცენატებმა — ლაზარევებმა.

გვ.: 62,17. „**заслуги Воронцова**“ — საუბარია 1845-1854 წლებში კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვზე.

გვ.: 62,28-29. „**статью противу Герцена**“ — საუბარია ცნობილ რუს პუბლიცისტ ალექსანდრე ივანეს ძე გერცენზე.

გვ.: 63,2. „**Арабы, Чингисы, Тамерланы**“ — საუბარია არაბების, ჩინგიზ ყაისასა და თემურ ლეგის შემოსევებზე.

გვ.: 63,22. „**при Паскевиче**“ — საუბარია 1827-1831 წლებში კავკასიის მთავარმართებელ ივანე თეოდორეს ძე პასკევიჩზე.

გვ.: 63,31. „**пьяный Григоров – Телав:**“ — სავარაუდოდ, საუბარია მიხეილ ივანეს ძე გრიგოროვზე.

გვ.: 63,31-32. „**стоит Давид Чавчав:**“ — საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 64,8. „**К: Манана уехала**“ — საუბარია მანანა მირმანიშის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ.: 64,11. „**Великий Князь осмотрел Дагестан**“ საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

ალექსანდრე ნიკოლაისადმი №3 (645) (გვ. 69)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №119 / №32, გვ.
2r.

თარიღი და ადგილი: „^{4^{го}} Нояб: 1865 года 7 часов вечера“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Барону Александру
Павловичу Николаи“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, საშუ-
ალო ფორმატის, თხელი ქალალდი; ზომა: 27,1X21,5 სმ; შესრუ-
ლებულია შავი ფანჯრით; ქალალდს ორივე მხარეს გარკვეულ
ადგილზე რამდენამდე შენარჩუნებული აქვს თეთრი ფერი.

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში კავკასიის მეფის-
ნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე
მსახურობდა, ამავე დროს, იყო კავკასიის სასწავლო ოლქის
მზრუნველიც, ასე რომ, იგი თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწე-
ობდა. წინამდებარე წერილში გრიგოლი მას თბილისში მდებარე
წმინდა წინოს სასწავლებელში მომხდარ არასასიამოვნო ამბავს
აუწყებს და სთხოვს, მის უდიდებულესობას, ანუ, მიხეილ რომა-
ნოვს ამცნოს ამის შესახებ, რაც გვიდასტურებს, რომ ადრესატი
ამ დროს თბილისში არ იმყოფებოდა და იყო მიხეილ რომანოვის
სიახლოეს. რადგანაც წინა წერილებიდან ვიცით, რომ კავკასიის
მეფისნაცვალი პეტერბურგში იმყოფებოდა, წერილი, სავარაუ-
დოდ, იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 69,13. „**Барону Александру Павловичу Николаи**“
— წერილის ადრესატია 1863 წლიდან კავკასიის მეფისნაც-
ვლის მთავარი სამმართველოს უფროსი — ალექსანდრე პავ-
ლეს ძე ნიკოლაი.

გვ.: 69,15. „**Бедная девица Соколовская**“ — გოგონას
სახელი უცნობია.

გვ.: 69,17. „пособия, поданныя Докт: Собольщиковым“ — საუბარია მედიცინის დოქტორ პეტრე ივანეს ძე სობოლ-შჩიკოვზე.

გვ.: 69,19. „должить его Высочеству“ — საუბარია მე-ფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

ალექსანდრე ნიკოლაისადმი №4 (646) (გვ. 70)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №120 / №32, გვ. 3г.

თარიღი და ადგილი: „27 Ноября 1865. Тифлис“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Барону Николаи.“ / „Милост: Госуд: Барон Александр Павлович.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, დი-დი ფორმატის, თხელი ქალალდი; ზომა: 32,3X21,2 სმ; შესრუ-ლებულია შავი ფანქრით; მარცხენა მხარე მოცვეთილი აქვს; ერთგან 1.3 სმ.-ზე შეხულია, ასევე ქვედა მხრიდან, სამ ად-გილას, პატარა მონახვები აქვს; ამავე გვერდზე, ქვედა მხა-რეს, განთავსებულია იმავე ადრესატისადმი 1865 წლის 29 დეკემბრის წერილი.

ადრესატის მისამართი: წინამდებარე წერილში გრიგოლი ად-რესატს განსაკარგავად მიართმევს ვეტერანი დიპლომატის – ლელის – წერილს და ულოცავს აღნიშნული პიროვნების „ამ მხარეში“ (კავკასიაში, კერძოდ, თბილისში) დაბრუნებას. ავ-ტორი, მართალია, თბილისში იმყოფებოდა, მაგრამ წერილის შინაარსის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული, რომ იგი თბილისშივე იყო გაგზავნილი კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის სახელზე.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 70,15. „Дипломата Лелли საუბარია საგანგებო და-ვალებათა მოხელე კონსტანტინე თევდორეს ძე ლელიზე.“

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №15 (647) (გვ. 71)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ.: 11r-v.
თარიღი და ადგილი: „30^{го} Октября 1865. Тифлис. в Лондон“ / „31 Нояб:“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Мой друг, моя матушка Варвара!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, და-ლაქავებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის ქალალდი; ზომა: 32,6X21,3 სმ.; შესრულებულია შავი ფანჯრით. ქალალდს ორივე მხარს აქვს დიდი გერბი; ხელნაწერი ორ ადგილას გახვრეტილია.

ადრესატის მისამართი: „в Лондон“

შენიშვნები: 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. „Ь“ ნიშანი ხელნაწერში არ წერია; 4. ხაზგასმულია ავტორის მიერ;

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 71,21. „благодаря Колосовскому“ სავარაუდოდ, საუბარია გენერალ-მაიორ ივანე გრიგოლის ძე კოლოსოვსკიზე.

გვ.: 71,22. „высыпать через Ананова“ სავარაუდოდ, საუბარია სომეხ მეცენატ ალექსანდრე სტეფანეს ძე ანანოვზე, რომელიც საქართველოში 1860-იან წლებში ჩამოვიდა ლონდონიდან.

გვ.: 72,3. „Ты и Георгий“ საუბარია ადრესატისა და მის ვაჟზე – გრიგოლის ძმისნულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 72,8. „Николай Мирский был у тебя“ საუბარია ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე, რომელსაც ცოლად ჰყავდა ადრესატის და – ვერა ილიას ასული ბაგრატიონ-გრუზინსკაია-მირსკისა.

გვ.: 72,11. „прієзда Их Высочеств“ საუბარია მეფის-ნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 72,15. „**в комнате Кетеваны**“ საუბარია გრიგოლის რძალ ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 72,15-17. „**Дзалуа Нина, Хорешана, Бабале Сагинова с мужем, Лиза, Тасо Оглобжю, Машо Месхиева, Каплан и дядя Александр**“ საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიცოლებზე: ნინო ალექსანდრეს ასულ მაყაშვილ-ორბელიანისაზე და ხორეშან ვა-სილის ასულ ვაჩინაძე-ორბელიანისაზე, ბიძაშვილ ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე და მის ქმარ ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე, კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონის ცოლ, ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ფალავნი-დიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელისაზე, ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობუიოზე, გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანსა და ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანზე. მაში მესხიევაში შეიძლება იგულისხმებოდეს გრიგოლის რძლის, ქეთევან დიმიტრის ასული ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანის, რომელიმე ძმის ცოლი.

გვ.: 72,19. „**Елисавета объявила**“ სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ყაფლანის, მეუღლეზე – ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 72,24. „**Александра Грузинского**“ — საუბარია ალექსანდრე ბაგრატის ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე.

გვ.: 72,25. „**Елена, недавно потеряла брата, теперь — мужа**“ საუბარია ალექსანდრე ბაგრატის ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის მეუღლეზე – ელენე ზაქარიას (ზაზას, ესტატეს) ასულ თარხან-მოურავ-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე და მის ძმაზე – გრიგოლ ორბელიანის ადიუტანტ კოტე თარხან-მოურავზე.

გვ.: 73,2. „**тебя и Георгия**“ — საუბარია ადრესატსა და მის ვაჟზე – გრიგოლის ძმისნულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №16 (648) (გვ. 75)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ.: 12r-v, 13r.

თარიღი და ადგილი: „Тифлис. 10 Декабр: 1865.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Мой друг Варвара!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი ქაღალდი; თითოეულის ზომა: 32,7X21,2 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ქაღალდს ყველა გვერდზე აქვს დიდი გერბი; ხელნაწერი ორ ადგილას გახვრეტილია.

ადრესატის მისამართი: „в Лондон.“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ავტორს ცხრილის სახით არა აქვს მოცემული.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 75,2. „чрез Колосовского“ — სავარაუდოდ, საუბარია გენერალ-მაიორ ივანე გრიგოლის ძე კოლოსოვსკიზე.

გვ.: 76,1. „твой Казначей в праве“ — ხუმრობით ამბობს საკუთარ თავზე.

გვ.: 76,8. „принадлежащий Георгию“ — საუბარია გრიგოლის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 76,23. „по совету Богдана-Калинского“ — საუბარია კონსტანტინე მიხეილის ძე ბოგდანოვ-კოლინსკიზე.

გვ.: 76,29. „дзалуа Нина... на свадьбе у Магаловых“ — საუბარია გრიგოლის ბიცოლაზე — ნინო ალექსანდრეს ასულ მაყაშვილ-ორბელიანისაზე, მაგრამ ვის ქორწილში მოხდა ეს, გაურკვეველია.

გვ.: 77,1. „Давида ждем наднях“ — სავარაუდოდ, საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭაძეზე.

გვ.: 77,3. „обручение Александра Орб: на девице Сомовой“ საუბარია ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანსა და ევდოკია სომოვაზე.

გვ.: 77,4. „**Манана получила письмо**“ — საუბარია ალექსანდრე ორბელიანის დედაზე — მანანა მირმანოზის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ.: 77,8 „**Майко Меликова родила сына**“ — დამატებითი ცნობები მათ შესახებ არ მოგვეპოვება.

გვ.: 77,10. „**дочь Иосифа Корганова... за какогото Лорис-Меликова**“ — საუბარია გენერალ იოსებ ივანეს ძე ყორლანაშვილის ქალიშვილზე — სოფიო იოსების ასულ ყორლანაშვილსა და გრიგოლ ივანეს ძე ლორის-მელიქოვზე.

გვ.: 77,12. „**Дмитрий Мирский здесь**“ — საუბარია პოლკოვნიკ დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 77,13. „**Екатерине низко кланияюсь**“ — საუბარია ადრესატის უმცროს დაზე — ეკატერინე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიაზე.

ალექსანდრე ნიკოლაისადმი №5 (649) (გვ. 80)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №120 / №32, გვ. 3r.
თარიღი და ადგილი: „29 Декабр: 1865 Тиф:“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Емуже.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, დიდი ფორმატის, თხელი ქალალდი; ზომა: 32,3X21,2 სმ; შესრულებულია შავი ფანქრით; მარცხენა მხარე მოცვეთილი აქვს; ერთგან 1.3 სმ.-ზე შეხეულია, ასევე ქვედა მხრიდან, სამ ადგილას, პატარა მონახევები აქვს; ამავე გვერდზე, ზედა მხარეს, განთავსებულია იმავე ადრესატისადმი 1865 წლის 27 ნოემბრის წერილი.

ადრესატის მისამართი: წინამდებარე წერილში გრიგოლი ადრესატს განსაკარგავად მიართმევს ბლუდოვისგან მიღებულ ბარათს. ავტორი, მართალია, თბილისში იმყოფებოდა, მაგრამ წერილის შინაარსის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხუ-

ლი, რომ იგი **თბილისშივე** იყო გაგზავნილი კავკასიის მეფის-ნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის სახელზე.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 80,3. „**от Гла́дкова**“ პირველი სახელი უცნობია.

1866

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №17 (650) (გვ.: 81-82)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ.: 14r-v.

თარიღი და ადგილი: „1866 გენვ: 8. თифლის“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Мой друг Варвара!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, და-ლაქავებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, ორად გა-დაკეცილი ქაღალდი; თითოეულის ზომა: 31,8X21,20,9 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით; ხელნაწერი ორ ადგილას გახ-ვრეტილია, გადაკეცვის ადგილას კი, ქვემოდან – შეხეული.

ადრესატის მისამართი: „в Лондон.“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. რბილი ნიშანი ავტორს არ უწერია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 81,2. „**чрез Колосовского и Ананова**“ სავარაუდოდ, საუბარია გენერალ-მაიორ ივანე გრიგოლის ძე კოლოსოვსკი-ზე და სომეხ მეცენატ ალექსანდრე სტეფანეს ძე ანანოვზე.

გვ.: 81,22. „**учение Георгия**“ საუბარია გრიგოლის ძმის-ნულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 82,13. „**Великая Княгиня**“ იგულისხმება მეფისნაც-ვლის მეუღლე – ოლღა თეოდორეს ასული ბადენელი-რომანო-ვისა.

გვ.: 82,16. „Иракліи Грузин: на флейте“ საუბარია ერეკლე II-ის შვილიშვილი ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი-გრუზინსკიზე.

გვ.: 82,18. „бедного Рамаза Тарханова“ საუბარია გენე-რალ-მაიორ რამაზ (რომან) დიმიტრის ძე თარხან-მოურავზე.

გვ.: 82,19. „о бедной нашей Устинии“ — პიროვნება დაუდგენელია.

გვ.: 82,23. „Графиня Левашева“ საუბარია გრაფ ვლა-დიმერ ვასილის ძე ლევაშოვის მეულლეზე — ოლღა ვიქტორის ასულ პანინაზე.

გვ.: 82,26. „Екатерине низко кланяюсь“ საუბარია ად-რესატის უმცროს დაზე — ეკატერინე ილიას ასულ ბაგრატიონი-გრუზინსკაიაზე.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №18 (651) (გვ.: 85-87)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ.: 16r-v.

თარიღი და ადგილი: „18 Фев: 1866 года.“ / „25Фев: Тифлис.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Мой друг Варвара!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, და-ლაქავებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, ორად გა-დაკეცილი ქალალდი; თითოეულის ზომა: 32,8X21,2 სმ.; შეს-რულებულია შავი ფანქრით; ხელნაწერი ორ ადგილას გახვრე-ტილია.

ადრესატის მისამართი: „В Лондон“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ავტორს ხელ-ნაწერში არასწორად უწერია „ნინიკო“ „ნინიკას“ ნაცვლად; 3. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 85,4. „Амилахварова и прелестной Княжны Эристовой“ საუბარია ივანე გივის (იაგორის) ძე ამილახვარსა

და ანა ალექსანდრეს ასულ ერისთავზე.

გვ.: 85,6-7. „**Тасо Гагарина**“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის ნათესავ ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე.

გვ.: 85,11. „**Опочинина, в особенности Нина**“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ბარბარე იაკობის ასული ორბელიანისა, და ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ქალიშვილებზე — ოლღასა და ნინოზე.

გვ.: 85,15-16. „**умер бедный Шаликов**“ — იგულისხმება ივანე იოსების ძე შალიკაშვილი.

გვ.: 85,16. „**остались 6 дочерей**“ — ივანე შალიკაშვილისა და მისი მეუღლის, დარეჯან გულბაათის ასული ჭავჭავაძის, ქალიშვილებიდან ცნობილია 5-ის სახელი. ესენია: თამარი, მარიამი, ნინო, ელენე და ელისაბედი. მათ ასევე ჰყავდათ ვაჟი — იოსები.

გვ.: 85,17. „**Умер Иван Фомич Орбел:**“ — საუბარია ივანე თომას (თამაზის) ძე ორბელიანზე.

გვ.: 85,21. „**Графиня Левашова просила**“ — საუბარია გრაფ ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვის მეუღლეზე — ოლღა ვიქტორის ასულ პანინაზე.

გვ.: 85,22. „**Карцова усердно кланяется**“ — საუბარია კავკასიის არმიის მთავარსარდლის თანაშემწე ალექსანდრე პეტრეს ძე კარცოვის მეუღლეზე — ეკატერინე ნიკოლოზის ასულ კარცოვაზე, რომელიც ამავე დროს იყო ამიერკავკასიის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების საბჭოს წევრი.

გვ.: 85,24. „**Доктор Либай**“ — საუბარია ექიმ ანდრეი ანდრეის ძე ლიბაუზე.

გვ.: 85,26. „**Манана и Тасо Гагарина**“ — საუბარია მანა მირმანოზის ასულ ორბელიანსა და მის ქალიშვილზე — ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე.

გვ.: 85,26-27. „**на свадьбу Александра**“ — საუბარია ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანზე.

გვ.: 86,1 „**Иван Грузинский: красив**“ — საუბარია გიორგი XII-ის შვილთაშვილზე — ითანა გრიგოლის ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე.

გვ.: 86,7. „**Георгий учитъся**“ — საუბარია გრიგოლის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 86,7-8. „**у твоего достойного Священника**“ — სხვა წერილიდან ჩანს, რომ ამ მოძღვრის გვარი არის პოპოვი.

გვ.: 86,9-10. „**Великая Княгиня**“ — იგულისხმება მეფისნაცვლის მეუღლე — ოლღა თეოდორეს ასული ბადენელი-რომანოვისა.

გვ.: 86,26. „**чрез Колосовского и Ананова**“ — სავარაუდოდ, საუბარია გენერალ-მაიორ ივანე გრიგოლის ძე კოლოსოვ-სკიზე და სომებ მეცენატ ალექსანდრე სტეფანეს ძე ანანოვზე.

გვ.: 86,31. „**Нинико поедет в Квевши**“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის მსახურ ნინიკა ბაქრაძეზე.

გვ.: 87,2. „**Катерине низко кланяюсь**“ — საუბარია ადრესატის უმცროს დაზე — ეკატერინე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიაზე.

ყაფლან ორბელიანისადმი №17 (652) (გვ. 90)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №398 (ძველი №27), ორმაგი პაგინაციით, გვ.: 1r // 26r.

თარიღი და ადგილი: „^{2¹} აპრილს 1866“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ქრისტე აღსდგა! ჩემო ბატონო ძმაო ყაფლან!“

ავტოგრაფის ალწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, თხელი, სიფრიფანა ქაღალდი; ზომა: 31X19,1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუღენთილია ფურცელში; ხელნაწერი შელახულია, გადაკეცვის ადგილებში შეხეულია და ალაგ-ალაგაც ამოხეულია.

ადრესატის მისამართი: ჭირს ადრესატის ადგილსამყოფლის დადგენა.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 90,1. „**ძმაო ყაფლან!**“ — წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი — ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი.

გვ.: 90,5. „**ძალუა ვარინკას წიგნს**“ — საუბარია ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

ბაბალე ორბელიანი-საგინაშვილისადმი №23 (653) (გვ. 90)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №457/№24, გვ. 18r.

თარიღი და ადგილი: „4^ა აპრილს.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბაბალე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, პატარა ფორმატის, საშუალო სისქის ქალალდი; ზომა: 20,4X13,1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში და რომლითაც დასვრილია ხელნაწერი; ფურცელი გვერდებში შეხეულია.

ადრესატის მისამართი: წინამდებარე წერილი გაგზავნილია თბილისიდან: ავტორი თავის ბიძაშვილს ატყობინებს კავკასიის მეფისნაცვალთან სტუმრობის ამბავს: „ამ მინუტში მოვედი ველიკი კნიაზიდამ“. იგი სთხოვს, დაესწროს ლოცვას სიონში. ბაბალე ორბელიანი-საგინაშვილისა, ძირითადად, კოდაში ცხოვრობდა და წერილიც, სავარაუდოდ, იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. ღმერთმან; 3. „მ“ ასომთავრულით წერია; 4. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: წერილში აღწერილი თავდასხმა იმპერატორ ალექსანდრე II-ზე მოხდა 1866 წლის 4 აპრილს და წერილი იმავე დღეს არის დაწერილი.

გვ.: 90,9. „**ველიკი კნიაზიდამ**“ — საუბარია კავკასიის

მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 90,11. „წელმწიფე ლეტნის ბალში სეირნობდა“ — საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №19 (654) (გვ.: 91-92)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ.: 18r-v.

თარიღი და ადგილი: „5^{го} Апр: 1866 Тифлис.“ / „9^{го} Апр:“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Мой друг Варвара!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის ქალალდი; ზომა: 32,8X21,3 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ქალალდი ორ ადგილას გახვრეტილია.

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში ლონდონში ცხოვრობდა, წერილიც, შესაბამისად, იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი ჰუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 91,2-3. „выезжаю к стороне Астарадбада“ — საუბარია ირანის ქალაქ ასტრაბადზე, ამჟამინდელ გორგანზე.

გვ.: 91,3-4. „Его Величеству Шаху Персидскому“ — საუბარია ირანის შაჰ ნასერ-ად-დინ შაჰ კაჯარზე.

გვ.: 91,10-11. „Бакинский Губер: Кулебякин, Принц, Князя Датико и Вано Орбел:, Граф, Барон Брюген, Лорис-Меликов“ საუბარია ბაქოს სამხედრო გუბერნატორ მიხეილ პეტრეს ძე კოლიუბაკინზე, პრინც ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელზე, დავით მამუკას ძე და ივანე დავითის ძე ორბელიანებზე, ბარონ ალექსანდრე იულის ძე ფონ ბრიუგენ-სა და გენერალ მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვზე. „გრაფში“ შეიძლება გრაფი ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვი იგულისხმებოდეს.

გვ.: 91,14. „Чрез Колсовского посылаю“ — სავარაუ-

დოდ, საუბარია გენერალ-მაიორ ივანე გრიგოლის ძე კოლო-სოვსკიზე.

გვ.: 91,14-15 „**тебе и Георгию**“ — საუბარია ადრესატსა და მის ვაჟზე — გრიგოლის ძმისნულ გიორგი ილიას ძე ორბე-ლიანზე.

გვ.: 91,20. „**Великая Княгиня родила сына, наречен-наго Александром**“ — იგულისხმება მეფისნაცვლის მეუღლე — ოლღა თეოდორეს ასული ბადენელი-რომანოვისა და 1866 წლის 1 აპრილს დაბადებული მისი ვაჟი — ალექსანდრე (სან-დრო) მიხეილის ძე რომანოვი.

გვ.: 91,23. „**покущеніи на жизнь обожаемаго Импе-ратора**“ საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ზე 1866 წლის 4 აპრილს განხორციელებულ თავდასხმაზე.

გვ.: 92,2. „**Князь Леван Меликов**“ — საუბარია იმუა-მად დაღესტნის მმართველზე, გენერალ ლევან ივანეს ძე მე-ლიქიშვილზე.

გვ.: 92,3-4. „**двоє из сыновей его умерли**“ — საუბარია ლევანის ვაჟებზე: ივანესა და პეტრეზე.

გვ.: 92,4-5. „**отчаяніе бедной Саши!**“ — საუბარია ლე-ვანის მეუღლეზე — ალექსანდრა (ანა) მამუკას ასულ ორბელი-ან-მელიქიშვილისაზე.

გვ.: 92,8. „**ждём К: Аннету с сыном ея Сандро**“ — საუ-ბარია ადრესატის დაზე — ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭა-ვაძისაზე და მის ვაჟ ალექსანდრე დავითის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 92,13. „**Матушке Катерине**“ — საუბარია ადრესა-ტის უმცროს დაზე — ეკატერინე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიაზე.

მიხეილ კოლიუბაკინისადმი №1 (655) (გვ.: 94-95)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №100 / №34,
გვ.: 104r.

თარიღი და ადგილი: „17^{го} Маю 1866 год. Тифлис“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Михайлу Петровичу
Колюбякину. Губерна: Бакинской Губер:“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული,
დიდი ფორმატის, თხელი ქალადი; ზომა: 33,5X20,8 სმ.; შეს-
რულებულია შავი ფანქრით; რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: ადრესატი ბაქოს სამხედრო გუბერნა-
ტორია, შესაბამისად, წერილი ბაქოში უნდა იყოს გაგზავნილი.
შენიშვნები: 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 94,2. „**Михайлу Петровичу Колюбякину**“ — წერი-
ლის ადრესატია ბაქოს სამხედრო გუბერნატორი მიხეილ პეტ-
რეს ძე კოლიუბაკინი.

გვ.: 94,6-7. „**Его Величеству Шаху**“ — საუბარია ირა-
ნის შაჰ ნასერ-ად-დინ შაჰ კაჯარზე.

გვ.: 94,19. „**Его Величество возвратился из Эривани**“ —
საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 94,22-23. „**Адмирал Воеводский был здесь**“ — საუ-
ბარია ადმირალ არკადი ვასილის ძე ვოევოდსკიზე.

გვ.: 94-95. „**Гофмейстерина Эйлер**“ — საუბარია ელი-
საბედ პავლეს ასულ ეილერზე.

გვ.: 94,4. „**какойто Гагарин и Трубецкой**“ — პიროვნე-
ბათა სახელები უცნობია.

გვ.: 95,7. „**Губернатора Оголина**“ — საუბარია ქუთაი-
სის სამოქალაქო გუბერნატორ ალექსანდრე სტეფანეს ძე
ოგოლინზე.

**მანანა ერისთავი-ორბელიანისა და
ანასტასია ორბელიანი-გაგარინისადმი №1 (656) (გვ.: 97-99)**

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^o (ძველი №175), გვ.: 22r-v.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემნო გულით საყუარელ-ნო დედავ-ძალუავ მანანავ და ტასო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის ქალალდი; ზომა: 34,2X21,3 სმ; დაწერილია შავი ფანჯრით; ხუთ ადგილას ხელნაწერი გახვრეტილია; რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: წინამდებარე წერილში ადრესატების ადგილსამყოფელი არ ჩანს, მაგრამ ამავე წლის 18 თებერვალს ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილის შინაარსიდან იკვევა, რომ დედა-შვილი – მანანა ერისთავი-ორბელიანისა და ანასტასია ორბელიანი-გაგარინისა – პარიზში აპირებდნენ წასვლას: „Манана и Тасо Гагарина намереваются ехать в Париж на свадьбу Александра, которая будет в начале Апреля.“ განსახილველი წერილიდან კი ვიგებთ, რომ ისინი ისევ არ არიან თბილისში დაბრუნებულები: „тѣкущѣн წახვѣდით დასავლეთს და ბედმან მეცა გამტყოცნა აღმოსავლეთისაკენ.“ შესაბამისად, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს **პარიზში**.

შენიშვნები: 1. „1873“-ის გარშემო წრე აქვს შემოხაზული და ფანჯრით აქვს ვერტიკალური ხაზები ჩამოსმული; წრეშივე ფანჯრით უწერია „მგონი“; ეს არ არის გრიგოლის ხელი. როგორც ჩანს, არქივის თანამშრომელმა და სხვა პირმა ამ უთარილო წერილის დაწერის დროდ ივარაუდა 1873 წელი და „მგონი“ სიტყვით გამოხატა, რომ ეს მისი ვარაუდი იყო; 2. ამ ადგილას ხელნაწერი გახვრეტილია; 3-4-5-6-7-8-9-10-11-12-13. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ ფანჯრითვე; 14. ამის შემდეგ ფანჯრით წაშლილია „ამ დღეებში“; 15. „ამ დღეებში“ ჩამატებულია ზემოდან; 16-17-18-19-20-21-22-23. სიტ-

ყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ ფანქრითვე; 24. ღმერთი; 25. „ამის გარდა“ ჩამატებულია ზემოდან; 26. ღვთისა; 27. სიტყვები – „მოუვიდა ყელზე ვლადიმირი“ – ხაზგასმულია ავტორის მიერ ფანქრითვე.

დათარიღება: მანანა ერისთავი-ორბელიანისა და მისი ქალიშვილის, ანასტასია ორბელიანისადმი მიწერილ უთარილ ბარათში ნახსენებია მიხეილ შარვაშიძის გარდაცვალება, როგორც ახალმომხდარი ფაქტი: „ვორონეჟში გარდაიცუალა მიხეილ შარვაშიძე“. რამდენადაც მიხეილ შარვაშიძე გარდაიცვალა 1866 წლის 16 აპრილს, ბარათი ამ თარიღის შემდეგ უნდა იყოს დანერილი, მაგრამ ბარათის შინაარსი დროის ზედა ზღვრის კიდევ უფრო დაზუსტების საშუალებას იძლევა. მიხეილ კოლიუბაკინისთვის 1866 წლის 17 მაისს გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ მიფისნაცვალი ოჯახით 19 მაისს მიემგზავრება ბორჯომს: „В четверг, т: е: 19 числа Их Высочества выезжают в боржом“, ამ წერილის მიხედვით კი, ისინი უკვე წასულები არიან: „ველიკი კნიაზი და კნინა შვილებით გადასახლდენ ბორჯომს“. შესაბამისად, ბარათს ვათარილებთ ასე: **1866 წლის 19 მაისს შემდეგ.**

გვ.: 97,1. „დედავ-ძალუა მანანავ და ტასო!“ – წერილის ადრესატები არიან გრიგოლ ორბელიანის ნათესავის, დავით ივანეს ძე ორბელიანის, ცოლ-შვილი – მანანა მირმანოზის ასული ერისთავი-ორბელიანისა და ანასტასია დავითის ასული ორბელიანი-გაგარინისა.

გვ.: 97,11. „წაველ მისაგებებლად დიდს ყაენთან“ – საუბარია ირანის შაპ ნასერ-ად-დინ შაპ კაჯარზე.

გვ.: 97,13. „ჭერრახაბათის სიახლოეს“ – შესაძლოა, საუბარი იყოს ცენტრალური ირანის პატარა დასახლება ფარისაბადზე.

გვ.: 97,23. „პოსლანნიკი გირს“ – ნიკოლოზ კარლოს ძე გირსი ირანში სრულუფლებიან ელჩად იყო 1863-1867 წლებში.

გვ.: 98,4. „ბაბიდები, თუმცა მრავალნი ამონყვიტეს“ – საუბარია შიიტების სექტაზე, რომელიც შექმნა აღი მოჰამედ სეიდმა ირანში.

გვ.: 98,7. „ზღვის პირები ასტარაბბათთან“ – საუბარია ირანის ქალაქ ასტრაბბადზე, ამჟამინდელ გორგანზე.

გვ.: 98,10. „მთა დემავენდ, ელბრუსის ოდენი“ – საუბარია ირანის ჩრდილოეთით მდებარე მწვერვალსა და იალბუზზე.

გვ.: 98,16. „ვანო და დათიკო მყუანდნენ“ – საუბარია ივანე დავითის ძე და დავით მამუკას ძე ორბელიანებზე.

გვ.: 98,19. „ველიკი კნიაზი და კნეინა შვილებით“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის ცოლ-შვილზე.

გვ.: 98,24. „კნ: ტერეზია დადიანისა, ლრაჭინა ლევაშევისა, და ლიზა მუხრანსკისა“ – საუბარია ტერეზია მამიას ასულ გურიელ-დადიანისაზე, გრაფ ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვის მეუღლეზე – ოლდა ვიქტორის ასულ პანინაზე და კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონის მეუღლეზე – ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ.: 98,26. „აპირებენ იქვე ნასვლას ოპოჩინიანნიცა“ – საუბარია ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისა და ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ოჯახზე.

გვ.: 98,27. „იმყოფებიან ჩუმინი ელენა და თამამშიანნი“ – სავარაუდოდ, საუბარია ელენე ზაქარიას (ზაზას, ესტატეს) ასულ თარხან-მოურავ-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე, რომლის ბებია – თინათინ დავითის ასული ორბელიანი – ორივე მხრი-დან ენათესავებოდა გრიგოლს. ის იყო დავით რევაზის ძე ორბელიანისა და ერეკლე II-ის ასულის, თამარის, ქალიშვილი. ამიტომ იხსენიებს გრიგოლი მას სიტყვით „ჩუმინი“. ასევე საუბარი უნდა იყოს თბილისელ მეცენატ მიხეილ იაგორის ძე თამამშევისა და ბარბარე ვასილის ასული ყორლანაშვილი-თამამშევის ოჯახზე.

გვ.: 98,28-29. „აპირებენ მინკვიცი, ვასკა ლორისა, ალექსან: არღუთინ:“ – საუბარია იული თეოდორეს ძე მინკვიცზე, ვასილი ტარიელის ძე ლორის-მელიქოვასა და ალექსანდრე

რომანის ძე არლუთაშვილ-მხარგრძელზე.

გვ.: 98,29. „ივანე და სოფიოც იქ ამოვლენ“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ნათესავ ივანე დავითის ძე ორბელიანსა და მის ცოლ – სოფიო შალვას ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ.: 98,30. „ბაბალეც მომზადებულია“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე.

გვ.: 98,33. „ბარონ ნიკოლაი ავიდა მალლა“ – საუბარია სოფიო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძის მეუღლეზე – ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაიზე.

გვ.: 99,1. „დავით ჭავჭავი: თავის ორის ქალებითა ელენეთი და თამარითა“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე-სა და მის ქალიშვილებზე.

გვ.: 99,6. „სოფიოსთან გავშინჯეთ“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე.

გვ.: 99,7. „ველიკის კნენინას სანახავად“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის მეუღლეზე – ოლდა თეოდორეს ასულ ბადენელ-რომანოვისაზე.

გვ.: 99,9. „გარდაცვალებულისა ნასლედნიკის“ – საუბარია ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე რომანოვზე.

გვ.: 99,11. „ყაფლან მოვიდა მშვიდობიანად“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 99,11-12. „ეკატერინას... და მის შვილებისა“ – ყაფლანის დას, ეკატერინე ასლანის ასულ ორბელიანს, და შალვა რევაზის ძე ერისთავს იმხანად ჰყავდათ შვილები: ქეთევანი, რევაზი და სოფიო.

გვ.: 99,14. „გარდაცვალა მიხეილ შარვაშიძე“ – საუბარია აფხაზეთის მთავრის, გიორგი II შარვაშიძის, ვაჟზე.

გვ.: 99,24. „სოსიკოს მოუვიდა ყელზე ვლადიმირი“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

ალექსანდრე ნიკოლაისადმი №6 (657) (გვ. 100)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №121 / №32, გვ. 4r.
თარიღი და ადგილი: „17^{го} Июня 1866 Тифлис.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Барону Алек.: Павловичу
Николаи.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, დი-
დი ფორმატის, თხელი ქალალდი; ზომა: 32,3X21,4 სმ; შესრუ-
ლებულია შავი ფანჯრით; ქვედა მარცხენა კუთხეში ფურ-
ცელს მოხეული აქვს, მარჯვენა გვერდი მოცვეთილია.

ადრესატის მისამართი: წინამდებარე წერილში გრიგოლი ადრე-
სატს სთხოვს შუამდგომლობას კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ
რომანოვის, წინაშე ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის, ავთანდი-
ლოვის, დანიშვნის თაობაზე მე-4 კლასის განსაკუთრებულ დაგა-
ლებათა ჩინოვიკად: „я обращаюсь к вам, Мило: Госу: с покорне-
йшей просьбой, не найдётели возможным принять на себя Пред-
стательство пред Его Высо:^{ом} о назначении Автандилова Чинов-
ником особых поручений 4^{го} класса“. ავტორი, მართალია, თბილის-
ში იმყოფებოდა, მაგრამ წერილის შინაარსის გათვალისწინებით,
არ არის გამორიცხული, რომ იყო თბილიშივე იყო გაგზავნილი
კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის სა-
ხელზე.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. Действитель-
ный Статский Советник; 3-4. ორივე შემთხვევაში ავტორს
უნერია მხოლოდ პირველი ასო, რომელსაც ამთავრებს გაკ-
რული ხელით, სადაც ხაზებია მხოლოდ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 100,7. „Д: С: Сов: Автандилов“ — საუბარია მე-
ფისნაცვლის საბჭოს მმართველ ზაქარია სტეფანეს ძე ავთან-
დილოვზე.

გვ.: 100,21. „пред Его Высо:^{ом}“ — საუბარია მეფისნაც-
ვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 100,22. „на место Лелли“ — საუბარია საგანგებო
დავალებათა მოხელე კონსტანტინე თევდორეს ძე ლელიზე.

ალექსანდრე ნიკოლაისადმი №7 (658) (გვ. 102)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის ფონდი, №122 / №32, 5r.
თარიღი და ადგილი: „²го იюля 1866 Коджори“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Милост: Государь Барон
Александр Павлович.“

ხელნაწერის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, დალა-
ქავებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, გვერდებშემოც-
ვეთილი ფურცელი, ზომა: 36X21,8 სმ.; დაწერილია შავი ფან-
ქრით; ზედა მხრიდან ხელნაწერი საკმაოდ შელახულია, აქვს მო-
ნახევები როგორც ზედა, ისე ქვედა და მარჯვენა მხრიდან.

აღმოჩენის მისამართი: წინამდებარე წერილში გრიგოლი ადრე-
სატს სთხოვს შუამდგომლობას კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ
რომანოვის, წინაშე ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის ხელ-
მძღვანელის დაჯილდოების თაობაზე: „я обязанностью моей
считаю обратиться к вам, Барон, спокорнейшей просьбой, нена-
йдётели уместным и справедливым доложить вместе с этим
представленiem Его Импер: Высочеству Наместнику Кавказскому и
о Начальнице Института... о ёя награжденіи.“ აღნიშნულის გათვა-
ლისწინებით, წერილი თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 102,17-18. „Наместнику Кавказскому“ — საუბარია
მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 102,18. „о Начальнице Института“ — საუბარია
ალექსანდრა თეოდორეს ასულ უულცინსკაიაზე.

გვ.: 102,23. „Великой Княгини Ольги Феодоровны“ —
იგულისმება მეფისნაცვლის მეუღლე — ოლღა თეოდორეს
ასული ბადენელი-რომანოვისა.

**ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №20 (659)
(გვ.: 104-105)**

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ.: 19r -v.
თარიღი და ადგილი: „10^{го} იული 1866 თიფლის.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Мой друг Варвара!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული,
დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი ქა-
ღალდი; თითოეულის ზომა: 36X21,8 სმ.; შესრულებულია შავი
ფანჯრით. ქაღალდი ორ ადგილას გახვრეტილია.

ადრესატის მისამართი: წინამდებარე წერილის შინაარსიდან ირ-
კვევა, რომ ბარბარე ვისბადენშია გადასული ლონდონიდან:
„неожиданно пришла от тебя Депеша из Висбадена“. შესაბამი-
სად, წერილიც აქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2-3-4-5-6. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 104,3. „**Торговый дом братьев Сименс**“ — საუბარია
ძმები სიმენსების სატელეგრაფო კომპანიაზე, რომელსაც იმ პე-
რიოდში საქართველოში წარმოადგენდა ვალტერ სიმენსი.

გვ.: 104,6. „**на имя Линкенай**“ — შესაძლოა, იგულისხმე-
ბოდეს ლონდონის მკვიდრი ლენკენაუ, მაგრამ სახელი უცნობია.

გვ.: 104,8. „**чрез Прусского Консула**“ — იგულისხმება
ვალტერ სიმენსი, რომელიც, ამავე დროს, კონსულიც იყო.

გვ.: 105,3-5. „**Царевна Варвара, Минквици, Карцовы,**
Альбицы, Сумбатовы, Като Иванова, Элена Эристова, Агиеви,
Тамамшеви“ — საუბარია ბარბარე ვასილის ასულ ყორდანაშ-
ვილ-თამამშევისაზე, რომელსაც ხუმრობით „კოჯრის დედო-
ფალს“ უწოდებდნენ, დერბენდის გუბერნატორი იული თევდო-
რეს ძე მინკვიცა და მის მეუღლეზე — ლეონია მინკვიცისაზე,
ალექსანდრე პეტრეს ძე კარცოვსა და ეკატერინე ნიკოლოზის
ასულ კარცოვისაზე, ანა ოქროპირის ასულ ბაგრატიონ-გრუზინ-
სკაია-ალბიცა და ალექსანდრე ალბიცზე, მიხეილ ლუარსაბის ძე
სუმბათაშვილსა და ქეთევან გრიგოლის ასულ ბაგრატიონ-გრუ-

ზინსკაია-სუმბათაშვილისაზე, ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიან-ივანოვასა და ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვზე, ელენე ლუარსაბის ასულ ორბელიან-ერისთავისაზე, გენერალ-ადიუტანტ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ოგარევაზე, მის ქალიშვილ სოფიოსა და, სავარაუდოდ, მიხეილ იაგორის ძე თამამშევის ოჯახზე.

გვ.: 105,7. „**уверяет Принц**“ — საუბარია პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელზე.

გვ.: 105,8-9. „**Давид пріезжал в Тифлис с Тамарой и Эленой**“ — საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძესა და მის ქალიშვილებზე.

გვ.: 105,10. „**Бабале Сагинова в Кодах**“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილზე – ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე.

გვ.: 105,10. „**Кетевана и Каплан с женой**“ — საუბარია გრიგოლის რძალ ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე, ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანსა და მის მეუღლეზე – ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 105,20. „**жена Ивана Мухран:**“ — საუბარია ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლეზე – ნინო ლევანის ასულ დადიან-ბაგრატიონ-მუხრანელისაზე.

გვ.: 105,21. „**от ея молодой невестки Лизи**“ — საუბარია კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლეზე – ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელისაზე.

გვ.: 105,25. „**трудами Ивана и ея**“ — ბაგრატიონ-მუხრანელის ოჯახს წარმატებული მეურნეობა ჰქონდა.

გვ.: 105,27 „**о Аврааме и его жене**“ — საუბარია ბიბლიურ აბრაამსა და სარაზე. აბრაამი ასი წლის იყო, როცა შვილი ეყოლა.

გვ.: 105,28. „**красавица Катерина**“ — საუბარია ადრე-სატის უმცროს დაზე – ეკატერინე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიაზე.

ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისადმი №123 (660) (გვ. 108)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №374 (ძველი №20), გვ.: 165r-v.

თარიღი და ადგილი: „13^ს ივლისს 1866. კოჯორით“

ხელმოწერა: „თქუენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო რძალო ქეთევან!“

ავტოგრაფის ალწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, პატარა ფორმატის, საშუალო სისქის ქალალდი; ზომები: 20,4X13,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუძლენთილია ფურცელში.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელი-ანისა თბილისში ცხოვრობდა. წინამდებარე წერილში გრიგოლი რძალს საყვედურობს იმის გამო, რომ ის კვლავ ქალაქში რჩება და ვერ ახერხებს კოჯორში ასვლას, სადაც ავტორი ის-ვენებდა: „ეტყობა რომ ქალაქში ძალიან აგრილებულა, რომ დღესაც, როგორცა ჰსჩანს, ვერ ამოხვალთ.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი გაგზავნილია **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 108,11-12. „ნინუცაც თან წამოიყანე შვილებით“ — საუბარია ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილ-გერმანოზიშვილისაზე და მის შვილებზე: ესტატეზე, ეფემიასა და ილიაზე.

გვ.: 108,17. „ტახოც აქა ბძანდება“ — სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლომჭიოზე.

გვ.: 108,18. „ყაფლან მართალს ამბობს“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 108,20. „ბაბალე და ალექსანდრე“ — საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიანსა და მის ქმარზე — ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ.: 108,21. „ბატონი ბიძია ალექსანდრე მომიკითხე“ — საუბარია ალექსანდრე (პუბლია) ვატანგის ძე ორბელიანზე.

მიხეილ რომანოვისადმი №9 (661) (გვ. 109)

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა №1, საქმე №7502; 8v.

თარიღი და ადგილი: „14^{го} Июля 1866 года Коджоры.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Его Высочеству Наместнику Кавказскому.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის 1 ფურცელი, ზომა: 28X19,6 სმ.; ხელნაწერი დაზინებული და რესტავრირებულია; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუღენთილია ფურცელში. ამავე გვერდზე, ქვემოთ, მოთავსებულია იმავე ადრესატისადმი 7 აგვისტოს გაგზავნილი წერილი. მთელ გვერდზე, ზემოდან ქვემოთ, ნაწერს ჩამოსდევს წითელი ფერის ფანქარი გადახაზვის მიზნით.

ადრესატის მისამართი: „В Петербург.“

შენიშვნები: 1-2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 109,6-7. „Великой Княгини Анастасии Михайловны“
— საუბარია ადრესატის ქალიშვილზე, 1860 წლის 16 ივლისს დაბადებულ ანასტასია მიხეილის ასულ რომანოვაზე.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №4 (662) (გვ.: 110-111)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №502 (ძველი №30), ორმაგი პაგინაციით, გვ.: 1r-v // 5r-v.

თარიღი და ადგილი: „15^ს ივლისს 1866 კოჯორით.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ნიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი ქაღალდი; თითოეულის ზომა: 26,9X20,9 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუღენთილია ფურცლებში, ხელნაწერი გადაკეცვის ადგილას, ზემოთ და ქვემოთ, შეხეულია.

ადრესატის მისამართი: ადრესატი მსახურობდა **დალესტანში**. წინამდებარე წერილში გრიგოლი მას და მასთან მომსახურე დიმიტრი ჯორჯაძეს ავარელი ჰიტინამაჰდისა და აითბერის შვილიშვილისადმი დახმარებას სთხოვს. შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ასეა! 4. ხელნაწერში წერია „ლევანტი“; 5. ლევრთი; 6. ხელნაწერში წერტილი არ წერია; 7. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 110,1. „ჩემო საყუარელო ნიკო“ — წერილის ადრესატია ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 110,2. „ავარელი ჰიტინამაჰდი“ — საუბარია ხუნდახელ ან-ნარი ხაჯიაევის ვაჟ ჰიტინავ (ხიტინავ) მუჰამადზე.

გვ.: 110,3-4 „აითბერის შვილის შვილი“ — საუბარია რუსეთის არმიის „პროპორშჩიკ“ აითბერზე, რომელიც 1843 წელს ასრულებდა ხუნდახის მამასახლისას მოვალეობას. შვილიშვილის სახელი უცნობია.

გვ.: 110,7-8 „მოაკვლევინა იმბათბეგმა“ — სავარაუდოდ, საუბარია ასევე რუსეთის არმიის „პროპორშჩიკ“ იმბათ-ბეგზე, რომელიც აითბერთან ერთად თანამშრომლობდა რუსეთის ხე-

ლისუფლებასთან.

გვ.: 110,20. „**შენცა და დიმიტრისაცა**“ — სავარაუდოდ, იგულისხმება დიმიტრი ივანეს ძე ჯორჯაძე.

გვ.: 110,22. „**გახლავარ კოჯორსა ჩემის რძლითა**“ — სავარაუდოდ, საუბარია ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 110,23. „**კატო ივანოვისა, ტასო ალლობჟიო და ვარინკა თამამშოვისა**“ — საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიან-ივანოვისაზე, ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოსა და ბარბარე ვასილის ასულ ყორღანაშვილ-თამამშევისაზე.

გვ.: 110,29 „**ალექსანდრე არლუთინსკი, ვასილი ლორისა**“ — საუბარია ალექსანდრე რომანის ძე არლუთაშვილ-მხარგრძელსა და მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს მოხელე ვასილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვზე.

გვ.: 110,30. „**იოსებს ყორღანოვსაც, რომელიცა სალიანი-დამ მოსულა**“ — საუბარია გენერალ იოსებ ივანეს ძე ყორღანაშვილზე, რომელიც სამხედრო სამსახურიდან გადადგა და აზერბაიჯანის სალიანის რაიონში წამოიწყო თევზის წარმოება.

გვ.: 111,3. „**ყაითახში მომხდარა არეულობა**“ — ეს აჯანყება ყარაყაითალში დაიწყო 1866 წლის 4 ივლისს, როცა ყაითალებებმა სცადეს საოლქო ცენტრ მაჯალისის აღება.

გვ.: 111,5. „**ლევანც იქ წასულა**“ — საუბარია დაღესტნის მმართველ გენერალ ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ.: 111,6. „**კარცოვი ცოლშვილით წავიდა**“ — საუბარია მეფისნაცვლის თანაშემწე ალექსანდრე პეტრეს ძე კარცოვზე, მის მეუღლე ეკატერინე ნიკოლოზის ასულ კარცოვასა და შვილებზე.

გვ.: 111,8 „**ყაფლან თავის ქულჭათით**“ — საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანსა და მის ოჯახზე.

გვ.: 111,9. „**ბაბალე ქმრითა**“ — საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიანსა და მის

ქმარზე – ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ.: 111,10. „ველიკის კნიაზთან“ — საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №21 (663) (გვ.: 112-113)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ.: 21r-v.

თარიღი და ადგილი: „Августа 4 Кожори 1866.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Мой друг Варвара!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი ფურცელი; თითოეულის ზომა: 36Х21,8 სმ.; შესრულებულია შავი ფანჯრით; ქალალი ორ ადგილას გახვრეტილია.

ადრესატის მისამართი: ამ დროისათვის ბარბარე ლონდონიდან გადასული იყო გერმანიის ქალაქ ვისბადენში. წინამდებარე წერილის შინაარსიდანაც ჩანს, რომ ის გერმანიაშია: „Скажи мне, зачем ты желаешь переехать назиму в Германию? Разве для твоего здоровья там будет лучше?“ შესაბამისად, წერილიც ვისბადენშია გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2-3-4-5. ხაზგსმულია ავტორის მიერ.

გვ.: 112,9. „Торгового дома братьев Сименс“ — საუბარია მები სიმენსების სატელეგრაფო კომპანიაზე, რომელსაც იმ პერიოდში საქართველოში წარმოადგენდა ვალტერ სიმენსი.

გვ.: 112,11. „депеши из Висбадена“ — საუბარია გერმანიის ქალაქ ვისბადენზე, რომელიც მდებარეობს ჰესენის რაიონში.

გვ.: 112,11. „я послал Линкенау“ — შესაძლოა, იგულისხმებოდეს ლონდონის მკვიდრი ლენკენაუ, მაგრამ სახელი უცნობია.

გვ.: 112,18. „Священника Попова“ — საუბარია ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანის მოძღვარზე.

გვ.: 112,20. „мой дядя Георгий“ — ადრესატის ვაჟს,

თავის ძმისნულს, გიორგი ილიას ძე ორბელიანს, გრიგოლი სიყვარულით „ბიძიას“ უწოდებს.

გვ.: 112,23. „**Кетевана и Лиза**“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძლებზე: ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მეს-ხიშვილ-ორბელიანისაზე და ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 113,5. „**Сын Элизбара**“ — სავარაუდოდ, საუბარია ოტია ელიზბარის ძე დადიანზე.

გვ.: 113,10. „**Великому Князю**“ — საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 113,14-15. „**Великаго Князя Константина**“ — საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმაზე — კონსტანტინე ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 113,15-17. „**Терезия Дадиани с племянницей, Лиза Мухранская, Опочинины, Мирские, Джомардизева с сестрой Майко**“ — საუბარია ტერეზია მამიას ასულ გურიელ-დადიანისაზე, ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ფალაგანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელისაზე, ბარბარე იაკობის ასულ ორბელიანისა და ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ოჯახზე, სოფიო იაკობის ასულ ორბელიანისა და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის ოჯახზე, სამხრეთ დაღესტნის სამხედრო მეთაურის, გენერალ-მაიორ მიხეილ გრიგოლის ძე ჯომარჯიძის ცოლზე — ელენე გრიგოლის ასულ ბარათაშვილსა და მის დაზე — მარიამ გრიგოლის ასულ ბარათაშვილ-მელიქიშვილისაზე.

გვ.: 113,17. „**Корхмазе жена с дочерью**“ — გრიგოლის ბიძაშვილი თამარ იოსების ასული ორბელიანი, რომელიც ამ დროს გარდაცვლილი იყო, ცოლად ჰყავდა ყორხმაზ (დიმიტრი) სოლომონის ძე მელიქიშვილს. 1831 წელს ისინი განქორწინდნენ და სხვა პირებზე დაოჯახდნენ. ყორხმაზის მეორე ცოლი, რომელზეც აქ არის საუბარი, იყო თამარ ერმილეს ასული ბაგრატიონ-მუხრანელი-მელიქიშვილისა. ორბელიანებს ყორხმაზ მელიქიშვილთან ისიც აკავშირებდათ, რომ მისი და იყო გრიგოლის ბიძის,

სამარაგდონ ნიკოლოზის ძე ორბელიანის, პირველი ცოლი. სხვა წერილებიდან ჩანს, რომ ყორხმაზის ქალიშვილს ერქვა მაიკო და ის გათხოვილი იყო ალექსანდრე დადეშელიანზე.

გვ.: 113,17. „**Попоригопуло, Исаак, жена Элисбара Эристова**“ — საუბარია საიდუმლო მრჩეველ ალექსანდრე ივანეს ძე პოპორილოპულოზე, ისაკ შიოს (სოლომონის) ძე თუმანიშვილსა და ელიზბარ შანშეს ძე ერისთავის ცოლზე – ქეთევან შალვას ასულ ერისთავზე.

გვ.: 113,19. „**о бедном Христинизе**“ — პიროვნების ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 113,20. „**дорогая Катерина**“ — საუბარია ადრესატის უმცროს დაზე – ეკატერინე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიაზე.

მიხეილ რომანოვისადმი №10 (664) (გვ. 115)

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღნერა №1, საქმე №7502, გვ. 8v.
თარიღი და ადგილი: „7^{го} Августа“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Его Высочеству“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, და-ლაქავებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის 1 ფურცელი, ზომა: 28X19,6 სმ.; ხელნაწერი დაზინებული და რესტავ-რირებულია; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუღენთილია ფურცელში. ამავე გვერდზე, ზემოთ, მოთავსებულია იმავე ადრესატისადმი 1866 წლის 14 ივლისს გაგზავნილი წერილი. მთელ გვერდზე, ზემოდან ქვემოთ, ნაწერს ჩა-მოსდევს წითელი ფერის ფანქარი გადახაზვის მიზნით.

ადრესატის მისამართი: „...в Петерб:“

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 115,27. „**Завтра выезжает Фельдегер с донесением о Рескрипте**“ — საუბარია მთავრობის კურიერზე. გვარი ნახსენები არ არის.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №5 (665) (გვ.: 115-116)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №503 (ძველი №30), გვ. 6r.

თარიღი და ადგილი: „14^ს სეკდ: 1866.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო ბიძიავ, საყვარელო ნიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, პატარა ფორმატის, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი ქალალდი; თითოეულის ზომა: 21,9X13,9 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუღენილია ფურცელში; ხელნაწერი გადაკეცის ადგილას, ზემოთ და ქვემოთ, შეხეულია.

ადრესატის მისამართი: ნიკო ჭავჭავაძე ამ დროისათვის დალესტანში მსახურობდა. ნინამდებარე წერილში გრიგოლი მას თავისი ოსი მეჯინბის, ბესოს, სურვილს ატყობინებს ადრესატთან მუშაობის თაობაზე: „ესრეთი გახლავს უფალი ბესო, რომელიცა მოდის დალისტანში ბედის საპოვნელად.“ შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. „ვ“ გამორჩენილი აქვს; 3. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: ნინამდებარე გამოცემა.

გვ.: 116,9-10. „ოსი სახელად ბესო“ — სხვა ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება.

ბაბალე ორბელიანი-საგინაშვილისადმი №24 (666) (გვ. 117)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №468/№24, ორმაგი პაგინაციით: გვ.: 2r // 3r.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „კოდის დედოფალს“

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, პატარა ფორმატის, თხელი, პერგამენტის ქალალდი; ზომა: 18,3X10,4 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით, რომელიც გაუდენილია ფურცელში და II მხარეს არის გადასული; წერია დიდი ასოებით, რომელთაგან ზოგი მოჩუქურთმებულია; ამავე ნომრის ქვეშ დაცულია იმავე ადრესატისადმი მიწერილი უთარილო ბარათი.

ადრესატის მისამართი: ბაბალე ორბელიანი-საგინაშვილისა, ძირითადად, კოდაში ცხოვრობდა. წინამდებარე წერილში გრიგოლი მას „კოდის დედოფლად“ მოიხსენიებს და ამცნობს, რომ მეორე დღეს მას ესტუმრებოდნენ ბიძა და ბიცოლა. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი კოდაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. პირველი „ნ“ მოჩუქურთმებულია და მისი მოძევნო „ო“ აღარ არის გამოკვეთილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარილება: წერილში ნახსენები მარიამ იოანეს ასული ორბელიანი გარდაიცვალა 1866 წლის 26 სექტემბერს. შესაბამისად, ბარათი მანამდე უნდა იყოს დაწერილი.

გვ.: 117,1. „კოდის დედოფლალს“ – ასე უწოდებს ადრესატს ხუმრობით.

გვ.: 117,2. „დიმიტრი და მარიამ... ივანოვნა“ – საუბარია დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანსა და მის მეუღლეზე – მარიამ ივანეს (ლუარსაბის) ასულ ორბელიანზე.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №22 (667) (გვ.: 117-119)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ. 23r.

თარიღი და ადგილი: „24^მ Сентябрь 1866 Тифлис“ / „30^მ Сентябрь“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Мой друг Варвара!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის ქალალდი, ზომა: 35,4X21,7

სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ქალალდი ორ ადგილას გახვრეტილია.

ადრესატის მისამართი: ამ დროისათვის ბარბარე გერმანიის ქალაქ ვისბადენში ცხოვრობდა, რასაც წინამდებარე წერილის შინაარსიც ადასტურებს: „В последнем твоем письме из Висбадена.“ შესაბამისად, წერილი იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2-3-4. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 117,9. „**поговорить о Георгие**“ — საუბარია გრიგოლის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 118,26 „**Сестра твоя Аннета**“ — საუბარია ადრესატის დაზე — ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე.

გვ.: 118,27 „**успокоенная на счет Сандро**“ — საუბარია ადრესატის დისწულ ალექსანდრე დავითის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 118,30. „**образец Михайл Царевич**“ — გაურკვეველია, რომელ მიხეილზეა საუბარი.

გვ.: 119,1. „**Марія Ивановна Орбел:**“ — საუბარია დიმიტრი ვახტაგის ძე ორბელიანის ცოლზე — მარიამ ივანეს (ლუარსაბის) ასულზე.

გვ.: 119,3. „**Андреевский с семейством**“ — საუბარია ექიმ ერასტი სტეფანეს ძე ანდრეევსკიზე, მის მეუღლე ბარბარე გიორგის ასულ თუმანიშვილ-ანდრეევსკისაზე და შვილებზე.

გვ.: 119,4. „**с его дочерьми**“ — საუბარია ექიმ ერასტი სტეფანეს ძე ანდრეევსკის ქალიშვილებზე: ელენესა (დაბ. 1846) და ნინოზე (დაბად. 1859).

გვ.: 119,7. „**Их Высочества уехали в Крым**“ — საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 119,8. „**на свадьбу Государя Наследника**“ — საუბარია უფლისწულ ალექსანდრე ალექსანდრეს ძისა და დანიის პრინცესა მარია სოფია ფრედერიკა დაგმარას ქორწილზე. ნიშნობა ჩატარდა 13, ჯვრისწერა კი — 28 ოქტომბერს.

გვ.: 119,10-11. „**Дочь Опочинина Нина обручена за Полковника Статковского**“ — საუბარია გრიგოლ ორბელია-

ნის ბიძაშვილის, ბარბარე იაკობის ასული ორბელიანის, ქალიშვილ ნინა ალექსეის ასულ ოპოჩინინასა და პოლკოვნიკ ბოლესლავ ეგნატეს ძე სტატუკოვსკიზე.

გვ.: 119,13. „**наимя братъев Сименс**“ — საუბარია ძმები სიმენსების სატელეგრაფო კომპანიაზე, რომელსაც იმ პერიოდში საქართველოში წარმოადგენდა ვალტერ სიმენსი.

მიხეილ რომანოვისადმი №11 (668) (გვ. 122)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ. 24г.

თარიღი და ადგილი: „Тифлис 5 Нояб: 1866 в Петербург.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Его Императ: Высочеству Михайлу Николаевичу.“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო ფორმატის, საშუალო სისქის ქაღალდი, ზომა: 26,8Х20,8 სმ.; შესრულებულია შავი მელნით. ქაღალდი ორ ადგილას გახვრეტილია.

ადრესატის მისამართი: „в Петербург.“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 122,20. „**Государыне Ольге Феодоровне**“ — საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის მეუღლეზე – ოლღა თეოდორეს ასულ ბადენელ-რომანოვისაზე.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №23 (669) (გვ.: 124-126)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ. 25г-в.

თარიღი და ადგილი: „Тифлис 23 Нояб: 1866. В Висбаден.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Моя матушка Варвара!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის ქაღალდი, ზომა: 36,1Х21,9

სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ქაღალდი ორ ადგილას გახვრეტილია; ქვემო მხარე მოცვეთილი აქვს.

ადრესატის მისამართი: „В Висбаден.“

შენიშვნები: 1-2-3. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4. მთელი წინადადება ხაზგასმულია ავტორის მიერ; 5-6. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 125,26. „**Манана и Тасо**“ — საუბარია მანანა მირ-მანოზის ასულ ორბელიანსა და მის ქალიშვილზე – ანასტასია დავითის ასული ორბელიან-გაგარინისაზე.

გვ.: 125,28 „**Вано Сагинов женился на Княжне Вачнадзе**“ — საუბარია ივანე ბესარიონის (ვასილის) ძე საგი-ნაშვილსა და ეკატერინე რევაზის ასულ ვაჩნაძეზე.

გვ.: 125,29 „**Умер старик Тамамишев**“ — სავარაუდოდ, საუბარია მიხეილ იაგორის ძე თამაშევზე.

გვ.: 125,30. „**Варвара Васильевна, царица Коджорская**“ — საუბარია ბარბარე ვასილის ასულ ყორლანაშვილ-თა-მაშევისაზე.

გვ.: 125,31. „**Наш Вано – пожарный**“ — იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილიშვილი ივანე კონსტანტინეს ძე ორბე-ლიანი.

გვ.: 125,32. „**Великому Князю Константину Николаевичу**“ — საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმაზე – კონსტანტინე ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 126,7. „**письмо от Захарки и Сосико**“ — სავარაუ-დოდ, საუბარია მსახურებზე.

გვ.: 126,7. „**Старый Шарик также ему кланяется**“ — სავარაუდოდ, ხუმრობით არის საუბარი გრიგოლის ძალლზე.

გვ.: 126,8. „**Нина Опочинина вышла замуж за Полковника Статковского**“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ბარბარე იაკობის ასული ორბელიანის, ქალიშვილ ნინა ალექსეის ასულ ოპორინინასა და პოლკოვნიკ ბოლესლავ ეგნატეს ძე სტატკოვსკიზე.

გვ.: 126,10. „**чрез Сименса**“ – საუბარია ძმები სიმენსების სატელეგრაფო კომპანიაზე, რომელსაც იმ პერიოდში საქართველოში წარმოადგენდა ვალტერ სიმენსი.

გვ.: 126,12. „**Как поживает моя Катерина**“ – საუბარია ადრესატის უმცროს დაზე – ეკატერინე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიაზე.

გვ.: 126,15. „**Петя Опочинин**“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ბარბარე იაკობის ასული ორბელიანის, და ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ვაჟ პეტრეზე.

ალექსანდრე ნიკოლაისადმი №8 (670) (გვ.: 129-130)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №123 / №32, გვ. 6r.
თარიღი და ადგილი: „18^{го} Декабрь 1866 Тифлис.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Барону Алексею Павловичу Николаи.“

ავტოგრაფის აღნერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 32,2X21,1 სმ; შესრულებულია შავი ფანქრით; მარცხნა და ქვედა მხარეები მოცვეთილი აქვს; ქვედა მხრიდან ფურცელი 2,5 სმ.-ზე შეხეულია.

ადრესატის მისამართი: ნინამდებარე ოფიციალური წერილი თბილისიდან არის გაგზავნილი, მაგრამ მისი შინაარსის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული, თბილისშივე იყოს გაგზავნილი კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის სახელზე.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. Действительного Статского Советника; 3. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: ნინამდებარე გამოცემა.

გვ.: 129,12-13. „**Д: С. Сове: Абесаломова**“ — საუბარია სამოქალაქო მრჩეველ ივანე სოლომონის ძე აბესალომოვზე.

გვ.: 130,15. „**у Великаго Князя**“ – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №24 (671) (გვ.: 132-133)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ. 26г.
თარიღი და ადგილი: „23^{го} Генв: 1867 Тифлис.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Мой друг, моя матушка Варвара!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო, გახუნებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 35,3X22,2 სმ.; დაწერილია ერთ გვერდზე შავი ფანჯრით; 2 ადგილას ფურცელი ამოხეულია.

ადრესატის მისამართი: „в Висбаденъ.“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 132,5. „**кантору Сименса**“ — საუბარია ძმები სიმენსების სატელეგრაფო კომპანიაზე.

გვ.: 132,14. „**Аннета с двумя старшими дочерьми**“ — საუბარია ადრესატის დაზე — ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე და მის უფროს ქალიშვილებზე: სალომესა და მარიამზე.

გვ.: 132,16. „**жене Захарія Чавчавадзе**“ — საუბარია ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძის პირველ ცოლზე — ეკატერინე ლუარსაბის ასულ ჩოლოყაშვილზე.

გვ.: 132,27 „**Целую в голову Георгия**“ — საუბარია გრიგოლის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 133,4 „**кланяюсь Катерине**“ — საუბარია ადრესატის უმცროს დაზე — ეკატერინე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიაზე.

გვ.: 133,5. „**Графиня Левашева родила dochь**“ — საუბარია გრაფ ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვის მეუღლეზე — ოლღავიქტორის ასულ პანინასა და მათ ქალიშვილ ეკატერინეზე, რომლის დაბადების თარიღიც სხვა წყაროებიდან ცნობილი არ არის.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №6 (672) (გვ.: 134-136)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №501 (ძველი №30), ორმაგი პაგინაციით, გვ.: 1r-v, 2r-v // 7r-v, 8r-v.

თარიღი და ადგილი: „30 იანვ: 1867 თბილისით.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო გულით საყუარელო ნიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი ქალალდი; თითოეულის ზომა: 22,2X14,1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუდენთილია ფურცლებში.

ადრესატის მისამართი: ადრესატი მსახურობდა დალესტანში, წერილიც, შესაბამისად, იქ უნდა იყოს გაგზავნილი. ამას ადასტურებს მისი შინაარსიც: „ლაზარევი და კალასოვსკი გუშინ წამოვიდნენ სალიანისაკენ და იქიდამ მოვლენ შურას; ვინძლო ნახო კალასოვსკი ან შურას, და ან ჩირიურთს.“

შენიშვნები: 1-2-3-4. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 5. ასეა; 6. ღმერთი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 135,7-8. „სადლეგრძელო დავლიეთ თამამშევისას“ – საუბარი უნდა იყოს თბილისელ მეცენატ მიხეილ იაგორის ძე თამამშევისა და ბარბარე ვასილის ასული ყორლანაშვილი-თამამშევის ოჯახზე. ისინი ცხოვრობდნენ განის (ამჟამად გალაკტიონ ტაბიძის) ქუჩაზე, სადაც ხშირად იყრიდა თავს თბილისის იმჟამინდელი საზოგადოება და სადაც ამჟამად ე. წ. „სმირნოვების მუზეუმი“ გახსნილი.

გვ.: 135,14. „მირსკი აქ არის ცოლშვილითა“ – საუბარია პოდპოლკოვნიკ დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკისა და მის ოჯახზე.

გვ.: 135,16. „ლუბერნატორად ლრაფ ლევაშევი“ – საუბა-

რია გრაფ ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვზე.

გვ.: 135,18 „კარცოვიც წავა“ — საუბარია მეფისნაც-ვლის თანაშემწე ალექსანდრე პეტრეს ძე კარცოვზე, რომელ-მაც დაკავებული თანამდებობა მხოლოდ 1868 წლის 14 აპ-რილს დატოვა.

გვ.: 135,25. „ყორხმაზის ქალი დაინიშნა ალექსანდრე და-დეშკილიანზე“ — სავარაუდოდ, საუბარია მაია ყორხმაზის ასულ მელიქიშვილსა და ალექსანდრე (ბექირბი) ციოყის (მი-ხეილის) ძე დადეშქელიანზე, რომელიც თავისი უფროსი ძმის, კონსტანტინეს, მიერ ქუთაისის გუბერნატორ გაგარინის მკვლელობის გამო გადასახლებული იყო ციმბირში, მაგრამ 1865 წლიდან ნება დართეს, რომ რუსეთის ევროპულ ნაწილ-ში, მაგრამ არა კავკასიაში, გადმოსულიყო, რის შემდეგაც იგი ოდესის ოლქში ცხოვრობდა.

გვ.: 135,27. „ზაქარიას ჭავჭავა: ცოლის სიკუდილმა“ — საუბარია ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძესა და მის პირ-ველ ცოლზე — ეკატერინე ლუარსაბის ასულ ჩოლოყაშვილზე.

გვ.: 136,20. „შენ და სოსიკომ“ — საუბარია გრიგოლ ორბე-ლიანის ბიძაშვილიშვილ იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 136,23. „ნესტორმა ჩამოიყვანა“ — საუბარია ნეს-ტორ დიმიტრის ძე ნერეთელზე.

გვ.: 136,24 „პელაგია და კინალამ არ მოკუდა“ — იგუ-ლისხმება პელაგია ქაიხოსროს ასული გურიელი-წერეთლისა.

გვ.: 136,26. „ლაზარევი და კალასოვსკი“ — საუბარია მეხთულის სახანოს მმართველ ივანე დავითის ძე ლაზარევსა და კავკასიის კორპუსის გენერალ-მაიორ ივანე გრიგოლის ძე კოლოსოვსკიზე.

ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანისადმი №1 (673) (გვ. 137)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №149 (ძველი №33), გვ.: 1r-v.

თარიღი და ადგილი: „1^ს მარტს. 1867.“

ხელმოწერა: „ასეა, ჩემი ბიძიავ, აწინდელი მდგომარეობა შენის მარადის ერთგულისა და ჭეშმარიტად პატივისმცემლისა გრიგოლ ორბელიანისა“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბიძიავ ბატონო ალექსანდრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი ქალალდი; თითოეულის ზომა: 26,9X21 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით; ხელნაწერი დაზიანებულია, გადაკეცვის ადგილას, შუაში, ორივე ფურცელი გახეულია.

ადრესატის მისამართი: ადრესატი თბილისში ცხოვრობდა. წინამდებარე წერილში არ იკვეთება, რომ იგი ქალაქიდან სადმეა წასული. ჩანს ის, რომ ავტორი ავად არის და სახლშია: „მეცა, ეს ორი კვირა არის, ვგდივარ ავად-მყოფი, სევდა-აშლილი: მახველებს, ფერდები მტკივა, გულიცა მტკივა, კბილებიც მტკივა, აღარა მიამებარა, ერთის სიტყვით, იობის ღალა-დისია!“ ამიტომ შესაძლებელია, წერილი გაგზავნილი იყოს თბილისიდან **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: ლუბა მეფარიშვილი, „გრიგოლ ორბელიანის ზოგიერთი გამოუქვეყნებელი წერილის შესახებ“: ზოთა რესთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 204-205.

გვ.: 137, 1. „ჩემო ბიძიავ ბატონო ალექსანდრე“ — წერილის ადრესატია ალექსანდრე (პუპლია) ვახტანგის ძე ორბე-

ლიანი, რომელიც ასაკით გრიგოლზე ბევრად უფროსი არ იყო, მაგრამ გრიგოლი თუ ერეკლე II-ის შვილთაშვილი იყო, ალექსანდრე – შვილიშვილი და ამიტომ უწოდებს ბიძიას.

გვ.: 137,1-2. „იყო ჩემთან გიორგი ერისთავი“ – გრიგოლ ორბელიანის წერილებში მოხსენიებული რამდენიმე გიორგი ერისთავიდან ამ დროისათვის ცოცხალი იყო მხოლოდ გიორგი რევაზის ძე ერისთავი, „ატამანად“ წოდებული და, სავარაუდოდ, სწორედ ის იგულისხმება.

გვ.: 137,3. „ტიხონის ბარათაშვილის სახლობისა“ – საუბარია იმუამად გარდაცვლილი ისტორიკოსის, სულხან (ტიხონ) გერმანიზის ძე ბარათაშვილის, ოჯახზე.

გვ.: 137,8-9 „საპრალოს ტიხონის ქვრივა“ – საუბარია სულხან (ტიხონ) ბარათაშვილის ქვრივზე – ელისაბედ პეტრეს ასულ სემიანნიკოვაზე.

გვ.: 137,17-18. „იობის ღალადისია“ – გრიგოლ ორბელიანი ხშირად აპელირებს ბიბლიური იობის განსაცდელებზე.

გვ.: 137,19. „ამა სოფლისგან რას ველი... უჭად წასულსა!“ – ციტატა არის პოემა „სადლეგრძელოდან“. იგი მიძღვნილია ამ წერილის ადრესატისადმი.

დიმიტრი ჭორჭაძისადმი №107 (674) (გვ. 138)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №617 (ძველი №26), ორმაგი პაგინაციით, გვ.: 1r-v // 160r-v.

თარიღი და ადგილი: „26 აპრილს 1867 თბილისით.“

ხელმოწერა: „მენი კეთილის მსურველი გრიგოლ ორბელიანი“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო კნიაზო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, პატარა ფორმატის, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი ქაღალდი; თითოეულის ზომა:

20,6X13,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში მსახურობდა დალესტანში, კერძოდ, **თემირხანშურაში**. წერილიც, შესაბამისად, იქ უნდა იყოს გაგზავნილი, რასაც ადასტურებს მისი შინაარსი, სადაც გრიგოლი მოიკითხავს დალესტანში მცხოვრებ და მომსახურე თავის ახლობლებს.

შენიშვნები: 1-2. ასეა; 3. ღმერთი; 4-5. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 138,2. „ამირჩობანი ჰეზის და ელის“ – საუბარია ყარაყაითალის ყოფილი მმართველის, ჯამოვ-ბეგის, ვაჟზე – ამირ-ჩობან-ბეგ-უცმიევ-ყარაყაითალელზე.

გვ.: 138,6-7. „მტანჯვენ ჯამობეგის შვილებიო“ – ჯამოვ-ბეგის შვილები, რომლებთანაც ამირჩობანს ჰქონდა დავა, იყვნენ ოლქის რამდენიმე დიდი დასახლების მმართველი ახმედ-ფაშა და მეხთიბეგ უცმიევი.

გვ.: 138,10. „კნიაზ ლევან კარგად არის“ – საუბარია იმუამად დალესტნის მმართველ, გენერალ ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ.: 138,12. „წავიდა ველიკი კნიაზი“ – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 138,14-15. „დახვდება ველიკაა კნეინა“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის მეულლეზე – ოლდა თეოდორეს ასულ ბადენელ-რომანოვისაზე.

გვ.: 138,16-17. „დიმიტრი მირსკი მიიღებს კარცოვის ალაგსა“ – საუბარია დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკისა და მეფისნაცვლის თანაშემწე ალექსანდრე პეტრეს ძე კარცოვზე, რომელმაც ეს თანამდებობა მხოლოდ 1868 წლის 14 აპრილს დატოვა.

გვ.: 138,18. „ლევაშევიც მალე წავა“ – საუბარია გრაფ ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშევზე, რომელიც მართლაც დაინიშნა ქუთაისის გუბერნატორად.

გვ.: 138,25. „კნეინა ალექსანდრა“ – საუბარია ალექსანდრა (ანა) მამუკას ასულ ორბელიან-მელიქიშვილისაზე.

გვ.: 138,25-26. „ეგრეთუე ელენე და ილიკო, და მათთან ნიკოცა“ – საუბარია ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილსა და მის მეუღლეზე – ელენე ივანეს ასულ ანდრონიკაშვილ-ჩოლოყაშვილისაზე და ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

ნიკოლოზ გირსისადმი №1 (675) (გვ. 139)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), გვ. 203r.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Посланнику при Персидском Дворце. Николаю Карловичу Гирсу.“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 31,2X21,2 სმ; შესრულებულია შავი ფანჯრით.

ადრესატის მისამართი: „...при Персидском Дворце.“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარილება: გრიგოლ ორბელიანის სხვადასხვა წერილიდან ჩანს, რომ იგი სპარსეთში იმყოფებოდა 1866 წლის გაზაფხულზე და დაბრუნდა 7 მაისს. რამდენადაც ამ უთარილო წერილიდან ირკვევა, რომ იგი ამ ვიზიტიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ არის გაგზავნილი („უკვე წელი გადის“), დანერილი უნდა იყოს 1867 წლის 7 მაისამდე.

გვ.: 139,4-5. „Шаху Персидскому в Феррих Аббаде“ — საუბარია ირანის შაჰ ნასერ-ად-დინ შაჰ კაჯარსა და ირანის ცენტრალური პროვინციის პატარა დასახლება ფარისაბადზე. გრიგოლი ამ გეოგრაფიულ სახელს არასწორად წერს.

გვ.: 139,6-7. „Его Высочеством Наместником Кавказским“ — საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

**ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №25 (676)
(გვ.: 141-143)**

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ. 29r-v.

შენიშვნები: 1. როგორც ხელნაწერის ჩვენებით ირკვევა, გრიგოლს თარიღი შავი ფანქრით დაუწერია და შემდეგ ზედ წვრილად გადაუტარებია მუქი შავი მელანი, რის გამოც წელი კარ-

გად არ იკითხება, ჩანს მხოლოდ პირველი ორი ციფრი „18“, ამასთან, ჩანს მესამე და მეოთხე ციფრების ქვედა ნაწილები და ორივე მომრგვალებულია ისე, რომ მესამე ციფრი უნდა იყოს „6“, ხოლო მეოთხე – „8“; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონვერტს, რომელშიც აღნიშნული წერილი დევს, გარედან თარიღად აწერია „1868“; 2. ხელნაწერშია „ალექსანდრეს“.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 252.

გვ.: 202,23. „კამენდანტი და მთლად დვორი ფრენილებით“ – ასე უწოდებს გრიგოლი ხუმრობით ბარბარეს მსახურებს. სხვა წერილებში იხსენიება კომენდანტის სახელი იგორკა.

გვ.: 202,29. „ალექსანდრე სიყუარულით მომიკითხე“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

ალექსანდრე საგინაშვილისადმი №8 (702) (გვ. 203)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №419 (ქველი №29), გვ.: 15r-v.

თარიღი და ადგილი: „23 აგვისტოს 1868“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო ალექსანდრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 35,4X21,9 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით; რომელიც გაუღენილია ფურცელში; 15v გვერდზე მისამართი წერია. ხელნაწერს ქვედა მარჯვენა კუთხე მოხეული აქვს; რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: „ღ~თით ეს წიგნი მიუვიდეს, ალექსანდრე საგინოვსა. თბილისს“

შენიშვნები: 1. ღმერთმა; 2. ხელნაწერშია „კალო-ზაბძლებით“; 3. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4. ღვთით; 5. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 203,2. „მომიტანა ზურაბკამა – საუბარია ადრესა-ტის მსახურზე.

გვ.: 203,3. „ბაბალესა, იმედი მაქეს“ — საუბარია გრი-გოლის ბიძაშვილ ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე.

გვ.: 203,6. „ქეთევან და ტასო“ — საუბარია გრიგოლ ორბე-ლიანის რძალზე — ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე და მის დისჩულ ანასტასია ხერხეულიძეზე.

გვ.: 203,14. „ყაფლან და ელისაბედ“ — საუბარია გრი-გოლ ორბელიანის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანსა და მის მეუღლეზე — ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილ-ორბელიანისაზე.

ალექსანდრე საგინაშვილისადმი №9 (703) (გვ. 204)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №428/№29, გვ. 1r.
თარიღი და ადგილი: „28 აგვის:“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ალექსანდრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრცილი, გახუნებული, დალაქავებული, პატარა ფორმატის, სქელი, ორად გადაკეცილი ქაღალდი; თითოეულის ზომა: 20,8X13,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუღენთი-ლია ფურცელში და რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელ-ნაწერი; ავტოგრაფის ორივე ფურცელი გადაკეცვის ადგილას, შუაში, 1,5 სანტიმეტრზე გახეულია; 1v გვერდზე იასამნისფე-რი მელნის ნაღვენთია და უკუღმა ამავე მელნით სხვისი ხე-ლით მიწერილია: „ალექსანდრე 16 წერილი“. 2v გვერდზე ამა-

ვე ხელითა და მელნით წერია: „ალექსანდრეს 16 წ.“ აქვე გრიგოლ ორბელიანის ადრესატისადმი მიძღვნაა მისამართის მითითების გარეშე.

ადრესატის მისამართი: ხელნაწერის 2v გვერდზე გრიგოლ ორბელიანის ადრესატისადმი მიძღვნაა მისამართის მითითების გარეშე „ლთ ით ეს წიგნი მიუვიდეს ალექსანდრეს საგინოვს.“ მაგრამ ვიცით, რომ ადრესატი იმყოფებოდა **თბილისში** (იხ. ალექსანდრე საგინაშვილისადმი №8 წერილი) და წერილიც, შესაბამისად, იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ასეა ხელნაწერში; გარკვევით წერია ეს სიტყვა; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ღვთით.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარილება: 1867 წლის 18 ოქტომბერს თავისი რძლის – ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისათვის გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისას სიმსივნე აღმოაჩნდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ თემაზე მასთან და მის ქმართან გრიგოლი ღიად არ საუბრობს. 1868 წლის 23 აგვისტოს ბარათში იგი ალექსანდრე საგინაშვილს სწერს: „ბაბალესა, იმედი მაქუს, მალე გაუშვებს ციება, და ამოგვირბენს კოდისაკენ“. წინამდებარე უთარილო წერილშიც „ციება“ ნახსენები: „თუ ბაბალე დასუსტებულია ციებისაგან“. ასევე ჩანს, რომ გრიგოლი კოდაშია, ბარბარე კი აგვისტოს მიწურულს – ისევ თბილისში. ბარბარემ 1870 წლის 28 აგვისტომდე ვერ მიაღწია, 1869 წლის 28 აგვისტოს კი ბარათი ვერ იქნება დაწერილი, რადგან ამავე წლის 17 სექტემბერს თავად ბარბარესთვის გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ გრიგოლი თბილისშია, ადრესატი კი – კოდაში. ავადმყოფ ადამიანს აგვისტოს მიწურულს კოდაში არავინ აიყვანდა, რადგან იქ ამ დროს უკვე სიცივეები იწყება, თბილისში კი – სიგრილე. შესაბამისად, ბარათი 1868 წლის 28 აგვისტოს უნდა იყოს დაწერილი.

გვ.: 204,1-2. „**ბაბალე ამოსულიყო**“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიანზე.

მიხეილ გარსევანოვისადმი №1 (704) (გვ. 204)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №73 / №40, გვ. 1r.
თარიღი და ადგილი: „10 Сентября 1868 Тифлис.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Полковнику Гарсеванову
Михайлу Николаевичу.“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული,
დიდი ფორმატის, საშუალო სისქის ქალაცდი; ზომა: 32,4X22,1
სმ; შესრულებულია შავი ფანქრით; ხელნაწერს გვერდები შე-
მოცვეთილი და ზედა მარჯვენა კუთხე მოხეული აქვს.

ადრესატის მისამართი: წერილი, სავარაუდოდ, თბილისში უნ-
და იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 204,16. „**Полковнику Гарсеванову Михайлу
Николаевичу**“ — წერილის ადრესატია ინჟინერ-პიდროტექნი-
კოსი მიხეილ ნიკოლოზის ძე გარსევანიშვილი (გარსევანოვი).

პარბარე პაგრატიონი-ორბელიანისადმი №31 (705) (გვ.: 205-207)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის ფონდი, №153, გვ.: 46r-v.
თარიღი და ადგილი: „9^{го} Нояб: 1868“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Мой друг Варвара!“

ხელნაწერის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული,
გვერდებშემოცვეთილი ფურცელი, ზომა: 34,6X22,4 სმ.; 2 ად-
გილას ფურცელი ამოხეულია. დაწერილია შავი ფანქრით;
ყველა მხრიდან ხელნაწერს გვერდები შეხეული აქვს.

ადრესატის მისამართი: „в Москву“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 205,19. „**у обожаемой Матери Царевны**“ — საუბა-
რია ადრესატის დედაზე — ანასტასია გრიგოლის ასულ ობო-
ლონსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკაიაზე. დედოფლად, სავარაუ-
388

დოდ, იმიტომ მოიხსენიებს, რომ საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის, რძალია.

გვ.: 205,20-21. „на главу Георгия“ — საუბარია გრიგოლის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 205,22. „среди твоих сестер“ — ბარბარეს იმხანად ჰყავდა შვიდი და: ანა, გაიანე, ელისაბედი, ოლღა, ალექსანდრა, ეკატერინე და ნადეჟდა. ერთი და, ვერა, 1863 წელს გარდაუცვალა.

გვ.: 206,11-12. „Иван Малхазович и Дмитрий Фомич скончались“ — საუბარია გრიგოლის ნათესავებზე: ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილსა და დიმიტრი თომას (თამაზის) ძე ორბელიანზე.

გვ.: 206,12-13. „Варвара Багратовна пріехала“ — საუბარია გიორგი XII-ის შვილიშვილზე — ბარბარე ბაგრატის ასულ გრუზინსკაიაზე.

გვ.: 206,16-17. „Олинка выходит замуж за... Томич“ — საუბარია ოლღა ალექსეის ასულ ოპოჩინინასა და გენერალური შტაბის კაპიტან პეტრე ივანეს ძე ტომიჩზე.

გვ.: 206,18. „Вторая дочь Губер: Орловского вышла за судью Горбовского“ — საუბარია თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვსკის ქალიშვილიულისა და სამომრიგებლო სასამართლოს ტიტულარულ მრჩეველ ვალერიან მიხეილის ძე გორბოვსკი-ზარანეკზე.

გვ.: 206,19-20. „Дочь Агарёва... засватана за Полков: Шака“ — საუბარია სოფიო ნიკოლოზის ასულ ოგარევაზე, რომელიც კავკასიის მეფისნაცვლის მეუღლის, ოლღა თეოდორეს ასული ბადექელი-რომანოვისას, ფრეილინა იყო, და პოლკოვნიკ ადოლფ ვილჰელმის ძე ფონ შავზე.

გვ.: 206,20. „Саломе, Баронесса Сакен, родила doch“ — საუბარია სალომე დავითის ასული ჭავჭავაძისა და ბარონ მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ თსტენ-საკენის ქალიშვილზე, რომელიც, როგორც ჩანს, მალევე გარდაიცვალა

და სახელი უცნობია.

გვ.: 206,20-21. „**Лиза, жена бедного Кико, также родила dochь**“ — საუბარია ნიკოლოზ (კიკო) თადეოზის ძე ჩოლოყაშვილსა და მის ცოლ-შვილზე.

გვ.: 206,22. „**Княгиня Екатерина Дадіани**“ — საუბარია ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძე-დადიანისაზე.

გვ.: 206,23. „**Герцог Баденский**“ — საუბარია მეფის-ნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის მეულლის, ოლღა თეოდორეს ასული ბადენელი-რომანოვისას, ერთ-ერთ ძმაზე.

გვ.: 206,23-24. „**Ждём теперь Принца Мюрада**“ — საუბარია სალომე დავითის ასული დადიანის მეულლეზე — პრინც აშილ მიურაგზე.

გვ.: 206,25-26. „**Айвазовский и Вениавский**“ — საუბარია ცნობილ მხატვარ ივანე (ოვანეს) კონსტანტინეს ძე აივაზოვ-სკიზე და პოლონელ კომპოზიტორსა და მევიოლინეზე — ჰენრიხ იოსების ძე ვენიავსკიზე.

გვ.: 206,31. „**дядя Георгий**“ — ადრესატის ვაჟს, თავის ძმისწულს, გიორგი ილიას ძე ორბელიანს, გრიგოლი სიყვარულით „ბიძიას“ უწოდებს.

გვ.: 207,4-5 „**выразить обожаемой Царевне**“ — საუბარია ადრესატის დედაზე — ანასტასია გრიგოლის ასულ ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკაიაზე.

გვ.: 207,10. „**матушка Катерина**“ — საუბარია ადრესატის უმცროს დაზე — ეკატერინე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიაზე.

დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისადმი №3 (706) (გვ. 209)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის ფონდი, №478/№43, გვ. 1г.
თარიღი და ადგილი: „16 Ноября 1868“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К^{ио} Дмитри: Иван: Святополк
Мирскому.“

ხელნაწერის აღნერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, და-
ლაქავებული, პატარა ფორმატის, საშუალო სისქის, არასტან-
დარტული ფორმის ფურცელი, ზომა: 20,9Х18,9 სმ.; დაწერი-
ლია შევი ფანჯრით.

ადრესატის მისამართი: 1867 წლის 23 აპრილამდე ადრესატს ქუთა-
ისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა ეკავა. გრიგოლის წე-
რილებიდან ვიცით, რომ მას მალევე უპირებდნენ კარცოვის თა-
ნამდებობაზე დანიშვნას, მაგ., დიმიტრი ჯორჯაძეს 1867 წლის 26
აპრილს სწერს: „როგორც საქმე ჰქონის, დიმიტრი მირსკი მიიღებს
კარცოვის ალაგასა, თუმცაკი ჯერ საიდუმლოებენ.“ 1868 წლის 8
იანვარს რძლის, ბარბარესადმი, გაგზავნილი წერილის მიხედვით,
ეს საკითხი ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი: „С пріездом К:
Дмитрія возбуждено здесь всеобщее, живейшее любопытство:
Бытили ему помощником Главнокомандующаго, или, по прежнему,
Карцов займет это место? Вопрос этот составляет пока тайну
Кабинета.“ მარია კრიუკოვსკაია-კოლიუბაკინისადმი ამავე წლის 18
მაისს გაგზავნილ წერილში გრიგოლი ადრესატს ატყობინებს, რომ
მირსკები თბილისში დაბრუნდებიან აგვისტოში: „Мирские возв-
ратятся в Тифлис в Августе.“ განსახილველ წერილში გრიგოლი მას-
თან აგზავნის ჯუნგუთელ ჯანკა აბდულ აზიზს და სთხოვს შუამ-
დგომლობას მიხეილ რომანოვთან. ამიტომ ვვარაუდობთ, რომ წე-
რილი გაგზავნილი უნდა იყოს **თბილისში**.

შენიშვნები: 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 209, 10. „К^{ио} Дмитри: Иван: Святопольск-Мирскому“
— წერილის ადრესატია პოდპოლკოვნიკი დიმიტრი ივანეს ძე
სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ.: 209,13. „**прапорщик Джанка Абдул Азиз**“ – დამატებითი ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება.

გვ.: 209,15. „**враг Шамиля**“— საუბარია დალესტნის ყოფილ იმამზე.

გვ.: 209,19. „**щедрот Его Высочества**“ — საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

ფოკიონ ბულატოვისადმი №2 (707) (გვ.: 210-211)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის ფონდი, №72 / №36, 2r.
თარიღი და ადგილი: „18^{го} Ноябрь 1868 Тифлис.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Губер: Булатову, Фокину Евстафьевичу“

ხელნაწერის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, დიდი ფორმატის, სქელი ქალალდი, ზომა: 34,2X21,6 სმ.; დაწერილია შავი ფანჯრით; ზედა მარჯვენა კუთხე პატარა ადგილას მოხეულია; ხელნაწერი რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: „Елисаветполь“

შენიშვნები: 1-2-3. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 210,16. „**Булатову, Фокину Евстафьевичу**“ – ნერილის ადრესატია კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამართველოს საზოგადო საქმეთა განყოფილების ვიცე-დირექტორი – ფოკიონ ესტატეს ძე ბულატოვი.

გვ.: 210,17. „**Адильбека Ибраим Бекоглы**“ — საუბარია რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცრის, უგურლუბეკის, შთამომავალზე.

გვ.: 210,23. „**он и брат его**“ — ძმის სახელი უცნობია.

გვ.: 210-211. „**благородного дома Угурлубека**“ – საუბარია აზერბაიჯანული ნარმოშობის კაპიტან უგურლუბეკ მებთიგულუ ოღლიზე.

გვ.: 211,2-3. „**Полковники Фараджуллабек, Раймбек и**

недавно умерший Гасанбек — сажыдарайса Құсығетіс армомында оғындарға дәлдік: ғаражжұлдағы үзгүрлүк тәрбиәт, ғернәрал-әле-түнәнбағыт қасасан ბұның әлдәнәркөзінде да матастырып қаримбұзыңғы.

გვ.: 211,6. „Импер: Николай“ — საუბარია რუსეთის
იმპერატორ ნიკოლოზ I-ზე.

1869

ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანისადმი №2 (708) (გვ. 213)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №150 (ძველი №33), ორმაგი პაგინაციით, გვ. 1r // 4r.

თარიღი და ადგილი: „5^ს იანვარ:“

ხელმოწერა: „შენი მარადის ერთგული და პატივისმცემელი
თ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, ბიძიავ ალექსანდრი!“

ავტოგრაფის აღნერილობა: ლურჯი ფერის, პატარა ფორმა-ტის, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 20,5X13,1 სმ; შესრუ-ლებულია შავი მელნით. ავტორისეულ თარილს გვერდით სხვისი (სავარაუდოდ, ცენტრის თანამშრომლის) ხელით შავი ფანქრით მიწერილი აქვს წელი [1869 წ], რომელიც კვადრა-ტულ ფრჩხილებშია ჩასმული.

ადრესატის მისამართი: ადრესატი თბილისში ცხოვრობდა და წერილიკ, საგარაულოდ, აქ უნდა იყოს გაზიარებილი.

შენიშვნები: 1. „ჩემი ტოლუბაში“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ეს ფორმა მრავლობითშია; 3. თავადი; 4. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ. 206. წერილი მოხმობილია 203-ე გვერდზეც ანალიზის მიზნით, ხელმოწერისა და თარიღის გარეშე.

დათარიღება: ბარათს წელი არ ანერია, მაგრამ 1869 წლის 25 თებერვალს ამავე ადრესატს უგზავნის ამავე პოემის უკვე ჩასწორებულ ვარიანტს.

გვ.: 213,1. „ჩემო ბატონო, ბიძიავ ალექსანდრე“ — საუ-ბარია ალექსანდრე (პუპლია) ვახტანგის ძე ორბელიანზე.

გვ.: 213,1-2. „ჩემი ტოლუბაში“ — გრიგოლ ორბელიანის პოემას „სადლეგრძელო“ თავდაპირველად ერქვა „ტოლუბაში“, ანუ თამადა.

ნიკოლოზ ბარანოვსკისადმი №2 (709) (გვ.: 213-214)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №66 / №37, გვ. 3r.
თარიღი და ადგილი: „1869 მარტი 10.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Николаю Ивановичу Барановскому.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, დი-დი ფორმატის, საშუალო სისქის 1 ფურცელი. ზომა: 32,8X21,7 სმ.; დაწერილია შავი ფანჯრით; ყველა გვერდი შე-მოცვეთილი და შეხეულია, ზედა კუთხეები შელახულია.

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში კავკასიის მე-ფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საზოგადო საქმეთა განყოფილების დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა და წერილი, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 2. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 213,9. „**Николаю Ивановичу Барановскому**“ – წე-რილის ადრესატია კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმარ-თველოს საზოგადო საქმეთა განყოფილების დირექტორი – ნიკოლოზ ივანეს ძე ბარანოვსკი.

ნიკოლოზ ბარანოვსკისადმი №3 (710) (გვ. 215)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №67 / №37, გვ. 4r.
თარიღი და ადგილი: „12 მარტი 1869.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Николаю Ивановичу Баранов-
скому.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, პატა-
რა ფორმატის, საშუალო სისქის 1 ფურცელი. ზომა: 21,8X18,3
სმ.; დაწერილია შავი ფანქრით; მარჯვენა გვერდი შემოცვეთი-
ლი და შეხეულია, მარჯვენა ზედა კუთხე შელახულია.

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში კავკასიის მე-
ფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საზოგადო საქმეთა
განყოფილების დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა და
წერილი, სავარაუდოდ, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 215,12. „**Николаю Ивановичу Барановскому**“ —
წერილის ადრესატია კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამ-
მართველოს საზოგადო საქმეთა განყოფილების დირექტორი
— ნიკოლოზ ივანეს ძე ბარანოვსკი.

ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანისადმი №3 (711) (გვ. 216)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №147 (ძველი
№33), გვ. 1r.

თარიღი და ადგილი: „25^ტ თებერ: 1869.“

ხელმოწერა: „თქუცნი მარადის მორჩილი და ერთგული თ~
გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო ბიძიავ
ალექსანდრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გაცრეცილი, გახუნე-
ბული, დალაქავებული, პატარა ფორმატის, თხელი, ორად გა-

დაკეცილი ქაღალდი; თითოეულის ზომა: 20,5X13,2 სმ; შეს-რულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ადრესატი თბილისში ცხოვრობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. თავადი; 2. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: ლუბა მეფარიშვილი, „გრიგოლ ორბე-ლიანის ზოგიერთი გამოუქვეყნებელი წერილის შესახებ“: შო-თა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავ-ლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ. 206. წერილი მოხმობილია 204-ე გვერდზეც ანალიზის მიზნით, ხელმოწერისა და თარიღის გარეშე.

გვ.: 216,12-13. „ტოლუპაში ახლა სახელ-გადაცულილი“ – პოემას გრიგოლ ორბელიანმა საბოლოოდ „სადლეგრძელო“ და-არქვა.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №32 (712) (გვ.: 217-219)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ.: 47r-v.
თარიღი და ადგილი: „15^{го} Марта 1869. Тифлис.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Мой друг Варвара!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 35,4X21,8 სმ.; შესრულებულია შავი ფანჯრით. ქაღალ-დი ორ ადგილას გახვრეტილია; ხელნაწერი შელახულია, ქვე-და და მარჯვენა მხრიდან აქვს შენახევები.

ადრესატის მისამართი: ამ პერიოდში ადრესატი მოსკოვში ცხოვრობდა, რაც წერილის შინაარსითაც დასტურდება: „есть надежда, что через два года я пріеду к тебе в Москву.“

შენიშვნები: 1-2-3-4. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 217,16-18. „Каплан, Александр, Бабале, Манана,

Елена, Софія, Тасо Гагарина, Тасо Оглабжіо, Като Іванова“

– საუბარია ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე, ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანზე, ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე, მანანა მირმანოზის ასულ ერის-თავ-ორბელიანისაზე, ელენე ზაქარიას (ზაზას, ესტატეს) ასულ თარხან-მოურავ-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე, სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე, ანასტა-სია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე, ანასტასია კონ-სტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოსა და ეკატერინე ია-კობის ასულ ორბელიან-ივანოვისაზე.

გვ.: 217,23. „**У В: К:, у К: Екатерины Дадіани**“ — საუ-ბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის მე-უღლებე — ოლღა თეოდორეს ასულ ბადენელ-რომანოვისაზე და სამეგრელოს დედოფალ ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძე-დადიანისაზე.

გვ.: 217,24-25. „**Принц Мюрад с своею прекрасною Саломе**“ — საუბარია სალომე დავითის ასულ დადიანსა და მის მეუღლებე — პრინც აშილ მიურატზე.

გვ.: 217,27. „**Лорд Венситер**“ — შეიძლება საუბარი იყოს ინგლისელი ლორდი ვანსიტარტების რომელიმე წარმო-მადგენელზე.

გვ.: 217,28. „**вдоме Мананы**“ — იგულისხმება მანანა მირმანოზის ასული ერისთავი-ორბელიანისა.

გვ.: 218,1-2. „**тебя с Георгием**“ — საუბარია ადრესატსა და მის ვაჟზე — გრიგოლის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბე-ლიანზე.

გვ.: 218,3-4. „**дочь Исаака Туман: вышла замуж за Кам-саракана**“ — საუბარია ისაკ შიოს (სოლომონის) ძე თუმანიშ-ვილის უმცროს ქალიშვილსა და ახალგაზრდა ოფიცერ ვასილ ეზნაკის ძე კამისარაკანზე.

გვ.: 218,6-7. „**На дочери богача Мирзоева... Аргутин-ский**“ — სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე რომანის ძე

არღუთაშვილ-მხარგრძელსა და მარია ივანეს (ოვანესის) ასულ მირზოიან-არღუთინსკაია-დოლგორუკოვისაზე.

გვ.: 218,7-8. „**Маргарита, дочь Колюбякиной, выходит за Накашидзе**“ — მიხეილ პეტრეს ძე კოლიუბაკინის მეუღლეს ჰყავდა ქალიშვილი პირველი ქმრისგან — მარია იოახიმეს ასული ესპეხო, რომელსაც ზრდიდა კოლიუბაკინი და რომელიც ცოლად გაჰყვა მის ადიუტანტს — ალექსანდრე დავითის ძე ნაკაშიძეს.

გვ.: 218,8. „**дочь Вахтанга Орбел**“ — საუბარია 17 წლის მარიამ (მაშო) ვახტანგის ასულ ორბელიანზე.

გვ.: 218,11. „**знаменитый Айвазовский**“ — საუბარია ცნობილ სომეხ მხატვარ ივანე (ოვანეს) კონსტანტინეს ძე აივაზოვსკიზე.

გვ.: 218,14. „**из Каранаевских высот**“ — საუბარია დაღესტნის ბუინაქსკის რაიონის სოფლის მთიან ხედებზე, სურათის სახელწოდებაშიც ნახსენებია ყარანაის სიმაღლეები.

გვ.: 218,18-19. „**В: К: Николай Николаевич**“ — საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმაზე — ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 218,24. „**чародейство, Караманіани**“ — საუბარია ცნობილ სარაინდო-სათავგადასავლო რომანზე.

გვ.: 218,30. „**Вошла София Мирская**“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე.

გვ.: 219,4. „**твоей сестры Олиньки**“ — საუბარია ოლღა ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკიაზე.

გვ.: 219,11-12. „**Николинке прieхать сюда с женой**“ — საუბარია ნიკოლოზ ილიას ძე ბაგრატიონ-გრუზინსკისა და მის მეუღლეზე — მარიამ მიხეილის ასულ კატენინა-გრუზინსკისაზე.

გვ.: 219,13. „**О Катковском училище**“ — იგულისხმება ლიცეუმი, რომელიც წარჩინებულთა შვილებისთვის დაარსდა

მოსკოვში 1868 წელს.

გვ.: 219,29. „**продажу земли на Острове**“ — იგულის-ხმება ორბელიანების კუთვნილი მიწა ე. წ. მადათოვის კონ-ძულზე.

გვ.: 219,30. „**Ея светлости Царевне**“ — საუბარია ად-რესატის დედაზე — ანასტასია გრიგოლის ასულ ობოლენსკა-ია-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე.

გვ.: 219,31. „**сестрам вашим**“ — ბარბარეს იმხანად ჰყავდა შვიდი და: ანა, გაიანე, ელისაბედი, ოლღა, ალექსან-დრა, ეკატერინე და ნადეჟდა.

ეკატერინე კარცოვასადმი №1 (713) (გვ.: 223-226)

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა №1, საქმე №7515^o; გვ.: 125r-v, 126r.

თარიღი და ადგილი: „15 Марта 1869“/ „29 марта“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Екатерине Николаевне Карцовой.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, და-ლაქავებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის 2 დამოუკი-დებელი ფურცელი, ზომა: 35,1X21 სმ.; ხელნაწერი დაზიანე-ბული და რესტავრირებულია; შესრულებულია შავი ფანქრით.

ადრესატის მისამართი: „в Петербург.“

შენიშვნები: 1-2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 223,9. „**Екатерине Николаевне Карцовой**“ – წერი-ლის ადრესატია კავკასიის არმიის მთავარსარდლის თანაშემ-ნის, ალექსანდრე პეტრეს ძე კარცოვის, მეუღლე – ეკატერი-ნე ნიკოლოზის ასული კარცოვისა, რომელიც, ამავე დროს, იყო ამიერკავკასიის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების საბჭოს წევრი.

გვ.: 224,1. „**Принц Мюрад своею красивой женой Саломе**“ — საუბარია სალომე დავითის ასულ დადიანსა და მის მეუღლეზე – პრინც აშილ მიურატზე.

გვ.: 224,3. „**лорд Венситер**“ — შეიძლება საუბარი იყოს ინგლისელი ლორდი ვანსიტარტების რომელიმე წარმომადგენელზე.

გვ.: 224,7-8. „**Кн: Дадіани... в доме К: Мананы**“ — საუბარია ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ოჯახზე, რომელიც იმხანად გაჩერებული იყო მანანა მირმანოზის ასული ერისთავი-ორბელიანის სახლში.

გვ.: 224,9-10. „**Ольги Опочининой с офицером Генераль: Штаба Томич**“ — საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილი თლდა ალექსეის ასულ ოპოჩინინასა და გენერალური შტაბის კაპიტან პეტრე ივანეს ძე ტომიჩზე.

გვ.: 224,10-11. „**Юлия Орловская вышла за судью Гарбовского**“ — საუბარია იულია კონსტანტინეს ასულ ორლოვსკაიასა და ვალერიან მიხეილის ძე გორბოვსკი-ზარენაკზე.

გვ.: 224,11-12. „**Мирзоев выдал свою dochь за К^и Аргутинского**“ — სავარაუდოდ, საუბარია მარია ივანეს (ოვანესის) ასულ მირზოიან-არღუთინსკაია-დოლგორუკვისაზე და ალექსანდრე რომანის ძე არღუთაშვილ-მხარგრძელზე.

გვ.: 224,12-13. „**dochь К^и Исаака за Камсаракана**“ — საუბარია ისაკ შიოს (სოლომონის) ძე თუმანიშვილის უმცროს ქალიშვილსა და ახალგაზრდა ოფიცერ ვასილ ეზნაკის ძე კამსარაკანზე.

გვ.: 224,15-17. „**Накашидзе... обвенчается на Марките**“ — საუბარია ალექსანდრე დავითის ძე ნაკაშიძესა და მიხეილ პეტრეს ძე კოლიუბაკინის გერზე – მარია იოახიმეს ასულ ესპეხოზე.

გვ.: 224,22. „**Попоригопуло и Джомардизева**“ — საუბარია საიდუმლო მრჩეველ ალექსანდრე ივანეს ძე პოპორილპულოსა და სამხრეთ დაღესტნის სამხედრო მეთაურის,

გენერალ-მაიორ მიხეილ გრიგოლის ძე ჯომარჯვიძის, ცოლზე – ელენე გრიგოლის ასულ ბარათაშვილზე.

გვ.: 224,24. „**Дочери Вахтанга Орбеліані**“ — საუბარია მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანზე.

გვ.: 224,24-25. „**двуих милых Княжень Мухранских**“ — ძნელი სათქმელია, რომელი ბაგრატიონ-მუხრანელის ქალიშვილებზეა საუბარი. შესაძლოა, იგულისხმებოდეს ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი, რომელსაც 4 ქალიშვილი ჰყავდა. ამათგან ბარბარე 21 წლისა იყო, სოფიო – 19 წლის და ეს სწორედ ის ასაკია, როცა თავადიშვილთა ქალიშვილები მაღლა საზოგადოებაში ჩნდებოდნენ.

გვ.: 225,1-2. „**Айвазовский... нарисовал**“ — საუბარია ცნობილ მხატვარ ივანე (ოვანეს) კონსტანტინეს ძე აივაზოვსკიზე.

გვ.: 225,2-3. „**с Каранаевских высот, Алахан Юрт**“ — საუბარია ყარანანას მთებსა და ჩეჩენეთის სოფელ ალახან-იურტზე.

გვ.: 225,17. „**В: К: Николай**“ — საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმაზე – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 225,21. „**по милости Полякова**“ — საუბარია სარკინიგზო საქმის ცნობილ სპეციალისტ სამოელ სოლომონის ძე პოლიაკოვზე.

გვ.: 225,25. „**Статковский, Бентковский и др.**“ — საუბარია ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს თანამშრომლებზე – ბოლისლავ ეგნატეს ძე სტატკოვსკისა და კარლ ფელიქსის ძე ბენტკოვსკიზე.

გვ.: 225,27. „**Герсевановже указывает**“ — სავარაუდოდ, იგულისხმება ჰიდროტექნიკის ინჟინერი მიხეილ ნიკოლოზის ძე გარსევანოვი.

გვ.: 225,32. „**Свечин здаёт Дивизию Тергукасову**“ — საუბარია ალექსანდრე ალექსის ძე სვერინზე, არზას არტემის ძე ტერლუგასოვსა და 38-ე ქვეით დივიზიაზე.

გვ.: 226,1. „**Минквиц** всё болеет“ – საუბარია დერბენ-დის გუბერნატორი იული თეოდორეს ძე მინკვიცზე.

გვ.: 226,5. „**Сын Вахтанга Орбел:**“ – საუბარია ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანზე.

გვ.: 226,17. „**на Царские Колодцы**“ – ასე ეწოდებოდა დედოფლისწყაროს.

გვ.: 226,22. „**Александр Петрович**“ — საუბარია ადრე-სატის მეულებზე – ალექსანდრე პეტრეს ძე კარცოვზე.

გვ.: 226,23. „**Целую ваших детей**“ — კარცოვის ერთ-ერთ ვაჟს ერქვა ნიკოლაი და იგი დაიღუპა რუსეთ-თურქეთის ომის დროს. სხვა შვილების სახელები უცნობია.

ალექსანდრე ნიკოლაისადმი №12 (714) (გვ. 231)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №126 / №32, გვ. 9г.

თარიღი და ადგილი: „1 Мая 1869.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Барону Алек: Павловичу Николай“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, პატარა ფორმატის, თხელი ქალალდი; ზომა: 21,5X21 სმ; შესრულებულია შავი ფანქრით; მარჯვენა გვერდს ზედა მხარის კიდეზე პატარ-პატარა მონახევები აქვს.

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში კავკასიის მე-ფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მსახურობდა, ამავე დროს, იყო კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველიც, ასე რომ, იგი თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. აღნიშნულისა და წინამდებარე წერილის შინაარსის გათვალისწინებით, იგი, სავარაუდოდ, **თბილისშივე უნდა იყოს მიწერილი.**

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ. 2. ამ სიტყვის შემდეგ დაუწერია „будет“ და შემდეგ გადაუხაზავს.
პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №33 (715) (გვ.: 232-233)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ.: 48г.
თარიღი და ადგილი: „12^{го} Мая 1869 Тифлис“

ადრესასატისადმი მიმართვის ფორმა: „Мой друг Варвара!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 35,3Х21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ქაღალდი ორ ადგილას გახვრეტილია; ხელნაწერი შელახულია, ზედა და მარჯვენა მხრიდან აქვს შენახევები.

ადრესასატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში მოსკოვში ცხოვრობდა და წერილიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 232,14-16. „**Их Высо:^{ва}... Великая Кня^з“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის მეუღლეზე – ოლდა თეოდორეს ასულ ბადენელ-რომანოვისაზე.**

გვ.: 232,17-18. „**Екатерина Дадiani и Миорад**“ – საუბარია ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძე-დადიანისაზე და მისი ქალიშვილის, სალომე დავითის ასული დადიანის, მეუღლეზე – პრინც აშილ მიურატზე.

გვ.: 232,18-19. „**Taco Гагарина поплыла в Крым**“ – საუბარია ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე.

გვ.: 232,19. „**Витгенштейны на Рейн**“ – საუბარია ლევ პეტრეს ძე ვიტგენშტეინის იჯახზე, რომელიც წარმოშობით გერმანიიდან იყო.

გვ.: 232,20. „**Варвара Тамамшева**“ – საუბარია ბარბარე ვასილის ასულ ყორლანაშვილ-თამამშევისაზე.

გვ.: 232,21. „Лиза Мухранская“ – საუბარია ელისაბედ ნო-
კოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელისაზე.

გვ.: 232,23. „Султан Данійль Бек Элисуйскій“ – საუ-
ბარია ელისუს ყოფილ სულთან დანიილ ბეგზე.

გვ.: 232,24-25. „Бабале Сагинова переходит в Коды“ –
საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილზე – ბარბარე სამა-
რაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე.

გვ.: 232,26. „в первый раз в Амамло“ – საუბარია ქვე-
მო ქართლის სოფელზე.

გვ.: 232,28-29. „приличныя дети у Мирских“ – საუბა-
რია სოფიო იაკობის ასული ორბელიანისა და დიმიტრი ივანეს
ძე სვიათობოლკ-მირსკის შვილებზე – ნინაზე, მარიამზე, ოლ-
ღასა და პეტრეზე.

გვ.: 232,3-4. „сыновья Вахтанга Орбел: и Кипiani“ –
საუბარია ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანის ვაჟ ნიკოლოზსა
და დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის ვაჟ ნიკოლოზზე.

გვ.: 232,11. „Георгія целую“ – საუბარია გრიგოლის
ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №34 (716) (გვ. 235)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, გვ. 28r.

თარიღი და ადგილი: „⁴го იюня 1869. Тифлис.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Мой друг Варвара!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი,
გახუნებული, სამუალო ფორმატის, საშუალო სისქის ქალალ-
დი; ზომა: 26,3X21,6 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით; ქა-
ლალდი ორ ადგილას გახვრეტილია.

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში მოსკოვში
ცხოვრობდა და წერილიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 235,6-7. „**о́бвенчается Како с Захарием Чавчавадзе**“ – საუბარია მარიამ (კაკო) დავითის ასულ ჭავჭავაძესა და ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 235,8 „**Целую Георгия**“ – საუბარია გრიგოლის ძმისნულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი №4 (717) (გვ.: 236-238)

ავტოგრაფი: Z: ზსიემ 24520/ლ. ა. 1120.

თარიღი და ადგილი: „27 ივნისს.“ / „1^ს ივლისს 1869. თბილისით.“

ხელმოწერა: „საცა გინა ვიყო, მაინც ვარ თქუცნი ერთგული გულით, სულით, თავდადებით ერთგული და პატივისმცემელი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უგანათლებულესო კნეინავ, ეკატერინა!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, ორი დამოუკიდებელი ფურცელი, ზომა: 27X22 სმ.; დაწერილია ოთხივე გვერდზე შავი ტუშით. პირველი ფურცელი უფრო გაყვითლებულია, ვიდრე მეორე. ორივე ფურცელს გარშემო შემოხეულები აქვს, ასევე შუაზე გადაკეცვის გამო ორივე გადატეხილია; ფურცლის ზედა და ქვედა არეები დაცულია.

ადრესატის მისამართი: რძლის, ბარბარესადმი, ამავე ნლის 12 მაისს გაგზავნილი წერილიდან ვიცით, რომ ეკატერინე იმყოფებოდა

სამეგრელოში: „Екатерина Дадiani и Миорад отправились на лето в Мингрелию.“ შესაბამისად, წერილი აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ეს სიტყვა ჩამატებულია ავტორის მიერ; 2. ასე უწერია ავტორს; 3. ამ სიტყვას ავტორი ასეთი ორთოგრაფიით იყენებს; 4. ღვთისაგან; 5. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 6. ავტოგრაფში წერია „საფხულში“; 7. ასე უწერია ავტორს; 8. ღვთისა; 9. „მ“ ასომთავრულით წერია; 10. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 236,1. „**კნეინავ, ეკატერინა**“ – წერილის ადრესატია

ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე- დადიანისაა.

გვ.: 236,11-12. „რეპინდერი და ადიუტანტები“ – საუბარია გოფმეისტერ კონსტანტინე გრიგოლის ძე რეპინდერსა და, სავარაუდოდ, ადიუტანტებზე: ალექსანდრე ვლადიმერის ძე ტოლსტოისა და დიმიტრი ალექსის ძე ფილოსოფოვზე.

გვ.: 236,12. „წავიდა კნეინა ტერეზიაცა“ – საუბარია ტე-რეზია მამიას ასულ გურიელ-დადიანისაზე.

გვ.: 236,12-13. „მირსკიანნი, აპარინინები, ივანოვები, ტასო აღლობჟიომ“ – საუბარია სოფიო იაკობის ასული ორბე-ლიანისა და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის, ბარ-ბარე იაკობის ასული ორბელიანისა და ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის, ეკატერინე იაკობის ასული ორბელიანი-ივანოვი-სა და ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვის ოჯახებსა და ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიომზე.

გვ.: 236,14. „პოპორილოპულოს მეუღლებისა“ – საუბარია ალექსანდრე ივანეს ძე პოპორილოპულოს მეუღლეზე – ელენე დავითის ასულ პოპორილოპულოზე.

გვ.: 236,15. „ყორლანვის სახლობა და არლუთინსკიან-ნი“ – სავარაუდოდ, საუბარია გენერალ ოოსებ ივანეს ძე ყორლანვისა და ალექსანდრე რომანის ძე არლუთაშვილ-მხარგრძელის ოჯახებზე.

გვ.: 236,16-17. „ვარვარა თამამშევისა წავიდა“ – საუბარია ბარბარე ვასილის ასულ ყორლანაშვილ-თამამშევისაზე.

გვ.: 236,17-18. „ლიზა მუხრანსკისაც“ – საუბარია ელი-საბედ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრა-ნელისაზე.

გვ.: 236,19. „მანანაც აპირებს“ – საუბარია მანანა მირ-მანოზის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ.: 236,20-21. „ელენე და სოფიოცა აპირებენ“ – სავარა-უდოდ, საუბარია ელენე ზაქარიას (ზაზას, ესტატეს) ასულ თარხან-მოურავ-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე და ივანე ორბე-ლიანის მეუღლეზე – სოფიო შალვას ასულ ერისთავ-ორბელი-ანისაზე.

გვ.: 236,30-31. „ველი ჩუჭის ბაბალეს“ – იგულისხმება ბარბარე სამარაგდონის ასული ორბელიანი-საგინაშვილისა.

გვ.: 237,1. „კაკოსა და ზაქარიას“ – საუბარია ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძესა და მის მეორე ცოლზე – მარიამ (კაკო) დავითის ასულ ჭავჭავაძეზე.

გვ.: 237,5. „მოახდინა სმიტინმა“ – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს იურისტ ვლადიმერ ვასილის ძე სმიტენზე.

გვ.: 237,13. „მე და ბარონსაც გუქონდა“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი.

გვ.: 237,31-32. „ჩემს რძალს ქეთევანს მოუკუდა მოხუცე-ბული დედა“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძალზე – ქე-თევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე. დედის სახელი უცნობია.

გვ.: 238,6. „რამდენიმე დღე ბუტკოვი“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, პეტერბურგის აკადემიის აკადემიკოსი, სენატორი და საიდუმლო მრჩეველი – პეტრე გრიგოლის ძე ბუტკოვი.

გვ.: 238,14. „სალომეცა, ნიკოცა და ანდრიაცა“ – საუბარია ადრესატის შვილებზე – ნიკოლოზ და ანდრია დავითის ძე დადიანებსა და ქალიშვილზე – სალომე დავითის ასულ დადიან-მიურატისაზე.

გვ.: 238,25. „მშვენიერი სიძე-ბატონი“ – იგულისხმება პრინცი აშილ მიურატი.

ბაბალე ორბელიანი-საგინაშვილისადმი №26 (718) (გვ. 239)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №453 (ქველი №24), გვ. 60r.

თარიღი და ადგილი: „31^ს ივლისს 1869.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბაბალე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, დიდი ფორმატის, თხელი, სიფრიფანა, ორად გადაკეცილი ქაღალდი; ზომები: I ფურცელი: 35,7X22 სმ; II ფურცელი: 17,6X22 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუდენთილია ფურცელში; ხელნაწერი დაზიანებულია, II ფურცლის ზედა ნახევარი დაკარგულია; დარჩენილია ქვედა მხარე, რომელზეც შემონახულია მისამართის ნაწილი; ხელნაწერი რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: IV გვერდზე მისამართის ნაწილია გადარჩენილი: „...[მიუვი]დეს ...[სა]გინოვისას.“ წერილი თბილისიდან არის გაგზავნილი, სავარაუდოდ, კოდაში.

შენიშვნები: 1. ეს ადგილი დაზიანებულია და სიტყვა გაჭირვებით იკითხება.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 239,4. „გინდ შენს ქმარსა“ – საუბარია ადრესატის ქმარზე – ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ.: 239,5. „შენს რძალს ქეთევანსა“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძალზე – ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 239,7. „შენს რძალს სოფიოსთან“ – საუბარია ივანე დავითის ძე ორბელიანის მეუღლეზე – სოფიო შალვას ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ.: 239,10-11. „იოანე ორბელიანი“ – საუბარია ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

გვ.: 239,11-12. „კიდევ ელიზბარ ერისთავი“ – იგულისხმება ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი.

გვ.: 239,15. „მოვიდა ყაფლან და რეზიკო თავის შვილით“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე, მის დისშვილზე – რევაზ შალვას ძე ერისთავსა და რევაზის ერთ-ერთ შვილზე – ქეთევანზე, რევაზზე, ან სოფიოზე.

გვ.: 239,19. „ძალუა ელისაბედ დარჩომილა ეკატერინესთან“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ ყაფლან ას-

ლანის ძე ორბელიანის მეუღლეზე – ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილ-ორბელიანისაზე და დაზე – ეკატერინე ასლანის ასულ ორბელიან-ერისთავისაზე.

გვ.: 239,20. „ოღლობჟიო და სოსიკოც“ – საუბარია გრი-გოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 239,20-21. „პიძია ალექსანდრეც კარგად არის“ – საუბარია ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანზე.

გვ.: 239,22. „კამენდანტის ნახვამ“ – მსახურ იგორკას გრიგოლი ხუმრობით უწოდებს კომენდანტს.

გვ.: 239,24-25. „ალექსანდრე მომიკითხე“ – საუბარია ადრესატის ქმარზე – ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვისადმი №1 (719) (გვ.: 240-242)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №82 / №44,
გვ.: 1r-v.

თარიღი და ადგილი: „Август 11 дня 1869.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Князю Александру
Михайловичу Дондукову-Корсакову.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, დალა-
ქავებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა:
35,3X22,3 სმ; შესრულებულია შავი ფანქრით; ხელნაწერი შელა-
ხულია, გვერდები ადგილ-ადგილ ყველა მხრიდან შეხეულია.

ადრესატის მისამართი: 1869 წელს ადრესატი დაინიშნა სამ-
ხრეთ-დასავლეთ მხარის გენერალ-გუბერნატორად, რომელ-
შიც სამი გუბერნია შედიოდა, მათ შორის, კიევისა. წერილში
გრიგოლი მას შემწეობას სთხოვს თავისი ნათესავის, რევაზ
ერისთავის, ვაჟისათვის, რომელიც კიევის სამხედრო გიმნა-
ზიაში შესვლას აპირებდა. შესაბამისად, წერილი გაგზავნილი
უნდა იყოს კიევში.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ავტორს სიტყვის პირველი ასო ჯერ პატარა დაუწერია, შემდეგ დიდად გადაუკეთებია; 3. ხელნაწერში „Г“-ს ნაცვლად უნერია „К“.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 240,2. „**Князю Александру Михайловичу Дондукову-Корсакову**“ — წერილის ადრესატია გენერალი ალექსანდრე მიხეილის ძე დონდუკოვ-კორსაკოვი.

გვ.: 240,11. „**мой племянник, Лейб Казак, К: Реваз Эристов**“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ რევაზ შალვას ძე ერისთავზე.

გვ.: 240,12. „**котораго сын**“ — სავარაუდოდ, საუბარია რევაზ ერისთავის ვაჟ ალექსანდრეზე, რომელიც იმ დროს 11 წლის იყო.

გვ.: 240,24. „**сын К^и Вахтанга Орбел:**“ — საუბარია ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანზე.

გვ.: 242,5. „**Их высочества выезжают**“ — საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 242,6-7. „**Великая Князя^и останется**“ — იგულისხმება მეფისნაცვლის მეუღლე — ოლდა თეოდორეს ასული ბადენელი-რომანოვისა.

ბაბალე ორბელიანი-საგინაშვილისადმი №27 (720) (გვ. 245)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №454 (ძველი №24), ორმაგი პაგინაციით, გვ.: 1r-v, 2r // 61r-v, 62r.

თარიღი და ადგილი: „17^ს სეკდემ: 1869.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო გულით საყუარელო ბაბალე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქვებული, პატარა ფორმატის, თხელი, სიფრიფანა,

ორად გადაკეცილი ქალალდი; თითოეულის ზომა: 20,5X13,1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი დაზიანებულია, გადაკეცის ადგილებში და აგრეთვე ვერტიკალურად ორივე ფურცელი გახეულია; IV გვერდზე შავი ფანქრით სხვისი ხელით მინაწერი აქვს, რომელიც შავი ფანქრითვეა გადახაზული: „ილია ოცდა შვიდს ოკდობერს წელს 1836 ოლგა მარტის 19 წე 13 უვ.“

ადრესატის მისამართი: წერილი გაგზავნილია კოდაში. გრიგოლი ადრესატს სწერს: „კოდაზე სრულებით ეციება და უნდა გამოეშურო, რომ ისე კარგად მოხვიდე, როგორც მანდ იყავ.“

შენიშვნები: 1-2. ასეა; 3. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 245,2. „ისაკსავით, გადვიხტუნო“ – სავარაუდოდ, საუბარია ისაკ შიოს (სოლომონის) ძე თუმანიშვილზე.

გვ.: 245,6. „შენი ქმარი წავიდა“ – საუბარია ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ.: 245,7-8. „ზურაბკა თავშევეული აქ დარჩა“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის მსახურზე.

გვ.: 245,9. „იოსებ თარხანოვი და ნიკა ამილახვარი“ – საუბარია იოსებ დავითის ძე თარხან-მოურავსა და ნიკოლოზ (გივი) გივის ძე ამილახვარზე.

გვ.: 245,10. „კ: ბარიატინსკისას“ – საუბარია კავკასიის ყოფილ მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკიზე.

გვ.: 245,12. „მოვიდა კ: მირსკიცა“ – საუბარია პოდპოლკოვნიკ დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 245,12-13. „მოელის სოფიოსა ქალებით“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე და მის ქალიშვილებზე: ნინაზე, მარიამსა და ოლღაზე.

გვ.: 245,13-14. „კნ: ლევანცა“ – საუბარია გენერალ ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ.: 245,21. „ყაფლან ჯერ არ წასულა ცოლის მოსაყუანად“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ ყაფლან ას-

ლანის ძე ორბელიანსა და მის მეუღლეზე – ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 245,23. „დარიკოსა და იმის სიძეს“ – სავარაუდოდ, საუბარია ოტია ელიზბარის ასული დადიანის ცოლზე – დარია ლუარსაბის ასულ ჩოლოყაშვილსა და მათი ქალიშვილის საქმროზე.

გვ.: 245,25. „ზაქარიასაც მოუწერია“ – საუბარია ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძეზე. დარია ლუარსაბის ასული ჩოლოყაშვილი იყო მისი პირველი ცოლის, ეკატერინე ლუარსაბის ასული ჩოლოყაშვილის, და.

გვ.: 245,30. „ეკატერინას წიგნი მომივიდა“ – სავარაუდოდ, საუბარია ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძე-დადიანისაზე.

ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანისადმი №4 (721) (გვ. 246)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №151 (ძველი №33), გვ. 1r.

თარიღი და ადგილი: „18^ს ოკტომბერი: 1869“

ხელმოწერა: „შენი ერთგული გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო ბიძიავ ალექსანდრე!“

ავტოგრაფის ალწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, პატარა ფორმატის, თხელი, ორად გადაკეცილი ქალალდი; თითოეულის ზომა: 21,7X13,4 სმ; შესრულებულია შავი ფანქრით; ხელნაწერი დაზიანებულია, გადაკეცვის ადგილებში გახეულია; ქვედა ბოლო შემოცვეთილი აქვს.

ადრესატის მისამართი: ადრესატი თბილისში ცხოვრობდა და წერილიც, შესაბამისად, აქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: ლუბა მეფარიშვილი, „გრიგოლ ორბელიანის ზოგიერთი გამოუქვეყნებელი წერილის შესახებ“: შოთა რუსთაველის სახელმძღვანელოს ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ. 206.

გვ.: 246,2. „პავლემ პსთქუა“ – გრიგოლი, სავარაუდოდ, გულისხმობს პავლე მოციქულს, მაგრამ ფრაზა: „რომელი დავწერე, დავწერე“ არის იოანე მოციქულის სახარებაში.

გვ.: 246,2. „რაცა დავჰესწერე, დავჰესწერე“ – იოანეს სახარება, 19.22.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №35 (722) (გვ.: 246-248)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის ფონდი, №153, გვ. 36r-v.

თარიღი და ადგილი: „26 Октябрь 1869 Тифлис.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „...мой друг Варвара...“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო, გახუნებული 1 ფურცელი; ზომა: 35,6X22,2 სმ.; 2 ადგილას ფურცელი ამოხეულია; დაწერილა შავი ფანქრით; გვერდი შემოცვეთილი აქვს.

ადრესატის მისამართი: „В Москву.“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ამ ადგილას ფურცელი გახეულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 246,20. „К: София Мирская“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე.

გვ.: 247,3. „Сегодня рожденіе Георгія“ — საუბარია გრიგოლის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 247,28. „Их Высоч^{ва} с тремя старшими детьми“ — მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის სამი უფროსი ბვილი იყო: ნიკოლოზი, ანასტასია და მიხეილი.

გვ.: 247,29. „трёх младших оставляют здесь“ — иმ დროისათვის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის სამი უმცროსი შვილი იყო: გიორგი, ალექსანდრე (სანდრო) და სერგეი.

გვ.: 248,3. „Марія Чавчавадзе, жена Ясона, скончалась“ — საუბარია მარიამ (მაია) შალვას ასულ ერისთავჭავჭავაძისაზე, იასონ იოანეს ძე ჭავჭავაძის ქვრივზე.

გვ.: 248,4-5. „Бабале, несмотря на свою неизлечимую болезнь“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილზე – ბარბარე სამარაგლონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე, რომელსაც სიმსივნე ჰქონდა.

გვ.: 248,11. „К: Иван с Лизой и Георгий Мухр: едут“ — საუბარია ივანე და გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელებსა და კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლეზე – ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელისაზე.

გვ.: 248,15. „Царевне приношу“ — საუბარია ადრესატის დედაზე – ანასტასია გრიგოლის ასულ ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე.

გვ.: 248,15-16 „твоим сестрам“ — ბარბარეს იმზანად ჰყავდა შვიდი და: ანა, გაიანე, ელისაბედ, ოლღა, ალექსანდრა, ეკატერინე და ნადეჯდა.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №36 (723) (გვ. 251)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის ფონდი, №153, გვ. 37г.
თარიღი და ადგილი: „⁶ Ноябр: 1869 Тифлис.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Мой друг Варвара!“
ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო, გახუნებული 1 ფურცელი; ზომა: 35X22,1 სმ.; 2 ადგილას ფურცელი ამოხეულია. დაწერილია შავი ფანქრით. ბოლო შემოცევთილი აქვს.

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში მოსკოვში ცხოვრობდა, რაც წერილის შინაარსითაც დასტურდება. გრიგოლი მას სწერს: „Что делает мой благородный Дядя Георгий? Все пріезжающе из Москвы говорят мне только о его росте.“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ამ ადგილას ფურცელი გახეულია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 251,7. „**Дядя Георгий**“ — ადრესატის ვაჟს, თავის ძმისწულს, გიორგი ილიას ძე ორბელიანს, გრიგოლი სიყვარულით „ბიძიას“ უწოდებს.

გვ.: 251,12. „**Их Высочества**“ — საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვსა და მის მეუღლეზე — ოლღა თეოდორეს ასულ ბადენელ-რომანოვისაზე.

გვ.: 251,15. „**К: Иван Мухр: с Лизой**“ — საუბარია ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელსა და მის რძალზე — ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელისაზე.

გვ.: 251,17. „**Леван Меликов сженой**“ — საუბარია იმ-უამად დაღესტნის მმართველზე, გენერალ ლევან ივანეს ძე მელიქიშვილსა და მის მეუღლეზე — ალექსანდრა (ანა) მამუკას ასულ ორბელიან-მელიქიშვილისაზე.

გვ.: 251,22. „**Каплан теперь вздумал**“ — საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 251,24. „**К: Аннета с Давидом**“ — საუბარია ადრესატის დაზე, ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე, და მის მეუღლე დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 251,27. „**Бабале Сагинова очень огорчена**“ — საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილზე — ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე.

ნიკოლოზ ივანოვისადმი №1 (724) (გვ.: 253-254)

ავტოგრაფი: А: ფონდი №5, აღწერა №1, საქმე №7515; გვ.: 108r-v.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Николай Агапович!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, და-ლაქავებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის ფურცელი; ზომა: 34,3X22,1 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით; რესტავ-რირებულია.

ადრესატის მისამართი: ადრესატი ცხოვრობდა თბილისში და წერილიც, შესაბამისად, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ეს სიტყვა ჩამატებული აქვს ზემოდან.

დათარილება: წერილში საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილების – ეკატერინე იაკობის ასული ორბელიანი-ივანოვისა და ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანის ქონებრივ დავაზე. ეკატერინეს მეუღლე – ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვი მიიჩნევდა, რომ ალექსანდრემ მათი მიწები მიითვისა და მოითხოვდა ზარალის ანაზღაურებას. ეს დავა, როგორც ჩანს, დიდხანს გრძელ-დებოდა, წერილის მიხედვით კი შეგვიძლია განვსაზღვროთ, რა ეტაზზე იყო იმ დროს. საოლქო სასამართლოში და სენატში ალექსანდრე ორბელიანი გაუმართლებიათ და იმხანად ივანოვები აპირებდნენ საქმის გადაგზავნას საზოგადო კრებაზე განსახილველად პეტერბურგში. წერილში გრიგოლ ორბელიანი ნიკოლოზ ივანოვს მიმართავს: „решены уже в Окр: суде не в вашу пользу, точно также и в Сенате... Здесь невольно рождается вопрос: как дело может решиться окончательно в Общем собраниі, которое осталось единственою надеждою для вас?.. И нужноли рисковать всем на авось вывезёт?“ ამავე საქმეზე არის საუბარი გიორგი მუხრანსკისთვის გაგზავნილ ასევე უთარილო წერილში, რომლიდანაც ჩანს, რომ ივანოვს საქმე უკვე გაუგზავნია საზოგადო კრებაზე განსახილველად. იმ წერილში ვკითხულობთ: „აქ გამართლდა, სენატშიაცა ეგრეთუც ; და ახლა ივანოვის ადვო-

კატსა [..ა..] აქუს „ობშჩიის სობრანიეში.“ გიორგი მუხრანსკის-
თვის გაგზავნილი ბარათი არაერთი რეალიის საფუძველზე და-
ვათარიღეთ 1869 წლის შემოდგომით. ვფიქრობთ, ეს ბარათიც
ამავე დროს უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ ქრონოლოგიურად
ცოტა უფრო ადრე.

გვ.: 253,2. „**Николай Агапович**“ — წერილის ადრესა-
ტია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ეკატერინე იაკობის
ასული ორბელიანი-ივანოვის, მეუღლე — ნიკოლოზ ალაპოს ძე
ივანოვი.

გვ.: 253,8. „**для мненія Александра**“ — საუბარია გრი-
გოლის ბიძაშვილ ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანზე.

ნიკოლოზ ივანოვისადმი №2 (725) (გვ.: 257-261)

ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა №1, საქმე №7515; გვ.:
109r-v, 110r-v.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:

„Николай Агапович!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული, და-
ლაქავებული, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის 2 გადაბმუ-
ლი ფურცელი; I ფურცლის ზომა: 35,1X22 სმ.; II ფურცლის
ზომა: 34,4X22 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით; ორივე
ფურცელი რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: ადრესატი ცხოვრობდა თბილისში და
წერილიც, შესაბამისად, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ვარსკვლავი
ავტორისეულია. გვერდის ბოლოს განმარტება აქვს სქოლიო-
ში ჩატანილი, რომელიც ჩვენს ტექსტში წერილის ბოლოსაა
წარმოდგენილი; 3. ციტირებული ფრაზა ხაზგასმულია ავტო-
რის მიერ; 4. ხაზგასმულია ავტორის მიერ;

დათარიღება: ამ ბარათში ზუსტად იგივე ფაქტებია აღწერი-
ლი, რაც იმავე ადრესატისთვის გაგზავნილ, ჩვენ მიერ 1869

ნლის შემოდგომით დათარიღებულ წინა წერილში და, თან, აქ თავად ის წერილიც არის ნახსენები: „Предложенная мною в первом письме для соглашения сумма“. იქ მართლაც იყო დაანგარიშებული თანხა. შესაბამისად, ამ წერილსაც ვათარიღებთ 1869 წლის შემოდგომით, მაგრამ იგი ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვისთვის გაგზავნილ პირველ წერილზე ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელია.

გვ.: 257,8-9. „**вами на Александра**“ — საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანზე.

გვ.: 257,18-19. „**на предложение К^и Воронцова**“ — საუბარია 1845-1854 წლებში კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვზე.

გვ.: 258,17-18. „**мною любимые сестры**“ — საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობ ორბელიანის, ქალიშვილებზე — იმხანად უკვე გარდაცვლილ თამარზე, ბარბარეზე, ეკატერინესა და სოფიოზე.

გვ.: 258,19-20. „**как не мы, братья их**“ — იგულისხმება ბიძაშვილები — გრიგოლ ორბელიანი და ალექსანდრე ორბელიანი.

გვ.: 258,29-30. „**Санковского оно также мало интересовало**“ — იგულისხმება ადრესატის ქვისლი, თამარ იაკობის ასული ორბელიანის ქმარი — ანდრია სტეფანეს ძე სანკოვსკი, რომელიც 1859 წელს გარდაიცვალა.

გვ.: 258,30. „**а матерь ваша**“ — იგულისხმება ადრესატის სიდედრი — ნინო ალექსანდრეს ასული მაყაშვილი-ორბელიანისა.

გვ.: 259,18. „**Контрагента Кайхосро – (братья Алексе)**“ — საუბარია გრიგოლის ბიძაშვილებზე — ქაიხოსრო და ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანებზე.

გვ.: 259,24. „**К:^и Якова перед казною**“ — საუბარია გრიგოლის ბიძაზე — იაკობ ნიკოლოზის ძე ორბელიანზე.

გვ.: 261,4. „**Письмо Астафьеву**“ — სავარაუდოდ, საუბარია ერევნის გუბერნატორ მიხეილ ივანეს ძე ასტაფიევის წერილზე.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №37 (726) (გვ. 266)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის ფონდი, №153, გვ. 38г.

თარიღი და ადგილი: „4^{го} Декабрь 1869 Тифлис.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Мой друг Варвара!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო, გახუნებული 1 ფურცელი; ზომა: 35,6X22,1 სმ.; 2 ადგილას ფურცელი ამოხეულია. დაწერილია შავი ფანქრით. გვერდები შემოცვეთილი აქვს, ქვედა კუთხე მოხეულია.

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში ცხოვრობდა მოსკოვში და წერილიც, შესაბამისად, იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ.: 266,4-5. „К: ^а Мирского и нашего Вано“ — საუბარია პოდპოლკოვნიკ დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკისა და გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანზე, მეტსახელად „ვანკა პაუარნიზე“.

გვ.: 266,6. „День твоего Ангела“ — იმ დროს ნმინდა დიდმოწამე ბარბარეს ხსენება ალინიშნებოდა 5 დეკემბერს.

გვ.: 266,7. „твоим и Георгия“ — საუბარია ადრესატსა და მის ვაჟზე — გრიგოლის ძმისნულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 266,23-24. „кончине бедного Александра“ — ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი 1869 ნელს დაიღუპა იალტაში.

გვ.: 266,26-27. „Бедная Манана, бедная его молодая жена“ — საუბარია გარდაცვლილი ალექსანდრე ორბელიანის დედაზე — მანანა მირმანოზის ასულ ორბელიანსა და მეუღლეზე — 18 წლის ევდოკია სომოვაზე.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი №38 (727) (გვ.: 268-269)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის ფონდი, №153, გვ. 39г.

თარიღი და ადგილი: „18^{го} Декабр: 1869.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Мой друг Варвара!“

ხელნაწერის აღნერილობა: მოთეთრო, გახუნებული 1 ფურცელი; ზომა: 35,6X22,5 სმ.; 2 ადგილას ფურცელი ამოხეულია. დაწერილია შავი ფანქრით. გვერდები შემოცვეთილი აქვთ.

ადრესატის მისამართი: „В Москву.“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 268,9. „тебя и Георгия“ — საუბარია ადრესატზე — გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე და ძმისნულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 268,11. „Александр, Пуплій“ — საუბარია მწერალ ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანზე.

გვ.: 268,19. „дочь Корхмаза Меликова“ — საუბარია ყორხმაზ (დიმიტრი) სოლომონის ძე მელიქიშვილის ქალიშვილ მარიამზე.

გვ.: 268,20. „влюблённая в Мамія Гуріели“ — საუბარია მამია დავითის ძე გურიელზე.

გვ.: 268,25. „Юферова, чиновника Судебной Палаты“ — საუბარია თბილისის საოლქო სასამართლოს საბჭოს წევრ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე იუფეროვზე.

გვ.: 269,4-5. „Подполк: Корганов женился“ — შესაძლოა, საუბარი იყოს პოლკოვნიკ სტეფანე სიმონის ძე ყორლანაშვილზე, რადგან რუსეთის სამსახურში მყოფი არც ერთი სხვა ყორლანაშვილი არ ატარებდა იმ დროს პოდპოლკოვნიკის ჩინს, ერთადერთ პოდპოლკოვნიკს, მიხეილ ივანეს ძე ყორლანოვს კი, ცოლი დიდი ხნის მოყვანილი ჰყავდა.

გვ.: 269,6. „за муж за Аргутинского“ — არღუთინსკის სახელი უცნობია.

პირთა ანოტირებული საძიებელი

აბაშიძე – ვინაობა დაუდგენელია. 177.

აბესალომოვი ივანე სოლომონის ძე – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი („სტატსკი სოვეტნიკი“). 41, 129, 130.

აბრაამი – ბიბლიური პერსონაჟი. 105.

ადილბეკ იბრაიმ ბეკოლლი – რუსეთის არმიის ყოფილი ოფიც-
რის, უგურლუბეგის, შთამომავალი. 211.

ავთანდილოვი ზაქარია სტეფანეს ძე – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს მმართვე-
ლი. 100, 168.

აივაზოვსკი გაბრიელ კონსტანტინეს ძე – თბილისის სომხური
ეკლესიის ეპისკოპოსი, ნახჭევან-ბესარაბიის გრიგორი-
ანული ეპარქიის მწყემსმთავარი. 31, 32.

აივაზოვსკი ივანე (იოვანე) კონსტანტინეს ძე (1817-1900) –
მხატვარი-მარინისტი, აკადემიკოსი, პროფესორი, რუ-
სეთის სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრი, ევროპის
რამდენიმე აკადემიის წევრი. 206, 218, 225.

აითბერი (აიტბერი) – „პროპორშჩიკი“, XIX საუკუნის 40-იანი
წლების შუახანებში ხუნდახის მამასახლისი, პრორუსუ-
ლი ორიენტაციის მთიელი. 110.

ალბიცი ალექსანდრე – ანა ოქროპირის ასული ბაგრატიონ-
გრუზინსკაიას მეორე ქმარი. 10, 19, 105.

ალექს: ივანოვიჩი // ალექსანდრე ივანოვიჩი – იხ. ბარიატინსკი

ალექსანდრე ივანეს ძე.

ალექსანდრა – იხ. ბაგრატიონ-გრუზინსკაია ალექსანდრა ილიას ასული.

ალექსანდრა – იხ. ორბელიანი-მელიქიშვილისა ალექსანდრა (ანა) მამუკას ასული.

ალექსანდრე – იხ. ორბელიანი ალექსანდრე (ბაკლანა) გიორგის ძე.

ალექსანდრე – იხ. ორბელიანი ალექსანდრე დავითის ძე.

ალექსანდრე – იხ. ორბელიანი (ჯამბაკურ-ორბელიანი) ალექსანდრე (პუპლია) ვახტანგის ძე.

ალექსანდრე – იხ. რომანოვი ალექსანდრე მიხეილის ძე.

ალექსანდრე – იხ. საგინოვი (საგინაშვილი) ალექსანდრე დიმიტრის ძე.

ალექსანდრე II (1818-1881) – რუსეთის იმპერატორი 1855-1881 წლებში, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილი. ქვეყანაში გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები, რომელთაგან ალსანიშნავია ბატონიშვილის გაუქმება 1861 წელს, აგრეთვე სასამართლო, განათლებისა და სამხედრო რეფორმები. „ნაროდნიკებმა“ ის სასიკვდილოდ დაჭრეს 1881 წელს. 25, 27, 63, 90, 91, 155.

ალექსანდრე III (1845-1894) – რუსეთის იმპერატორი 1881-1894 წლებში. იმპერატორ ალექსანდრე II-ის შვილი, რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის, ნიკოლოზ II-ის, მამა.

ალექსანდრე III-მ უზრუნველყო რუსეთის მშვიდობიანი განვითარება დიდი ხნის განმავლობაში. ასეთი პოლიტიკის გამო ის რუსეთის ისტორიაში შევიდა, როგორც „მშვიდობისმყოფელი მეფე“. გამოირჩეოდა კონსერვატორული შეხედულებებით. ატარებდა ანტირეფორმისტულ და განაპირა მხარეების რუსიფიკატორულ პოლიტიკას. 119, 182, 190.

ალექსანდრ პეტროვიჩი – იხ. ოლდენბურგელი ალექსანდრე პეტრეს ძე.

ალექსანდრ პეტროვიჩი – იხ. კარცოვი ალექსანდრე პეტრეს ძე.

ალექსეი ალექსანდროვიჩი – იხ. ალექსანდრე III.

ალექსი-მესხიშვილი იაკინთე დიმიტრის ძე – აზნაური, ნატალია ვახტანგის ასული ამილახვარის მეულლე, გრიგოლ ორბელიანის რძლის, ქეთევანის, ძმა. წერილის ადრესატი.

ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა ქეთევან დიმიტრის ასული (1812-1895) – ანჩისხატის დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის ქალიშვილი, გრიგოლ ორბელიანის ძმის, ზაქარიას, მეულლე.

წერილების ადრესატი. 45, 48, 72, 105, 110, 112, 203, 237, 239.

ალექსი-მესხიშვილისა – გრიგოლ ორბელიანის რძლის, ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანის, დედა. 237.

ალექსი-მესხიშვილისა მაშო – გრიგოლ ორბელიანის რძლის, ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანის, ერთ-ერთი ძმის ცოლი. 72.

ამილახვარი ნიკა (ნიკოლოზ // გივი) გივის ძე (1832-) – გივი (ეგორ) ბარძიმის ძე ამილახვარისა და ანასტასია ლუ-არსაბის ასული ქსნის ერისთავის შვილი, გენერალ-ლეიტენანტი ივანე ამილახვარის ძმა. 245.

ამილახვაროვი (ამილახვარი) ივანე გივის (ეგორის) ძე (1829-1896) – გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-ადიუტანტი, კავკასი-ის, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების მონაწილე, კავკასიის საარმიო კორპუსის მეთაური, მისი დღიურები და მოგონებები (ჟურნალი „კავკაზ-სკი სბორნიკი“ 1908-1909, ტ. 26-29). საინტერესო ცნობებს შეიცავს იმ ეპოქისა და მის დროს მოღვაწე ადამიანების, მათ შორის, შამილის შესახებ. 85, 189.

ამირაჯიბოვი (ამირეჯიბი) მიხეილ ქახოსროს ძე (1833-1903) – გენერალ-ლეიტენანტი 1893 წლიდან, კავალერიის გენერალი 1899 წლიდან, მეტსახელად „ყარსკი“ ამავე სახელწოდების ციხე-სიმაგრის ალექაში მონაწილეობის გამოყირიმის ომის დროს, 1899 წლიდან კავკასიის | საარმიო კორპუსის მეთაური, მრავალი ბრძოლის მონაწილე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 47.

ამირჩობანი – იხ. უცმიევ-ყარაყაითალელი ამირ-ჩობან ბეგი.

ანანოვი ალექსანდრე სტეფანეს ძე – სომეხი მეცენატი, ციხის მზრუნველთა კომიტეტის წევრი. 71, 75, 81, 86.

ანასტასია – იხ. ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკისა ანასტასია გრიგოლის ასული.

ანასტასია – იხ. ორბელიანი-გაგარინისა ანასტასია (ტასო) დავითის ასული.

ანასტასია – იხ. ორბელიანი-ოკლობუიოსი ანასტასია კონსტანტინეს ასული.

ანასტასია მიხაილოვნა – იხ. რომანოვა ანასტასია მიხეილის ასული.

ანდრეევსკაია ელენე – ექიმ ერასტი ანდრეევსკის ქალიშვილი (1846-). 119.

ანდრეევსკაია ნინო – ექიმ ერასტი ანდრეევსკის ქალიშვილი (1848/1859-1876). 119.

ანდრეევსკი ერასტი სტეფანეს ძე (1809-1872) – ექიმი, ბარბარე გიორგის ასული თუმანიშვილის (1819-1893) მეუღლე. ჰყავდათ ორი შვილი: ელენე (1846-) და ნინო (1848/1859-1876). 119.

ანდრია – იხ. დადიანი ანდრია დავითის ძე.

ანდრია – მსახური ბიჭი. 44.

ანდრიასი – გრიგორიანელი არქიმანდრიტი. 31.

ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე (1798-1868) – რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი, თბილისის სამხედრო გუბერნატორი 1849-1855 წლებში, სამოქალაქო ნანილის მმართველი. მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთის 1826-1828 და რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომებში. იხსენიება 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო საქმეებში. თავი ისახელა ელიზავეტოპოლის, ჯავან-ბულახის, აბას-აბადის, ერევნის, ახალციხისა და ბაიბურთის ბრძოლებში. 1841 წელს გენერალ-მაიორია, 1849-1856 წლებში – თბილისის სამხედრო გუბერნატორი. ყირიმის

ომის დროს სარდლობდა ახალციხის რაზმს. გარდაიცვალა თავის საგვარეულო მამულში, ყოფილი სილნალის მაზრის სოფელ ქოდალოში. 206.

ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა ელენე ივანეს ასული – გენერალ-მაიორ ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილის მეუღლე. 37, 138.

ანდრონიკოვა (ანდრონიკაშვილი)-ჭავჭავაძისა დარია რამაზის ასული (1846-1916) – გენერალ-მაიორ ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძის მეუღლე. 189.

ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) დავით ივანეს ძე (1810-) – „პროპორშჩიკი“. 177.

ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) ნიკოლოზ დავითის ძე (1844-1905) – ნინა ზაალის ასული ბარათაშვილის მეუღლე. 177.

ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) სოლომონ ზურაბის ძე (-1868) – დამატებითი ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ. 177.

ანნა ივანოვნა // ანნეტა – იხ. ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ალბიცისა ანა ოქროპირის ასული.

ანნეტა – იხ. ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძისა ანა (ანეტა) ილიას ასული.

არლუთაშვილი-მხარგრძელი ალექსანდრე რომანის ძე – კაპიტანი. 98, 110, 218, 224, 236.

არლუთინსკი – პიროვნება დაუდგენელია. 269.

ასტაფიევი მიხეილ ივანეს ძე (1821-1884) – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიელი მთიელების წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი, ერევნის სამხედრო გუბერნატორი, სახელმწიფო ქონების სამმართველოს უფროსი და მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი, ორენბურგის გენერალ-გუბერნატორი. 261.

ალალაროვი პასან ბეკი (1812-) – აზერბაიჯანული წარმოშობის რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი, თავი გამოიჩინა უნგრეთის 1848-1849 წლების აჯანყების ჩახშობაში, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში. 211.

ბაბალე // ბაბალე საგინოვა – იხ. ორბელიანი-საგინაშვილისა ბაბალე (ბარბარე) სამარაგდონის ასული.

ბაბო თარხანოვა – იხ. ორბელიანი (ჯამბაკურ-ორბელიანი)-თარხან-მოურავისა ბარბარე (ბაბო) მამუკას ასული.

ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ალბიცისა ანა ოქროპირის ასული (1838-1898) – გიორგი XII-ის ვაჟის, ოქროპირ ბატონიშვილის, ქალიშვილი, პირველი მეუღლის, ალექსანდრე ბაგრატიონ-მუხრანსკის გარდაცვალების (1851) შემდეგ, ცოლად გაჰყვა მარკიზ ალექსანდრე ალბიცს. 10, 19, 105.

ბაგრატიონ-გრუზინსკაია ალექსანდრა ილიას ასული (1845-1909) – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი, ილია ორბელიანის მეუღლის, ბარბარეს, და, ფრეილინა. 20, 27.

ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ბაშმაკოვისა ელისაბედ ილიას ასული (1836-1861) – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი, არკადი დიმიტრის ძე ბაშმაკოვის მეუღლე. 176.

ბაგრატიონ-გრუზინსკაია გაიანე ილიას ასული (1832-1903) –
გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი,
ილია ორბელიანის მეუღლის, ბარბარეს, და.
წერილების ადრესატი. 14, 22, 23, 24.

ბაგრატიონ-გრუზინსკაია ეკატერინე ილიას ასული (1846-1888) –
გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი,
ილია ორბელიანის მეუღლის, ბარბარეს, და. 15, 23, 25,
77, 82, 87, 92, 105, 113, 126, 133, 150, 162, 207.

**ბაგრატიონ-გრუზინსკაია ოლღა ილიას ასული ((1840-1913) – გი-
ორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი,
ილია ორბელიანის მეუღლის, ბარბარეს, და. 20, 27, 219.**

**ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა ბარბარე ბაგრატის
ასული (1804-1870) – გიორგი XII-ის ვაჟის, ბაგრატ ბა-
ტონიშვილისა, და ეკატერინე დურმიშხანის ასული ჩო-
ლოყაშვილის ქალიშვილი, დიმიტრი თამაზის ძე ორბე-
ლიანის მეუღლე. 149, 206.**

**ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა ბარბარე (ვარვარა)
ილიას ასული (1831-1884) – გრიგოლ ორბელიანის უმ-
ცროსი ძმის, ილიას, მეუღლე, გიორგი XII-ის ვაჟის,
ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი.
წერილების ადრესატი. 18, 20, 27, 48, 90, 104, 155,
166, 200, 232.**

**ბაგრატიონ-გრუზინსკაია-სუმბათაშვილისა ქეთევან გრიგოლის
ასული – გენერალ-მაიორ მიხაკო (მიხეილ) ლუარსა-
ბის ძე სუმბათაშვილის მეუღლე. 105.**

**ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძისა ანა (ანეტა) ილიას ასუ-
ლი (1828-1905) – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშ-**

ვილის, ქალიშვილი, სასახლის ფრეილინა. 1852 წელს
ცოლად გაჰყვა ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟს – და-
ვითს. ანა ბაგრატიონს დიდი დამსახურება მიუძღვის
თელავში ქალთა განათლების კერების დაარსების საქ-
მეში. 19, 92, 118, 132, 251.

ბაგრატიონ-გრუზინსკი ალექსანდრე ბაგრატის ძე (1820-1865)
– გიორგი XII-ის შვილიშვილი, ბაგრატ ბატონიშვილის
ვაჟი. 60, 72.

ბაგრატიონ-გრუზინსკი იოანე გრიგოლის ძე (1820-1880) – გი-
ორგი XII-ის შვილთაშვილი, მას „ცარ ივანს“ ეძახდნენ;
ინგლისური კლუბის წევრი, იყო მხიარული და გართო-
ბის მოყვარული. 86.

ბაგრატიონ-გრუზინსკი ირაკლი ალექსანდრეს ძე (1827-1882) –
უგანათლებულესი თავადი, ერეკლე II-ის ვაჟის, ალექ-
სანდრე ბატონიშვილის, ერთადერთი შვილი. დაიბადა
სპარსეთში, იზრდებოდა ჯერ ერევანში დედასთან, მა-
რიამ სააკის ასულ ალამალოვასთან, ხოლო შემდეგ
მასთან ერთად გაამგზავრეს პეტერბურგში, სადაც იმ-
პერატორ ნიკოლოზ I-ის მფარველობის ქვეშ იმყოფე-
ბოდა. 60-იან წლებში მკურნალობდა საფრანგეთში,
სადაც დაუახლოვდა საფრანგეთის იმპერატორ ნაპო-
ლეონ III-ს. აქვე იქორნინა დავით ჭავჭავაძის ასულ
თამარზე. საქართველოში ეწეოდა კულტურულ-საგან-
მანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობას. იყო
ერთადერთი ბატონიშვილი, რომელიც საქართველოში
ცხოვრობდა. 82, 142.

ბაგრატიონ-გრუზინსკი ნიკოლოზ ილიას ძე (1844-1916) – გი-
ორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, შვილი. ნამ-
დვილი სახელმწიფო მრჩეველი, ვლადიმირის გუბერნი-

ის თავადაზნაურთა წინამძღოლი, ვილნოს გუბერნატორი. 219.

ბაგრატიონ-მუხრანელი (მუხრანბატონი, მუხრანსკი) გიორგი კონსტანტინეს ძე (1820/1821-1874/1877) – ცარიზმის ერთგული მოხელე, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს სასამართლო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი, სენატორი, სახელმწიფო ინსპექტორი („სტატს-ინსპექტორი“). 15, 248.

ბაგრატიონ-მუხრანელი (მუხრანბატონი, მუხრანსკი) ივანე კონსტანტინეს ძე (1812-1895) – გენერალ-ლეიტენანტი, ერეკლე II-ის შვილთაშვილი, კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის ომების აქტიური მონაწილე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, 1882-1885 წლებში საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, 1881 წლიდან თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალი, ყველაზე მსხვილი მემამულე თბილისის გუბერნიაში, საქართველოში ერთ-ერთი პირველი ღვინის ქარხნის მეპატრონე. 105, 248, 251.

ბაგრატიონ-მუხრანელი-მელიქიშვილისა თამარ ერმილეს ასული (1828-) – ყორხმაზ (დიმიტრი) სოლომონის ძე მელიქიშვილის მეუღლე. 48, 113.

ბადენელი – კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანვის, ცოლის, ოლღა თეოდორეს ასულის, ძმა. 206.

ბადენელი-რომანოვისა ოლღა თეოდორეს ასული (1839-1891) – დიდი ჰერცოგის, ლეოპოლდ ბადენელის, ქალიშვილის, კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის, მეუღლე. 11, 15, 19, 22, 53, 86, 91, 98, 99, 102, 105, 122,

138, 142, 143, 190, 206, 232, 242, 247, 251.

ბარათაშვილი-მელიქიშვილისა მარიამ გრიგოლის ასული
(1836-1904) – თავად ივანე ალექსანდრეს ძე მელიქიშვილის მეუღლე. 113.

ბარათაშვილი ნინო მელიტონის ასული (1828-1906) – ნიკოლოზ ბარათაშვილის და. ცოლად გაჰყვა „ცისკრის“ თანამშრომელს, ლიტერატორ ლევან (ლეონიდ) გერმანიშვილს (ბარათაშვილს). 48, 108.

ბარათაშვილი-ორბელიანისა ელისაბედ ივანეს ასული (1824-1892) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის, მეორე ცოლი. 72, 105, 112, 200, 203, 239, 245.

ბარათაშვილი სულხან (ტიხონ) გერმანოზის ძე (1821-1866) – ქართველი ისტორიკოსი, მაიორი., ავტორი ხუთ წიგნად დაბეჭდილი „საქართველოს ისტორიისა“, რომელშიც საქართველოს ისტორია განხილულია მსოფლიო ისტორიის ჭრილში. მან პირველად დაყო ქართული ისტორია სამ პერიოდად: ძველი, შუა საუკუნეები და ახალი ისტორია და მათი ქრონოლოგიური ჩარჩოები, ფაქტობრივად, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციას დაუახლოვა. 137.

ბარათაშვილი-სუმბათაშვილისა სოფიო მელიტონის ასული (1841-1916) – ნიკოლოზ ბარათაშვილის და. ცოლად გაჰყვა ვასილ ალექსანდრეს ძე სუმბათოვს (სუმბათაშვილს). 142.

ბარათაშვილი-ჯომარდინისა ელენე გრიგოლის ასული (1840-) – დერბენდის გუბერნატორის, მიხეილ გრიგოლის ძე ჯო-

მარდინის მეუღლე, იქორწინეს 1857 წელს. 11, 113, 224.

ბარათოვი (ბარათაშვილი // გერმანოზიშვილი) ლევან (ლეონიდ გერმანოზის ძე (1826-1875) – ლიტერატორი, „ცისკრის“ თანამშრომელი, ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილის მეუღლე. 169.

ბარანოვსკი ნიკოლოზ ივანეს ძე (1829-1878) – სენატორი, საიდუმლო მრჩეველი, თბილისის სამოქალაქო ვიცე-გუბერნატორი 1860-1863 წლებში, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამართველოს საზოგადო საქმეების დეპარტამენტის დირექტორი, მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლების ლიბერალური რეფორმების განხორციელების აქტიური მონაწილე. წერილების ადრესატი. 182.

ბართოლომეი ივანე ალექსის ძე (1813-1870) – რუსი არქეოლოგი და ნუმიზატი, გენერალ-ლეიიტენანტი, პეტერბურგის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 184.

ბარიატინსკი ალექსანდრე ივანეს ძე (1815-1875) – რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი, გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი, კავკასიის მეფისნაცვალი 1856-1863 წლებში. ცოლად ჰყავდა ელისაბედ დიმიტრის ასული ორბელიანი. წერილის ადრესატი. 155, 161, 162, 171, 245.

ბაქრაძე ნინიკა – გრიგოლ ორბელიანის მსახური. 44, 46, 86.

ბებუთოვი (ბებუთაშვილი) მიხეილ პეტრეს ძე – თეატრალური მოღვაწე. 10.

ბებუთოვი (ბებუთაშვილი) პეტრე აბესალომის ძე (1816-1899) – თბილისის მაზრის უფროსი. 52.

**ბენტკოვსკი კარლ ფელიქსის ძე (1820-1901) – საიდუმლო
მრჩეველი, ინჟინერი, ამიერკავკასიის რკინიგზის სამ-
მართველოს თანამშრომელი. 225.**

ბესო – გრიგოლ ორბელიანის მეჯინიბე. 116.

ბლუდოვი – პიროვნება დაუდგენელია. 80.

ბოგდანოვ-კოლინსკი კონსტანტინე მიხეილის ძე – ნამდვილი
სამოქალაქო მრჩეველი 1864 წლიდან. 76.

ბოგუსლავსკი ალექსანდრე პეტრეს ძე (1824-1893) – ინფანტე-
რიის გენერალი, არარეგულარული (კაზაკთა) ჯარე-
ბის მთავარი სამმართველოს უფროსი, რუსეთის იმპე-
რიის სამხედრო საბჭოს წევრი. 41.

ბრიუგენი ალექსანდრე იულის ძე (1829-1909) – ბარონი, ნამ-
დვილი სამოქალაქო მრჩეველი, ბაქოს ვიცე-გუბერნა-
ტორი 1872-1878, ხოლო ქუთაისის – 1878-1897
წლებში. 91.

ბულატოვი ფოკიონ ესტატეს ძე (1823-1895) – ნამდვილი სამო-
ქალაქო მრჩეველი („დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტ-
ნიკი“), კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართვე-
ლოს საზოგადო საქმეთა განყოფილების ვიცე-დირექ-
ტორი, ელიზავეტოპოლის გუბერნიის პირველი გუ-
ბერნატორი 1868-1876 წლებში.
წერილების ადრესატი. 41, 177, 182.

ბუტკოვი ვლადიმერ პეტრეს ძე (1818-1881) – რუსი სახელმწი-
ფო მოღვაწე, სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა
კომიტეტის წევრი, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო
მდივანი 1853-1865 წლებში, პეტერბურგის მეცნიერე-
ბურგის დამსახურებელი. 225.

ბათა აკადემიის საპატიო წევრი, რუსეთის ლიბერალური რეფორმების ერთ-ერთი შემოქმედი. 238.

გაგარინი – პიროვნება დაუდგენელია. 95.

გაიანე // გაიანე ილინიშნა – იხ. ბაგრატიონ-გრუზინსკაია გაიანე ილიას ასული.

გარსევანოვი (გარსევანიშვილი) მიხეილ ნიკოლოზის ძე (1830-1907) – ინჟინერ-მშენებელი და მეცნიერი ჰიდროტექნიკის დარგში, პოლკოვნიკი, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი, საზღვაო ჰიდროტექნიკური მეცნიერების ფუძემდებელი, 1868-1883 წლებში კავკასიის სამოქალაქო ნაგებობათა და გზატკეცილების მშენებლობის მთავარი ინჟინერი, კავკასიის ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების დამაარსებელი, პეტერბურგის გზათა მიმოსვლის საინჟინრო ინსტიტუტის დირექტორი 1883-1901 წლებში.

წერილის ადრესატი. 225.

გერმანიშვილი // ბარათაშვილი ესტატე ლევანის ძე (1862-)
– ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილისა და ლევან (ლეონიდ) გერმანიშვილის (ბარათაშვილის) შვილი. 48, 108.

გერმანიშვილი // ბარათაშვილი ეფემია ლევანის ასული (1864-1865) – ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილისა და ლევან (ლეონიდ) გერმანიშვილის (ბარათაშვილის) შვილი. 48, 108.

გერმანიშვილი // ბარათაშვილი ილია ლევანის ძე (1865-1865) – ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილისა და

ლევან (ლეონიდ) გერმანოზიშვილის (ბარათაშვილის)
შვილი. 48, 108.

გერმანოზიშვილი-ვაჩაძისა ნინო იოსების ასული (1818-1882)
– გიორგი გურგენის ძე ვაჩაძის (ბებურო) მეუღლე.
200.

გერცენი ალექსანდრე ივანეს ძე (1812-1870) – რუსი მწერალი
და პუბლიცისტი. 62.

გიორგი – იხ. ორბელიანი გიორგი ილიას ძე.

გიორგი მიხაილოვიჩი – იხ. რომანოვი გიორგი მიხეილის ძე.

გირსი ნიკოლოზ კარლოს ძე (1820-1895) – რუსი დიპლომატი,
ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი, სტატს-სეკრეტარი, რუ-
სეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 1882-1895 წლებში,
პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი.
წერილის ადრესატი. 97.

გოლიცინი-სვერინისა ლიუბოვ სერგეის ასული – რუსი სამხედ-
რო მოღვაწის, ინფანტერიის გენერალ ალექსანდრე
ალექსის ძე სვერინის, მეუღლე. 176.

გორბოვსკი-ზარანეკი ვალერიან მიხეილის ძე (-1906) – სამომ-
რიგებლო სასამართლოს ტიტულარული მრჩეველი.
206, 224.

გრიგოროვი მიხეილ ივანეს ძე – თელავის მაზრის უფროსი
XIX ს-ის 60-იან წლებში. 63.

გრიგორი ალფრედ თეოდორეს ძე (1822-1895) – ნამდვილი საი-
დუმლო მრჩეველი, დიპლომატი, სენატორი. 1863-1868

წლებში მსახურობდა კავკასიაში. 177, 189, 190.

გურიელი-დადიანისა ტერეზია მამიას ასული (1825-1871) – გურიის უკანასკნელი მთავრის, მამია V გურიელის ქალიშვილი, ინფანტერიის გენერლის, სამხედრო და საზოგადო მოღვაწის, გრიგოლ ლევანის ძე დადიანის, მეუღლე. 98, 113, 176, 236.

გურიელი დეპინე ქაიხოსროს ასული (1820-1865) – ფრეილინა, ქაიხოსრო გურიელის ასული. 11.

გურიელი დიმიტრი ქაიხოსროს ძე (1822-1882) – გენერალ-მაიორი, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1978 წლების ომის მონაწილე, მეთაურობდა ლეიბ-გვარდიის ულანთა პოლკს, იყო იმპერატორის ამალის განსაკუთრებული დავალებების შემსრულებელი. მის მიერ 1873 წელს აშენებული სასახლე ოზურგეთში დღეს წარმოადგენს შემოქმედის ეპისკოპოსის რეზიდენციას. 11.

გურიელი მამია დავითის ძე (1836-1891) – კაპიტანი, ქართველი პოეტი, ვახტანგ III გურიელის შვილიშვილი, ასზე მეტი ლექსის, ერთი პოემისა და რამდენიმე თარგმანის ავტორი. მოღვაწეობდა „ფაზელის“ ფსევდონიმით, მონაწილეობდა ყირიმის ომში. მარიამ მელიქიშვილთან იქორწინა 1868 წელს, რომელიც მხოლოდ ორ წელს გაგრძელდა. 176, 181, 268.

გურიელი-წერეთლისა პელაგია ქაიხოსროს ასული – ფრეილინა, გიორგი V გურიელის შვილიშვილი, წესტორ დიმიტრის ძე წერეთლის მეუღლე, მწიგნობრული ინტერესების მქონე მანდილოსანი, გრიგოლ ორბელიანის ლექსების ადრესატი. გარდაიცვალა 1883 წელს. 136.

**დადეშკილიანი (დადეშქელიანი) ალექსანდრე (ბექირბი) ციონის
(მიხეილის) ძე (1828-1888) – გენერალ-მაიორი, პირვე-
ლი სვანი გენერალი, აღმოსავლეთ ციმბირის გენე-
რალ-გუბერნატორის ადიუტანტი, ცნობილი ტოპოგრა-
ფი და გეოგრაფი. 1880-1884 წლებში იყო კორეაში
და აღწერა კორეის მხარე და კორეის ნახევარკუნძუ-
ლი, თავის ძმასთან, კონსტანტინესთენ ერთად, თავის
დროზე, განაგებდა ჩუბერხევის სამფლობელოს, ხო-
ლო მის მიერ 1857 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნა-
ტორის, ა. გაგარინის, მოკვლის შემდეგ, გადასახლე-
ბული იყო ციმბირში. 135.**

**დადიანი ანდრია დავითის ძე (1850-1910) – სამეგრელოს მთა-
ვარ დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭაძის შვი-
ლი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. მე-19 სა-
უკუნის 60-იანი წლების ბოლოდან დედასთან და და-
ძმასთან ერთად პარიზში გადავიდა საცხოვრებლად.
დაამთავრა ჰაიდელბურგის უნივერსიტეტი. იყო ცნო-
ბილი მოჭადრაკე. 238.**

**დადიანი-ბაგრატიონ-მუხრანელისა ნინო ლევანის ასული
(1816-1886) – ადიშის მთავარ ლევან V დადიანის ქა-
ლიშვილი, პოლკოვნიკ კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრა-
ტიონ-მუხრანელის დედა. 105.**

**დადიანი ელიზბარ გიორგის ძე – მილიციის შტაბს-კაპიტანი,
სამეგრელოს რუსეთის იმპერიასთან შეერთებამდე იყო
სამთავროს მდივანბეგი. 113.**

**დადიანი-ვიტგენშტეინისა პელაგია მანუჩარის (ალექსანდრეს)
ასული (1847-1919) – ფერდინანდ კარლის ძე ვიტგენ-
შტეინის მეულლე. 189.**

**დადიანი-მიურატისა სალომე დავითის ასული (1848-1913) – სა-
მეგრელოს მთავარ დავით დადიანისა და ეკატერინე
ჭავჭავაძის შვილი. მე-19 საუკუნის 60-იანი წლების
ბოლოდან დედასთან და ძმებთან ერთად პარიზში გა-
დავიდა საცხოვრებლად. 1868 წელს ცოლად გაჰყვა
შარლ ლუი ნაპოლეონ აშილ მიურატს (1847-1895), ნა-
პოლეონის ძმისშვილს. მათი ქორწინება პარიზში წლის
მოვლენად აღიარეს. 1873 წელს წყვილი სამეგრელოში
ჩამოვიდა საცხოვრებლად. 1913 წელს დაქვრივებული
სალომე საფრანგეთში გაემგზავრა სამკურნალოდ, სა-
დაც მალევე გარდაიცვალა. დაკრძალულია იქვე. 189,
217, 218, 224, 238.**

**დადიანი ნიკო დავითის ძე (1847-1903) – სამეგრელოს უკანას-
კნელი მთავარი, გენერალ-მაიორი, რუსეთ-ოსმალეთის
1877-1878 წლების ომის მონაწილე. მისი კანდიდატუ-
რა განიხილებოდა ბულგარეთის მთავრად. გარდაცვა-
ლების შემდეგ თავისი ბიბლიოთეკა უანდერძა „ქარ-
თველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზო-
გადოებას“. 238.**

**დადიანი ოტია ელიზბარის ძე (1838-1915) – გენერალ-მაიორი,
კავკასიის, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878
წლების ომის აქტიური მონაწილე. 113, 155.**

დავითი – იხ. ჭავჭავაძე დავით ალექსანდრეს ძე.

დათიკო – იხ. ორბელიანი დავით მამუკას ძე.

დანიილ ბეგი – ელისუს ყოფილი მმართველი. 232.

დარიკო – იხ. ჩოლოყაევი (ჩოლოყაშვილი)-დადიანისა დარია
ლუარსაბის ასული.

დესპინა – იხ. გურიელი დესპინე ქაიხოსროს ასული.

დიმიტრი – იხ. გურიელი დიმიტრი ქაიხოსროს ძე.

დიმიტრი – იხ. ორბელიანი დიმიტრი (პაჭონე) ვახტანგის ძე.

დიმიტრი – იხ. სვიატოპოლკ-მირსკი დიმიტრი ივანეს ძე.

დიმიტრი – იხ. ჯორჯაძე დიმიტრი დავითის ძე.

დიმიტრი ფომიჩი – იხ. ორბელიანი დიმიტრი თომას (თამაზის) ძე.

დონდუკოვი (დონდუკოვ-კორსაკოვი) ალექსი მიხეილის ძე (1820-1893) – გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის მთავარმართებელი (1882-1890), ნიუნი-ნოვგოროდის პოლკის უფროსი 1858 წლამდე, 1882 წლიდან 1890 წლამდე – კავკასიის ჯარების სარდალი. წერილის ადრესატი.

ეგიაზაროვი ეგორ გრიგოლის ძე – თბილისის ამქართა 1865 წლის ამბოხის საგამოძიებო კომისიის წევრი, ერევნის გუბერნიის სამმართველოს ყოფილი მოხელე. 51.

ეგნატიევი ნიკოლოზ პავლეს ძე (1832-1908) – ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, დიპლომატი, რუსეთის ელჩი პეკინსა და კონსტანტინოპოლში, შინაგან საქმეთა მინისტრი, პანსლავიზმის იდეების ერთგული. 187.

ეილერი ელისაბედ პავლეს ასული (1826-1896) – დიპლომატ ევგენი ალექსანდრეს ძე ვიტგენშტეინის მეუღლე, დედოფლის ფრეილინა. 95, 155.

ეკატერინა // ეკატერინე – იხ. ბაგრატიონ-გრუზინსკაია ეკატერი-

ნე ილიას ასული.

ეკატერინა // ეკატერინე – იხ. ორბელიანი-ერისთავისა ეკატე-
რინე ასლანის ასული.

ეკატერინა // ეკატერინე – იხ. ჭავჭავაძე-დადიანისა ეკატერინე
ალექსანდრეს ასული.

ელენა // ელენა გრუზინსკაია – იხ. თარხან-მოურავი-ბაგრატიონ-
გრუზინსკისა ელენე ზაქარიას (ზაზას, ესტატეს) ასული.

ელენა ერისთოვა – იხ. ორბელიანი-ერისთავისა ელენე („ცაკა-
ლო“) ლუარსაბის ასული.

ელენე – იხ. ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა ელენე ივანეს
ასული.

ელენე – იხ. ჭავჭავაძე-ასტაფიევისა ელენე დავითის ასული.

ელიზავეტა – ბარათაშვილი-ორბელიანისა ელისაბედ ივანეს ასული.

ელიზბარი – იხ. დადიანი ელიზბარ გიორგის ძე.

ელისაბედ – იხ. ბარათაშვილი-ორბელიანისა ელისაბედ ივანეს
ასული.

ელის: დმიტრ: // // **ელისავეტა დმიტრ:** // **ელისავეტა დმიტრი-**
ევნა – იხ. ორბელიანი-დავიდოვისა (ბარიატინსკისა)
ელისაბედ დიმიტრის ასული.

ერვიე გიორგი ივანე ძე – თბილისის მცხოვრები, წარმოშობით
ფრანგი, ცნობილი გეოლოგის, იური ერვიეს, მამა. 10.

**ერისთავი ალექსანდრე რევაზის ძე (1858-1906) – პოლიციის
როტმისტრი, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის შვილი.
ლ. 240.**

**ერისთავი ანა (ანეტა) ალექსანდრეს ასული (1848-1934) – გენე-
რალ-ლეიტენანტ ივანე გივის ძე ამილახვარის მეუღ-
ლე. 85, 189.**

**ერისთავი გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე (1812-
1891) – კავალერიის გენერალი, კავკასიის ხაზის კა-
ზაკთა ჯარის ატამანი, 1856-1860 წლებში ქუთაისის
სამხედრო გუბერნატორი. ზედმეტ სახელად უწოდებ-
დნენ „ატამანს“. 137.**

**ერისთავი ელიზბარ შანშეს ძე (1810-1872) – გენერალ-მაიორი,
ქართველი საზოგადო და სამხედრო მოღვაწე, 1832
წლის შეთქმულების აქტიური მონაწილე. გადასახლე-
ბული იყო ჰელსინსკში სამხედრო სამსახურში, მონა-
წილეობდა ყირიმის ომში, სამხედრო კარიერის ბო-
ლოს იყო გორის მაზრის უფროსი. 113, 239.**

**ერისთავი-ორბელიანისა მანანა მირმანოზის ასული (1808-1870)
– ქსნის ხეობის თავადის, მირმანოზ დავითის ძე ერის-
თავის, ასული, საელჩოს მრჩევლის, დავით ორბელია-
ნის, მეუღლე, მე-19 საუკუნის საქართველოში კულტუ-
რული ცხოვრების ერთ-ერთი წარმმართველი. მის ლი-
ტერატურულ სალონში გადაწყდა ქართული თეატრის
აღდგენისა და ჟურნალ „ცისკრის“ დაარსების რეალუ-
რი საკითხები. იყო 1832 წლის შეთქმულების მონაწი-
ლე. მის სახლში იგეგმებოდა შეთქმულების დეტალები.
წერილის ადრესატი. 64, 77, 85, 125, 170, 217, 224,
236, 266.**

ერისთავი-ორბელიანისა სოფიო შალვას ასული (1832-1887) –
ქსნის ერისთავების წარმომადგენელი, გრიგოლ ორბელიანის ნათესავის, ივანე დავითის ძე ორბელიანის, მეუღლე. 45, 98, 236, 239.

ერისთავი-ორბელიანისა ქეთევან გიორგის ასული (1808-1897)
– გიორგი XII-ის შვილიშვილი, მამუკა თამაზის ძე ორბელიანის მეუღლე. 48.

ერისთავი რევაზ შალვას ძე (1828-1899) – გვარდიის როტმისტრი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 239, 240.

ერისთავი ქეთევან შალვას ასული (1826-1906) – ეკატერინე ასლანის ასული ორბელიანისა და შალვა რევაზის ძე ერისთავის შვილი, ელიზბარ ერისთავის მეუღლე. 113.

ერისთავი-ჭავჭავაძისა მარიამ (მაია) შალვას ასული (1816-1869) – იასონ იოანეს ძე ჭავჭავაძის მეუღლე. 248.

ერმოლოვი ალექსი პეტრეს ძე (1777-1861) – ცნობილი რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი (1818), არტილერიის გენერალი (1837), 1816-1827 წლებში ქართული (შემდეგ კავკასიური) კორპუსის მეთაური, საქართველოს მთავარსარდალი, ამავე დროს, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანში. 152.

ესპეხო-ნაკაშიძისა მარია იოანიმეს ასული – მარია ვასილის ასული კრიუკოვსკაია-კოლიუბაკინას შვილი პირველი ქორწინებიდან. 190, 218, 224.

ვანო – იხ. ორბელიანი ივანე დავითის ძე.

ვანო – იხ. ორბელიანი ივანე კონსტანტინეს ძე.

ვანო – იხ. ორბელიანი ივანე მამუკას ძე.

ვარვარა ბაგრატოვნა – იხ. ბაგრატიონ-გრუზინსკაია ბარბარე ბაგრატის ასული.

ვარვარა // // ვარვარა ვასილევნა // ვარვარა თამამშევისა – იხ. ყორლანაშვილი-თამამშევისა ბარბარე ვასილის ასული.

ვარვარა // // ვარვარა ილინიშნა // ვარინკა – იხ. ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა ბარბარე (ვარვარა) ილიას ასული.

ვარინკა თამამშევისა – იხ. ყორლანაშვილი-თამამშევისა ბარბარე ვასილის ასული.

ვასილი ლორისა – იხ. ლორის-მელიქოვი ვასილი ტარიელის ძე.

ვაჩინაძე-ორბელიანისა ხორეშან ვასილის ასული (1805-1874) – კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის მეუღლე. 72, 200.

ვაჩინაძე-საგინაშვილისა ეკატერინე რევაზის ასული – ივანე ბესარიონის (ვასილის) ძე საგინაშვილის მეუღლე. 125.

ვახტანგი – იხ. ორბელიანი (ჯამბაკურ-ორბელიანი) ვახტანგ ვახტანგის ძე.

ვენიავსკი ჰენრიხ იოსების ძე (1835-1880) – პოლონელი მევიოლინე და კომპოზიტორი. 206.

ვენსიტერი (ვანსიტარტი) – ინგლისელი ლორდი ვანსიტარტე-

ბის წარმომადგენელი. 217, 224.

ვიელგორსკაია-შახოვსკისა ანა მიხეილის ასული – გრაფინია, რუსეთის არმიის გენერალ ალექსანდრე ივანეს ძე შახოვსკის პირველი ცოლი. 171.

ვინოგრადსკი-ფონ-კლუგენაუსი ანა ეფიმის ასული – გენერალ ფრანც კარლის ძე კლიუკი ფონ კლუგენაუს მეუღლე. წერილის ადრესატი. 194.

ვინჩი – XIX ს-ის მერე ნახევარში კავკასიაში მოღვაწე ინჟინერი, რომელსაც გაჰყავდა გზები და აშენებდა ხიდებს. 31, 36.

ვიტგენშტეინი ლევ პეტრეს ძე (1799-1866) – რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი უმდიდრესი მემამულე, ლეიბ-გვარდიის კავალერიის პოლკის როტმისტრი, დეკაბრისტი. დაქორწიებული იყო ორჯერ, მეორედ – ალექსანდრე ბარიატინსკის დაზე, ლეონიდაზე (1816-1918). 11, 232.

ვიტგენშტეინი ფერდინანდ კარლის ძე (1834-1888) – გენერალ-ლეიტენანტი, თერგის კაზაკთა ბრიგადის მეთაური, კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე. 189.

ვლასტოვი გიორგი კონსტანტინეს ძე (1827-1899) – საზოგადო მოღვაწე, მწერალი. სხვადასხვა დროს იყო კავკასიის მეფისნაცვლის საგანგებო დავალებათა ჩინოვნიკი, სტავროპოლისა და ქუთაისის გუბერნატორი, თბილისის ვიცე-გუბერნატორი, სამეცნიეროს სამთავროს მმართველი. 23.

ვოევოდსკი არკადი ვასილის ძე (1813-1879) – ადმირალი, სანკტ-პეტერბურგის პირტის მეთაური, გემთმშენებ-

ლობის დეპარტამენტის დირექტორი. 94.

ვორონცოვი მიხეილ სიმონის ძე (1782-1856) – რუსი თავადი, გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი 1844-1854 წლებში. მანამდე ნოვოროსიისკის გენერალ-გუბერნატორი და ბესარაბიის მეფისნაცვალი იყო. 3 წლიდან 19 წლამდე ლონდონში იზრდებოდა, სადაც მამამისი რუსეთის იმპერიის ელჩად მუშაობდა. უდიდესი წვლილი შეიტანა ოდესის განვითარებაში. შამილის წინააღმდეგ ბრძოლისა და ჩეჩენეთში გამოჩენილი თავგანწირვისათვის პრინცის წოდება მიანიჭეს. 1848 წლისთვის დაღესტნის უდიდესი ნაწილი უკვე დაპყრობილი ჰქონდა. სარდლობდა დარღოს ოპერაციას, რომელიც რუსეთის მხედრობისთვის სამარცხვინო კრახით დასრულდა. თბილისში მის დროს დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა, ბოტანიკური ბაღი, ქართული უურნალი, ოპერა, ქართული და რუსული თეატრები და სხვ. 50, 62, 63, 142, 162, 170, 257.

ზაქარია – იხ. ჭავჭავაძე ზაქარია გულბაათის ძე.

ზაქარე – გრიგოლ ორბელიანის მსახური. 126.

ზინოვიევი ვასილი ვასილის ძე (1814-1891) – ინფანტერიის გენერალი (1884 წლიდან) და გენერალ-ადიუტანტი. კავკასიის ომების აქტიური მონაწილე, მეფისნაცვალ ბარიატინსკის დროს მონაწილეობდა კავკასიის სამოქალაქო მოწყობის საქმიანობაში. წარმატებებისათვის მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება, იყო ალექსანდრე III-სთან დაახლოებული პირი, განაგებდა სასახლის კარის საქმეებს. 10.

ზუბალოვი (ზუბალაშვილი) ივანე იაგორის ძე (1792-1864) –

დიდი ვაჭარი და მრეწველი, სამოქალაქო მრჩეველი („სტატსკი სოვეტნიკი“), „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 142.

ზურაბკა – გრიგოლ ორბელიანის მსახური. 245.

ზურაბკა – ალექსანდრე საგინაშვილის მსახური. 46, 201, 203.

თამამშევი მიხეილ იაგორის ძე – ცნობილი მეცენატი, პირველი გილდიის ვაჭარი, თბილისის საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილე. 105, 125, 135.

თამარი – იხ. ორბელიანი თამარ იოსების ასული.

თამარი – იხ. ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკისა თამარ დავითის ასული.

თარხან-მოურავი-ბაგრატიონ-გრუზინსკისა ელენე ზაქარიას (ზაზას, ესტატეს) ასული (1831-1903) – გიორგი XII-ის შვილიშვილის, ალექსანდრე ბაგრატის ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის, მეუღლე, ცნობილი ქართველი პოეტის, პეტრე გრუზინსკის, ბებია. 11, 72, 98, 149, 217, 236.

თარხანოვი (თარხნიშვილი, თარხან-მოურავი) ილია – პიროვნება და დაუდგენელია. 15.

თარხანოვი (თარხნიშვილი, თარხან-მოურავი) იოსებ დავითის ძე (1819-1878) – გენერალი, კავკასიისა და ყირიმის ომების მონაწილე, დაქორნინებული იყო ვარვარა (ბაბო) მამუკას ასულ ორბელიანზე. 23, 176, 245.

თარხანოვი (თარხნიშვილი, თარხან-მოურავი) კოტე ზაქარიას (ეს-

ტატესა) ძე – გრიგოლ ორბელიანის ადიუტანტი. 11, 72.

თარხანვი (თარხნიშვილი, თარხან-მოურავი) რამაზ (რომან)
დიმიტრის ძე (1806-1866) – გენერალ-მაიორი, კავკასი-
ის, რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლებისა და ყირიმის
ომების მონაწილე. 82.

თუმანიშვილი-ანდრეევსკისა ბარბარე გიორგის ასული – ექიმ
ერასტი ანდრეევსკის მეუღლე. 119.

თუმანოვი (თუმანიშვილი) იასონ – თბილისის სათათბიროს
თავკაცი 1871-1875 წლებში. 181.

თუმანოვი (თუმანიშვილი) ისაკ შიოს (სოლომონის) ძე (1803-
1880) – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიისა და ყირიმის
ომების მონაწილე, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარე-
ბის საველე აუდიტორატის წარმომადგენელი, ნავანგი-
ნის ქვეითი პოლკის მეთაური. 113, 190, 218, 224, 245.

იაკინთე – იხ. ალექსი-მესხიშვილი იაკინთე დიმიტრის ძე.

იაკობი – იხ. ორბელიანი იაკობ ნიკოლოზის ძე.

იასონი – იხ. ჭავჭავაძე იასონ იოანეს ძე.

იგნატიევი – იხ. ეგნატიევი ნიკოლოზ პავლეს ძე.

იგორეა – საგინაშვილების კოდის მამულის ზედამხედველი.
201, 202, 239.

იერონიმი – იხ. სოლომენცევი იერონიმ.

ივანე – იხ. ოკლობუიო ივანე დიმიტრის ძე.

ივანე – იხ. ორბელიანი ივანე დავითის ძე.

ივანე // ივან მუხრან: – იხ. ბაგრატიონ-მუხრანელი (მუხრანბატონი, მუხრანსკი) ივანე კონსტანტინეს ძე.

ივანე ფომიჩი – იხ. ორბელიანი ივანე თომას (თამაზის) ძე.

ივან მალხაზიჩი // ივან მალხაზოვიჩი – იხ. ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე.

ივანოვი ნიკოლოზ ალაპოს ძე (1813-1873) – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის ომების მონაწილე, ქუთაისის გუბერნატორი, ყუბანის კაზაკთა ნაწილის მეთაური, ეკატერინე რინე ორბელიანის მეულლე. წერილების ადრესატი. 155, 162, 236.

იზიუშსკი ადრიან ადრიანის ძე – კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს მოხელე. 25.

ილიკო – იხ. ჩოლოყაშვილი ილია ზაალის ძე.

ილინსკი ევსევი (ალექსი) ალექსის ძე (1809-1879) – საქართველოს ეგზარქოსი 1858-1877 წლებში. ხელი შეუწყოქართული ეკლესიის განძის დატაცებას. 190.

იმპატ-ბეკი – „პროპორშჩიკი“, პრორუსული ორიენტაციის მთიელი კავკასიის ომის დროს. 110.

იოსელიანი პლატონ ეგნატეს ძე (1809-1875) – ქართველი ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. მუშაობდა თბილისის სემინარიაში ფილოსოფიისა და ფიზიკის მასწავლებ-

ლად. 1845-1856 წლებში რედაქტორობდა თბილისში გამომავალ რუსულ პერიოდულ გაზეთს „ზაკავკაზისკი ვესტნიკს“. იყო ათენის არქეოლოგთა საზოგადოების წევრი. დიდი წვლილი მიუძღვის ქართული კულტურის ძეგლების შესწავლის საქმეში. 1860-1875 წლებში გამოსცა ქართველობოგიური პრობლემატიკისადმი მიძღვნილი მრავალი ათეული ნაშრომი. 142, 187.

ირაკლი – იხ. ბაგრატიონ-გრუზინსკი ირაკლი ალექსანდრეს ძე.

ისაკი – იხ. თუმანოვი (თუმანიშვილი) ისაკ შიოს (სოლომონის) ძე.

იტონი – მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის მეულლის, ოლღა თეოდორეს ასულის, მამიდაშვილის, უილამის, ან კარლ გეორგის მხლებელი. 14.

იუფეროვი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე – თბილისის საქალაქო სასამართლოს საბჭოს წევრი. 268.

კაკალა – ორბელიანების ნაყმევი. გარდაიცვალა 1865 წელს. 37, 59.

კაკო – იხ. ჭავჭავაძე მარიამ (კაკო) დავითის ასული.

კალასოვსკი (კოლოსოვსკი) ივანე გრიგოლის ძე – გენერალ-მაიორი. 10, 71, 75, 86, 81, 91, 136.

კამსარაკანი ვასილი ეზნაკის ძე – რუსეთის არმიის ოფიცერი. 218, 224.

კარმალინა (ბელენიცინი) ლიუბოვ ივანეს ასული (1834-1903) – მომღერალი (სოპრანო), მასზე დიდი გავლენა მოახდინა მ. გლინკამ, რომელთან ერთად მოამზადა რამდენი-

მე რომანსი. მის ტალანტს დიდად აფასებდნენ მ. მუ-
სორსკი, ა. ბოროდინი, ც. კიუი, ა. დარგომიშვილი. კავ-
კასიაში იმოგზაურა 1862 წელს, იყო ალაზნის მარცხე-
ნა ნაპირზე განლაგებული ჯარების მეთაურის, ნიკო-
ლოზ ნიკოლოზის ძე კარმალინის, მეუღლე. 10.

კარცოვი ალექსანდრე პეტრეს ძე (1817-1875) – გენერალ-ადი-
უტანტი, ინფანტერიის გენერალი, კავკასიის არმიის
მთავარი შტაბის უფროსი, მეფისნაცვლის თანაშემწე,
სამხედრო საბჭოს წევრი. დაკავებული იყო აკადემიუ-
რი საქმიანობითაც, მის კალამს ეკუთვნის სამხედრო
ხასითის არაერთი ნაშრომი. 41, 42, 59, 105, 111, 135,
138, 155, 162, 170, 182, 226.

კარცოვი ნიკოლაი ალექსანდრეს ძე – გენერალ-ადიუტანტ
ალექსანდრე პეტრეს ძე კარცოვის ვაჟი. 111.

კარცოვისა ეკატერინე ნიკოლოზის ასული – მეფისნაცვლის
თანაშემწის, ინფანტერიის გენერალ ალექსანდრე პეტ-
რეს ძე კარცოვის, ცოლი, ამიერკავკასიის ქალთა საქ-
ველმოქმედო საზოგადოების საბჭოს წევრი.
წერილის ადრესატი. 85, 105, 111, 190.

კატენინა-გრუზინსკისა მარიამ მიხეილის ასული (1868-1910) – ნი-
კოლოზ ილიას ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის მეუღლე. 219.

კატერინა – იხ. ბაგრატიონ-გრუზინსკაია ეკატერინე ილიას
ასული.

კატკოვი მიხეილ ნიკიფორეს ძე (1818-1887) – რუსი პუბლი-
ცისტი, გამომცემელი და კრიტიკოსი. 62, 63, 219.

კატო // // კატო ივანოვა // კატო ივანოვისა – იხ. ორბელიანი-

ივანოვისა ეკატერინე იაკობის ასული.

კიკო – იხ. ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ (კიკო) თადეოზის ძე.

კლეინმიხელ-პილარ ფონ პილხაუ ელისაბედ პეტრეს ასული (1833-1896) – გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ გუსტავის ძე პილარ ფონ პილხაუს მეუღლე. 15.

კლუკი ფონ კლუგენაუ ფრანც კარლის ძე (1791-1851) – გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთ-სპარსეთის 1826-1828, რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომების აქტიური მონაწილე, კავკასიის ომების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა. 194, 196.

კოლიუბაკინი მიხეილ პეტრეს ძე (1806-1872) – გენერალ-ლეიტენანტი, სხვადასხვა დროს იყო ქუთაისისა და თბილისის ვიცე-გუბერნატორი, კავკასიის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი, 1863 წლიდან – ბაქოს სამხედრო გუბერნატორი.
წერილის ადრესატი. 91, 189, 190, 218.

კონსტანტინე – იხ. ორბელიანი კონსტანტინე იოსების ძე.

კონსტანტინე // კონსტანტინე ნიკოლაევიჩი – იხ. რომანოვი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე.

კონსტანტი: პეტროვიჩი // კონსტანტინ პეტროვიჩი – იხ. ოლდენბურგელი კონსტანტინე პეტრეს ძე.

კოპიევა – გრიგოლ ორბელიანის ადიუტანტ კოპიევის დედა. 32.

კოპიევი – „პორუჩიკი“, გრიგოლ ორბელიანის ადიუტანტი. 32.

კრიუკოვსკაია-კოლიუბაკინისა მარია ვასილის ასული – ბაქოს სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-ლეიტენანტ მიხე-ილ პეტრეს ძე კოლიუბაკინის, ცოლი. წერილის ადრესატი.

კუზმინსკი გრიგოლ დანიელის ძე – თბილისის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატის მრჩეველი. 51.

ლაზარევი ივანე დავითის ძე (1820-1879) – სამურის რაზმის ოფიცერი. მონაწილეობდა დალესტნის ბრძოლებში. 1854-1859 წლებში იყო მეხთულის სახანოს მმართველი. 1859 წელს შამილთან ანარმოებდა მოლაპარაკებას ღუნიბში. 1860-1867 წლებში ეკავა საპასუხისმგებლო პოსტები, როგორც გენერალ-მაიორს. 136, 176, 181.

ლევან // ლევანი – იხ. მელიქოვი (მელიქიშვილი) ლევან ივანეს ძე.

ლევაშევა – იხ. პანინა-ლევაშოვისა ოლღა ვიქტორის ასული.

ლევაშევა (ლევაშოვა) ეკატერინე (1867-) – გრაფ ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვისა და ოლღა ვიქტორის ასული პანინა-ლევაშოვისას ქალიშვილი.

ლევაშევი (ლევაშოვი) ვლადიმერ ვასილის ძე (1834-1898) – გრაფი, არტილერიის გენერალი, ყირიმის ომის მონაწილე, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი 1871-1874 წლებში, ქალაქ ოდესის თავი 1874-1878 წლებში. 11, 91, 135, 138, 162, 182.

ლელი კონსტანტინე თევდორეს ძე – დიპლომატი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, 1843 წლიდან კავკასიის მთავარსარდლის (1845 წლიდან მეფისნაცვლის) კანცელა-

რიის მმართველი. 70, 100.

ლიბაუ ანდრეი ანდრეის ძე (-1874) – ლეიბ-მედიკოსი, კავკასიის სამოქალაქო სამედიცინო ნაწილის უფროსი, საიდუმლო მრჩეველი, კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის, ექიმი.
წერილის ადრესატი. 11, 85, 150, 190.

ლიზა – იხ. ბარათაშვილი-ორბელიანისა ელისაბედ ივანეს ასული.

ლიზა – იხ. ჩოლოყაშვილისა ლიზა.

ლიზა // ლიზა ბაშმაკოვისა – იხ. ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ბაშმაკოვისა ელისაბედ ილიას ასული.

ლიზა // ლიზა მუხრანსკაია // ლიზა მუხრანსკისა – იხ. ფალავანდიშვილი-ბაგრატიონ-მუხრანელისა ელისაბედ (ლიზა) ნიკოლოზის ასული.

ლინკენაუ – პიროვნება დაუდგენელია. 104, 112.

ლორის-მელიქოვი გრიგორი ივანეს ძე (-1892) – სამთო ინჟინერი, სოფიო ოოსების ასული ყორღანაშვილის მეუღლე, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწის, ცნობილი დიპლომატის, ოოსებ ლორის-მელიქოვის, მამა. 77.

ლორის-მელიქოვი ვასილი ტარიელის ძე – გრაფი, მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვის ძმა. 98, 110.

ლორის-მელიქოვი მიხეილ ტარიელის ძე (1825-1888) – გენერალ-ადიუტანტი, გრაფი, რუსეთის სახელმწიფო საპჭოს წევრი, 1880-1881 წლებში რუსეთის შინაგან საქ-

მეთა მინისტრი და უანდარმერიის შეფი, რუსეთის პირველი კონსტიტუციის პროექტის ავტორი. ალექსან-დრე II-ის მკვლელობის შემდეგ, რომლის უსაზღვრო ნდობითაც სარგებლობდა, თანამდებობიდან გადადგა და დარჩენილი წლები, ძირითადად, უცხოეთში გაატა-რა. სომხური წარმოშობის მიუხედავად, თავს ქართვე-ლად თვლიდა და მონაწილეობდა საქართველოს საზო-გადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. გარდაიცვალა 1888 წელს საფრანგეთის ქალაქ ნიცაში. 1889 წელს ჩამოასვენეს და დაკრძალეს თბილისში, ვანქის ეკლე-სიის გალავანში.

წერილების ადრესატი. 91.

მაიკო – იხ. ბარათაშვილი-მელიქიშვილისა მარიამ გრიგოლის ასული.

მაიკო – იხ. მელიქოვა (მელიქიშვილი) მაიკო (მაია).

მაკარი – იხ. სუშკინი მაკარი.

მამუკა – იხ. ორბელიანი (ჯამბაკურ-ორბელიანი) მამუკა (მა-კარ) თამაზის ძე.

მანანა – იხ. ერისთავი-ორბელიანისა მანანა მირმანოზის ასული.

მარგარიტა – იხ. ესპეხო-ნაკაშიძისა მარია იოახიმეს ასული.

მარია ივანოვნა – იხ. ორბელიანი მარიამ ივანეს (ლუარსაბის) ასული.

მარიამი – იხ. მელიქიშვილი მარიამ ყორხმაზის (დიმიტრის) ასული.

მარიამი – იხ. სვიატოპოლკ-მირსკაია მარიამ დიმიტრის ასული.

მარიამ ივანოვნა // მარიამ ივანოვნა ორბელი: – იხ. ორბელიანი მარიამ ივანეს (ლუარსაბის) ასული.

მარიკიტა – იხ. ესპეხო-ნაკაშიძისა მარია იოახიმეს ასული.

მარკრიტა – გრიგოლ ორბელიანის მსახური. 11.

მატეოს I (1802-1865) – სომხური გრიგორიანული ეკლესიის კათალიკოსი 1858-1865 წლებში. გვარად ჩუხაჯიანი. 31, 32.

მაყაევი (მაყაშვილი) გრიგოლ რევაზის ძე (1827-1906) – ეკატერინე (მალუცა) გულბაათის (პანტელეიმონის) ასული ჭავჭავაძის მეუღლე. 177.

მაყაშვილი-ორბელიანისა ნინო ალექსანდრეს ასული (1801-1865) – გრიგოლ ორბელიანის ბიძის, იაკობ ორბელიანის, მეუღლე. 72, 76, 258.

მაშო მესხიევა – იხ. ალექსი-მესხიშვილისა მაშო.

მაჰმადა (მაჰმად) – დაღესტნელი მთიელი. მას მიჰქონდა გრიგოლ ორბელიანის წერილები შამილთან, როდესაც კახეთიდან გატაცებული ქალებისა და ბავშვების გამოხსნაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა. რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფი პირი, „პროპორშჩიკი“. 35.

მეიენდორფი ნიკოლოზ ეგორის ძე (1835-1906) – კავალერიის გენერალი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე. 10, 11.

მელიქოვა (მელიქიშვილი) მაიკო (მაია) – ვინაობა დაუდგენელია. 48.

მელიქოვი ბაშხეუქი – გადასახადების ამკრეფი, მოკლეს ამბოხებულებმა თბილისში 1865 წელს. 40.

მელიქოვი (მელიქიშვილი) გიორგი ლევანის ძე (1858-1902) – გენერალ ლევან მელიქიშვილის ვაჟიშვილი. 182.

მელიქოვი (მელიქიშვილი)-დადეშქელიანისა მარიამ (მაია) ყორნემაზ (მაკალო // დიმიტრი)-ის ასული – ყორნემაზ მელიქიშვილისა და თამარ ბაგრატიონ-მუხრანელის შვილი. ალექსანდრე დადეშქელიანის მეუღლე. 48, 113, 135, 176, 181, 189, 268.

მელიქოვი (მელიქიშვილი) ივანე ლევანის ძე (1855-1866) – გენერალ ლევან მელიქიშვილის ვაჟიშვილი. 92.

მელიქოვი (მელიქიშვილი) ლევან ივანეს ძე (1817-1892) – თბილისელი ხელმოკლე თავადი, რომელიც შემდგომში საკმაოდ დაწინაურდა სამხედრო სამსახურში: მთიელებთან ბრძოლაში გამოჩენილი თავდადებისათვის აყვანილ იქნა ჯერ შტაბსკაპიტნის, შემდეგ კაპიტნის ხარისხში. ბოლოს კავალერიის გენერლობასაც მიაღწია. იყო მეფისნაცვლის მოადგილე და სახელმწიფო საბჭოს წევრი. 4 თვის განმავლობაში ნახტევანში ასრულებდა მაზრის უფროსის მოვალეობას. ცოლად ჰყავდა მამუკა ორბელიანის ქალიშვილი ალექსანდრა. დაკრძალულია მამადავითის ეკლესიაში. 35, 36, 52, 59, 92, 111, 138, 182, 245.

მელიქოვი (მელიქიშვილი) მაია – პიროვნება დაუდგენელია. 48, 77.

მელიქოვი (მელიქიშვილი) მიხეილ (1856-1894) – გენერალ ლევან მელიქიშვილის ვაჟიშვილი. 182.

მელიქოვი (მელიქიშვილი) ნიკოლოზ (1867-1942) – გენერალ ლევან მელიქიშვილის ვაჟიშვილი. 182.

მელიქოვი (მელიქიშვილი) პეტრე (1862-1866) – გენერალ ლევან მელიქიშვილის ვაჟიშვილი. 92.

მელიქოვი (მელიქიშვილი) სოფიო (1859-1912) – გენერალ ლევან მელიქიშვილის შვილი, ზაქარია გიორგის ძე ერისთავის მეუღლე. 182.

მელიქოვი (მელიქიშვილი) ყორხმაზ (დიმიტრი) სოლომონის ძე (1798-1858) – თეირანში, ალექსანდრე გრიბოედოვთან ერთად მოკლული სოლომონ მელიქოვის შვილი. მისი პირველი მეუღლე იყო თამარ იოსების ასული ორბელიანი, რომელთანაც განქორნინდა 1831 წელს, ხოლო მეორე – თამარ ერმილეს ასული ბაგრატიონ-მუხრანელი. 48, 113, 135, 176, 181, 268.

მინკვიცი იული თეოდორეს ძე (1807-1870) – გენერალ-ლეიტენანტი 1858 წლიდან, 1857 წლიდან ხელმძღვანელობდა კავკასიის ჟანდარმერიას, დერბენდის გუბერნატორი. 41, 42, 49, 98, 105, 143, 150, 226.

მინკვიცისა – დერბენდის გუბერნატორ იული თეოდორეს ძე მინკვიცის მეუღლე. 14, 105.

მირზოევი-არღუთაშვილ-მხარგრძელისა მარია ივანეს (ოვანესისა) ასული – თბილისელი დიდვაჭრის, ოვანეს მირზოევის შვილი, ალექსანდრე რომანის ძე არღუთაშვილ-მხარგრძელის მეუღლე. 218, 224.

მირზოევი (მიზოევი, მირზოიანი) ივანე (ოვანეს) მინაის (მინა-სის) ძე – თბილისელი ვაჭარი, რომლისგანაც სესხს იღებდნენ. 36, 218, 224.

მიურატი აშილ (1847-1895) – დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ქალიშვილის, სალომე დადიანის, მეუღლე, ნაპოლეონ III-ის ადიუტანტი. 189, 206, 217, 218, 224, 232, 238.

მიხაილ პეტროვიჩი – იხ. კოლიუბაკინი მიხეილ პეტრეს ძე.

მიხაილ ტარიელოვიჩი – იხ. ლორის-მელიქოვი მიხეილ ტარიელის ძე.

მიხეილ ნიკოლაევიჩი – იხ. რომანოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე.

მულინისა პრასკოვია ნიკოლოზის ასული – ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს ჩინოვნიკის, ტარასი ივანეს ძე მულინის, მეუღლე. 166.

მულინი ტარასი ივანეს ძე (-1898) – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს ჩინოვნიკი. 166.

ნაკაშიძე ალექსანდრე დავითის ძე – გენერალ მიხეილ პეტრეს ძე კოლიუბაკინის ადიუტანტი. 218, 224.

ნაპოლეონ I (1769-1821) – მსოფლიო მასშტაბის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერი, საფრანგეთის რევოლუციის გენერალი, პრემიერ-კონსული, საფრანგეთის პირველი იმპერატორი 1804-1815 წლებში. ევროპის სახელმწიფოების კოალიციასთან საბოლოოდ დამარცხებული,

ევროპაში გაბატონების მსურველი ნაპოლეონი გადაა-
